

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY  
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

**№10**

2016

UDC(უაკ) 902(479.22)(066)

ა-846

**რედაქტორი:** ელდარ მამისთვალიშვილი

**რედაქოლებია:**

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ბუბა კუდავა

ლია მელიქიშვილი

აპოლონ სილაგაძე

გიორგი სოსიაშვილი

ნოდარ შენგელია

დავით ყოლბაია

**კორექტურა:** თამარ გოგოლაძე

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:** გიორგი ყაზიშვილი

გამომცემლობა: „ჯეოპრინტი“

თბილისი 2016 წელი

ISSN 1512-4657

**Editor:** Eldar Mamistvalishvili

**Editorial Board:**

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Aleksidze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Apolon Silagadze

Giorgi Sosiashvili

Nodar Shengelia

David Kolbaia

**Reviewer:** Tamar Gogoladze

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

შინაარსი სტატიები  
CONTENTS Articles

საქართველოს ისტორია  
History of Georgia

- იოსებ ალიმბარაშვილი* – რა გახდა დომენტი კათალიკოსსა და სულხან-საბა ორბელიანს შორის დაპირისპირების მიზეზი? 7  
**Ioseb Alimbarashvili** – WHAT WAS THE REASON FOR CONFRONTATION BETWEEN CATHOLICOS DOMENTI AND SULKHAN-SABA ORBELIANI?
- ლელა თოგოშვილი* – რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში და სოფლის მეურნეობის სირთულეები 27  
**Lela Togoshvili** – RUSSIAN COLONIAL POLITIC IN GEORGIA AND AGRICULTURAL DIFFICULTIES
- აკაკი მაზანაშვილი* – გურამიშვილთა საგვარეულოს წარმოშობის საკითხისათვის 39  
**Akaki Mazanashvili** – THE DESCENT OF THE GURAMISHVILI FAMILY
- ელდარ მამისტვალიშვილი* – გივი ამილახვარი (ამილახორი) XVIII ს. პირველი ნახევრის გამოჩენილი მოღვაწე 45  
**Eldar Mamistvalishvili** – GIVI AMILAKHVARI (AMILAKHORI) THE EMINENT PUBLIC FIGURE IN THE SECOND HALF OF 18<sup>TH</sup> CENTURY
- მანანა მიჩიტაშვილი* – XV-XVIII სს. საციციანოს სოციალურ ურთიერთობათა ისტორიიდან (სათავადო აზნაურობა) 79  
**Manana Michitashvili** – FROM THE HISTORY (THE 15<sup>TH</sup> -18<sup>TH</sup> CENTURIES) OF SATSITSIANO'S SOCIAL RELATIONS (NOBILITY)

*გიორგი სოსიაშვილი* – ლიახვის ხეობის ნასოფლარები (საკითხის შესწავლისათვის) 139  
**Giorgi Sosiashvili** – GHOST VILLAGES OF LIAKHVI GORGE (STUDYING THE ISSUE)

*ბესიკ ხურცილავა* – ადრექრისტიანული ხანის ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ერთი ფრაგმენტის შესახებ 158  
**Besik Khurtsilava** – ABOUT ONE FRAGMENT OF THE HISTORY OF IBERIA KINGDOM OF EARLY-CHRISTIAN ERA

### მსოფლიო ისტორია World History

*ეკა ავალიანი* – მარადიული იერუსალიმი ქართულ მეტანარატივში 172  
**Eka Avaliani** – ETERNAL JERUSALEM IN GEORGIAN METANARRATIVE

*ფიქრია დიდებაშვილი* – თომას კემპელი „მიბაძვა ქრისტესი“ 204  
**Pikria Didebashvili** – THE IMITATION OF CHRIST BY THOMAS KEMPER

### ეკლესიის ისტორია History of Church

*თამარ გოგოლაძე* – ქართული ეკლესიის ბედი XIX საუკუნეში ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ ი. გოგებაშვილის რამდენიმე პუბლიცისტური წერილის მიხედვით 217  
**Tamar Gogoladze** – THE FATE OF GEORGIAN CHURCH AFTER LOSING AUTONOMY IN THE XIX CENTURY ACCORDING TO SOME (I. GOGEBASHVILI) PUBLICIST LETTERS

**წყაროთმცოდნეობა**  
**Source Studies**

*მურმან პაპაშვილი* – ჯუსტინო ლივორნოელის ერთი დღემდე უცნობი რელაცია 227  
*Murman Papashvili* – ONE UNKNOWN RELATION OF GUSTINO DE LIVORNO

*ნესტან სულავა* – სახისმეტყველებითი ასპექტები „წმ. ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამებაში“ 245  
*Nestan Sulava* – IMAGINARY FACES IN “MATYRDOM OF NINE BROTHERS FROM KOLA”

**ისტორიოგრაფია**  
**Historiography**

*მერაბ კალანდაძე* – სიმონ ავალიანი და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკითხები 267  
*Merab Kalandadze* – SIMON AVALIANI AND THE NEW HISTORY OF WESTERN EUROPE

*გურამ კუტალია* – დიდი მედიევისტები 288  
*Guram Kutalia* – GREAT MEDIEVALISTS

*თამაზ ლაცაბიძე* – სეხნია ჩხეიძის ბიოგრაფიისათვის 302  
*Tamaz Latsabidze* – FOR BIOGRAPHY OF SEKHNIA CHKHEIDZE

**ტოპონიმის**  
**Toponymy**

*თამარ მესხი* – ტოპონიმ „ხონის“ განმარტებისათვის 318  
*Tamar Meskhi* – TOWARDS THE EXPLANATION OF THE PLACE NAME “CHONI”

*იოსებ (სოსო) აღიშპარაშვილი*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

**რა განდა დომენტი კათალიკოსსა და სულხან-საბა  
ორბელიანს შორის დაპირისპირების მიზეზი?**

XVIII ს-ის I მეოთხედი ქართლში პოლიტიკური კატაკლიზმების პერიოდი. ძალზე ბევრი რამის გადატანა მოუხდა მოკლე დროში ქვეყანას. მართალია, ერთი ოჯახის, მაგრამ მაინც სხვადასხვა მეფეთა (გიორგი XI, ვახტანგ VI, სვიმონი, იესე, ბაქარი) ხშირ ცვლილებებს, „ოსმალობას“ და „ყიზილბაშობას“, ვახტანგ VI-ის სპარსეთსა და რუსეთში მძევლობას, შიდა ასპარეზზე „ლეკიანობას“ და „ტყვეთა სყიდვას“, ქართლელ გლეხთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში გაქცევასა და „მყრელობას“, არ შეიძლებოდა ქვეყანაზე თავისებური დალი არ დაესვა.

ვახტანგ VI-ის ცხოვრებაში ძალზე დიდ როლს თამაშობდა ორი პიროვნება: მეფის მმა<sup>1</sup> – კათალიკოსი დომენტი IV და მისი აღმზრდელი და მასწავლებელი – სულხან-საბა ორბელიანი.

როგორც ცნობილია, 1703 წელს სპარსეთის შაჰმა ჰუსეინმა გიორგი XI-ს ქართლის მეფობა უბოძა, თუმცა, მხო-

---

<sup>1</sup> ვახტანგისა და დომენტის მამა – ლევანი, ქართლის მეფის, ვახტანგ V შაჰ-ნავაზის (1658-1675 წწ.) შვილი, ორცოლიანი იყო. პირველი ცოლის, თუთა ქაიხოსროს ასულ გურიელისაგან მას შეეძინა ქაიხოსრო, ვახტანგი, დომენტი და ქალიშვილი - ზვარამზე. 1678 წელს ლევანს მეუღლე გარდაეცვალა და მეორე ცოლად შეირთო თინათინ ავალიშვილი, რომელთანაც ასევე სამი ვაჟი - იესე, სვიმონი და თეიმურაზი შეეძინა.

ლოდ „დე იურედ“. იგი სპარსეთშივე დატოვეს და ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლა დაავალეს. ქართლში „დე ფაქტო“ მმართველობა („ჯვანიშინობა“, ანუ მოადგილეობა, ნაცვლობა) მის ძმისშვილს - ვახტანგს ერგო.

ქვეყნისათვის ერთგვარ შეღავათს ის ფაქტი წარმოადგენდა, რომ იმდროისათვის ისპაჰანის, თავრიზისა თუ ქირმანის ტარულ-ბეგლარბეგები და ირანის სპასალარ-მსაჯულთუხუცესები სულ ვახტანგის მამა-ბიძები იყვნენ, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოში დარჩენილ „მეფისნაცვალს“ შაჰის ბატონობის სიმძიმე ნაკლებად ეგრძნო.

ვახტანგმაც ენერგიულად დაიწყო „ჯვანიშინობა“. პრობლემები თავზე საყარი ჰქონდა ქვეყანას: შური, გაუტანლობა, მიხდომა, ტყვევნა, ყოველდღიური ცხოვრების „წესს“ წარმოადგენდა. უბედურება ის იყო, რომ ამ სენს შეეღწია სასულიერო წოდებაშიც, რომელიც, წესით და რიგით, ქვეყნის სიმტკიცის საფუძველი უნდა ყოფილიყო. „თუმც იყვნენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი ქნეს ვერებიო“, – აღნიშნავდა დავით გურამიშვილი<sup>1</sup>.

ვახტანგი გრძნობდა, რომ ძლიერი დასაყრდენის გარეშე, ქვეყანაში რადიკალური, მაგრამ აუცილებელი რეფორმების გატარება გაუძნელდებოდა, ასეთი კი ეკლესია იყო. 1705 წელს მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც კათოლიკოს-პატრიარქად დაადგინა ვახტანგის უმცროსი ძმა – დომენტი ბატონიშვილი<sup>2</sup>. თუმცა, საქმე მარტო ძმობაში არ იყო.

---

<sup>1</sup> დავით გურამიშვილი. „დავითიანი“, ლია ნადარეიშვილის რედ. თბ., 2005, გვ. 62.

<sup>2</sup> დომენტის კათალიკოსად არჩევა 1704, ან 1705 წელს უნდა მომხდარიყო. იესე ტლაშაძე „ბაქარიანში“ დომენტის პირით ამბობს: „კათალიკოსად ვეკურთხე ტარ ჟანი ბანი ჯდებოდაო“ (იხ. იესე ტლაშაძე, „კათალიკოს-ბაქარიანი“, ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფ., 1895, სტროფი-



ახალი პატრიარქის არჩევა მხოლოდ ვახტანგ VI-ის სურვილი კი არა, სრულიად სამღვდელთა მოთხოვნა ყოფილა („არამედ შეითქუნენ ეპისკოპოსნი და არქიმანდრიტნი და არლარა ინებეს ნიკოლოზიო“, აღნიშნავს ვახუშტი)<sup>1</sup>. ძველ პატრიარქს - ნიკოლოზს „სოფლურება“ დასწამეს, ხოლო კიდევ ერთ კანდიდატ - ევდემოსს - უმეცრება<sup>2</sup>. დომენტი კათალიკოსობის პრეტენდენტებს შორის მართლაც საუკეთესო თვისებებით გამოირჩეოდა და, მცირე ასაკის მიუხედავად, დიდი გამოცდილება ჰქონდა. ნამყოფი იყო იერუსალიმში და მსახურობდა ჯვრის მონასტერში. მოვალეებისაგან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მონასტრის გამოსახსნელი თანხა იერუსალიმში სწორედ დომენტის ჩაუტანია. 1699 წელს ანთიმოზ ივერიელთან ერთად გაემგზავრა ვლახეთში<sup>3</sup>. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, იგი არჩილს (ბიძას) გაჰყვა რუსეთში სასწავლებლად. როგორც ცნობილია, არჩილმა მოსკოვში

---

161; გვ. 27), ე. ი. 1704 წლის დასაწყისს გულისხმობს. ამ თარიღს მხარს უჭერს მარი ბროსეც (**მარი ბროსე**, საქართველოს ისტორია, ნათარგმნი და განმარტებული სიმონ ლოლობერიძის მიერ, ტფ., 1900, გვ. 50). ვახუშტი ბატონიშვილი 1705 წელს ადგენს: „აკურთხეს (დომენტი - ი. ა.) ქ-სა ჩლე, ქარ. ტფუ“. (იხ. **ვახუშტი ბატონიშვილი**, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. „ქართლის ცხოვრება“ IV, თბ., 1973, გვ. 481) თ. ჟორდანიას ორივე წელს უთითებს (იხ: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი III (1700 წლიდან XIX ს-ის 60 - იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ. თბ., 1967. გვ. 11; 20.

<sup>1</sup> **ვახუშტი ბატონიშვილი**, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, „ქართლის ცხოვრება“, IV, თბ., 1973, გვ. 481.

<sup>2</sup> **ვახუშტი ბატონიშვილი**, გვ. 481.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს. *ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთანდილ იოსელიანმა*, თბ., 1980, გვ. 45.

ქართული სტამბა დააარსა და დომენტი ამ საქმეშიც დახელოვნდა.

1705 წელს დომენტი ბატონიშვილი ახლად დაბრუნებული იყო რუსეთიდან, სადაც სასულიერო განათლება მიეღო, გაცნობილი იყო რუსულ კულტურას<sup>1</sup>. კათალიკოსი ჯანიშინ ძმას არ ჩამორჩა და ენერგიულად დაიწყო არა მარტო სასულიერო, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. ძალზე ვრცელია იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლის გაკეთებაც დომენტი კათალიკოსმა მოახერხა<sup>2</sup>.

1711 წელს ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა ქართლის მეფე ქაიხოსრო და მეფედ დასამტკიცებლად ვახტანგს ისპაჰანში მოუხდა წასვლა. მას თან გაჰყვა სულხან-საბა ორბელიანიც. სპარსეთის დედაქალაქში ჩასულ ვახტანგს გამეფების აუცილებელ პირობად გამაჰმადიანება მოსთხოვეს, რაზეც კატეგორიული უარი განაცხადა, რამაც მისი სპარსეთში „ვიზიტი“ 1719 წლამდე გაახანგრძლივა. ვახტანგისავე თანხმობით, შაჰმა ქართლის მეფედ მისი გამაჰმადიანებული უმცროსი ნახევარძმა სვიმონი დანიშნა, მაგრამ ენერგიულად ამოქმედდა ვახტანგის მეორე ძმა, ასევე გამაჰმადიანებული იესე-ალიყული-ხანი. ქართლი მეფობის პრეტენდენტ დაპირისპირებულ ძმათა ბრძოლის ასპარეზად იქცა.

ასეთ ვითარებაში ისეთი გავლენიანი პიროვნებები, როგორებიც სულხან-საბა ორბელიანი და დომენტი კათალიკოსი

---

<sup>1</sup> თბილისის ისტორია, ტ. I, უძვ. დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, *მამია დუმბაძისა და ვიქტორ გუჩუას რედ.* თბ., 1990, გვ. 291.

<sup>2</sup> დაწვრ. იხ: იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. „კათალიკოსი დომენტი IV - ქართული კულტურის მოამაგე“, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №2, თბ., 2011, გვ. 166-179.

იყვნენ, პასიურ მდგომარეობაში ვერ დარჩებოდნენ. 1713 წელს სულხან-საბა საგანგებო ელჩობით ევროპაში გაემგზავრა შემწეობის მისაღებად, მაგრამ, გარკვეული მოსაზრებით, იძულებული გახდა გამგზავრებამდე კათოლიკური სარწმუნოება ელიარებინა<sup>1</sup>.

ღევნა დაუწყეს ქართლში დარჩენილ ღომენტი კათალიკოსსაც. როგორც ჩანს, ვახტანგის ირანში ყოფნა და არსებული სტატუს-კვო სიმონს ხელს აძლევდა, რადგან ამით ქართლის ტახტს, მართალია, უგვირგვინოდ, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა. ამიტომ შაჰის მიერ წესრიგის დასამყარებლად თბილისში გამოგზავნილ ვინმე ხოლოფასთან ვახტანგის წინააღმდეგ არაფორმალური ალიანსი გააფორმა (როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლოფასთანა შეიზრახნენ სვიმონ და მთავარნი ქართლისანი ვახტანგის ბოროტსა ზედაო“<sup>2</sup>) და ერთობლივად გაილაშქრეს კათალიკოსის წინააღმდეგ. სვიმონმა კათალიკოსის „ზაკვით“<sup>3</sup> შეპყრობა მოახერხა და ბაქარ ბატონიშვილს გაუგზავნა, რათა მისთვის „აღმოეხადა თუალნი“<sup>4</sup>.

ღევნილი კათალიკოსისათვის თავშესაფარი თვით ვატიკანს შეუთავაზებია, რომლის წარმომადგენელი სთავაზობდა: „თუ მტრის ღევნულებამ იქამდე მიაღწიოს, რომ მაგ მხარეს უშიშრად კვლარსად შეგეძლოთ დგომა, მაშინ მოდიოთ რომს,

---

<sup>1</sup> ელდარ მამისთვალისევილი. სულხან-საბა ორბელიანის მიერ კათოლიკეთა მრწამსის აღიარებისათვის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 4, თბ., 2013, გვ. 74.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 492.

<sup>3</sup> სულხან-საბას მიხედვით, „ზაკვა არის პირით სიყვარულს იხემებდეს და გულითა ბოროტი დაიმარხოს“. იხ: სულხან-საბა-ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991, გვ. 275.

<sup>4</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. გვ. 493.

სადაც თქვენდამი სავსე სიყვარულით პაპი ეგრეთის სახიერებით მიგიღებთ, როგორათაც სხვა ყველა ეპისკოპოსს, რომლებიც მოდიან ქვეყნის ყოველ მხრიდან, ამასთანავე პაპი დიდის სიყვარულით განიჭებთ მოციქულებრივ კურთხევასო“<sup>1</sup>, მაგრამ იმჟამად რუსუდან დედოფლის კეთილგანწყობას უხსნია პატრიარქი.

კრიტიკულ ვითარებაში, დომენტი კათალიკოსის ინიციატივით თბილისში საეკლესიო კრება მოუწვევიათ, რომელსაც გადაუწყვეტია, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ნება დაერთოთ შაჰის კარზე მყოფი ვახტანგისათვის მაჰმადიანობა ელიარებინა.

სასულიერო პირების ამგვარ გადაწყვეტილებას ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოუწვევია: „ეჰა უცხო, რამეთუ ქრისტესათჳს იძულებულისა ვახტანგისათჳს ნება-მოწმობა სცეს კათალიკოზმან, ეპისკოპოსთა და სამღვდელთამანო,“ - აღნიშნავს ვახუშტი<sup>2</sup>.

ზემონათქვამი აზრის საპირისპიროდ, საეკლესიო კრების გადაწყვეტილება დომენტი კათალიკოსის ვახტანგისადმი მხარდაჭერად მიაჩნიათ პლატონ იოსელიანსა და პოლიევქტოს კარბელაშვილს. „Все духовенство вступили за Вахтанга“-ო, წერს პლ. იოსელიანი<sup>3</sup>, ხოლო პ. კარბელაშვილის მოსაზრებით, სვიმონის მიერ კათალიკოსის შეპყრობის მთავარი მიზეზი სწორედ ის იყო: „სპარსეთში მყოფ ვახტანგს რად ემხრობოდით“<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> მიქელ თამარაშვილი. ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 307-308.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 493.

<sup>3</sup> Пл. Иоселиани, Исторический взгляд на состояние Грузии под властью царей-магометан, Тифл., 1849. გვ. 70; შენიშვნა 1.

<sup>4</sup> პ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 134.

წესით, ეს ამბავი არც ვახუშტი ბატონიშვილს უნდა გაჰკვირვებოდა. მისმა პაპა-ბიძებმა სამეფო ტახტი და დიდი თანამდებობები ირანში, სწორედ რჯულის დათმობის ფასად მიიღეს, მაგრამ ქართული ეკლესია ამას ეგუებოდა.

ვერც ტყვეობაში მყოფ მეფეს აღუქვამს საეკლესიო კრების გადაწყვეტილება მართებულად და „ცხელ გულზე“ ლექსიც დაუწერია, რომელშიც სამშობლოში დარჩენილ ერსა და ბერს „საყვედურობს“:

„ერთა ღმერთი არ იწამეს, ბერთა რჯული შეურაცხ-  
ყვეს,

არას კერპსა არ უქნია, ჩემ საქმეზე იმათ რაც ყვეს  
მოლა ღმერთსა მახვეწებდა, ჩემთა მკვლელთა ბერნი  
დაყვეს,

და ჩემს ცოლშვილთა ტყვედ ეძებდენ, საქონელი იავარ-  
ყვეს

თუცა ვიყავ ამათს სჯულზე, მაშ ესენი რას მეტრობ-  
დენ?

თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ, მაშ ისინი რათ მაქ-  
რობდენ?

და მილთონთა ვსჩან მეფედ მათად, თვის ტომსა სწადს,  
რომ მაქრობდენ“<sup>1</sup>.

ისპაჰანშიც და თბილისშიც, დომენტი კათალიკოსის მოწინააღმდეგეთა წრედი შეიკრა. როგორც ითქვა, კათალი-  
კოსს დევნიდა სვიმონი, „სპარსეთში მყოფ ვახტანგს რად ემ-  
ხრობოდიო“. დომენტი მიუღებელი იყო ჯერ სპარსელთა და  
შემდეგ ოსმალთა რენეგატ იესესათვის, რომლის უგვანო ქმე-

---

<sup>1</sup> ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, თბ., 1975, გვ. 33;  
სტროფები - 93 და 94.

დებებს პატრიარქი არასდროს ეგუებოდა<sup>1</sup>. დომენტი, მისი ქრისტიანული სარწმუნოებისადმი „ასკეტური შეხედულებებისა და წმინდა ცხოვრების მიმდევრობის გამო“<sup>2</sup> მიუღებელი იყო შაჰის „ნასუფრალს“ შემყურე ქართლის დიდებულთა დიდი ნაწილისათვის და, მით უფრო, ქვეყანაში გაბატონებული ირანელებისათვის.

ცხადია, კათალიკოსის ოპონენტებს მის წინააღმდეგ სერიოზული არგუმენტები სჭირდებოდათ, ამიტომ ვილაცას „გახსენებია“, რომ ჯერ კიდევ 1709 წელს თითქოს კათალიკოს დომენტის მეფობის სურვილი გასჩენია და მიზნის მისაღწევად ცოლის შერთვასა და მაჰმადიანობის მიღებაზეც თანახმა ყოფილა. მამამისს - ლევანს, მხოლოდ ფეხისგულებზე ჯოხის ცემით ამოუღებინებია მისთვის გულიდან ეს წადილი. ეს ვერსია ეკუთვნის ისპაჰანის კათოლიკური მისიონის მეთაურს, პოლონელ ტომას კრუშინსკის.

სხვა ცნობით თითქოს დომენტი კათალიკოსს საამისოდ პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაუდგამს. იგი თბილისის ციხისუბანში გამგზავრებულა, რათა თავი მეფედ გამოეცხადებინა, მაგრამ ქართველებს მისი განზრახვა შეუტყვიათ და გაუგზავნიათ „ექსორიად“, ხოლო მეფობა იესესათვის დაუმტკიცებიათ<sup>3</sup>. აღსანიშნავია, რომ ამ ცნობის ავტორად მიჩნეულია

---

<sup>1</sup> როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღმოგვცემს, სვიმონის მიერ პატივყრილ კათალიკოსს, იესემ თავდაპირველად „პატივ-სცა და დაადგინა კუალად კათალიკოზად“. თუმცა მღვდელთმთავარს იესეს უგვანო ქცევებზე თვალი მაინც არ დაუხუჭავს და როცა ალი-ყული-ხანმა თავისი ნათესავი (ბების ძმისწული) შეირთო ცოლად, „ამხილეს კათალიკოზებისკოპოსთა“. (იხ: ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 494).

<sup>2</sup> **პაატა გუგუშვილი**, „ქართული წიგნი 1625-1929“, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის რედ. ტფ., 1929, გვ. 54

<sup>3</sup> **ვარლამ ღონდუა**. საისტორიო ძიებანი, ტ. I, თბ., 1967, გვ. 152.

სულხან-საბა ორბელიანი. რა ამოდრავებდა სულხან-საბას ამ შემთხვევაში, ქვემოთ ვიტყვი.

ორივე ზემოთ მოტანილი ცნობა ჩვენ ნაკლებად დამაჯერებლად მიგვაჩნია. თუმცა, მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრობით. დავიწყოთ იმით, რომ ეს ორი ცნობა ქრონოლოგიურად არათავსებადია. პირველი (მამის მიერ შვილის ცემა) 1709 წლის გაზაფხულზე გვიან ვერ მოხდებოდა (ლევანი გარდაიცვალა 1709 წლის 13 ივნისს), ხოლო მეორე - 1714 წელზე ადრე (ამ წელს გაამეფეს ქართლში იესე). როგორც ითქვა, პირველი ცნობის ავტორი ისპაჰანის კათოლიკური მისიონის მეთაური კრუშინსკია. პოლონელი მისიონერის პირველწყარო, ირანის დედაქალაქში მოღვაწე კათალიკოსის ოპონენტი რომელიმე ქართველი უნდა ყოფილიყო, რადგან კრუშინსკი ისპაჰანში მხოლოდ 1715 წელს ჩავიდა<sup>1</sup> და ამ ამბავს ვერ შეესწრებოდა.

მეორე - არც ერთი ქართული პირველწყარო (ვახუშტი ბატონიშვილი, სეხნია ჩხეიძე, იასე ტლაშაძე) ამ ფაქტს არ ადასტურებს. არადა, თითოეულ მათგანს ეს ამბავი (თუ ნამდვილად მოხდა) დეტალებში უნდა სცოდნოდა. (ვახუშტი ბატონიშვილი კათალიკოსის მმისწული იყო, სეხნია ჩხეიძე - სამეფო გვარის ისტორიკოსი, ხოლო იასე ტლაშაძე - მისი მემატრიანე). პირიქით, ტლაშაძის პირით კათალიკოსი აცხადებს კიდევ: „მე მამიგონეს ტყუილი, კაცის ყურს სმოდეს აროდესო“<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> ლაიოშ ტარდი. ქართველები 1711-1725 წ.წ. ავღანეთ-სპარსეთის ომებში, გვ. 118; *კრებულში: „საქართველო და ევროპის ქვეყნები“ (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები), V, თბ., 1991.*

<sup>2</sup> იასე ტლაშაძე. „კათალიკოს-ბაქარიანი“, ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფ., 1895, გვ. 49.

მესამე - დომენტი კათალიკოსმა კარგად იცოდა, რომ მღვდელმთავრის (ისიც გამაჰმადიანებულის) მეფობას საქართველოს ისტორიაში ანალოგი არ ჰქონდა და მისთვის ამ პრეცედენტს არავინ დაუშვებდა.

მეოთხე - მისი დამოკიდებულება მაჰმადიანობისადმი კარგად ჩანს ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფნისას, 1708 წელსვე რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც პატრიარქი წერს, რომ „იგი იცნობს რომის ეკლესიის პრიმატობას და წმ. პეტრესა და ქრისტეს ყველა ნამდვილი მიმდევრის, ე. ი. რომის პაპისა და ყველა სხვა პატრიარქისა და საეკლესიო პრელატის უპირატესობას ...და სანამ სპარსეთის მეფის კარზე იქნება, ამას უქადაგებს სხვებსაც და დააჩქარებს მისგან განდგომას, არასოდეს მიიღებს მაჰმადიანობას და ეცდება, რაც შეიძლება მალე გაიქცეს რომში“<sup>1</sup>. ამავე წლის 13 აგვისტოს ისპაჰანში მყოფი კარმელიტანი პატრი ბასილი, პროპაგანდასადმი გაგზავნილ წერილში ამბობს: „...პატრიარქი (იგულისხმება დომენტი - ი. ა.) იწერება, რომ მზად არის დაემორჩილოს პაპს, რომელსაც სცნობს ეკლესიის თავად და იესო ქრისტეს მონაცვლედ, ამიტომ სპარსეთის მეფეს ძალა დაუტანებია სარწმუნოების უარის საყოფელად, მაგრამ სრულებით არ დათანხმებია, არამედ ცდილობს გამოიპაროს იქიდან და მოვიდეს აქ, რათა პაპის წინაშე აღიაროს კათოლიკე სარწმუნოება“<sup>2</sup>. ამას გარდა, მთელი ცხოვრება დომენტის ენერგია მიმართული იყო ქრისტიანობის გადარჩენისა და და-

---

<sup>1</sup> „მიხეილ თამარაშვილი“, *რელაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა აღუქსიძემ და ჯუშუბერ ოდიშელმა*, თბ., 1995. გვ. 430, სქოლიო 1.

<sup>2</sup> *მიქელ თამარაშვილი*. ისტორია კათოლიკოსობისა ქართველთა შორის, გვ. 306.



მკვიდრების მიზნით, რაც კარგად ჩანს უამრავი იმდროინდელი საბუთიდან;

მეხუთე - 1709 წლისათვის, ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ: გიორგი XI (დომენტის ბიძა, ქართლის ოფიციალური მეფე), ლევანი (მამა), ქაიხოსრო (უფროსი ძმა, ქართლის მეფე 1709-11 წ.წ.), ვახტანგ VI-ს რომ თავი დავანებოთ, ამიტომ კათოლიკოსის გაცხადებული „სურვილი“ მეფობის შესახებ, ძალზე არადამაჯერებლად გამოიყურება.

დაბოლოს, მეფეებს რომ თავი დავანებოთ, არა გვეკონია სასულიერო წოდება შეგუებოდა მეფობისა და „მაჰმადის რჯულის“ მოსურნე კათალიკოსს. არ დაგვავიწყდეს, სულ რამდენიმე წლის წინ, მათ წინა პატრიარქს „სოფლურება“ არ აპატიეს, ხოლო კიდევ ერთ კანდიდატს - უმეცრება, არათუ ერის სულიერი მამის „მკრეხელობები“ აეტანათ.

კათალიკოსის ოპონენტები აპელირებენ ისპაჰანში მოღვაწე კათოლიკური მისიის ხელმძღვანელ პიერ დ'ისუდენის 1714 წლის 8 ივნისით დათარიღებული ცნობაზე, რომელიც, თითქოს დომენტი კათალიკოსს მიეწეროს სპარსეთის შაჰისათვის, სადაც იგი ითხოვს საქართველოს მმართველად დანიშვნას და კახეთის მეფის დავით II იმამ-ყული ხანის 13-14 წლის ქალიშვილზე დაქორწინებას, სანაცვლოდ იგი (კათალიკოსი - ი. ა.) მზადაა გამაჰმადიანდეს და „შაჰს გაუგზავნოს ბევრი მონები, ხარკი, ვახტანგის ოჯახობა“. დ'ისუდენის ფანტაზია უფრო შორსაც მიდის. შემდეგ ნათქვამია, რომ შაჰმა „სიამოვნებით მიიღო ეს ახალი ამბავი და მაშინათვე გაგზავნა შიკრიკები, რათა წაეღოთ საჩუქრები ამ პატრიარქისათვის წერილებთან ერთად, რომლებშიც იგი მას აღუთქვამს დააკმაყოფილოს ის მთლიანად, როცა კი იგი გამაჰმადიანდება. საქართველოს თავადებმა შეიტყვეს რა ის, რაც ხდებოდა, შეიპყრეს პატრიარქი და იგი კარგად ჰყავთ დაცული

მხარეში, რომელსაც ეწოდება ოსეთი, საიდანაც სპარსეთის შაჰს არ შეუძლია იქიდან გამოყვანა“<sup>1</sup>.

1714 წლის 29 ოქტომბერს ასევე კათოლიკე პატრიჟან რიშარი იტყობინება: „ეს-ეს არის მივიღე თავრიზში მისიების წინამძღვრის მამა პიერ დ'ისუდენის წერილი, რომელიც მე მაგებინებს მრავალ დაწვრილებით ცნობას, რომელიც შეეხება საქართველოს მეფე ვახტანგს... სხვათა შორის ის მე მაგებინებს, რომ მათ თვალები დასთხარეს საქართველოს პატრიარქს (იგულისხმება დომენტი კათალიკოსი - ი. ა.), იმისათვის, რომ მან მოისურვა გამხდარიყო მაჰმადიანი და ამით ხელთ ეგდო საქართველო“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, ჟან-რიშარის ინფორმაციის წყაროც პიერ დ'ისუდენია.

ახლა ვნახოთ, ვისგან იღებდნენ ფრანგი კათოლიკე პატრები ამგვარ ამბებს დომენტი კათალიკოსის შესახებ. სხვათა შორის, საქართველოდან მოგვიანებით იძულებით ემიგრაციაში წასული პატრიარქი გულისხმიანებით აღნიშნავს, რომ პირადი მტრები ჰყავს და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან წამოვიდა, იქაც (კონსტანტინოპოლში) არ ასვენებენ:

„ნეტარ რას მემართლებიან, დავაგდექ ქართლის არეო, გამოვეცალე მტერებსა, დღივ და ღამ სულ ვიარეო, არც აქ დამესხენ, სწადიან მაჭამონ ლუკმა მწარეო, და ყველგან ამიტყდა ეშმაკი, სად თავი მოვაფარეო!“<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> ილია ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში და საქართველო-საფრანგეთის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I, თბ., 1996. დოკ. № 43, გვ. 220.

<sup>2</sup> ილია ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 266; დოკ. № 63.

<sup>3</sup> იასე ტლაშაძე. გვ. 32; სტროფი-191.

კათალიკოსი სხვაგანაც მიუთითებს, რომ „ქართლში მტრები ჰყავს“, რომელთაც ძმებს შეაძულებს და ისეთი ტყუილი დასწამეს, რომელიც „კაცის ყურს სმოდეს აროდეს“. მიუხედავად იმისა, რომ იგი მტრებში კონკრეტულად მხოლოდ ახალციხის ფაშას ასახელებს<sup>1</sup>, იმავე რიშარის მიერ 1715 წლის 2 აპრილით დათარიღებულ რელაციაში ამ კითხვას პასუხი ეცემა: „ბატონი სულხან-საბასაგან მეც მივიღე წერილი. იგი აღიღებს უფალს იმისათვის, რომ ამ დროს არ იმყოფებოდა საქართველოში, როდესაც იქ პატრიარქს თვალები დასთხარესო“<sup>2</sup>.

რა საერთო უნდა ჰქონოდა სულხან-საბას პიერ დ'ისუდენსა და ჟან რიშართან და რა უნდა გამხდარიყო მისი დომენტი კათალიკოსთან დაპირისპირების მიზეზი?

ჟან რიშარს, ჯერ კიდევ 1711 წლის აგვისტოში თბილისში ყოფნის დროს გაუცვნია ვახტანგ VI და სულხან-საბა. იქვე შემდგარა მათ შორის პირველი საუბარი საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. მეფის ისპაჰანში წასვლის შემდეგ (1712 წ.), მათ შეუერთდათ პიერ დ'ისუდენიც.

ცნობილია, რომ ევროპაში წასვლამდე, სულხან-საბა მცირე ხნით საქართველოში დაბრუნდა. საფრანგეთში წასაღები წერილები ვახტანგ VI-ს რიშარისთვის გამოუტანებია სულხან-საბასთვის გადასაცემად. მათი შეხვედრა მომხდარა გორში. სწორედ აქედან გაემგზავრა ხსენებული წყვილი ევროპაში 1713 წლის 17 აგვისტოს. ამის შემდეგ, რიშარი მთელი მოგზაურობის მანძილზე გვერდით ახლდა საბას.

---

<sup>1</sup> იასე ტლაშაძე. გვ. 26; სტროფი - 153-154.

<sup>2</sup> ილია ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 280-281, დოკ. №64.

ვეიქრობთ, მეორე კითხვასაც გაეცემა პასუხი, თუ გავითვალისწინებთ, რას ჰპირდებოდა სულხან-საბა რომის პაპსა და საფრანგეთის მეფეს საქართველოს დახმარების სანაცვლოდ. საფრანგეთის სახელმწიფო მდივნის - გრაფ ლუი ფილიპო პონშარტრენის 1714 წლის 30 აპრილით დათარიღებულ წერილში ნათქვამია: „...მისი (იგულისხმება სულხან-საბა - ი. ა.) მისიის მიზანია წაიყვანოს თავისთან ერთად რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მისიონერები, იმისათვის, რათა გაანათლოს თავისი ქვეყნის ხალხი კათოლიკური სარწმუნოების საფუძვლებით, რომელსაც ის შემოქმედებითად აღიარებს“<sup>1</sup>. სხვა წერილში (17.11.1713 წ.) ხსენებული რიშარი აღნიშნავს: „...მე ვნახე სულხან-საბა, საქართველოს მეფის ბიძა, რომელმაც უკვე რამდენიმე წელია წმ. ბასილის მონაზონის სამოსელი მიიღო, მას შემდეგ, რაც თავის ძმებს მისცა დიდი სამფლობელო, რომლის ბატონიც იგი იყო, რათა მას შესძლებოდა უფრო თავისუფლად ეღიარებინა კათოლიკური სარწმუნოება“<sup>2</sup>.

ქართველი ელჩის მიერ პაპისა და საფრანგეთისადმი მიცემული პირობა, ბუნებრივია, კათალიკოსისათვის მიუღებელი იყო, ხოლო კათოლიკე მისიონერთა სიმპათია, დომენტისა და სულხან-საბას შორის, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის მხარეს იქნებოდა, რადგან სულხან-საბას ავტორიტეტის გამო, მისიონერებიც ცდილობდნენ დიდი ქართველი მოღვაწის

---

<sup>1</sup> ილია ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 195; დოკ. №30.

<sup>2</sup> ილია ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 104; დოკ. №6.

კათოლიციზმზე მოქცევა თავიანთ დამსახურებად გამოეცხადებინათ<sup>1</sup>.

ამ ამბების შემდეგ, კათალიკოსი სულხან-საბასადმი კეთილმოსურნე ვერ დარჩებოდა. გიორგი ლეონიძის აზრით, სწორედ ღომენტი უნდა ყოფილიყო „მთავარი ორგანიზატორი და შთამაგონებელი იმ ინკვიზიციისა, რომელიც საბას გაუმართეს ევროპიდან დაბრუნების შემდეგ“ და მოჰყავს ამონარიდი საბას ერთ-ერთი წერილიდან: „ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდელონი რომს წასვლისათვის გამიმტერდნენ და ასე შეკრეს ყოველი ჩემი ნათესავი და მოყვარე და მეფე-დარბაისელნი, ვერავინ შემომეწია ვალის მიცემასაო“<sup>2</sup>.

ანგარიშგასაწევია პროფ. ე. მამისთვალიშვილის მოსაზრება: სულხან-საბას მოქმედება ვახტანგის მოწინააღმდეგე რეაქციონერი ფეოდალებისათვისა და ირან-ოსმალეთის მმართველებისათვის იმგვარი შთაბეჭდილების შექმნის მიზნით, თითქოს იგი თავისი მეფის დაუკითხავად გაიპარა ევროპაში, ნაკარნახევი იყო იმით, რომ ირანში მყოფი მეფისათვის მოსალოდნელი გართულებები თავიდან აეცილებინა<sup>3</sup>.

გამორიცხული არ არის, ღომენტი კათალიკოსსა და სულხან-საბას შორის დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი, პოლიტიკურ-რელიგიურთან ერთად, ეკონომიკური ინტერესების შეუთავსებლობაც ყოფილიყო. ცნობილია, რომ ორბელიანები (ყაფლანიშვილები) ქვემო ქართლში უძლიერესი ფეოდალები იყვნენ. ამ გვარს, 1721 წლის აღწერით ჰყავდა: 29

---

<sup>1</sup> ელდარ მამისთვალიშვილი. სულხან-საბა ორბელიანის მიერ კათოლიკეთა მრწამსის აღიარებისათვის, გვ. 79.

<sup>2</sup> გიორგი ლეონიძე, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 2004, გვ. 111.

<sup>3</sup> ელდარ მამისთვალიშვილი. რატომ „გაიპარა“ სულხან-საბა ევროპაში? წიგნში: ქართული დიპლომატია, წელიწდეული, როინ მეტრეველის რედ., №4, თბ., 1997, გვ. 289.

უემო აზნაური, 1107 გამომღები (გადასახადების გადამხდე-  
ლი) და 266 ბოგანო კომლი გლეხი<sup>1</sup>. მიქელ თამარაშვილის  
ცნობითაც, „მონაზონად შედგომამდე თავის ძმებს დაუტოვა  
(სულხან-საბამ – ი. ა.) ერთი დიდი პროვინცია, რომელიც  
მისი საკუთრება იყო. იმიტომ ჰყო, რათა უფრო ადვილად  
ელიარებინა კათოლიკე სარწმუნოება“<sup>2</sup>. წინადადების მეორე  
ნაწილის დიპლომატიურობის მიუხედავად, წინადადების პირ-  
ველ ნაწილში ეჭვის შეტანის საფუძველს ვერ ვხედავთ. ქვე-  
მო ქართლში ყმებსა და სოფლებს დომენტი კათალიკოსიც  
ფლობდა<sup>3</sup> და საეკლესიო მამულების გაფართოებასაც ცდი-  
ლობდა.

საგულისხმოა, რომ ევროპიდან დაბრუნების შემდეგ  
(1715 წ. აპრილი), სულხან-საბასა და ვახტანგ VI-საც შო-  
რისაც დაიძაბა ურთიერთობა. როგორც საბა ამბობს: „ჩხუბი-  
ანმა კაცებმა მათ შუა დიდი განხეთქილება ჩამოაგდეს. მეფე  
მას (საბას - ი. ა.) და მის ძმათზე უბრალოდ მწყობრელი  
შექნეს“<sup>4</sup>, სამაგიეროდ, სამშობლოში დაბრუნებულმა ვახტანგ-  
მა დომენტი კათალიკოსი არა თუ ჩამოამცრო, არამედ იესეს  
მიერ ჩამორთმეული პრივილეგიებიც დაუბრუნა<sup>5</sup>, ამიტომ ძნე-  
ლი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, ვის უწოდებს საქართ-  
ველოს დესპანი „ჩხუბიან კაცებს“. მათში ის აღამიანები უნ-

---

<sup>1</sup> **იასე ლორთქიფანიძე.** ქვემო ქართლი მე XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. I და II; თბ., 1935, გვ. 138.

<sup>2</sup> **მიქელ თამარაშვილი.** ისტორია კათოლიკოსობისა ქართველთა შორის, გვ. 312.

<sup>3</sup> **ი. ლორთქიფანიძე.** ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში. ნაწ. I და II; გვ. 372, ლოკ. 841.

<sup>4</sup> **გ. პაიჭაძე,** „ვახტანგ მეექვსე“, გვ. 96.

<sup>5</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, თბ., 1977, გვ. 688, ლოკ. № 354; ასევე: ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები..., ტ. II, გვ. 22, ლოკ. № 30.

და ვიგულისხმობთ, ვინც, საბასავე თქმით: „რომში წასვლისათვის გაუმტერდნენ“. ასეთ შემთხვევაში კვალს ისევ დომენტი კათალიკოსამდე მივყავართ.

ამის შემდეგ, სამივე მათგანმა დარჩენილი სიცოცხლე იძულებით ემიგრაციაში გაატარა. ვახტანგ VI და სულხან-საბა რუსეთში გადაიხვეწნენ და იქვე გარდაიცვალნენ, ისე, რომ მშობლიური მიწის მიყრას ვეღარ ეღირსნენ<sup>1</sup>, ზოლო დომენტი კათალიკოსი ოსმალებმა კუნძულ ტენედოსზე გადასახლეს და მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს, დაუძღურებულმა მოახერხა სამშობლოში დაბრუნება. იგი დიდი პატივით დაკრძალეს მცხეთის სვეტიცხოვლის საძვალეში.

### **დამოწმებანი:**

**ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო).** „კათალიკოსი დომენტი IV - ქართული კულტურის მოამაგე“, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 2, თბ., 2011.

**ბატონიშვილი ვახუშტი.** „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973.

---

<sup>1</sup> ქართულ ისტორიოგრაფიაში არის აზრი, რომ სიკვდილის წინ სულხან-საბაც უნდა დაბრუნებოდა მართლმადიდებლობას. საბა 1725 წლის 25 იანვარს მოსკოვში გარდაიცვალა და იქვე, არჩილ მეფის კარის ეკლესიაში დაკრძალეს. როგორც კორნელი კეკელიძე მართებულად მიუთითებდა, „საფიქრებელია, რომ ის (სულხან-საბა – ი. ა.) კვლავ დაუბრუნდა მართლმადიდებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მართლმადიდებელთა ეკლესიის ვალავანში ის ვერ დაიმარხებოდა. ეს შეუძლებელიც არაა: როდესაც ის დარწმუნდა, რომ კათოლიკობამ ვერ გაამართლა ის მისწრაფებანი და იდეალები, რომელთა გულისთვის მან რომის პრიმატობა აღიარა, უკანვე დაუბრუნდა მამაპაპეულ აღსარებას“. (იხ: **კორნელი კეკელიძე**, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 453).

**ბროსე მარი.** საქართველოს ისტორია, ნათარგმნი და განმარტებული სიმონ ლოლობერიძის მიერ, ტფ., 1900.

**გუგუშვილი პაატა.** „ქართული წიგნი 1625-1929“, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის რედ. ტფ., 1929.

**გურამიშვილი დავით.** „დავითიანი“, ლია ნადარეიშვილის რედ. თბ., 2005.

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობა (XV–XIX სს.). ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. II, თბ., 1953.

**დონდუა ვარლამ.** საისტორიო ძიებანი, ტ. I, თბ., 1967.

**ვანტანგ მეექვსე,** ლექსები და პოემები, თბ., 1975.

**თამარაშვილი მიქელ.** ისტორია კათოლიკოსობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.

თბილისის ისტორია, ტ. I, უძვ. დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. **მამია ღუმბაძისა და ვიქტორ გურუას რედ.** თბ., 1990.

**კარბელაშვილი პოლიექტოს.** იერარქია საქართველოს ეკლესიისა კათოლიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი, ტფ., 1900.

**კეკელიძე კორნელი.** ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958.

**ლენიძე გიორგი.** სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 2004.

**ლორთქიფანიძე იასე.** ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ნაწ. I და II; თბ., 1935.

**მამისტვალიშვილი ელდარ.** რატომ „გაიპარა“ სულხან-საბა ევროპაში? წიგნი: ქართული დიპლომატია, წელიწდეული, როინ მეტრეველის რედ., № 4, თბ., 1997.

**მამისტვალიშვილი ელდარ.** სულხან-საბა ორბელიანის მიერ კათოლიკეთა მრწამსის აღიარებისათვის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 4, თბ., 2013.



„მიხეილ თამარაშვილი“, *რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა*. თბ., 1995.

**ორბელიანი სულხან-საბა**, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991.

საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX ს.ს. *ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთანდილ იოსელიანმა*, თბ., 1980.

**ილია ტაბაღუა**. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში და საქართველო-საფრანგეთის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I, თბ., 1996.

**ტარდი ლაიოშ**. ქართველები 1711-1725 წ.წ. ავღანეთ-სპარსეთის ომებში, გვ. 118; *კრებულში: „საქართველო და ევროპის ქვეყნები“ (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები)*, V, თბ., 1991.

**ტლაშაძე იესე**. „კათალიკოზ-ბაქარიანი“, ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფ., 1895.

ქართული სამართლის ძეგლები, ის. დოლიძის რედ., ტ. VI, თბ., 1977.

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი III (1700 წლიდან XIX ს-ის 60 – იან წლებამდე). *გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ*. თბ., 1967.

**Иоселиани Пл.**, Исторический взгляд на состояние Грузии под властью царей-магометан. Тифл., 1849.

*Ioseb (Soso) Alimbarashvili*  
*Gori State Teaching University*

**WHAT WAS THE REASON FOR CONFRONTATION  
BETWEEN CATHOLICOS DOMENTI AND SULKHAN-  
SABA ORBELIANI?  
RESUME**

The abstract discusses the difficult political situation in Kartli in the first quarter of the 18th century and the relationships between the King Vakhtang VI, Domenti IV Catholicos of Georgia (king's brother) and Sulkhan Saba Orbeliani (king's mentor and advisor).

The first quarter of the 18th century was an era of political cataclysms in Kartli, which caused by the frequent changes of the kings (Giorgi XI, Vakhtang VI, King Simoni, Iese, Bakari). There were several other reasons to create a difficult situation: "Osmaloba", "Qizilbashoba", "Lekianoba" and etc.

The article also analyzes the contemporary political efforts, caused by confrontation between these figures.

The author of the abstract follows on the Georgian, foreign and narrative sources and tries to find out the exact reasons for the objection.

**რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში და  
სოფლის მეურნეობის სირთულეები**

XIX ს-ის 20-იანი წლების ბოლოსათვის რუსეთმა წარმატებით დაამთავრა ომები კავკასიაში თავის ძირითად მოწინააღმდეგეებთან - ირანთან და თურქეთთან, რითაც არსებითად დაასრულა ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობა. დღის წესრიგში დადგა მხარის ეკონომიკური ათვისება. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა მხარის კოლონიზაცია. თავისი კოლონიური პოლიტიკის რეალიზაციისათვის მეფის მთავრობა ხელმძღვანელობდა იმ პრინციპით, რომ მხარის დაპყრობისათვის მხოლოდ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება არ იქნებოდა მართებული. ამიტომ ის ცდილობდა სხვადასხვა რევიონების დაპყრობის პროცესი წარემართა არა უხეშად და ერთბაშად, არამედ ეტაპობრივად და მოხერხებულად, რაშიც იგულისხმებოდა არა მარტო მოქნილი ადმინისტრაციული ბერკეტები, არამედ „კულტურულ“ ღონისძიებათა განხორციელებაც<sup>1</sup>.

თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში საქართველო აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. ინტენსიური მიწათმოქმედება და ტრადიციული მეურნეობა ქართველი ერისათვის განმსაზღვრელი იყო XIX საუკუნეშიც. მოსახლე-

---

<sup>1</sup> კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეგროვილი აქტები (კაკა), ტ. X, ტფ., 1900, 2.

ობის აბსოლუტური უმრავლესობა კვლავაც სოფლად ცხოვრობდა და სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა. რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდგომ ქართველი ხალხის შიდა წოდებრივსა და საზოგადოებრივ ფენათა ურთიერთობებში გარკვეული ცვლილებები აღინიშნა, თუმცა რეფორმამდელ პერიოდში სოციალური სტრუქტურა ძველივე დარჩა<sup>1</sup>.

ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაში საგადასახლებო საკითხმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. რუსეთის მეფის ხელისუფლებისათვის მთავარი იყო საქართველოს წარმატებით შეესრულებინა კოლონიური მისია: ჯარის სურსათით მომარაგებასთან ერთად, მეტროპოლიის მეურნეობისათვის ნედლეულის მიწოდებისა და რუსული მზა პროდუქციის გასაღებისა. ხელისუფლება ამ მიმართულებით გეგმებს სახავდა და პროექტებს ამუშავებდა<sup>2</sup>. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პოლიტიკა სხვადასხვა პერიოდში სრულიად განსხვავებულ მიზნებს ისახავდა. თუ ადრეულ ეტაპზე ცარიზმი თავის საგადასახლებო პოლიტიკაში უმთავრესად მიიჩნევდა კოლონისტთა დაბინავებას, მოწყობას, მოგვიანებით ის პირველ პლანზე აყენებდა გადმოსახლებულთა მიერ ამ რეგიონების ეფექტურ სამეურნეო ათვისებას და ამისათვის კონკრეტულ ამოცანებსაც სახავდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ მოვლენებს წინ უსწრებდა ამ მიზნით ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოები: რკინიგზის გაყვანა, გზების მშენებლობა, სარწყავი სისტემების შექმნა-

---

<sup>1</sup> ჯანელიძე ო., საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 2005, 106.

<sup>2</sup> ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ., სამსონაძე მ., ქოქრაშვილი ხ., ჭუმბურიძე დ., ჯანელიძე ო., რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, 82.

მოწესრიგება და სხვ. ყოველივე ეს დადებითად აისახა რეგიონის სამეურნეო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. რაც შეეხება რუს გადმოსახლებულებს, მათი მოწყობის საქმით დაკავებული იყო რუსეთის არაერთი სამინისტრო და უწყება, ასევე მეფის ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელსაც ევალებოდა კოლონისტთა მიწით უზრუნველყოფა, დროული დასახლება ახალ საცხოვრებელ ადგილებზე და მათი სამეურნეო საქმიანობისათვის ეფექტური და დროული პირობების შექმნა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გადმოსახლებულთა მოწყობა მკვიდრი მოსახლეობის ძლიერი შევიწროვების ხარჯზე ხორციელდებოდა. მეფის ადმინისტრაცია მიწებს ართმევდა მკვიდრ მოსახლეობას და რუს გადმოსახლებულებს ურიგებდა.

თავისუფალი მიწების ფართობის შესახებ ფაქტების დამახინჯებით მეფის ადმინისტრაცია ცდილობდა მოეხდინა საქართველოს მჭიდრო კოლონიზაცია. მართალია, იმ მიწებს, რომელთაც გადმოსახლებულებს ურიგებდნენ, „თავისუფალი“ მიწები ეწოდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. თავისუფალი იყო მიწა იმ გაგებით, რომ იგი მაშინ არავის ეკავა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ზედმეტი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომელიც მწვავედ განიცდიდა მცირემიწიანობას. თვით მეფისნაცვალი ბარიატინსკი, რომელსაც რუსული კოლონიზაცია საქართველოში ძალზე საჭირო და სასარგებლო საქმედ მიაჩნდა, აღიარებდა, რომ ქართველ გლეხთა მდგომარეობა ძალზედ სავალალო იყო<sup>1</sup>. საგადასახლებო ორგანიზაციები რუს გადმოსახლებულებს უკეთეს ნაკვეთებს ურიგებდნენ, უფრო ნაყოფიერ ნიადაგზე ასახლებდნენ. ეს ორგანიზაციები არღვევდნენ ადგილობრივი გლეხების უფლებებს. 1849 წლის 21 დეკემბრის დადგენი-

---

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბ., 1968, 124.

ლებით, მიწის ნაკვეთის კანონით დადგენილი ნორმა შეადგენდა ოჯახზე 30-დან 60 დესეტინამდე. მიწების გადაცემისას, ადმინისტრაცია მკაცრად იცავდა ამ ნორმას. მაგალითად, რუს სექტანტებს, რომლებიც ელისაბეტპოლის გუბერნიაში დაასახლეს, ოჯახზე 60 დესეტინა გამოეყოთ, რაც ორჯერ აღემატებოდა ადგილობრივი გლეხის მიწის ნორმას. თუ აღმოჩნდებოდა, რომ მიწის ნაკვეთი ნაკლები იყო, მის ზომას ზრდიდნენ. თუმცა მიწის ნაკვეთების დარიგება მკვიდრი მოსახლეობის საზიანოდ მიმდინარეობდა, უნდა აღინიშნოს, რომ მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის ადმინისტრაციის დროს ყურადღება ექცეოდა იმას, რომ მიწის ნორმის მომატებას გადმოსახლებულთათვის ადგილობრივი მოსახლეობა არ დაეზარალებინა<sup>1</sup>. როდესაც გადმოსახლებულთა რიცხვი დიდი არ იყო, შესაძლებელი იყო მიწის ფართობის გადიდება, ხოლო XIX ს-ის მე-2 ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში ვითარება შეიცვალა და, ამის შესაბამისად, შეიცვალა მთავრობის პოლიტიკაც. 1862 წლის შემდეგ მთიან რაიონში ოჯახი დებულობდა 35 დესეტინას, ხოლო დაბლობ, სარწყავ რაიონებში - 10 დესეტინას<sup>2</sup>.

არანაკლებ ცუდ დღეში აღმოჩნდნენ რუსი კოლონისტები, ვინაიდან ისინი სრულიად განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოში მოხვდნენ, სადაც სრულიად უცხო სამეურნეო-ეოფითი პირობები იყო. რუსი გადმოსახლებულები ხშირად იძულებული ხდებოდნენ დაეტოვებინათ თავისი ახალი ადგილები და უკან გაბრუნებულ იყვნენ, რადგან ვერ ეგუებოდნენ აქაურ კლიმატს (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს

---

<sup>1</sup> კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეგროვილი აქტები (კაკა), ტ. X, 128.

<sup>2</sup> კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეგროვილი აქტები (კაკა), ტ. X, 128.

კოლონისტები, რომლებიც ნოტიო ჰავის გამო ხშირად ავად-  
დებოდნენ; ეს გარემოება კოლონისტთა სოფლებში დიდ სი-  
კვდილიანობას იწვევდა; ზოგჯერ სოფლიდან 1-2 კაცი თუ  
გადარჩებოდა ხოლმე. ეს მათ მასობრივ უკუმიგრაციებს იწ-  
ვევდა.

გადასახლებულთა სოფლებში შეინიშნება გლეხთა მკვე-  
თრი დიფერენციაცია. მიწის დიდი ნაწილი თავმოყრილია გა-  
ვლენიანი და მდიდარი გლეხების ხელში. არიან მცირემიწი-  
ანი გლეხები. სოფლად ჩნდებიან მოჯამაგირეები. მდიდართა  
მიწისმფლობელობის მასშტაბები იმდენად დიდი იყო, რომ  
მიწის დასამუშავებლად მათთვის აუცილებელი იყო დაქირა-  
ვებული ძალის გამოყენება. ღარიბი გლეხები კი ან მდიდ-  
რებს უდგებოდნენ სამუშაოდ, ან ქალაქში მიდიოდნენ სამო-  
ვარზე. ფენებად დაშლის პროცესი განსაკუთრებით გერმანულ  
კოლონისტებსა და რუს სექტანტებში შეინიშნება. მდიდრები  
ღარიბ თანასოფლელებს მოჯამაგირეებად იყვანდნენ, სასოფ-  
ლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას კი ქირაობდნენ  
მუშებს<sup>1</sup>.

სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა განსაკუთრე-  
ბით ვლინდებოდა საძოვრების ექსპლოატაციაში. საძოვრები  
სათემო მფლობელობაში ითვლებოდა და განსაკუთრებით ცო-  
ტა იყო დასავლეთ საქართველოში. ასე რომ, რუსულ კო-  
ლონიურ სოფელში გარეგნულად სოციალური ჰარმონიის  
ილუზია სინამდვილეში ვერ ჩქმალავდა მის შინაგან სოცია-  
ლურ წინააღმდეგობებს.

ა. კლიბანოვის მონაცემებით, ღუხობორთა სოფლებში  
მიწის საშუალო სულადობრივი ნადელი შეადგენდა: 5,71;

---

<sup>1</sup> მასალათა კრებული ამიერკავკასიის მხარის სახელმწიფო გლეხ-  
თა ეკონომიკური ყოფის შესწავლისათვის, ტ. IV, ტფ., 1888, 457-458.

6,62 და 11,72 დესეტინას<sup>1</sup>. რუს სექტანტთა სოფლებში საზოგადოებრივი საძოვრებით სარგებლობდნენ მდიდარი მეჯოგეები (ისინი მხოლოდ თავის ჯოგს აძოვებდნენ, ღარიბებს კი ამის საშუალებას არ აძლევდნენ). ასე რომ, საერთო რელიგიური წარმოდგენებით გაერთიანება ხელს არ უშლიდა სექტანტთა განკერძოებულობას. ეკონომიკურმა დიფერენციაციამ სხვა ჯურის სექტანტებიც მოიცვა.

რუსულ სასოფლო თემებში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში შენარჩუნებული იყო სათემო მიწათმფლობელობა. მემკვიდრეობით ხმარებაში იყო საკარმიდამო ნაკვეთები საძოვრების გამოკლებით. ყველა დანარჩენი მიწა პერიოდულად ნაწილდებოდა (ეს განპირობებული იყო მიწების ხარისხობრივი განსხვავებით). მიწების გადანაწილების სიხშირე დამოკიდებული იყო ადგილის გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიულ პირობებზე. ნაწილდებოდა სახნავი მიწებიც და სათიბიც. მიწების გადანაწილება 5-6 ან უფრო ხშირად - 2-3 წელიწადში ერთხელ წარმოებდა (იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო მოსავლიანობა). ხშირი გადანაწილება ხდებოდა თემის სურვილიდან გამომდინარე, ვინაიდან თითოეულის სურვილი იყო კარგი ხარისხის მიწის ნაკვეთი ჰქონოდა. გადანაწილება თემის წევრებს შორის კენჭისყრით წარმოებდა. არ გამოირიცხავდნენ გადანაწილების მომენტამდე დაბადებულებსაც<sup>2</sup>. შემდგომში გადანაწილების ასეთი სისტემა (ორივე სქესის სულთა მთელი რაოდენობისა და ახალდაბადებულთა ჩათვლით) ადგილობრივმა მოსახლეობამაც გადაიღო.

---

<sup>1</sup> А. Клибанов, История религиозного сектантства в России, М., 1965, 92.

<sup>2</sup> Сегаль М., Крестьянское землевладение в Закавказье, М., 1912, 32.



აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოში სათიბ-საძოვრების ნაკლებობა შესაძლებლობას არ იძლეოდა მეცხოველეობის ფართოდ განვითარებისათვის. ამიტომ მეცხოველეობა ამ რეგიონში, აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, მაპროფილებელი არ იყო. თუმცა რუსი კოლონისტები, ისევე როგორც მკვიდრი მოსახლეობა, მისდევდნენ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას, მელორეობას, მეფრინველეობას.

საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებიც ამა თუ იმ რაიონში სხვადასხვა შეფარდებით გვხვდება. რუსი კოლონისტები ასევე მისდევდნენ ადგილობრივ მკვიდრთა შორის გავრცელებული კულტურების მოყვანას, თუმცა მართლმადიდებელთა და სექტანტთა მეურნეობებს შორის არსებითი განსხვავებაა (რაც განპირობებულია სექტანტთა რელიგიური მრწამსით). მართლმადიდებლებისაგან განსხვავებით, რომელთა მეურნეობებში არ იყო არანაირი შეზღუდვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოყვანის მხრივ, სექტანტების ნაწილი, მაგალითად, არ ჭამდა ხახვს და ამიტომ არც მოჰყავდა; ბაპტისტები და მლაკნები არ მისდევდნენ მელორეობას და სხვ.

რუს კოლონისტთა სოფლის მეურნეობის ძირითადი მაპროფილებელი დარგებია: მარცვლოვანი კულტურების მოყვანა, მებაღეობა-მეხილეობა, მებოსტნეობა, მებაღჩეობა, მევენახეობა. მარცვლოვანი კულტურებიდან ყველაზე გავრცელებულია ხორბალი და ქერი. რუსი კოლონისტები შეეცადნენ მოეშენებინათ თავიანთი ჯიშები, მაგრამ ამ მცდელობამ მარცხი განიცადა (რეგიონის ნიადაგურ-კლიმატური პირობების გამო). მათ დაიწყეს ადგილობრივი ჯიშების მოყვანა და გარ-

კვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს ამ საქმეში<sup>1</sup>. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ მიერ შემოტანილმა ზოგიერთმა სასოფლო-სამეურნეო კულტურამ კარგად იხარა საქართველოში და ადგილობრივ მკვიდრთა საკვებ რაციონშიც შევიდა. დასავლეთ საქართველოში გადმოსახლებულებს მრავალი სირთულის გადატანა მოუხდათ რეგიონის ნიადაგურ-კლიმატური თავისებურებების გამო. აქ ხორბლისა და სხვა მარცვლოვან კულტურათა მოყვანა არც თუ ისე სახარბიელო გამოდგა (ისინი სიმალლეში იზრდებოდნენ და ბევრ თივასა და ცოტა მარცვალს იძლეოდნენ). სისტემატურმა მოუსავლიანობამ აიძულა კოლონისტები მესიმინდობისათვის მოეკიდათ ხელი. ამრიგად, რუს გადმოსახლებულთა საკვებ რაციონში გაჩნდა ახალი პროდუქტი.

დასავლეთ საქართველოს რუს კოლონისტებს მიწის დამუშავებისას გარკვეული სიძნელების გადალახვა უხდებოდათ. დაჭაობებულ ნიადაგზე ნაკლებად ხერხდებოდა კარგი მეურნეობის გაშენება. სახვნელად ცხენს კი არა, კამეჩს იყენებდნენ, ვინაიდან ისინი ქვა-ლორღზე ნელა მოძრაობდნენ და გუთანი ადვილად არ გატყდებოდა<sup>2</sup>.

ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს სამეურნეო-ყოფითი პირობების მრავალფეროვნებამ და თავისებურებამ განაპირობა სამიწათმოქმედო მეურნეობის გაძღოლის ხასიათი. აქ გვხვდება მიწათმოქმედების თითქმის ყველა ტიპი-

---

<sup>1</sup> Вермишев Х., Земледелие у государственных крестьян Закавказского края, Свода материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края (СМИЭБГКЗК), т. 4, Тифл., 1888, 178.

<sup>2</sup> Вермишев Х., Земледелие у государственных крестьян Закавказского края, Свода материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края (СМИЭБГКЗК), т. 4, 264.

ური სისტემა, დაწყებული პრიმიტიულიდან დამთავრებული ინტენსიურით<sup>1</sup>. ამა თუ იმ სისტემის გამოყენება განპირობებული იყო მიწის სტრუქტურითა და ნიადაგის თავისებურებებით. იყენებდნენ პრიმიტიული მიწათმოქმედების მოძველებულ (ნასვენ) სისტემას, ბალახოვან სისტემას (რომლის დამკვიდრება საქართველოში რუს კოლონისტებს უკავშირდება, თუმცა არაა ცნობილი, კონკრეტულად რომელ მხარეში იყენებენ მას). იგი განსაკუთრებით მომგებიანი იყო მაღალმთიანი რეგიონებისათვის.

რუსულმა კოლონიზაციამ იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. კოლონისტები ინტენსიურად ჩაებნენ მხარის ეკონომიკური ათვისების საქმეში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კოლონისტები უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილი წარმოების საშუალებებით, მათ (მხედველობაში გვყავს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლებული რუსი გადამდგარი სამხედროები) მაინც ვერ შექმნეს სანიმუშო მეურნეობები. უფრო მეტიც, დიდი ხნის სამხედრო სამსახურმა ისინი საგრძნობლად გადააჩვია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. ამ მხრივ გადმოსახლებულმა რუსმა სამხედროებმა ვერ გაამართლეს რუსეთის მთავრობის იმედები. სამაგიეროდ, ისინი იაფ დაქირავებულ სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ ახლადჩასახული დასავლეთ საქართველოს მრეწველობისათვის.

შრომისადმი სიყვარულმა, მოწინავე გამოცდილების გადაღების სურვილმა, მეურნეობის სრულყოფილებისაკენ

---

<sup>1</sup> Вермишев Х., Земледелие у государственных крестьян Закавказского края, Свода материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края (СМИЭБГКЗК), т. 4, 513.

სწრაფვამ განაპირობა რუსი კოლონისტების შეძლებული ცხოვრება. ხშირად მათ სოფლებს ქალაქური იერი დაჰკრადა<sup>1</sup>. გადმოსახლებულთა ახალ გარემოსთან შეგუების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც მაშინვე შევიდა მათთან სამეურნეო-ყოფით ურთიერთობებში.

რუსეთმა საქართველოს შემოერთებით უდიდესი სარგებელი მიიღო. ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი შეხედულება გამოხატა ცნობილმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ა. ჭავჭავაძემ თავის ნაშრომში „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-1831 წწ.“ აქ საუბარია იმ უდიდეს სარგებელზე, რაც რუსეთს ხვდა წილად და, ამასთან, იმ უმწვავეს ტკივილზე, რაც განიცადა ქართველმა ხალხმა რუსეთის სამხედრო ანექსიის შედეგად, აღნიშნავს რა, რომ „კავკასია ფრიად მნიშვნელოვანია რუსეთისათვის საფინანსო მხარით... და ვაჭრობის დარგებით“<sup>2</sup>. ნაშრომის ბოლოს ავტორი ცდილობს გააქარწყლოს ის მოარული აზრი, რომ თითქოს ქვეყნის კოლონიზაცია აუცილებელი იყო დასახული სასოფლო-სამეურნეო ამოცანების განსახორციელებლად.

### **დამოწმებანი:**

- 1) კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეგროვილი აქტები (კაკა), ტ. X, ტფ., 1900;
- 2) ჯანელიძე თ., საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 2005;

---

<sup>1</sup> Дингельштедт Н., Закавказские сектанты в их семейном и религиозном быту, М., 1970, 105.

<sup>2</sup> ალ. ჭავჭავაძე, თხზულებები, თბ., 1940, 254.

- 3) ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ., სამსონაძე მ., ქოქრაშვილი ხ., ჭუმბურიძე დ., ჯანელიძე თ., რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008;
- 4) საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბ., 1968;
- 5) მასალათა კრებული ამიერკავკასიის მხარის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფის შესწავლისათვის, ტ. IV, ტფ., 1888;
- 6) Клибанов А., История религиозного сектантства в России, М., 1965;
- 7) Сегаль М., Крестьянское землевладение в Закавказье, М., 1912;
- 8) Вермишев Х., Земледелие у государственных крестьян Закавказского края, Свода материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края (СМИЭБГКЗК), т. 4, Тифл., 1888;
- 9) Дингельштедт Н., Закавказские сектанты в их семейном и религиозном быту, М., 1970;
- 10) ჭავჭავაძე ალ., თხზულებები, თბ., 1940.

***Lela Togoshvili***

*Gori State Teaching University*

**RUSSIAN COLONIAL POLITIC IN GEORGIA AND  
AGRICULTURAL DIFFICULTIES  
RESUME**

From the beginning of 19<sup>th</sup> century 30s, after the political conquest of Georgia, Russia took a course to assimilate economic of the country. The achieving objective was

colonized the country, so the indigenous population was oppressed.

Russian settlers are characterized as sharply revealed socio-economic inequality. Settlers had some difficulties during the earthwork (especially in west Georgia), because of soil-climate peculiarity. Native population had agricultural and everyday relations and helped them to adapt to the new environment.

*აკაკი მაზანაშვილი*  
*სსიპ გორის მუნიციპალიტეტის*  
*სოფელ ზერტის საჯარო სკოლა*

**გურამიშვილთა საგვარეულოს წარმოშობის საკითხისათვის**

„ნეტავი იმასო“- ამბობს ერთი ძველთაძველი ბერძენი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწურთნის ჩვენ, არამედ მარტო სახელის ხსენებითაცო“- ილიას ეს სიტყვები საოცრად შეეფერება „ქართლის ჭირზე“ მწარედ დაფიქრებულ დავით გურამიშვილს. კაცს, რომელსაც „გულზედ ჰქონდა მოხაზული ცხოვრებისა წყაროს ღარი“. მთელი მისი შემოქმედება თავმოყრილია „დავითიანში“. ეს სახელწოდება არ წარმოსდგა პოეტის საკუთარი სახელისგან, არამედ იმ პიროვნების სახელისაგან, რომლის პოეტურ ხიბლს დიდად განუსაზღვრავს დ. გურამიშვილის პოეზია. დიდი მეფე ებრაელთა ფსალმუნთა წიგნის ანუ „დავითიანის“ ავტორი. პოეტი რამდენჯერმე მიუთითებს, რომ მისი პოეზიის შტამაგონებელია დავით მეფე: „მე ქაჩალმა თმის ვარცხნაში ქოჩრად მოვასხიო“.

დ. გურამიშვილის „ქართლის ჭირი“ ბიბლიურ გოდებას მოგვაგონებს. „თავში ხელის შემოკრებით მოიტირებს თვის სამკვიდროს“ პოეტი. მის თვალწინ აისვეტება XVIII საუკუნის მოუვლელი ივერთა ქვეყანა. მუსლიმანური ოკეანე ქართველთა ღვთითკურთხეული მიწის ყველა ზღუდეს მოსდგომია წასალეკავად, მტერს შეუბილწავს ყველა სიწმინდე... უძველესი ქრისტიანული ერი უმეცრების მორევში ცურავს... დიდმა ტკივილმა გახლიჩა დავითის გული, ისტორიის ბედ-

უკუღმართობამ მერე თვის მამულს მოაშორა და უცხო ერის მხედრად აქცია, საქართველოში კი (ჯერჯერობით...) იჯდა დიდი მემატნიანე ვახუშტი ბატონიშვილი და სისხლის ცრემლებით წერდა ივერიის ბედკრული მიწის სევდიან ღღეთა ცრემლნარევ სუნთქვას. მაგრამ ამ ანალებში დავით გურამიშვილის სახელს ვერსად შევხვდებით. აქ მხოლოდ ცეცხლოვან საუკუნეთა ავბედითი ხორხოცი და ფაფარაყრილ ულაცთა ფლოქვების თქარუნი მოისმის. დავითის პოეტური სულის გოდება კი სადღაც ჩანთქმულა. იბადება კითხვა: განა გურამიშვილი მხედარი არ იყო? ვერც ამ მხრივ გვეტყვის რაიმეს „ქართლის ცხოვრება“, რამეთუ დავითის მამაცური ბრძოლები ბალტიის ზღვასთან და ტევტონების მიწაზე ვერ იქცეოდა ქართველი მემატნიანის თემის საგნად, დავითმა თვითონ იკისრა ავტორობა თავისი ცხოვრების მატნიანისა...

„ქართლის ცხოვრება“ სამაგიეროდ, საინტერესო ცნობებს გვაწვდის გურამიშვილთა წინაპრების შესახებ, ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ გურამიშვილები ზედგინიძეთა შთამომავლები არიან, „რომელთა გამოაჩენს სასაფლაო მათი ღღესაცა მღვიმეს“.

დავით გურამიშვილმა ვერ პოვა ძვალთაშესალავი მშობლიურ, ქართულ მიწაზე. იგი ცრემლნარევი ღაღადისით მოსთქვამდა აღსასრულის წინ:

„გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე,  
შენ მკერდს დამმარხეო,  
ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ,  
მიწყალობე სამოთხეო“.

არ შეისმინა არსთაგანმრიგემ მისი გოდება. უბედური ქვეყნის შვილის გოლგოთის გზა ლამისყანიდან დაიწყო და მირგოროდში დამთავრდა და დაიწერა სიცოცხლის უკანასკ-



ნელ დღეებში ეპიტაფია „საფლავის ქვაზედ დასაწერი“, რომელშიც ნათქვამია:

„წმინდა იოანე კახეთს ზედაზენს,  
სასწაულობით ქვითკირს ცრემლს ადენს;  
ქართლს წმინდა შიო მღვიმეს ძვლებს ავლენს,  
ორნივ შვრებიან სასწაულს ამდენს,  
ამ ორს მონასტერს მაქენდა ალაგი,  
სასაფლაო და ძვალთ შესალაგი,  
ორივ ქვითკირით აღშენებული;  
სახლ-გალავნებით დამშვენებული,  
ახლა მობრძანდი, მნახველო, მნახე,  
მისდა სანუფქვოდ სად დავიმარხე,  
ხორციით აქ ვლპები, აწ ჩემი სული,  
არა ვიცი რა, სად არს მისული-  
ვით მე არ მინდო ცრუვმან საწურთომ.  
ეგრეთვე ვგონებ, არცა შენ გინდოს,  
შენ მე მიბრძანე ცოდვილს შენდობა,  
ღმერთმან შენ შენი ცოდვა შეგინდოს!“.

ეს დიდი სევდა და გახსენება საგვარეულო სასაფლაოსი-უკანასკნელი გამოთხოვებაა სამშობლოსთან და იმ მიწასთან, სადაც მისი წინაპრები იყვნენ დამარხულნი.

საინტერესოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს ზუსტად ასე აქვს აღწერილი ის ორი ადგილი, რომელსაც დავით გურამიშვილი იხსენიებს, შიომღვიმეზე გამოჩენილი ისტორიკოსი ამბობს, რომ აქ არიან „ქუაბნი გამოკვეთილნი კლდისანი მრავალნი, და კლდე ესე არს ვითარცა ნაშენი ქვითკირისა, აქა არს მონასტერი დიდი, გუმბათიანი და მღვიმე მას შინა“...

ასევე აქვს აღწერილი ვახუშტი ბატონიშვილს დავითის მიერ ნახსენები მონასტერი ზედაზენის მთაზე, იმ მთაზე, რო-

მელიც „არს მჭვრეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა და თბილისისა“. იგი იმ ლეგენდასაც იხსენებს, რომელიც გურამიშვილის ლექსშიც გვხვდება: „ამა ეკლესიის კამარიდან აწვეოს წყალი და უღვას ქვემოთ ავაზანი ქვისა და შეიკრბის მას შინა. არც მარადმოედინების და არც აღმოღებით მოაკლდების, უკეთუ აღმოიღო რითიმე“.

დავით გურამიშვილი რომ თავის საგვარეულო სასაფლაოდ ასახელებს, არა მარტო იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერს ზედაზენის მთაზე, არამედ შიო მღვიმესაც, ესეც ბევრ რამეს ამბობს მისი გენეალოგიური შტოს გასათვალისწინებლად.

გურამიშვილების წინაპრები ზედგინიძეები ყოფილან და ეს სასაფლაო საკუთარი სისხლის ფასად, საჩუქრად ჰქონიათ მიღებული, ეს ამბავი XV საუკუნეში მომხდარა. ამ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე გიორგი VIII მჯდარა, მას დასავლეთიდან ბაგრატი უტევდა, სამხრეთიდან უზუნ-ჰასანის მხარდაჭერით გულმოცემული ჯაყელი.

ამ აწეწილ დროს გიორგი მეფე, ფარავნის ტბასთან ბანაკად რომ იდგა, შეთქმულება მოუწყვეს, „გამოარჩიეს ერთი უშვილო კაცი... მეფე ხელთ შევიპყრათ და ქართლი ჩვენ დაგვრჩებისაო“... ეს ამბავი იოთამ ზედგინიძეს გაუგია და მეფისათვის შეუტყობინებია. გიორგის მისთვის არ დაუჯერებია და იმ ზედგინიძეს თავის განწირვა გადაუწყვეტია... მეფის საგებელში თვითონ ჩაწოლილა. შეთქმულებმა იმ ღამეს „ზედგინიძე დაირჩუნეს და მწოვედ დაკოდეს, სიკვდილსა უღმოდეს და როგორცა ეს შეიტყვეს ზედგინიძე არისო, აღარ მოკლეს“.

ამ თავგანწირულობისათვის ზედგინიძეს „მეფემან ნასისხლად მღუიმე მისცა სასაფლაოდ“... (იგულისხმება შიომ-

ღვიმის მონასტერი, რომელსაც დ. გურამიშვილი თავის საფლავის ეპიტაფიაში მოიხსენიებს).

საეჭვო აღარ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ გურამიშვილების გვარისთვის სახელის მიძცემა უნდა იყოს ის გურამ ზედგინძე, რომელიც მოხსენიებულია XV საუკუნის მცხეთის ერთ-ერთ გუჯარში და რომელიც წიწამურის მფლობელი ყოფილა.

გურამიშვილები ხშირად იხსენიებიან XVII საუკუნის ისტორიულ სიგელებშიც; 1627 წელს თეიმურაზ პირველს გივი გურამიშვილისათვის, ერთგული სამსახურის გამო, სოფელი ლერწამი უჩუქებია. ამ ოჯახიდან იყო სწორედ პოეტის მამაც-კახელი თავადი გიორგი გურამიშვილი.

#### **დამოწმებანი:**

1. ბატონიშვილი ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. III, თბ., 1982.
2. ჯავახიშვილი ივანე, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. III, თბ., 1961.
3. „საქართველოს ისტორიის ნარკვევი“, ტ. III, თბ., 1979.
4. „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, მეორე გამომუშავებული გამოცემა მ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 2004.
5. ნატროშვილი გიორგი, „წინაპარნი და თანამედროვენი“, თბ., 1961.

*Akaki Mazanashvili*

*LEPL - Gori Municipality Village Zerti Public School*

**THE DESCENT OF THE GURAMISHVILI FAMILY  
RESUME**

In the article we have made an attempt to find connection with the Davit Guramishvili's oeuvre and his family history. The bond between "Davitiani", the pinnacle of his oeuvre and Biblical king David, the sixteenth and seventeenth century "Georgian Afflictions" are portrayed. Interestingly, Davit Guramishvili took on writing the chronicles of a great Georgian historian Vakhushti Bagrationi in the promotion of the history of Guramishvili's ancestors is revealed. It is proved by the fact that the Zedgenidzes have gained that family burial at the cost of their lives. It occurred after the infamous event which is well-known to the people interested in the fifteenth century. Eventually, it is concluded that the Guramishvilis are the descendants of Givi Guramishvili, who was awarded with the village Lartsami for his commitment by Teimuraz the First.

**გივი ამილახვარი (ამილახორი)**  
**XVIII ს. პირველი ნახევრის გამოჩენილი მოღვაწე**

1. გივი II ანდუყაფარის ძე (1689-1754 ან 1757) XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლის სამეფოს ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, საამილახვროს უფროსი, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი. მამამისი, ანდუყაფარი, 1703 წლიდან მცირე ხანს იყო გორის მოურავი, რადგან ნადირობისას დაიღუპა<sup>1</sup>. ქართლის გამგებელმა ლევანმა 1704 წელს ამილახვრობა უბოძა და გორის მოურავად დანიშნა გივი ამილახვარი, რომელიც ამ სახელოს განაგებდა (1714-1716 წლების გამოკლებით) 1752 წლამდე<sup>2</sup>.

2. გივი პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანს 1722 წლიდან. ამ დროიდან იწყება ქართლის სამეფოს პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი მწვავე პერიოდი.

ვახტანგ VI-ის დამოუკიდებელმა პოლიტიკამ და რუსეთთან კონტაქტებმა ირანთან ურთიერთობა გაამწვავა. შაჰ თამაზ II-ემ ვახტანგის დასჯა განიზრახა. ამას დაემატა ოსმალეთის სამხადისი ქართლში სალაშქროდ. გამწვავდა ურთიერთობა ვახტანგსა და კახეთის მეფე კონსტანტინეს II-ს

---

<sup>1</sup> *კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები // ძველი საქართველო, II ტფ., 1913, გვ. 136.*

<sup>2</sup> *როგორც ქვემოთ ვნახავთ, გივი ამილახვარი გორის მოურავად იყო არა სიკვდილამდე, არამედ 1752 წლამდე, შდრ. იქვე, გვ. 137.*

(მამად ყული-ხანი) შორისაც. ეს უკანასკნელი ირანისა და დაღესტნელების მხარდაჭერით ქართლში გამეფებას ცდილობდა. ქართლი ომის არენად გადაიქცა. განსაკუთრებით კახთბატონი აქტიურობდა.

1723 წლის დასაწყისში კონსტანტინე ქართლში შეიჭრა და თბილისს მიაღვა. ვახტანგმა „აჰყარა დედოფალი და ბარგი მძიმე და გაგზავნა გორსა“<sup>1</sup>. თავდაპირველად კონსტანტინე თბილისს ვერ დაეუფლა, მაგრამ, როცა მას ლეკის ჯარი მოუვიდა, ვახტანგმა თავდაცვა ველარ შეძლო და „წაბრძანდა გორს, ძე მისი ბაქარ წავიდა ღუმეთს“<sup>2</sup>. შემდეგ, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ბაქარიც გორში მივიდა<sup>3</sup>. ვახტანგი მცირე ხანს გაჩერდა გორში და ცხინვალში გადავიდა და იქ ელოდა თავისი სიმამრისაგან, არაგვის ერისთავ გიორგისაგან დახმარებას<sup>4</sup>. მაგრამ გიორგი ერისთავმა კონსტანტინეს დაუჭირა მხარი.

ვახტანგის თხოვნით, ოსმალთა 20 ათასიანი ჯარი შემოვიდა ქართლში და თბილისს მიაღვა. 1723 წ. 10 ივნისს კონსტანტინე თავისი ნებით თბილისიდან გავიდა, ოსმალებს მიეგება და ქალაქის კლიტენი მიართვა, 11 ივნისს ოსმალებმა

---

<sup>1</sup> საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა / ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854, გვ 331; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, III (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე) / გამოსაცემად მოამზადეს ვ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბილისი, 1967, 88.

<sup>2</sup> საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 331.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, 504.

<sup>4</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, III, გვ. 89.

თბილისი დაიკავეს, კონსტანტინე შეიპყრეს და ბაქარს გადასცეს. ბაქარმა კონსტანტინეს პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ ის ქართლის წინააღმდეგ აღარასოდეს ამხედრდებოდა, და გაათავისუფლა. იმავე წელს, ვახტანგის ძმა იესე, რომელიც მანამდე შაჰის სამსახურში იყო, საერთო ენას გამონახავს ოსმალებთან და ქართლის გამგებლობას მიიღებს.

3. 1723 წლიდან გივი ამილახვარი, ქართლის ზოგიერთ სხვა თავადებთან ერთად ოსმალებს ებრძვის. მიუხედავად იმისა, რომ ქართლის მეფე იესე (ვახტანგ VI-ის ძმა) ოსმალებს მიემხრო და ქართლის გამგებლობა მიიღო, გივი მაინც ბრძოლას აგრძელებდა და ოსმალები გუფთასთან დაამარცხა კიდეც. მაგრამ იესემ მტერი გაამხნევა და გივი იძულებული გახდა უკან დაეხია<sup>1</sup>.

სავარაუდოა, გივი ამილახვარის ოსმალებთან შერიგება მაშინ უნდა დაწყებულიყო, როდესაც მათ, 1726 თბილისის სიონის მიზგითად გადაქცევა და ქართველების გამაჰმადიანება განიზრახეს. ოსმალთა ამ განზრახვას წინ აღუდგა გივი ამილახვარი. მან სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, ფაშასთან მივიდა, საჩუქრები მიართვა და სიონის განზრახვაზე ხელი ააღებინა. ამილახვარის ასეთი მოქმედება მართლმადიდებლებში მისაღმი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გამოიწვევდა, რაც კიდევაც ნათლად გამოჩნდა ხალხის გარეშე თუ შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ბუნებრივია, მართლმადიდებელი ეკლესიის გივი ამილახვარისადმი პატივისცემა. გივისათვის მიცემულ წიგნში თბილელ-ბოლნელი მიტროპოლიტი დომენტი აღნიშნავდა: „რადგან ახალკვირის შაბათს იყო ჩვენი განსაცდელი და საყდრის გამორთმევის ამბავი, ისევ ახალკვირის წინა დღე, შაბათი, განვაწესეთ თქვენთვის მოსახსენებლად. ამ დღეს იქით ყოვლის წლისათვის იმ შა-

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 508.

ბათს ჩვენ და ჩვენნი კრებულნი ერთობილნი ჟამს გიწირვე-  
დით თქვენ და თქვენთა შვილისშვილთა დაუვიწყებლად  
მოვიხსენებდეთ“<sup>1</sup>.

ღამპყრობლები, ითვალისწინებდნენ რა გივი ამილახვ-  
რის სიმამაცეს და მის ავტორიტეტს ქართლის მოსახლეობა-  
ში, მისი თავიანთ სამსახურში ჩაყენება მოინდომეს. 1727  
წელს, როდესაც მეფე იესე გარდაიცვალა, ოსმალებმა ქართ-  
ლში მეფობა გააუქმეს და ის ექვს მსხვილ ფეოდალს გაუნა-  
წილეს. ზემო ქართლი გივი ამილახვარს არგუნეს.

ოსმალების სამსახურში ჩამდგარი გივი ამილახვარი,  
როგორც მისი თანამედროვე ისტორიული ცნობებიდან ჩანს,  
რაც დრო გადიოდა ოსმალების ნდობასა და პატივს იმსახუ-  
რებდა. ის მათ ეხმარებოდა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში,  
რითაც სინამდვილეში იცავდა ქართლის ისედაც გაწამებულ  
მოსახლეობას.

ოსმალობის პერიოდის გივი ამილახვარის დასახასია-  
თებლად მნიშვნელოვანია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის აქა-  
მომდე უცნობი 1728 წლის 30 ნოემბრის დოკუმენტი, გაცე-  
მული ფადიშაჰის მიერ. ფადიშაჰის ფირმანი ისედაც მრავალ-  
მხრივ საინტერესოა. მასში ჩანს, როგორ დიდი ავტორიტე-  
ტით სარგებლობდა გივი ამილახვარი, როგორ გადადიოდნენ  
ოსმალთ ხელისუფალთ სამსახურში ქონებასა და თანამდებო-  
ბებს მოწყურებული ქართველი ფეოდალები, როგორ ცდი-  
ლობდა ოსმალთ ხელისუფლება სხვადასხვა პრივილეგიების  
მინიჭებით ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფისაკენ წაე-  
ქეზებინა მართლმადიდებელი ქართველები. ეს საინტერესო  
დოკუმენტი, როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, გაიცა გივი  
ამილახვრის თხოვნით. ის რეკომენდაციას უწევს თავის მე-

---

<sup>1</sup> გვრიტიშვილი დ., *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურ-  
თიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები)*, თბ., 1955, გვ. 410.



გობარ არისტოს, რათა მას უწყალობონ ოსმალთა ხელისუფლების მიერ დევნილი აბდულქერიმის მამული.

ამ მოკლე, მაგრამ საინტერესო დოკუმენტს მოვიყვან მთლიანად.

„თბილისელი ქართველი ბეგის მიერ ისლამის მიღების შესახებ.

ჩაბარდეს დანიშნულებისამებრ. 19 ზილკჰიჯე წელი 1141

თბილისის სანჯაყის ბერათლის რაიონში სოფელ გუმულეთის – 7900 აქჩიან თიმარზე ჩაწერილი აბდულქერიმი სამხედრო ვალდებულებას არ ასრულებს. თანაც სხვა ადგილას ცხოვრობს და თიმარის საქმეებით არ ინტერესდება. ამ მიზეზით ხსენებული თიმარი 40-50 წელია თბილისელი თავადის იმლაჰორ ოღლუ გივის (გივი ამილახვარი) მეგობრის, არისტო ბეის მფლობელობაშია. იგი წლების განმავლობაში სახელმწიფო სამსახურში ერთგულად და გულმოდგინედ მსახურობს. არისტომ ბოლოს თბილისის სასამართლოში ისახელა თავი ისლამური რელიგიის ცოდნით. მის მიერ ისლამის მიღების შემდეგ კიდევ მეტი ადამიანი შეიყვარებს და მონღოლებს ისლამის მიღებას. არისტო, რომელმაც ახალი სახელი აბდულაჰი დაირქვა, ითხოვს უწყალობონ აბდულქერიმის მიერ მიტოვებული თიმარი. ფირმანი ფადიშაჰისაა“<sup>1</sup>.

გივი ამილახვარი რომ თავის ერთგულ ადამიანებს მფარველობდა ოსმალების წინაშე, ამის სხვა მაგალითს შემდგომშიც ვაპყენობით.

ზემოთ აღინიშნა, რომ ოსმალებმა ქართლი ექვს მსხვილ ფეოდალს გაუნაწილეს. ვახუშტი ბატონიშვილის მი-

---

<sup>1</sup> საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბული, 2012, გვ. 181.

ხედვით დაყოფა მოხდა 1728 წელს<sup>1</sup>. დამპყრობლებმა ზემო ქართლის გამგებლობა გივი ამილახვარს არგუნეს. როგორც ჩანს, გივიმ, რომელსაც თავისი წინაპრებისაგან მემკვიდრეობით გორის მოურავობა ეკუთვნოდა, ოსმალებთან იმ წარმატებასაც მიაღწია, რომ გორის გარკვეულ ტერიტორიაზე საკუთრების და დასახლების უფლება მოიპოვა. შესაბამის ადგილას ითქვა, რომ ამილახვრებს საუკუნეების განმავლობაში გორში, გორელების სასტიკი წინააღმდეგობის გამო, დასახლების უფლება არ ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქის მოურავის სახელი მათ ეკუთვნოდათ.

გივი ამილახვრის ოსმალების წინაშე დამსახურებაზე ნათქვამია სულთან აჰმედ III-ის მიერ 1727 წელს გივი ამილახვარისათვის ნაბოძებ ფირმანში. მას ებოძა თბილისის სანჯაყსა და გორის ნაჰიეში მდებარე სოფელი სხილვანი 66 832 ახჩის შემოსავლით. ფირმანის მიხედვით, გივი ამილახვარმა ეს ჯილდო იმით დაიმსახურა, რომ ის ერთგულად ემსახურებოდა სულთანს. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გორის ციხის ლეკებისაგან დაცვისას. „თბილისის ვილაიეთში მცხოვრებ თავადთაგან მაღალღირსეული სამეფო ფირმანის მქონე ამილახორი გივი ამ ქვეყნის... დაპყრობის დროიდან მოკიდებული სრული მორჩილებითა და ერთგულებით გვემსახურება, ლეკთა შემოსევის ჟამს თავისი ქვეშევრდომებით დღე და ღამ იცავდა გორისციხესა და მის შემოგარენს, იბრძოდა და დახმარებას უწევდა მუსლიმებს...“<sup>2</sup>.

სულთანმა გივი ამილახვარს გამოუყო ოთხი სოფელი: ტბეთი, ფხვენისი, ქორდი და ბიჯნისი, 52 060 ახჩა შემო-

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ 510.

<sup>2</sup> აბულაძე ც., ოსმალბის ხანის სამი თურქული ფირმანი // აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი, 1973, 296.

სავლით<sup>1</sup>. ტბეთი და ფხვენისი საამილახვროში იყო, ბიჯნისი საციციანოში, ქორდი კი, საერთოდ ნახსენები არ არის გორის ლივას სოფლების ნუსხაში.

ღავთარი გარკვეულ ცნობებს გვაწვდის ოსმალობის პირველი პერიოდში გივი ამილახვარის ქონების შესახებ. მასში ნათქვამია, რომ „მეორე კუდულეთი ექვემდებარება გივი ამილახვარს, ექვემდებარება ხსენებულს“, ე. ი. საციციანოს<sup>2</sup>. ეს სოფელი სხვა მხრივაც არის საინტერესო. იქ ერთი სახლია და მასში ცხოვრობს 4 კაცი: ამელ ძე დათუნასი, როსტომ ძმა მისი, ავთანდილ ძმა მეორე, ფარსვან ძმა მეორე (უნდა იყოს ძმა მესამე) მუსლიმია<sup>3</sup>. როგორც ჩანს, გამუსლიმანების პროცესი იმდენად ინტენსიურად მიმდინარეობს, რომ იგი იჭრება ისეთ მივარდნილ და მცირე მოსახლეობიან სოფელშიც კი, როგორც მეორე კუდულეთია.

ამილახვრის ნაჰიეს მეთაურის მთავარი სიძლიდრე იყო „მამული ჭალა ამილახვრის შვილის გივის მფლობელობაში ექვემდებარება ხსენებულს“. ჭალაში ცხოვრობენ გივი და მისი ძმები თავიანთი ოჯახებით: თვით „გივი ძე ანდუყაფარისა<sup>4</sup>, ანდუყაფარ ძე მისი, იოთამ ძმა მისი, დიმიტრი ძმა მისი, იასე ძმა მისი, ბარძინ ძმა მისი, ამირინდო ძმა მისი, ოთარ ძმა მისი, თეიმურაზ ძმა მეორე, ეროსო ძმა მისი, ბა-

---

<sup>1</sup> იქვე, 297.

<sup>2</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი ღავთარი, წ. I. / ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიაშვილი და პროფ. ნოდარ შენგელიაშვილი, თბ., 2009, გვ. 223

<sup>3</sup> იქვე, 223.

<sup>4</sup> ანდუყაფარ III. ირანიდან დაბრუნებულმა ლევან ვახტანგ V-ის ძემ 1704 წელს ამილახვრობა მას უბოძა, მაგრამ მალე (1704 წ.) ნადირობისას დაიღუპა. კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო გუჯერები // ძველი საქართველო, II, გვ. 109.

რამ ძმა მისი, დავით ძმა მეორე, რევაზ ძმა მისი, იოთამ ძმა მისი“, ყველა ისინი ერთ სახლში ცხოვრობენ, აქვთ 20 დღიური სამეუფეო ველი, 5 დღიური სამეუფეო ვენახი. ისინი ერთობლივად იხდიან 3000 ახჩას<sup>1</sup>. გივი ამილახვრის სამფლობელოებში ყველა თავადი და აზნაური ერთობლივად იხდიდა 8200 ყურუში ესედის გადასახადს<sup>2</sup>.

XVIII ს. 20-იან წლებში, „ოსმალობის“ დროს, გივიმ იმას მიაღწია, რომ გორში სასახლე და ე. წ. ამილახვრების ეკლესია ააშენა. მან ისიც შესძლო, რომ ქალაქის იმ ნაწილზე, სადაც მას სასახლე და საგვარეულო ეკლესია ჰქონდა, ოსმალებმა განსაკუთრებული უფლება მიანიჭეს. ეს ის დასახლება უნდა ყოფილიყო, რომელსაც 1728 წლის აღწერის დავთარში „გივის დასახლება“ ჰქვია. ვფიქრობ, იგი მდებარეობდა იქ, სადაც 1802 წლის გორის გეგმაზე, ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, ამჟამინდელი ი. ბ. სტალინის მემორიალური კომპლექსის, IX საჯარო სკოლისა და სასტუმროს ტერიტორიაზე აღნიშნულია ამილახვრების ეკლესია. იქვე უნდა აშენებულყო მათი პირველი სასახლე გორში. ოსმალობის პერიოდამდე ამილახვრების სასახლე გორში საისტორიო წყაროებში არ აღინიშნება.

4. როგორც XVIII ს. 30-იანი წლების დასაწყისის ცნობებით ირკვევა, გივი ამილახვარი ოსმალებთან თანამშრომლობის პერიოდში, იმავე ოსმალების მიერ დევნილი, რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI-ის და ბატონიშვილ ბა-

---

<sup>1</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, 407-408.

<sup>2</sup> ყურუში ესედი – მონეტის ერთ-ერთი სახეობა, რომლის ოდენობა ცვალებადი იყო. *სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732) / თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბილისი, 2008, გვ. 16.*

ქარის აღმოსავლეთ საქართველოში დევნილ ერთგულთა შემწედ გვევლინება. ამაზე მიგვანიშნებს ბარძიმი არაგვის ერისთავის მიერ რუსეთში ვახტანგთან გაგზავნილი 1731 წლის წერილი. წერილიდან ვიგებთ, რომ ბარძიმი ვახტანგ მეფეს გაჰყოლია რუსეთში და წერილის გაგზავნის დროისათვის ის ახალი დაბრუნებული უნდა იყოს საქართველოში, რაღაც საგანგებო დავალებით<sup>1</sup>. კახეთის მეფე კონსტანტინეს ბარძიმი ქართლის გამგებელ ისაყ-ფაშასთან დაუბეზლებია. ბარძიმი ვახტანგს შესჩივის: „რა წამს ჰკევს მოველ, სულ ჩემი ყმა მოვიდნენ და შემომხეხვეწნენ. ახლა კახმა ბატონმა ფაშასთან დაგვაბეზლა. „მეფეს [ვახტანგს ბარძიმისთვის] ჯარი მოუცია, ჯარით მოვიდაო, უკან ჯარით ბაქარი მოსდევსო“. როგორც ბარძიმი წერს, კონსტანტინეს შენათვალს ისაყ-ფაშა ძლიერ შეუშინებია და ბარძიმთან შუაკაცად გივი ამილახვარი მიუგზავნია, რომელიც ერისთავს თავდებად დაუდგა<sup>2</sup>. სავარაუდოა, ბარძიმისათვის ხიფათის არიდების მიზნით გივი ამილახვარმა თვითონ შესთავაზა ფაშას ერისთავთან შუამდგომლობა და მისგან მტკიცე პირობაც მიიღო ბარძიმის უსაფრთხოების შესახებ, მაგრამ წერილში ეს არ ჩანს. გივი რომ ერისთავის მიმართ მტრულად განწყობილი ყოფილიყო, მას ძალა შესწევდა სხვაგვარად ემოქმედა და ფაშაზეც გავლენა მოეხდინა. გივის და ბარძიმის კარგ ურთიერთობაზე მეტყველებს, შემ-

---

<sup>1</sup> გვრიტიშვილი დ., *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან*, გვ. 353.

<sup>2</sup> დ. გვრიტიშვილს სხვაგვარად აქვს გაგებული ბარძიმის წერილის ეს ადგილი და აღნიშნავს, რომ გივი ამილახვარმა ერისთავს ისაყ-ფაშასთან უშუამდგომლოა. იქვე. ბარძიმის წერილში კი ნათქვამია: „ამაში ისაყ-ფაშა დიად შეშინებული იყო, ამილახვარი ვადას გამოეგზავნა. თავდებად დამიღგა და იქ [თბილისს] ჩაველ“. *Переписка грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г. С. Петербург, 1861, с. 190.*

დეგი: ისაყ-ფაშას შემცვლელმა როსტომ-ფაშამ კახთ ბატონის წაქეზებით ბარძიმი ვახტანგ VI-ისადმი ერთგულების ბრალდებით შეიპყრო და ნარიყალაში ჩაამწყვდია. არაგვის საერისთავოს პატიმარი ერისთავის ნდობით გივი ამილახვარი განაგებდა<sup>1</sup>. რაც შეეხება ქსნისა და არაგვის ერისთავების ურთიერთობას, იგი ხშირად არაკეთილმეზობლური იყო.

გივი ამილახვარმა მონაწილეობა მიიღო იმერეთის სამეფოში ფეოდალური აშლილობის დროს მეფე ალექსანდრე V-სა (1720-1741, 1741-1746, 1749-1752) და ოტია დადიანის დაპირისპირების განმუხტვაში. ოსმალებმა, რომლებსა იმერეთის მეფის გაძლიერება არ აწყობდათ, ალექსანდრეს დატყვევებული ოტიას განთავისუფლება მოსთხოვეს. საქმეში ჩაერია ქართლის გამგებელი ისაყ-ფაშა, რომელმაც დადიანისაგან დიდი ქრთამი აიღო და იმერეთში გაგზავნა ოსმალებისა და ქართველებისგან შემდგარი ჯარი მამედბეგისა და გივი ამილახვარის მეთაურობით. იმერეთის მეფე დათმობაზე წავიდა და დადიანი გაათავისუფლა<sup>2</sup>

ქართლში უმეფობის ხანაში გივი რომ უპირველესი პოლიტიკური და წარმატებული სამხედრო ფიგურა იყო, ჩანს ლეკებთან ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებიდან. 1732 წელს ლეკებმა ტეზერი, ბეკაძი, გვერდისუბანი აიკლეს და დიდძალი ნადავლი იშოვეს, წრომში გადავიდნენ, სადაც გორის ფაშა დაამარცხეს და მოკლეს. გათამამებულ ლეკებს მეჯვრისხევთან გივი ამილახვარი დახვდა, დაამარცხა და მთლიანად ამოწყვიტა<sup>3</sup>. იმავე წლის ზაფხულში გივი „გორის

---

<sup>1</sup> *Там же, 191.*

<sup>2</sup> *ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება / ტექსტი ვამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ. 176*

<sup>3</sup> *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 335.*

ჯართან“ ერთად მონაწილეობდა იკორთასთან ლეკების განადგურებაში. ლეკებში ლეკები კვლავ შემოიჭრნენ, მაგრამ გივის მეთაურობით წლევთან გაანადგურეს<sup>1</sup>.

4. ოსმალთა ბატონობამ ისეთი მახინჯი სახე მიიღო, რომ მისადმი უკმაყოფილოთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. ქართლში არსებული გაუსაძლისი მდგომრეობის, ანტი-ოსმალური ძალებისა და ვახტანგ VI-ის ან მისი ძის ბაქარის დაბრუნებისა და წარმატების შანსის შესახებ, საინტერესო ცნობებია შანშე ქსნის ერისთავის მიერ 1733 წელს ვახტანგისათვის გაგზავნილ წერილში. მასში მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით გივი ამილახვრის როლზე ანტიოსმალური აჯანყების დროს.

შანშე ერისთავი ვახტანგ მეფეს სთხოვს დაუბრუნდეს თავის სამეფოს: „ნეტავი ღმერთმან ისე მადირსოს თქვენი ხმა გავიგონოთ და მითომ ჩემს ჟამში ავი არა მინახამს რა... თუ რაც ჭკუა მაქვს და ვხედავ, თუ არ თქვენის სამჯობისა-როსათვის ამას უკეთესი დრო არ იქნება აქა, და მანდ რა მოსვლია, არ ვიცით: საქართველოს გაერთებსა ბძანებდით რომ. „შულლობთო, თქვენ ერთმანერთის მტერნი ხართო“<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> *Переписка грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г., т. 205.* ვახტანგ VI, როდესაც შანშეს და ქართლის დაუდევარ სხვა ფეოდალებს საყვედურობს, „შულლობთო, თქვენ ერთმანერთის მტერნი ხართო“, მას პირველ რიგში შანშე და მისი მამა ჰყავს მხედველობაში. როდესაც ვახტანგი 1712 წელს ირანში გაიწვიეს, მან ქართლის მეფედ ბაქარი დატოვა, რომელსაც შანშეს მამა დათუნა ქსნის ერისთავი აუჯანყდა. ბაქარმა აჯანყება ჩააქრო და საერისთავოს დაეპატრონა. შანშე ირანში შაჰთან გაიქცა, მაგრამ ის დააპატიმრეს და ბაქარს გამოუგზავნეს, რომელიც „პატიმარ-ჰყო ტფილისს“. *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 496-497.*

ირანიდან ახალდაბრუნებულ ვახტანგს 1719 წელს შანშე აუჯანყდა. აჯანყება იმდენად სეროზული იყო, რომ მეფემ მისი ჩაქრობა იმერ-

ბარძიმ ერისთავი მეფე ვახტანგის ამ საყვედურს სამართლიანად მიიჩნევს და, თავის მხრივ, იმასაც უმატებს, რომ თქვენს წინაშეც ბევრი დავაშავეთო. ბარძიმი ქართველ თავადთა ურთიერთ დაპირისპირების და მეფისადმი დაუმორჩილებლობის საქციელს ყმაწვილობითა და სიციფით ხსნის. წერილში განსაკუთრებით საინტერესოა მეფის მიერ ხაზგასმა, რომ ბარძიმ ერისთავი და გივი ამილახვარი, ეს ორი უმსხვილესი ფეოდალი ერთმანეთს იყენენ დამდურებული, მაშინ, როდესაც მათ ერთობლივად ბევრის გაკეთება შეეძლოთ ქვეყნის სასიკეთოდ. ბარძიმი თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელ ამ მოვლენას მარტივად განმარტავს: დროებითი დაპირისპირება საყვარელ მამა-შვილს შორისაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ ისინი კვლავ ასეთად დარჩებიან. რაც შეეხება კონკრეტულად გივი ამილახვარს, ამჟამად ის ჩვენთან არის და შენი ერთგულიაო. ამის დასტურად ის მეფეს სწერს: „თვითონ ამილახვარმაც წიგნი გაახლოთ. შენ ნუ მომიკვლები, დაიჯერეთ, დიდად ერთგული არის თქვენი და დიდის სამსახურის მცდელი არის და მომჭირნე. ამაზე გუნება დააჯერეთ. ამას გონებაში თქვენი ური-

---

ლები, კერძოდ, შოშიტა რაჭის ერისთავის და სვიმონ და ლევან აბაშიძეების დახმარებით შეძლო. შანშე მეფეს დანებდა. იმერეთში გაბრუნებულ სტუმრებს მეფემ შანშე თან გააყოლა. მაგრამ ერისთავი გაიპარა, თავის მამულში დაბრუნდა და 1720 წელს ახალი აჯანყებისათვის მზადებას შეუდგა. მან ისევ მარცხი განიცადა და მეფეს ერთგულების ფიცი მისცა. მეფემ შეუნდო და „მისცნა მამულნი სრულიად“. *იქვე, გვ. 498.* ამის შემდეგ შანშემ თითქოს ხასიათი გამოიცვალა და ვახტანგს ერთგულობდა. *გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 318.*

ოსმალებმა ქართლის დაპყრობისთანავე შანშეს საერისთავო ჩამოართვეს. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 508. ამის შემდეგ შანშე არ ეპუებოდა ოსმალებს და უჯანყდებოდა კიდევ. *იქვე, გვ. 510, 511.*



გო და უმსახურება არა ძეს, ამისი თავდები და მოპირე მე ვიყო“<sup>1</sup>.

ბარძიმი მეფეს აცნობებს თავისი დიდი ხნის მეტოქის არაგვის ერისთავის მეფისადმი ერთგულების შესახებ: „არაგვის ერისთავია და ესეც ერთგულია. რომ არ იყოს, არ იქნება. დამიჯერეთ, ეს ორი კაცია, ნამეტნავად ამილახვარი, ჩემგან ითხოვეთ“<sup>2</sup>. როგორც ჩანს, ქსნის ერისთავი პასუხისმგებლობას იღებს ორ უმსხვილეს ფეოდალზე – გივი ამილახვარსა და ბარძიმ ერისთავზე. ბარძიმი რომ გივის წინაშე ვალში იყო, ამის შესახებ ზემოთ ითქვა, გივიმ ის ისაყ-ფაშასთან მორიგა და, საგულისხმოა, მოცემულ პერიოდში ისინი ერთ პოლიტიკური პოზიციაზე იდგნენ, ვახტანგ VI-ს ერთგულობდნენ.

ბარძიმი მეფეს არწმუნებს: „ეს ორი კაცია, ნამეტნავად ამილახვარი, ჩემგან ითხოვეთ, სხვა ვინ არის ქართლში, რომ უარი და ჩვენი დაუჯერებლობა ქნას და შეიძლოს: თქვენი სიძისა აბაშიძისა თქვენ იცით“<sup>3</sup>. ბარძიმ ერისთავი ოსმალების ქართლიდან გაძევებასა და ვახტანგის მეფობის ქართლში აღდგენაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას გივი ამილახვარის მხარდაჭერას ანიჭებს: „ამას უკეთესი დრო არ იქნება, ამილახვარმაც ზომ მოეწერათ და ზეპირადაც დააბარა“<sup>3</sup>. რაც შეეხებოდა მეფე ვახტანგს, ბარძიმის აზრით, მას რუსეთის მთავრობის მხარდაჭერა უნდა მოეპოვებინა, რათა სამი პოლკი რუსული ჯარი წამოეყვანა. ბარძიმს წარმატების მნიშვნელოვან პირობად დასუსტებული ირანი მიაჩნდა. „ღმერთი მამეცეს თავდებად, დაიჯერეთ ესე ქვეყანა დაკარგული არის თქვენგანა, თუ თავს არ შეიღებთ, დამიჯერეთ, ახსენე

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 206.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ღმერთი და ეცადენით რასმე, ღმერთმა მოგაყენათ ღრო, ნუ გვიანობთ, თუ ეს ქვეყანა გინდათ ღრო ეს არის, თუ არა და ნება თქვენია“<sup>1</sup>.

ეხლა გავეცნოთ გივი ამილახვარის მიერ რუსეთში გადახვეწილი მეფის გარემოცვიდან ვინმე გივისათვის (ამილახვარი მას „სეხნის“ უწოდებს) გაგზავნილ, მაგრამ „ჩვენის ხელმწიფის მოსამსახურებისათვის“ გასაცნობ იმ წერილს, რომლის შესახებ რამდენჯერმე აღნიშნავს ბარძიმ ერისთავი. გივის წერილი არ შეიცავს, რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან სამხედრო ხასიათის ინფორმაციას. ეს მოკლე წერილი მხოლოდ ოსმალობის პერიოდში მისი დამპყრობლებთან სამსახურის გამო მონანიებას გვამცნობს, მაგრამ ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ მეფის უარყოფითი აზრის ჩამოყალიბებაში ამილახვარის არაკეთილ მოსურნეებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. „...თუ რაც ჩვენს უმსახურობას გაეწყობა ამას... ბატონი არ გვიწყობდეს, ამათი ბედნიერად ყოფნის ანბავი გვიწყალობოს: ვიცით, ჩვენ ხელმწიფეს ჩვენი უმსახურობა მოგონობიათ, თორემ, ერთხელაც არის მათის ბედნიერად ბძანების ანბავს გვიწყალობებდა: რალა თავი ვაწყინოთ. თუ რომ შევსცოდეთ, ღმერთმან ღიდად გარდაგვახდევენა ჩვენი ამგვარი განსაცდელი. თუ ბატონს არ მოხსენდება, თქვენ მაინც შეიტყობთ. ხელმწიფეს თუ ჩვენი ბევრი არ მოხსენებოდათ, უღირსად მოწყალეს გულის ასე არ გამოიცივლიდენ: დასაჯერი ხომ არ არის რომ მე მაგათი ორგული ვიყო. ეგების მართალი მოხსენდებოდესთ, რალა თავი ვაწყინოთ, არც ეს გაიბედებოდა ჩემგან: ღთია გუნების გამკითხავი, სხვა აქილამ რა შეიტყობა; ღმერთმან ამდენი მოწ-

---

<sup>1</sup> *ქვე, გვ. 207*

ყალბა მაღირსოს. მაგათ წინ სისხლი დავაქციო, ხომ კარგია, თუეს არ მეღირსა, სხვით რით ვიმართლებ თავსა“<sup>1</sup>.

5. 1734 წ. ქართლში ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო, თბილისის მიდამოებში მყოფი ოსმალები ამოწყვეტეს, გივი ამილახვარი „შეეტყუა გორის ციხეს ოსმალთა და მოსრნა იგინი და დაიპყრა ციხე“<sup>2</sup>.

როგორ „შეეტყუა“ გივი ამილახვარი გორის ციხეს, ამაზე დაწვრილებით მოგვითხრობს სეხნია ჩხეიძე: „ამავე ქორონიკონსა ღვინობის თვეს (1735 წ. ოქტომბერი – ე.მ.) შემოადგა თამაზ ხან ციხესა განჯისასა, მოუვიდა ქართველთ ბრძანება და აშლა ურუმთა, დაიწყეს ბრძოლა, შეყარა ჯარი ამილახორმა გივმა, მოვიდა ბერბუქს ღამით, დაიქვეითა თვითონ და მუხრანის ბატონმა მამუკამ, გორელთ მისცეს პირობა, შევიდნენ ღამით და დაიძალა ჯარი სასახლეშია, ვერა იგრძნეს ურუმთ, ციხეში მიუჩინეს ოთხი გამოჩენილი ვაჟკაცი, მისცეს საბოძვარი, ვითარცა ურუმნი ხეებსა ზიდავენ, ვიცა აუტანდათ არას უკითხვედნენ. გათენდა, ამ ოთხმა კაცმა შეიღვეს ძელები მხარეთა, იყო ნიშანი ამათი, რომ ციხის კარზე ერთი იქით დაუდვან, ერთი აქათ, რომ ციხის კარი ველარ მოუგდონ. გააღეს კარი ციხისა და გამოვიდნენ ციხიდან ურუმნი, ჩამოვიდნენ ქალაქსა გორისასა, აიტანეს ძელები და დააგდეს კართა ზედა: იდროეს, გამოვიდა დამალული ჯარი, თურმე ყარაულმა იგრძნა, მოასწრეს კარი ქვეითა გაღავნისა, შეიქმნა ცემა გორში. ამ ოთხმა კაცმა გაიკრა სატყე-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 203-204.

<sup>2</sup> სხვა წყაროში გორის განთავისუფლება 1735 წლით არის დათარიღებული და ნათქვამია შემდეგი: „გივმა ამილახორმა შემოიყარა რჩეულნი ვაჟკაცი და მოვიდა რამე ბერბუქს, აქედან ეზრახა გორელებსა, შეუხდა გორის ციხეში და ურუმთა ჯარი ამოწყვეილა“, *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა*, 438.

ვარს ხელი, თურმე დამალული ჰქონდათ. შეუხდენ ციხეში, მოკლეს ერთი ურუმი, მოუხდენ ენგიჩარ ალას, დასჭრეს: გამოვიდნენ შშვიდობით. ჩამოვიდნენ კარსა გალავანისასა, მოკლეს მცველი კარისა, დაღეწეს კლიტენი, გამოვიდნენ უზიანოდ და, ვინცა ციხიდან ურუმნი გამოვიდნენ, ამოსწყვიტეს, დაიჭირეს“<sup>1</sup>.

გივი ამილახვარმა გორის ციხეში ჯარი ჩააყენა. გამარჯვების მაცნელ მან შაჰის სარდალთან კაცი გაგზავნა და ოსმალთა მოკვეთილი თავები გაატანა. მცირე ხნის შემდეგ გივიმ და ყიზილბაშებმა თბილისის განთავისუფლება სცადეს, მაგრამ დამარცხდნენ. გივი გორში დაბრუნდა და აქედან თავს ესხმოდა ბორჯომის ხეობასა და ახალციხეში მოკალათებულ ოსმალებს<sup>2</sup>.

6. 1735 წლიდან ოსმალთა კიდევ უფრო მძიმე ყიზილბაშობით შეიცვალა. აღნიშნულ წელს ნადირ-შაჰმა სომხეთში ერევანში შაჰ-თამაზ II-სთან დაიბარა თეიმურაზ II და ქართლისა და კახეთის დიდებულები. ზოგიერთი მათგანი, კერძოდ, ისინი, ვინც ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყების მეთაურები იყვნენ, მათ შორის, გივი ამილახვარიც, დააპატიმრეს. კ. კუცია ვარაუდით, შაჰ თამაზ II-ის სარდალი თამაზ-ყული-ხანი (შემდეგში ნადირ-შაჰი) ეჭვობდა, რომ ქართველ დიდებულებს კავშირი ჰქონდათ ვახტანგ VI-სთან, რაც უნდა ყოფილიყო მათი დაპატიმრების მიზეზი<sup>3</sup>

შაჰ-თამაზის მიერ გივი ამილახვრის დაპატიმრების მიზეზი, სეხნია ჩხეიძის მიხედვით, ის ყოფილა, რომ მან ამ ქართველ დიდებულ, ამილახვარს ქალიშვილი მოსთხოვა,

---

<sup>1</sup> იქვე, 438.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> კუცია კ., ნადირ-შაჰი და საქართველო // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, III, თბ., 2002, გვ. 120.

რაზეც უარი მიიღო. შაჰმა გივი დააპატიმრა. მიუხედავად იმისა, რომ ამილახვარმა ბოლოს დაუთმო და თავისი ქალიშვილი შაჰს მისცა, იგი მაინც არ გაათავისუფლეს.

სხვა ვერსიით, გივი ამილახვრის, ამ ძლიერი ფეოდალის სიძეობა სურდა ქართლის ტახტის მადიებელ უფლისწულს, იესე მეფის ძე თეიმურაზს და დაინიშნა კიდევ. მაგრამ ნიშნობა ჩაშალა კახეთის მეფე თეიმურაზ II-ის მეუღლემ, დედოფალმა თამარმა. თამარს, როდესაც თეიმურაზ-ანტონთან ერთად ნადირ-შაჰთან სტუმრობდა, შაჰისთვის უთქვამს: გივი ამილახვარს მეტად ლამაზი ქალი ჰყავს, შაჰის ცოლობის ღირსიო. ამით სურდა თეიმურაზ-ანტონის და გივის ნათესაობა-მოკავშირეობის ჩაშლა, რადგან თეიმურაზ II-ს თვითონ ეჭირა თვალი ქართლის ტახტზე. თამარ დედოფალმა მიზანს მიაღწია. 1736 წელს გივი ამილახვარი იძულებული გახდა შაჰისათვის თვითონვე მიეგვარა თავისი ასული. თეიმურაზ-ანტონი კი იმერეთში გადავიდა და ბერად შედგა<sup>1</sup>.

1735 წლის 6 ოქტომბერს თამაზ-ყული-ხანი თბილისში შევიდა. აქედან დაავზავნა თავისი რაზმები აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეებში და დაიმორჩილა. აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყო ყიზილბაშობა.

გივი უპირისპირდებოდა ქართლში გამეფების მოსურნე კახეთის მეფე თეიმურაზ II-ს (1733-1744), რომელიც ქართლის ტახტზე პრეტენზიას აყენებდა იმის გამო, რომ იყო ერეკლე I ნაზარალი-ხანის ძე (1688-1703) და კახეთის მეფე კონსტანტინე II მამად-ყული ხანის (1722-1732) ძმა. თეიმურაზ II-ს გივი ამილახვარი დაუპირისპირდა, რომელიც მხარს

---

<sup>1</sup> *გაჩეჩილაძე კ., ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან // ქართული დიპლომატია, წელიწადი, II, თბ., 2004, გვ. 510-511.*

უჭერდა ქართლის ტახტის მეორე პრეტენდენტს, მეფე იესეს (იესე ქართლში ორჯერ მეფობდა – 1714-1716 და 1725-1727 წლებში) ვაჟს თეიმურაზს (შემდეგში კათალიკოსი ანტონ I).

1735 წლის ოქტომბერში თამაზ-ყული ხანი თბილისისკენ წამოვიდა და დატყვევებული ქართველები თან წამოიყვანა. გზაში ტყვეები გაიპარნენ. თეიმურაზი კახელებითურთ ფშავში გადავიდა. ქართლის თავადებმა კი იმერეთსა და რუსეთს შეაფარეს თავი<sup>1</sup>. ქართლელი დიდებულებმა – გივი ამილახვარი, მუხრანბატონი და ქაიხოსრო ავალიშვილი თავიანთ საბატონოებში დაბრუნდნენ<sup>2</sup>. გივი შემდეგ იმერეთს გადავიდა. სხვებმაც სხვადასხვა მხარეს შეაფარეს თავი.

1736 წელს შაჰ-ყული-ხანი გამეფდა ნადირ-შაჰის სახელით (1736-1747). მულანის ყურულთაიზე, სადაც მისი არჩევა მოხდა, სეხნია ჩხეიძის მოწმობით, მონაწილეობდნენ ქართველებიც – ქართლის დიდებულები.

ხელდასხმის შემდეგ ისინი გამოუშვეს ქართლში, რომელსაც დააკისრეს 3 ათასი თუმანი, ხოლო ხუთასი შეიარაღებული ნოქარი თავიანთი ოჯახებით უნდა მდგარიყო თბილისში. ზემოქართლებმა ვერ შეძლეს ამ მოთხოვნის შესრულება. შანშე ქსნის ერისთავმა, გივი ამილახვარმა, ვახუშტი აბაშიძემ და მთლიანად ზემო ქართლმა და თარხან ლუარსაბმა და მისმა ნათესავებმა ქართლის გამგებლად დანიშნულ ყიზილბაშ სარდალს, სეფიხანს სთხოვეს: „როგორც სხვა შაჰებს ვემსახურებოდით და როგორი მოვალეობანიც

---

<sup>1</sup> ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 320-322; აბრამ ერევანცი, ომების ისტორია / ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძემ, თბ., 1976, გვ.14

<sup>2</sup> საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 336.

გვეკისრა, ნება მოგვეცით ასე ვიმსახუროთ, ძველი დროიდან ჩვენ შაჰის ყურმოჭრილი ყმები ვიყავით“<sup>1</sup>. როდესაც ამ მოთხოვნაზე უარი მიიღეს, უკმაყოფილოთა შორის განხეთქილება მოხდა: ბარძიმ არაგვის ერისთავი, ყველა ციციშვილი, ყველა ბარათაშვილი ყიზილბაშებს მიემხრო.

ყიზილბაშებმა დაიწყეს განდგომილთა მამულებზე თავდასხმები. რამდენჯერმე შეიჭრნენ ქსნის საერისთავოში, მაგრამ წარუმატებლად. კეხვში სამჯერ დაესხნენ გივი ამილახვარს, მაგრამ სამჯერვე გივიმ გაიმარჯვა და ყიზილბაშები ამოწყვიტა. იმავდროულად თავს დაესხნენ სააბაშიოს, საჩხეიდოს და სურამის ხეობას, დაწვეს და გაძარცვეს, მაგრამ გამაგრებული ადგილები ვერ დააზიანეს. აჯანყებულები სხვაგანაც წარმატებით მოქმედებდნენ<sup>2</sup>.

ამგვარად, 1736 წელს ყიზილბაშების წინააღმდეგ აღსდგა ქართლის მოსახლეობა, რის მიზეზიც ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლი ქართველების მიმართ უნდობლობა და მძიმე ხარკი იყო. აჯანყების მთავარ კერად ქსნის საერისთავო გადაიქცა. დამარცხებულმა ქართლის გამგებელმა სეფიხანმა ფხვენისში დაიწყო მოლაპარაკება განდგომილებთან და მოჩვენებით შეურიგდა კიდევ. ამის შემდეგ ის ხელთუბანში გადავიდა, სადაც მიიწვია კახთბატონი თეიმურაზი, ბარძიმ არაგვის ერისთავი, გივი ამილახვარი, კახთა სახლთუხუცესი გივი ჩოლოყაშვილი, თარხანი ლუარსაბი, ქიზიყის მოურავის ძმა თამაზი, ქაიხოსრო ჩერქეზისვილი, ყველანი

---

<sup>1</sup> *Сехниа Чхеидзе, История Грузии («Жизнь царей») / Перевод выполнил, предисловием снабдил Н. Т. Накашидзе, Тб., 1976, с. 46.* აღმოსავლეთ საქართველოში ყიზილბაშობის დროს მძვინვარე ეკონომიკურ გაჭირვებაზე ვრცლად იხ. *კუცია კ., ნადირ-შაჰი და საქართველო, გვ. 125-131.*

<sup>2</sup> *Там же, с. 45-46.*

შეიპყრო და თბილისის ციხეში დაატყვევა<sup>1</sup>. ვახუსტი ბატონიშვილის მიხედვით სეფიხანს თავისი ვერაგული ქმედება გორში მოუხდენია, შანშე ქსნის ერისთავს გაქცევა მოუსწორია, ხოლო დანარჩენი დატყვევებულნი ისპაჰანში გაუგზავნიათ: „მოიტყუენა გორს ქართველნი, შეიპყრა თეიმურაზ, გივი ამილახვარი, ბარძიმ ერისთავი და სხვანი, ხოლო შანშე ივლტოდა. და წარუვლინა ისპაანს შაჰნადირს“<sup>2</sup>. სეხნია ჩხეიძის მიხედვით შაჰსეფი ამის შემდეგ მივიდა გორში, რომლის ნაიბად (გამგებლის ნაცვალი) დანიშნა მეფე იესეს შვილი აბდულა-ბეგი<sup>3</sup>.

შაჰმა შეიწყალა თეიმურაზ II, ბარძიმ არაგვის ერისთავი, გივი ამილახვარი, თარხანი ლუარსაბი, ისინი დაასაჩუქრა და ხალათები უბოძა. როცა ნადიე-შაჰი ყანდაჰარში გაემგზავრა, დასახელებული ქართველები თან წაიყვანა<sup>4</sup>.

1738 წელს შაჰმა გივი ამილახვარი ქართლში დააბრუნა და აჯანყებულ შანშე ერისთავთან დასაპირისპირებლად ქსნის საერისთავო გადასცა და „დასდვა ამ ქვეყნის ბელადობა“<sup>5</sup>. მასვე ჩააბარა „ვექილობა ქართლისა“<sup>6</sup>.

1740 წელს სარდალი ქაიხოსრო ორბელიანი და გივი ამილახვარი ინდოეთიდან დაბრუნებულ ნადირ-შაჰს ყაზვინში ეახლნენ და ქართლში არსებული ვითარება გააცნეს. შაჰმა გაგზავნა შიკრიკი და ქართლის დიდებული თავადები თავისთან დაიბარა. თავადები მაშინვე გაემგზავრნენ. აუდიენციის

---

<sup>1</sup> Там же, с. 46-47.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 515.

<sup>3</sup> Сехния Чхеидзе, История Грузии («Жизнь царей»), с. 47.

<sup>4</sup> Там же, с. 47.

<sup>5</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი / ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები ე. ცაგარეიშვილისა, თბ., 1981, გვ. 47

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 518.



დროს მათ შაჰს „მოახსენეს ქვეყნის გაოხრება ლეკისაგან, შანშე ერისთავისაგან ბელადის ძლევა და შეჭირვება ყოველი. იწყინა კელმწიფემ და დაჰპირდა დაღისტნის გასწორებასა. მოსცა ჯარი შანშე ერისთავის წასახდენად: „თუ ღამიჭიროთ შანშე, ყოველი თქვენი საწადელი აღვასრულო და მოგცე წყალობა უშურველიო“. შაჰმა გივი ამილახვარს მისცა ქსნის ერისთაობა „და დასდვა იმ ქვეყნის ბელადობა“. შანშე და მისი ძმა ახალციხეში გადავიდნენ, სადაც „შეიწყნარეს პატივით და დააყენეს ქალაქსა შინა“<sup>1</sup>. ქართლის ნაიბმა (ნაცვალელი) იმამ-ყული-ხანმა ბეგლარ-ბეგობა მიიღო და დიდი ჯარით ქართლში გაიგზავნა. ქსნის საერისთავო სასტიკად აიკლეს<sup>2</sup>.

ნადირ-შაჰი დაღესტანში შეიჭრა. მან ქართველი დიდებულები თავისთან დაიბარა. ამილახვართა სახლიდან გივი და ოთარი ეახლნენ შაჰს, რომელიც მათ „დახვდა მხიარულის პირითა და დაუმაღლა ერთგულობა“. გივი ამილახვარს მიანიჭა მეორე ვეჟილობა, ქსნის ერისთაობა და ასი თუმანი დაუნიშნა<sup>3</sup>.

7. გივი ამილახვარს კიდევ ერთხელ მოუწია იმერეთში მეფე-ფეოდალების კონფლიქტში ჩარევა 1741 წელს. ალექსანდრე V-მ თავის სიძის (დის ქმარი), ზურაბ აბაშიძის შვილი დავითი და პაპუნა წერეთელი სიკვდილით დასაჯა. მეფის

---

<sup>1</sup> 1741 წელს ნადირ-შაჰმა ახალციხის ფაშას სთხოვა შანშე ერისთავის და მისი ძმის გადაცემა. ფაშას ბრძანებით შანშე შეიპყრეს და დაბორკილი თბილისში ჩაიყვანეს, მცირე ხნის შემდეგ კი შაჰს გაუგზავნეს, რომელიც იმ დროს დაღესტნელებს ებრძოდა და იქ მიჰგვარეს. შაჰმა მისი მოსმენა არ ინება და დარუბანდის ციხეში გამოკეტეს, შემდეგ მამათში გადააგზავნეს. იქვე ჩაიყვანეს ძმების ცოლებიც. *პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 51.*

<sup>2</sup> *იქვე, გვ. 46-47.*

<sup>3</sup> *იქვე, გვ. 49*

ასეთი მოქმედებით აღშფოთებულმა იმერეთის დიდებულებმა – ზურაბ აბაშიძემ, გრიგოლ რაჭის ერისთავმა და ოტია დადიანმა მეფეს დიდი ზიანი მიაყენეს. მეფე ალექსანდრემ თავისი ძმა გიორგი და ლევან აბაშიძე ქართლში თავშეფარებული ვახუშტი აბაშიძის შესაპყრობად გაგზავნა. მათ მეფის ბრძანება შეასრულეს. ვახუშტის განთავისუფლების შუამდგომლობით ალექსანდრეს მიმართა კათალიკოსმა დომენტიმ და ქართლის გამგებელმა, მაგრამ უარი მიიღეს. იმერეთის მეფის მიმართ საყოველთა უკმაყოფილებამ აიძულა ალექსანდრე მცირე მხლებლებით ქართლში გადმოსულიყო<sup>1</sup> და სურამთან გაჩერდა. გივი ამილახვარი ამ დროს სურამში იდგა. მეფემ მას აცნობა თავის გასაჭირის შესახებ. გივი წავიდა ხანთან, რომელიც ზემო ქართლში იმყოფებოდა და მოახსენა მნიშვნელოვანი სტუმრის შესახებ. ხანმა გივის დაავალა ალექსანდრე მეფის მასთან მიყვანა. ხანმა მეფეს შესაფერისად უმაჰინძლა და მის შესახებ მაშინვე ნადირ-შაჰს აცნობა. შაჰის ბრძანებით, ალექსანდრე ჯერ თბილისში ამყოფეს საუკეთესო პირობებში, შემდეგ ახალციხის ფაშის თხოვნით შაჰმა იმერეთის მეფე ახალციხეში გაგზავნა, ფაშამ კი იგი ისევ სამემკვიდრეო ტახტზე აღადგინა<sup>2</sup>.

1741-1742 წლებში ნადირი დალესტნელებს ეომებოდა და ქართლის დიდკაცობა დალესტანში დაიბარა. ამილახვართა სახლიდან შაჰს გივი და ოთარი ეახლნენ. შაჰმა გივის მეორე ვეჟილობა, ქსნის ერისთავობა მისცა და ასი თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა<sup>3</sup>.

აღმაშფოთებელი იყო ქართლის ხანის მოქმედება (1741 წ.), როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატ-

---

<sup>1</sup> ნიკო დადიანი, *ქართველთა ცხოვრება*, გვ. 177.

<sup>2</sup> პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, გვ. 50-51.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 49.

რიარქი დომენტი IV (1705-1741) გარდაიცვალა და ახლად-არჩეულ აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ნიკოლოზ X-ს (1741-1744) „რაც მცხეთას საქონელი იყო, წირვის იარაღი ანუ ეკლესიისა, სულ თავისთან მიატანინა“. როგორც პაპუნა ორბელიანი ამბობს, ვიღაცამ ხანს ჩააგონა, რომ, როცა კათალიკოსი გარდაიცვლება, „საქონელი“ სახელმწიფოსი არისო. „მაგრამ სამღთო ძალმა აღარ მიუშვა. ორბელიანი, სარდალი ქაიხოსრო და გივი ამილახორი გულმოდგინებით გაისარჯნენ. ისევ დაიხსნეს და მიაბარეს უკლებრივ კათალიკოსს საქონელი მცხეთისა“<sup>1</sup>.

8. ირანელთა ბატონობა სულ უფრო მძიმდებოდა. ასე გაგრძელება რომ აღარ შეიძლებოდა, განსაკუთრებით მაშინ გახდა ნათელი, როცა ისედაც ეკონომიურად უდიდეს გასაჭირში მყოფ მოსახლეობას შაჰმა კიდევ უზარმაზარი გადასახადი და ბეგარა შეაწერა<sup>2</sup>.

დაიწყო აჯანყება, რომლის სულისჩამდგმელი და მეთაური იყო გივი ამილახვარი. როგორც ზემოთ მრავალჯერ აღინიშნა გივი ამილახვარს პირად ცხოვრება ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ სამღურავი არ ეთქმოდა, მას არც თანამდებობა და არც ქონება არ აკლდა და ქვეყანაშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მაგრამ მან პირადული გვერდზე გადასდო და ქვეყნისა და ხალხის გასაჭირით შეწუხებული სახიფათო გზას დაადგა. „ამა ამბავთა შინა, თვესა აპრილსა ია (11 – ე. მ.), ღამესა ბზობისასა, ქალაქიდან (თბილისი – ე. მ.) ღამე გაიპარა და ამილახორი, რომელი იჯდა ვექილად, წავიდა თავისის ცოლშვილით და თან გაიტანა პაატა აბაშიძის ცოლი და სარიდან ერისთავისშვილის ცოლი“<sup>3</sup>. რო-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 52-53.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 55.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 53.

გორც მოვლენების შემდგომი განვითარებიდან ჩანს, ამილახვარს წინასწარ შემუშავებული ჰქონდა აჯანყების გეგმა და მომზრენიც მრავლად ჰყავდა – ზემო ქართლმა, ქსნის და არაგვის ხეობებმა მას ერთიანად მხარი დაუჭირეს: პაატა აბაშიძე და ის სხვა თავადები, რომლებიც ქართლის ხანს იორზე ახლდნენ, იმავე ბზობის ღამეს გამოიპარნენ და გივისთან დადგნენ; აჯანყებას მიემხრო არაგვის ერისთავი ბეჟანი თავის ჯარით, ქსნისა და არაგვის ხევისკაცები და სხვ. ყველამ ერთგულების ფიცი მისცეს გივი ამილახვარს<sup>1</sup>.

შაჰისა და მისი მოხელეების კითხვაზე, თუ რა იყო აჯანყების მიზეზი, გივი ამილახვარი პასუხობდა: „ქვეყანა ოხერ შეიქმნა და არა გამოდიოდის რაო. ველარ შევძელ სამსახური ხემწიფისა და წაველო“<sup>2</sup>.

აჯანყება სულ უფრო სერიოზულ სახე იღებდა და შაჰის კარის შემოთებას იწვევდა. ამილახვარი ოსმალებს და ლეკებს დახმარებას სთხოვდა და რუსეთში მცხოვრებ ვახტანგ VI-ის ვაჟის ბაქარის ჩამოყვანას ცდილობდა.

გივი ამილახვრის მიერ დაწყებულ განმათავისუფლებელ ომს ყიზილბაშებმა დამსჯელი ექსპედიციებით უპასუხეს. შაჰმა გივი ამილახვრის აჯანყების ჩაქრობა სპეციალურად გამოგზავნილ ხანს დაავალა. ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან – მეორე. ქვეყანა ეკონომიკურად ნადგურდებოდა. ხანმა პირველ რიგში შიდა ქართლსა და გორს შეუტია. გივი ამილახვარი გორში არ იმყოფებოდა, ზემო ქართლის ციხეებს ამაგრებდა. გივის ეკავა სურამის ციხე და ბორჯომის ხეობაში პეტრეს ციხე. გივის მნიშვნელოვან დახმარებას ახალციხის ფაშა უწევდა, კერძოდ, ტყვია-წამალს უგზავნიდა. ახალციხესთან სტაბილური კავშირის განსახორციელებლად განსაკუთრებუ-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 53-54.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 54.

ლი მნიშვნელობა პეტრეს ციხეს ენიჭებოდა. ასევე მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა გივი ამილახვარი ცხინვალს. ამ ღონისძიებების გატარების შემდეგ გივი საგვარეულო რეზიდენციაში სხვილოში დადგა.

ქართლში შაჰის ნაცვალმა იმამ-ყულ-ხანმა აჯანყებულთა რიგებში განხეთქილების შეტანის მიზნით, განმდგარ თავადებთან მოლაპარაკება დაიწყო, რომელთაც მრავალ სიკეთეს დაჰპირდა. მან მოკლე ხანში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ზაალ როსტომის ძე ავალისშვილმა „შეაპარნა კაცნი, აიღო ციხე და და გამოასხა კაცნი ამილახორისანი. შეიყვანა კაცნი თვისნი, უბოძა ხალათი ხანმა და უიმედა წყალობა ფრიადი“. ყიზილბაშების მხარეს გადავიდა ვახუშტი აბაშიძე<sup>1</sup>.

ზოგიერთი თავადის აჯანყებისაგან ჩამოცილების მიუხედავად, მტერი გივი ამილახვარის ძლევას ვერ ახერხებდა. წარუმატებელი იყო ყიზილბაშების შეტევა სხვილოზე, არაგვის საერისთავოზე. პერიოდულ გამოხდომებს ახდენდნენ ყიზილბაშები და მათი მომხრე ქართველი თავადები გორიდან სურამის მიმართულებით. მათ შეძლეს კასპის ციხის აღება.

რადგან ბრძოლებისა და აკლებისაგან ყველაზე მეტად ზემო ქართლი ზარალდებოდა, მას მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ტოვებდა და მთელი კომლექტით საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულებში ან უცხოეთში მიდიოდა. მართო საამილახვროდან 3 ათასი კომლი კახეთში გადავიდა.

ყიზილბაშებმა აჯანყების შესუსტება გივისათვის თეიმურაზ მეორის დაპირისპირებით შეძლეს. ქართლის ფეოდალები ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთნი კახეთის მეფე თეიმურაზ II-ს უჭერდნენ მხარს, მეორენი კი – გივის. რაც დრო გადიოდა, პირველი ბანაკის რიგები იზრდებოდა, მეორესი სუსტდებოდა.

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 56.

გივი, მდგომარეობის თავის სასარგებლოდ გამოსწორების მიზნით, ქართლში ხან ოსმალებს და ხან ლეკებს ეპატიუებოდა. ორივენი კი ქვეყანას დაუზოგავად იკლებდნენ.

1744 წლის ივლისში ნადირ-შაჰმა ქართლის მეფედ თეიმურაზ II, ხოლო კახეთისა-ერეკლე II სცნო.

შაჰმა თეიმურაზს გივის შეპყრობა დაავალა და დამხმარედ 4 ათასი კაციც გაუგზავნა. თეიმურაზმა გივის სამყოფელ სურამის ციხეს ალყა შემოარტყა, რამდენჯერმე მისი აღება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ხან თეიმურაზი და ხანაც შაჰი გივი ამილახვარს სხვადასხვა დაპირებებს აძლევდნენ, მაგრამ იგი ციხიდან ვერ გამოიყვანეს. ბოლოს, როდესაც სურამის ციხის კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი ააფეთქეს, გივიმ მეფეს შეუთვალა: „ბატონი დედოფალი მობრძანდესო და იმას მივენდობიო“<sup>1</sup>. მართლაც დედოფალი თამარი მივიდა, გივი ციხიდან გამოვიდა და შეფიცა: „თქვენი მოლაპატე აღარ ვიყო“. მეფე-დედოფალიც, თავის მხრივ, ამილახვარს დაპირდნენ, რომ „არაფერი არც წახდენითა და არც სიკვდილით არ გიშავდეს რაო“. ამის შემდეგ გივიმ თეიმურაზს გადასცა სურამის ციხე. დედოფალი თამარი თბილისში წავიდა და გივიც თან წაიყვანა. თეიმურაზმა შაჰთან სარდალი ქაიხოსრო გაგზავნა და გივი ამილახვრის შემორიგება აცნობა და მისი დანაშაულის პატიება სთხოვა<sup>2</sup>.

შაჰმა ერთი პირობა თეიმურაზის თხოვნა შეასრულა, ხელმწიფის რაყამი უბოძა, რომლითაც თეიმურაზს უბრძანა: „ამილახორი თავისის საქონლით შენტვის გვიბოძებიაო და მაგისი სისხლიც შენტვის გვიპატიებიაო“<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 96.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 97.

თეიმურაზ II-მ გივი ამილახვარს სახლთუხუცესობა უბოძა „და განაგეს ყოველი ვე საქმე ჴელმწიფური, ვითაც ძველთაგან წესი ყოფილიყო ქართველთა მეფეთაგან“. მაგრამ შემდეგ, მოულოდნელად შაჰს „ებრძანა გივის ამილახვრის ციხეების დაქცევა“. ბრძანების შესაბამისად დაანგრეს სურამისა და კეხვის ციხეები. ახალდაბის ციხესა და სხვილოს ციხეში თეიმურაზის სანდო რაზმები იდგა. არ გაუვლია დიდ ხანს და მოვიდა ახალი ბრძანება გივი ამილახვარის დაპატიმრებისა და შაჰთან წაყვანის შესახებ. ფრიად შეწუხდნენ მეფე და დედოფალი, მაგრამ ბრძანების შეუსრულებლობა არ შეეძლოთ. გივი „ხელხუნდით“ ირანს გაგზავნეს, მაგრამ მეფის კაცს ხელმწიფესთან თხოვნა გაატანეს ამილახვარის შეწყალების შესახებ. შაჰმა შეისმინა ქართველი მეფისა და დედოფლის თხოვნა და გივი გაანთავისუფლა. ნადირმა „ისმინა აჯა მეფისა“<sup>1</sup> და გივის „თვეში ათი თუმანი გაუჩინა“<sup>2</sup>. მან გივი მაშინვე სამშობლოში კი არ დააბრუნა, არამედ ჯერ ხორასანში გაგზავნა<sup>3</sup>. მაგრამ არ ვიცით, რას საქმიანობდა ის ამ პროვინციაში.

9. ვიდრე ნადირ-შაჰი ცოცხალი იყო, საფიქრალია, ის საქართველოში მყოფ გივი ამილახვარს ვერ ენდობოდა, მაგრამ კარგად ხელავდა და ჯეროვნად აფასებდა ამ ნიჭიერი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის შესაძლებლობებს, ამიტომ მიზანშეწონილად ჩათვალა მისი გამოყენება საკუთრივ ირანში. გივი ამილახვრის საქართველოდან ირანში წაყვანით შაჰმა, ფაქტიურად ბოლო მოუღო წინააღმდეგობის კე-

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იასე ოსეს ძე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი // ა. იოსელიანის გამოცემა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, თბ., 1950, გვ. 13.

<sup>3</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 98.

რას ზემო ქართლში – საამილახვროში, ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოში. ამ ღონისძიებით მან განუმტკიცა ხელისუფლება თეიმურაზ II-ს და ერეკლე II-ს.

გივი დიდხანს დატოვეს ირანში, სადაც მან შაჰის ნდობა დაიმსახურა იმდენად, რომ 1747 წელს ნადირმა, როგორც ა. ამილახვარი გადმოგვცემს, შესთავაზა: „გაძლევ ოცდაათოხმეტი ათას ჯარის კაცს, წადი საქართველოში და სამეფოს მართვა-გამგეობა იკისრე, ხოლო თეიმურაზი მისი ვაჟი ირაკლითურთ დაიჭირე და გამომიგზავნე!“ გივის, იმავე ავტორის თქმით, უარი არ უთქვამს და საქართველოში წამოსვლის სამზადისს შესდგომია. მაგრამ მისი გამოგზავრების წინა დამეს ნადირ-შაჰი მოკლეს<sup>1</sup>. ახალმა შაჰმა გივი კიდევ უფრო აამაღლა, „მრავალი უბოძა და რადგან შემძლებელი კაცი იყო, ყულარადასობაც<sup>2</sup> მისცა და მაზანდარას ერთი ციხის ქალაქის გაკეთებაც უბრძანა“<sup>3</sup>. გივი ამილახვარს ირანში სახელი შეუცვალეს შაჰ-ყული-ხანი დაარქვეს<sup>4</sup>. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გივი ამილახვარმა ირანში ისე იმოღვაწა, რჯული არ შეიცვალა. პაპუნა ორბელიანი შენიშნავდა, რომ მას ირანში „ერთი დიდი პატივი ეს მიენიჭა, რომ ყულარადასობა მისცეს და სჯული ვერ დააგდებინეს და ეგრევე ქრისტიანობით მოვიდა ქართლში“<sup>5</sup>. იგი ძლიერ გამდიდრდა და „გამოგზავნა ქართლში ოქრო და ვერცხლი მრავალი თვისისა მსახურ აზნაურ-შვილთათვის და ესენიც სულ

---

<sup>1</sup> ამილახვარი აღ., გეორგიანული ისტორია // „მნათობი“, 1939, №8, გვ. 136.

<sup>2</sup> თურქულად ყული ჯარის უფროსს ნიშნავს. პირველი ყულარადასი იყო ალავერდი ხანი უნდილაძე. ეს თანამდებობა ყოველთვის ქართველ უფლისწულს ან ფეოდალს ეკავა.

<sup>3</sup> პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, გვ. 150.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 151.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 159.



თვისი ძმისწულიც დავით დაებარებინა თავრიზს, გაიკეთეს იარაღი ყოველთა ოქროსი და წავიდნენ<sup>1</sup>. გივი არც მეფეს, დედოფალს და ქართველ დიდებულებს ივიწყებდა. მათაც უგზავნიდა საჩუქრებს. იგი არც ეკლესია-მონასტრებს ტოვებდა უყურადღებოდ და ისინი სადაც არ უნდა ყოფილიყო-იმერეთში თუ სამხრეთ საქართველოში, გარკვეულ შესაწირავს უგზავნიდა. „ამ ქვეყნებში ვისაც იცნობდა დიდრონის კაცებისათვის, ყოველთვის მრავალი ოქრო და ანუ ლარი ტურფა მიუძღვნა ყოველთა ცალკ-ცალკე“.

1749 წელს მთელი ირანი ანარქიამ მოიცვა. იქ მყოფი ქართველი თავადაზნაურობა დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. მათ გივის სთხოვეს დახმარება. „მან მისცა ქართველთა, ვის როგორ ეფერებოდა ან საზრდელი და რაც კლებულობა ჰქონდათ, ყველა გაურიგა ქართველთა, გამოუძღვა ასე ლომგულად და კაის სარდლობით მოიქცა შაჰ-ყული-ხან (გივი ამილახვარი - ე.მ.), როცა საცა მტერი აუჩნდის, რისხვა ღვთისა დასცა და ეგრე ხლმის ძალით მოვიდნენ ქვეყანასა ქართლისათა... დიდი პატივის მისცა მეფემან თეიმურაზ და მეფემანა ერეკლემ, დადგა ქალაქში და აღარ წავიდა სამკვიდროსა თვისსა და სუფევდა მდიდრობით ქალაქსა თბილისასა“<sup>2</sup>.

1752 წელს გივი თბილისის მოურავად დაინიშნა<sup>3</sup>. როგორც ჩანს, მას აჯანყების დროს ჩამორთმეული ზემო ქართლის სადროშოს სარდლობა და, შესაბამისად, გორის მოურავობა აღარ აღუდგინეს. თბილისის მოურავად ყოფნის პერიოდში გივიმ ქაშუეთის ეკლესია ააშენა და ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა კიდევ. გივი ამილახვარი, პაპუნა ორბელიანის

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 159.

<sup>3</sup> *იასე ოსეს ძე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი*, გვ. 17.

მიხედვით, გარდაიცვალა 1754 წელს, „რომელი იყო დიდებული და მდიდარი კაცი და ყოველგან სახელგანთქმული“<sup>1</sup>.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ იმავე ისტორიკოსის მიერ დახასიათებული „გივი ამილახორი, რომელსა ერქვა შაჰყული-ხან, მნახავთათვის სასიამოვნო იყო, დიდისა დიდებითა და გამოჩენით, ვითაც შეეფერებოდა სიმდიდრესა და სიმალლესა მისსა... ესე იყო სიკეთე მისი, რომელსაც სიმნელესა საქმესა ჩავარდის, ასე რიგად მოიყვანეს საქმე, რომ დიდება და პატივი არ მოაკლდის და უმაღლესსა ხარისხსა აღვიდის სიბრძნით და მხნე და ქცევით თვისთა“<sup>2</sup>.

სხვა ვერსიით გივი ამილახვარი გარდაიცვალა 1757 წელს.

10. დამთავრდა ე. წ. გივი ამილახვარის აჯანყება ქართლში, რომელიც დ. გვრიტიშვილმა დაყო სამ ძირითად ეტაპად და იგი ასახავს მხოლოდ ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყებას<sup>3</sup>. ვფიქრობ, გივი ამილახვარის მოღვაწეობა როგორც უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლისა, უნდა გაიყოს ორ მთავარ (ოსმალობის და ყიზილბაშობის) და რამდენიმე ქვეპერიოდად.

ოსმალობა:

I პერიოდი: 1723 – 1726 წწ. გივი ამილახვარი, ქართლის ზოგიერთ სხვა თავადებთან ერთად, ოსმალებს ებრძვის.

---

<sup>1</sup> პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, გვ. 211.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 159.

<sup>3</sup> გვრიტიშვილი დ., ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქ და სპარს დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII ს. პირველ ნახევარში (გივი ამილახვარის აჯანყება // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, ტ. III, თბ., 1953, გვ. 131.

II პერიოდი: 1733 წ. გივი ამილახვარი ანტიოსმალური აჯანყების მომზადებაში მონაწილეობს; 1734 – 1735 წწ. გივი ამილახვარი იარაღით ხელში ებრძვის ოსმალებს.

ყიზილბაშობა:

I პერიოდი: 1742 წ. აპრილი – 1743 წლის გაზაფხული, ანტიყიზილბაშობის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება, რომლის მეთაურია გივი ამილახვარი. დ. გვრიტიშვილმა აჯანყების ამ პერიოდს პროგრესული უწოდა.

II. პერიოდი: 1743 წ. გაზაფხული – 1744 წ. ივნისი. აჯანყების დაქვეითება. გივის მომხრეთა რიცხვი მცირდება. ყიზილბაშების წინააღმდეგ მებრძოლი გივი ოსმალების აგენტად გადაიქცა.

III პერიოდი: 1744 წ. ზაფხული – 1745 წლის ზაფხული. „აჯანყებას იდეური საფუძველი გამოეცალა, მან რეაქციული ხასიათი მიიღო, იგი თავადთა ურთიერთთავდამსხმელ ავანტიურად გადაიქცა“<sup>1</sup>.

### **დამოწმებანი:**

აბრაამ ერევანცი, ომების ისტორია / ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძემ, თბ., 1976

აბულაძე ც., ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი // აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი, 1973

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009

ამილახვარი ალ., გეორგიანული ისტორია // მნათობი, 1939, №8

---

<sup>1</sup> იქვე.

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973

გაჩეჩილაძე კ., ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან // ქართული დიპლომატია, წელიწადეული, 11, თბ., 2004

გვრიტიშვილი დ., ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქ და სპარს დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII ს. პირველ ნახევარში (გივი ამილახვარის აჯანყება) // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, ტ. III, თბ., 1953.

გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955,

იასე ოსეს ძე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი // ა. იოსელიანის გამოცემა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, თბ., 1950

კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები // ძველი საქართველო, II ტფ., 1913

კუცია კ., ნადირ-შაჰი და საქართველო // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, III, თბ., 2002

ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება / ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962

პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი / ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები ე. ცაგარეიშვილისა, თბ., 1981, გვ. 51.

საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბულის, 2012

საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა // ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854

ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. III (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე) / გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბილისი, 1967

Сехния Чхеидзе, История Грузии («Жизнь царей») / Перевод выполнил, предисловием снабдил Н. Т. Накашидзе, Тб., 1976

Переписка грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г. С. Петербург, 1861

*Eldar Mamistvalishvili*

*Gori State Teaching University*

**GIVI AMILAKHVARI (AMILAKHORI)**

**THE EMINENT PUBLIC FIGURE IN THE SECOND**

**HALF OF 18<sup>TH</sup> CENTURY**

**RESUME**

Givi II the son of Andukapar (1689-1754 or 1757) was one of the prominent political and public figures of the Kingdom of kartli, the lord of fiefdom called Saamilakhvro, the commander of Sadrosho (an administrative division) and

the bailiff (mouravi) of Gori. He became Amilakhvari and the bailiff of Gori in 1704. He was ruling that fiefdom to 1752 except 1714-1716 yy.

In the article the attention is particularly paid to his role as the fighter against foreign invaders and to the results of his struggle. His struggle may be divided into two main (Ottoman and Kizilbash regimes) subperiods.

Ottoman regime:

1<sup>st</sup> period: 1723-1726 yy. Givi Amilakhvari is fighting against ottomans together with other noblemen of Kartli.

2<sup>nd</sup> period: 1733y. Givi Amilakhvari is taking part in anti Ottoman revolt; 1734 - 1735 yy. Givi amilakhvari is fighting against Ottomans.

Kizilbash regime:

1<sup>st</sup> period: April, 1742 – Spring, 1743. A revolt against Kizilbash regime whose chief is Givi Amilakhvari. The revolt is progressive in that period.

2<sup>nd</sup> period: Spring, 1743 – June, 1744. Weakening of the revolt. The number of revolt supporters was significantly reduced due to the policy of Iran Shah. Givi tries to use the armed force of Ottomans' against the Kizilbash. He gradually became the Ottomans' agent.

3<sup>rd</sup> period: Summer, 1744 – Summer, 1745. The revolt, in fact, turned into a tragedy for the country.

**XV-XVIII სს. საციციანოს სოციალურ ურთიერთობათა  
ისტორიიდან  
(სათავადო აზნაურობა)**

XV-XVIII სს. საციციანოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი აზნაურთა ფენა იყო. მისი მხარდაჭერით, სიმრავლითა და ერთგულებით დაინტერესებული იყო, როგორც სამეფო ხელისუფლება, ისე სათავადოები. ამ პერიოდის საციციანოს სოციალურ ურთიერთობათა ისტორიის კვლევისას ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საკითხია აზნაურთა ფენის საკითხის შესწავლა. ჯერ კიდევ XV-XVI სს. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, აღარ იყვნენ დამოუკიდებელი საკუთარ სამემკვიდრეო მამულებში მსხდომი აზნაურები. „აზნაურები იყვნენ ან სამეფო, ან საეკლესიო, ან სათავადო“.<sup>1</sup> თავადების მიერ აზნაურთა დაყმევების პროცესი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა მეფის ხელისუფლების ძლიერებას, რადგან ხელიდან გამოეცალა საიმედო დასაყრდენი სამხედრო ძალა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა, სხვა ხელისშემშლელ მიზეზებთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძლიერეს.

დოკუმენტური წყაროების მიხედვით ციციშვილთა ფეოდალურ სახლში, სამი სახის ფეოდალური საკუთრებაა, შესა-

---

<sup>1</sup> Бердзенишвили Н., Очерк из историй развития феодальных отношений в Грузии XIII-XVI вв. Тб., 1938, с. 38;

ბამისად, აზნაურები სამ ჯგუფად იყოფიან, საერთო, საუფლისწულო და სათავისთავო.

სათავადო აზნაურები შეადგენდნენ იმ სამხედრო ძალას, რომელსაც ეყრდნობოდა თავადი თავისი სიძლიერისა და შეუვალობის შესანარჩუნებლად. ამით თავადი თვითონ გახდა განმსაზღვრელი, შუამავალი ძალა სამეფო კართან ურთიერთობის, სათავადო დავების გადამწყვეტი, იშვიათი გამონაკლისის გარდა თავად ხელმძღვანელობდა სასამართლო საქმეებს. მათ სამხედრო ძალას ციციშვილები თავიანთი სეპარატისტული მიზნებისთვისაც იყენებდნენ. ძირითადად აზნაურებისგან ქმნიდნენ სამოხელეო აპარატს და აზნაურთაგან შემდგარი რაზმებით უზრუნველყოფდნენ მათ ბატონობას თავიანთ ყმა-გლეხებზე. მკვლევარები, გ. აკოფაშვილი<sup>1</sup>, შ. ხანთაძე<sup>2</sup>, ო. სოსელია<sup>3</sup>, გ. ჯამბურია<sup>4</sup> ერთხმად მიუთითებენ, რომ პატრონისადმი სამხედრო სამსახური, ლაშქრობა-ნადირობა, თავადის კარზე მსახურება და მასპინძლობა აზნაურთა მთავარი მოვალეობა იყო. ეს უკანასკნელი „ძღვენი“ გამოღებასაც გულისხმობდა. აზნაურის სამსახური თავისი ბატონის სასარგებლოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ყმა-მამულის მფლობელობასთან. აზნაური კლიმიაშვილი კაციას-შვილი, სარდალმა ალექსანდრე ციციშვილმა, თავის ძმას დაუთმო და თან აფრთხილებდა: „თუ სამსახურზე უარი გითხრას, შვილი არ გაახლოს, მამული რომელიც წინათ ბააკა კლიმიაშვილს ეჭი-

---

<sup>1</sup> სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში (აზნაურთა ფენა) - გ. აკოფაშვილი, თბ., 1965, გვ. 75

<sup>2</sup> ხანთაძე შ., სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1959, გვ. 145;

<sup>3</sup> სოსელია ო., ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 58;

<sup>4</sup> ჯამბურია გ., სათავადოთა საკითხისათვის, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 11;



რა და შენ გემსახურებოდა და ახლა კი ამ კაცისა-შვილს უჭირავს, გამოართვი და შენთვის დაიჭირე-ო.“<sup>1</sup>

სათავადო აზნაურების ყმა-მამულზე საკუთრების უფლება ფაქტიურად ციციშვილების ხელში იყო და მათ სათავადოს შემადგენელ ნაწილად თვლიდა. თავადს შეეძლო აზნაურობა ებოძებინა თავის გლეხისათვის, მხოლოდ საჭირო იყო მეფეს დაემტკიცებინა ეს აქტი.<sup>2</sup> 1791 წელს დავით ციციშვილი აზნაურობას აძლევს თავის ყმას, დათუნა კვეხელს.<sup>3</sup> მისი ბიძა ფარსადან ნოდარის ძე ციციშვილი ბოქაულთუხუცესს თამაზ კლიმიაშვილს ნასყიდობის წიგნს აძლევს, აზნაური კვეხერელი გიორგის ყმა-მამულიანად გაყიდვის თაობაზე.<sup>4</sup> საციციანოში აზნაურებს თავადის კარზე ადგილობრივი მმართველობის სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობები ეკავათ, რომელიც თითქმის იდენტური იყო სამეფო კარის სამოხელეო აპარატის თანამდებობებისა. მოხელეთა კომპეტენციისა და მათი ფუნქციების საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველმხრივია შესწავლილი. ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალების სიმწირის გამო თითოეულ სამოხელეო თანამდებობაზე საციციანოს აზნაურთა საგვარეულოს სრული სურათის აღდგენა სირმისეულად ვერ ხერხდება, ამიტომ აღნიშნულ საკითხზე აზნაურთა მხოლოდ რამოდენიმე თანამდებობის პირთა მცირე ქრონოლოგიურ რიგზე გაწყობილ სიას წარმოვადგენთ.

---

<sup>1</sup> ხეც. ფ., Hd, საბ., №9506

<sup>2</sup> Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией, 1870 г. V I, ч. I, стр. 123.

<sup>3</sup> ხეც. ფ., Hd, საბ., საბ., №2230

<sup>4</sup> სცსსა, ფ., 1450 დავთ. 38 ს. №63

**სახლთუხუცესობა** - ყველაზე მაღალ და შემოსავლიან სახე-  
ლოდ ითვლებოდა, რომელიც განაგებდა სათავადოს შემოსა-  
ვალსა და გასავალს. XVII-XVIII სს. დოკუმენტებში სახლ-  
თუხუცესებად მოხსენიებიან: თომა მეღვინეთუხუციშვილი<sup>1</sup>, ბე-  
ჟან მეღვინეთუხუციშვილი<sup>2</sup>, წინამძღვრიშვილი, ბუნიათიშვი-  
ლი<sup>3</sup>, გიორგი გვერდწითელი<sup>4</sup>, ბერუკა კლიმიაშვილი<sup>5</sup>, უთნე-  
ლიშვილი<sup>6</sup>, დავით მამაცასშვილი<sup>7</sup>. ალიბეგისშვილი ბერუკა<sup>8</sup>.  
**ბოქაულთუხუცესის სახელო** - საპოლიციო ფუნქციების მა-  
ტარებელი იყო, გამოირჩეოდა მაღალი სამოხელეო სარგოთი.  
ეს სახელო საციციანოს XVIII საუკუნის დოკუმენტებში  
ერთდროულად უჭირავთ სათავადო აზნაურებს, ბეჟან კლი-  
მიაშვილს<sup>9</sup> გვერდწითელს, ჩინჩალაძეს<sup>10</sup>, და გულბადის-  
შვილს<sup>11</sup>.

---

<sup>1</sup> ხეც. ფ., Hd, საბ., №8385, ბ.

<sup>2</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. I, ბატონყმური ურთიერთობა. (XV-XVIII სს), ნ. ბერძენიშვილის რედაქცი-  
ით, თბ., 1940, გვ. 274-275, დოკ. №392

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 1448 ს. №4968, ს., 1282; ხეც. ფ., Hd, საბ., №854,  
საბ., №855, საბ. №10350; ფ. Qd, საბ., №798

<sup>4</sup> ხეც.ფ. 1448, საბ. №5048

<sup>5</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 ს. №102

<sup>6</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 ს. №70

<sup>7</sup> ხეც. ფ., Hd, საქმე №14.708; მასალები საქართველოს ეკონომი-  
ური ისტორიისათვის, წიგნი II, მასალები შუარჩია და გამოსაცემად მოამ-  
ზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953, გვ. 153, დოკ. №209,

<sup>8</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII. ტექსტები გამოსაცემად  
მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 865, დოკ.  
№878;

<sup>9</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 ს. №102

<sup>10</sup> სცსსა, ფ., 1448, ს. №39.

<sup>11</sup> სცსსა, ფ., ფ. 1450 დავთ. №38 ს. № 63, №88; ხეც., ფ., Qd,  
საბ. №817, საბ. №1026; საბ. №798; ფ. Hd, საბ. №-8020, საბ. №855

**მოურავი** - მირზაშვილი თამაზა, ალექსიძე<sup>1</sup>, კლიმიაშვილი ტეტია<sup>2</sup>.

**მდივან-მწიგნობარი** - დავით ალექსის ძე<sup>3</sup>.

ციცისშვილი მანუჩარის ბაზიერთხუცესი დავითი.<sup>4</sup>

**ნაზირი** - მეღვინეთხუციშვილი,<sup>5</sup> გივი გვერდითელი. მას ნაზირობა და წინწყაროს ნაცვლობა უბოძა 1778 წ. დელოფლის სახლთუხუცესმა, ზაქარია ციციშვილმა: „...ჩვენს ერთგულსა და ერთგულად ნამსახურსა აზნაურიშვილს გვერდითელს, გივსა და შვლთა შენთა დავთსა, გოგიასა და ნინიას ასე, რომე მოხვედით, კარსა დარბაზისა, ჩვენისას გვაჯეთ, ნაზირობასა, კარსა ჩვენისასა და ჩვენცა ვსმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ნაზირობა ჩვენი.“<sup>6</sup> საციციანოში ისტორიული დოკუმენტების მიხედვით ერთდროულად რამდენიმე ასეთი თანამდებობები სახელდება, რადგან საციციანოს მრავალრიცხოვან საუფლისწულოებსაც თავისი მოხელეები ჰყავდა. ამ აზნაურთა ნაწილი მიუხედავად დაწინაურებისა და სამოხელეო თანამდებობებისა XIX საუკუნემდე წვრილ მესაკუთრედ დარჩა, მათი საგვარეულო შტოს მეორე ნაწილმა მძიმე მდგომარეობას თავი მეფის მფარველობაში გადასვლით დააღწია.

განსაკუთრებული ერთგულების ნიშნად ზაქარია ციციშვილმა ერთდროულად მეორე სახელო უბოძა აზნაურ ჩინ-

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 52 ს.66; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977, დოკ. №342, გვ.363; ქსძ ტ. VIII, გვ. 266, დოკ. №253

<sup>2</sup> Qd-730 -D

<sup>3</sup> სცსსა., ფ. 1449 ს. №2535; Hd-806; სს., ტ. III, 1910 ე. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 11-12, დოკ. №12

<sup>4</sup> სცსსა., 1450 დავთარი 38 №ს. 57

<sup>5</sup> სცსსა ფ. 144 8, აღწ. 1,ს. №5401

<sup>6</sup> ხეც.ფ., Ad, საბ. №59

ჩალაძესაც: „წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩინჩალაძეს, ბოქაულთხუცესს იასეს შვილს შენს ტეტიას, ასე, რომ ნეტარად ხსენებულს პაპას ჩვენ ბატონს მილახვარბაშა ქაიხოსროს შენტვის... მამულის წყალობა და სახელო ბოქაულთხუცესობა ებოძა და მხედურეთს აფნის და ქარელის მოურაობა მას უკან სანატრელმა მამაჩვენმა სახთუხუცესმა იოვანემ და ბიძა ჩვენმა ნაზირმან დიმიტრიმ ქარელი რომ გაიყვეს ...გიბოძეთ შენი სახელო ქარელის მოურაობა მხვედურეთს და აფნისს.“<sup>1</sup> „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეები, ნაცვალი, გზირი, მამასახლისი მოურავს ექვემდებარებოდნენ. დოკუმენტების მიხედვით მამასახლისი და გზირი ძირითადად გლეხები იყვნენ.<sup>2</sup> ამ სარგოდან მებატონისათვის წილის შესახებ ცნობა დაცულია 1794 წ. გიორგი ციციშვილის ბარათში: „გიორგი ციციშვილის, მინბაშის იმედო, ხვარბალაძე მამასახლისო, მერე მე რომ ერთი თუმანი რომ მომართვი, ოთხი მინალთუნი ხომ მე დავხარჯე. ეგ ექვსი მინალთუნი ჯავახის-შვილის თეიშურაზს მიართვი ახლავე... მიუცემლობა არ იქნება.“<sup>3</sup> იქნება.“<sup>3</sup> მოურავისა და ნაცვალის თანამდებობა გამოირჩეოდა შემოსავლიანი სარგოთი და აზნაურები ინიშნებოდნენ. მცხეთიდან ტაშისკარამდე გადაჭიმულ ციციშვილთა მამულებს მრავალი ასეთი მოხელეები ესაჭიროებოდა. სამოხელეო თანამდებობები მემკვიდრეობითი იყო ამა თუ იმ სააზნაურო გვარში, ან გვარის რომელიმე კონკრეტულ შტოში.

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ., 1448, ს. №39

<sup>2</sup> 1448 ს. №2860

<sup>3</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, მასალები შეარჩიდად გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953, გვ. 104, დოკ. №156

ამდენად, აზნაურთა მოხელეობა საპატიო და შემოსავლიანი სამსახური იყო და შესაბამისად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების წყარო, მაგრამ აზნაურის ძირითადი მოვალეობა სწორედ ლაშქრობა-ნადირობაში თავადის წინაშე მაინც მასთან ხლების წესი და მსახურობა იყო. ეს ვალდებულება, რა თქმა უნდა, გარკვეულ ხარჯებს ითხოვდა, რეგულარული თანხლება წყვეტდა მეურნეობას, ამიტომ აზნაურიც დაინტერესებულია თავადის მამულში ყმათა სიმრავლით, მამულიდან შემოსავლების ზრდით, მეურნეობის გაფართოებით, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა თავისი წილის გაზრდას და საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აზნაურის ხლების წესი სათავადოში ზუსტად იყო დადგენილი. სასახლისკაცო ურთიერთობის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა, თუ რომელი საგვარეულოს აზნაური უნდა იახლოს თავადმა, რომელი სახლის წევრებმა. მერალებეგ ციციშვილისა და მისი ბიძაშვილების ძმობისა და შერიგების წიგნში სათითაოდ არის ჩამოთვლილი ის აზნაურები და მსახურები, რომლებიც მერალებეგის ბიძაშვილებს უნდა ხლებოდნენ: „დავითს და პაატას უნდა გახლდესთ“; ბუნიათისშვილი ნიკოლოზ თავისის ყმითა მამულითა, ქიმაძე თავის მამულით, ნასყიდაშვილები თავის მამულით, კოპაძე თავის მამულით, ქობულაშვილი თავის მამულითა, აბრამისშვილი თავისის მამულით ამათ არც ეთხოვებოდეს ხემწიფის სათხოვარი, არც ჩვენი, არც ღალა, არც კულუხი. მსახურად უნდა გახლდეს: გვერდწითელი ჯანიბეგ, უზნაძე ნიკოლოზ, ჩინჩალაძე ქაიხოსრო, ჯაგრაშვილი ბერო, ალიბეგისშვილი გოგია, დალაქი ნასყიდა, ღონლაძე ბერო, ფურცელაძე დათუნა, წინამძღვრიშვილი ივანე. ამ მსახურებს მალი არ ეთხოვოს თავის თავათ.“<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV. ტექსტი გამოსცა, შენიშ-

დადგენილი აზნაურის ხლების წესი ხშირად ირღვევოდა, რაც იმით აიხსნება, რომ თვითონ აზნაურები აქტიურად ერეოდნენ სახლისკაცთა დავებში, ემხრობოდნენ ციციშვილთა საგვარეულო სახლის, ხან ერთ, ხან მეორე ოჯახის წევრს. ცდილობდნენ სათავადო სახლის შიგნით დაპირისპირება სახლის წევრებს შორის თავიანთი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ, მხარდაჭერას უცხადებდნენ სასურველ, ხშირად ძლიერ და გავლენიან თავადს ან თავადიშვილს. საკუთარი ოჯახის და მეურნეობის დაცულობა-მფარველობის შესაძლებლობის, გავლენის, პირადი თვისებების თუ მასთან დამოკიდებულების და სხვა სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებით. ზოგიერთი დიდი სააზნაურო სახლი ათეულობით გვერდით შტოდ იყოფოდა და მათ შორისაც გვხვდება სამამულო დავა და ღრმა დაპირისპირებანი.<sup>1</sup>

ზოგჯერ ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ციციშვილები ამჯობინებდნენ „უღებით“ უკმაყოფილო აზნაურების გათარხნებას. იმის შიშით, რომ მამულიდან არ წასულიყვნენ. 1724 წლის წყალობის წიგნით, სეხნია ნოდარის ძე ციციშვილმა მისმა ბიძაშვილებმა, ოთარმა, ციციმ, ბაგრატმა, ნოდარმა, ძმისწულმა ფარსადან, ძმამ დემეტრემ ბიძაშვილმა იესემ, ზურაბმა, ერასტიმ ძმისწულმა ალექსანდრემ, იოთამმა და დავითმა „სულ ჴელი ერთპირ“ თავიანთ აზნაურიშვილებს მისცეს, რომ აღარ გამოართმევენ „არც საქორწილოს და არც „ვალის თეთრს“. აღიარებენ, თუ ვიღებდითო როდისმე თქვენგან უმართებუ-

---

ვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 896; ხეც. ფ., Hd, №10245

<sup>1</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, მასალები შეარჩიდა გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ. 273, დოკ. №185.

ლოდ ვიქცეოდითო, ე.ი. როგორც ჩანს, ამას სისტემატური ხასიათი არ უნდა ჰქონოდა: „არც საქორწილო და არც ვალის თეთრი არც ძველთაგან ეთხოვბოდათ. ჩვენ როცა გთხოვდით, უმართებულო იყო და არას გემართლებოდით. რადგან რო ძველადგანაც არ გეთხოვებოდით, ჩვენც ასე გაათავისუფლეთ და ამოგიკვეთეთ, რომ არც ჩვენი საქორწილო, არც ვალის თეთრი არას ჩვენის დაჭირებისათვის ჩვენგან თქვენ თეთრი არ გეთხოვებოდეს“.<sup>1</sup> რაც შეეხება „უღებს“ – (კანონით დაუწესებელი, დაუდებელი გადასახადი) სისტემატურ და დაკანონებულ ხასიათს არ ატარებდა. ამაზე მიანიშნებს ციციშვილთა გაყრილობის წიგნი: აზნაურიშვილის ყმებს თუ გამოართმევდნენ რასმე, ნახევარს ნიკოლოზ აიღებდეს და ნახევარს ამილლაბარს მისცემდეს.“<sup>2</sup>

XV-XVIII სს. საციციანოს აზნაურის სამფლობელო შედგებოდა სამკვიდრო ყმა-მამულისაგან, ბატონისაგან ნაწყალობევი და მის დამოუკიდებლად ნაშოვნი, პირადი გარჯით შექმნილი ყმა-მამული, ე.ი. სათავისთაო საკუთრება (ნასყიდი, ნასისხლი, ნამზითვი, ნაჯილდოები და სხვ.). ნაწყალობევი და სამკვიდრო ქონება განიხილებოდა პირობით საკუთრებად, რომელიც მსახურების პირობით ჰქონდა მიღებული ციციშვილებისაგან. ძირითად, არსებით განსხვავებას სათავადო და სააზნაურო მიწათმფლობელობას შორის სწორედ ეს წარმოადგენდა, რომ თავადი ამ ქონების სრული მესაკუთრე და განმკარგველი იყო. ამ ქონების გასხვისების უფლება კი ციციშვილთა აზნაურებს, სხვათა მსგავსად არ ჰქონდათ. აზნაურის ყველაზე მტკიცე საკუთრება ნასყიდი ყმა-მამული იყო, რომელსაც თავის სურვილისამებრ მოიხმარდნენ, თუმცა აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ნასყიდობის აქტი ბა-

---

<sup>1</sup> ხეც. ფ., Sd, საბ. №427

<sup>2</sup> სცსსა., ფ. I, ს. №627

ტონის ნებართვით უნდა ყოფილიყო შედგენილი: „თუ ბატონს ენდომება იმ მამულის სყიდვა, იმისი უპირანია...თუ იმის ბატონს არ ენდომება სყიდვა, დასტურს დასცემს წერილის მოცემით და მერე ვისაც უნდა მიჰყიდოს“- გარკვევით მიანიშნებდა ვახტანგის სამართალი.<sup>1</sup> სხვა შემთხვევაში შეეძლო დაერღვია ნასყიდობის აქტი და არ მიეცა გაყიდვის უფლება. აქედან გამომდინარე, ნასყიდობის პირობები მებატონესთან „შეთანხმებით“ ღებოდა.

თვითონ აზნაურები ყმა-გლეხებისგან გამოირჩეოდნენ პირადი თავისუფლებით, ნასყიდი მამულის განკარგვის უფლებით, სამოხელეო სახელოს შემოსავლის მაღალი სარგოთი. აზნაურის თავადისგან წასვლის უფლების შესახებ გ. აკოფაშვილი ხაზგასმით აღნიშავდა: „აზნაურის პირადი თავისუფლება იყო ბუნებრივი, უღაო უფლება ფეოდალური კლასისა, რომელსაც ეს ფენა ეკუთვნოდა და მას საგანგებო აღნიშვნა არ ესაჭიროებოდა საკანონმდებლო ძეგლებში.“<sup>2</sup> თუმცა ამ უფლების გამოყენება დროთა განმავლობაში იმდენად სადაოდ გადაქცეულა და აფერხებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას, რომ საჭირო გამხდარა მეფე ერეკლეს საგანგებოდ გამოეცა 1795 წელს სასამართლო განაჩენი, რომლითაც აზნაურებმა მიიღეს პირადი თავისუფლება:“ მებატონემ ყმა ან მამული გაუყიდოს, ან ჩამოართოს და ან კიდევ თითონ აზნაურიშვილმა თავის ნებით ყმასა და მამულზე ჯელი აიღოს და თავისის მამულიდამ ადგეს, თავის მებატონეს საქმე აღარ ექნება“<sup>3</sup> ე. ი. აზნაურს მებატონისგან

---

<sup>1</sup> სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 211-213.

<sup>2</sup> აკოფაშვილი გ., აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხი-სათვის XV-XVIII სს. საქართველოში მსკ 32, თბ., 1955, გვ. 87

<sup>3</sup> სცსსა., ფ. 1448, ს. №873



წასვლის უფლება ჰქონდა, თუ ნასყიდი ქონების გარდა ყმა-მამულს მას დაუტოვებდა.

XVIII ს. მეორე ნახევრის ნასყიდობის აქტებში ხაზგასმითაა მინიშნებული აზნაურის ნასყიდი ქონების გაყიდვის, გასხვისების უფლება. ერეკლე II-ემ თავადებს დავით, პაატა და ნიკოლოზ ციციშვილებს ჩამოართვა აზნაური მეღვინეთ-ხუციშვილი თავისი ძმისწულებით და სახასო ყმად გაიხადა, მეღვინეთ-ხუციშვილების სამკვიდრო მამული ციციშვილებისად სცნო, ხოლო ნასყიდი კი მეღვინეთ-ხუციშვილებს დაუტოვა. „ციციშვილს პაატას და ნიკოლოზის წილიდამ უმამულოთ გამოვართვით და ჩვენს სახასოთ დავიჭირეთ. ციციშვილებს გაყრა რომ მოუნდეთ, სხვა სახლიკაცებმა ამ მეღვინეთ-ხუციშვილის სამაგიეროდ უმამულოთ სხვა აზნაურიშვილი უნდა აიღონ და ამათთან ციციშვილებს საბატონყმით ხელი აღარა აქვს... რომელი მამულები ამ მეღვინეთ-ხუციშვილებს ნასყიდი აქვს და ან მოსული კაცი ჰყავს, რომ ციციშვილებისაგან მიცემული არ ყვანდესთ, ის იმათივე არის და ვერც ვერავინ მოუშლისთ და რომელიც ციციშვილებისაგან ამათ ყმა და მამული მისცემია, ის ისევ ციციშვილებისა არის და მეღვინეთ-ხუციშვილებს ამ ყმასთან და მამულთან ხელი აღარ აქვსთ“<sup>1</sup> მაგრამ თუ აზნაური მძიმე დანაშაულს ჩაიდენდა, ბატონს უფლება ჰქონდა ჩამოერთმია მისთვის მთელი ქონება. პირდაპირი მემკვიდრის გარეშე დარჩენილი, უძეოდ გადაგებული აზნაურის ყმა-მამული, ე.წ. ბეთალმანი მამული მთლიანად თავადის მფლობელობაში გადადიოდა.<sup>2</sup> მოკლეული აზნაურის სისხლიც თავადს ეკუთვნოდა. აზნაურის სისხლი ვახტანგ მეექვსის სამართლის მიხედვით მნიშვნელოვნად განირჩეოდა: „გადიდებულის აზნაურის სისხლი-ასოთხმოცდათორმეტი თუ-

---

<sup>1</sup> ხეც.ფ., Qd, საბ. №420

<sup>2</sup> სცსსა.ფ. 1448, ს. №874

მანი, ამასთან ასრე წინამძღვრის სისხლი. ამას ქვემოთის, შუას აზნაურის სისხლი - ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი. ამასთან ასრე - მღვდელ მონაზნის სისხლი. ცალმოგვის, მესამე აზნაურის სისხლი-ორმოცდარვა თუმანი.“<sup>1</sup> აზნაურთა ხარისხის განსზვავების საფუძველი ძირითადად, მათი ქონებრივი მდგომარეობა იყო, რომლის საფუძველი სამეფო კარზე და სათავადოშიც სამოხელეო თანამდებობები იყო, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტურ წყაროებში საციციანოს აზნაურთა ხარისხებად ასეთი დაყოფა არ გვხვდება.

რაც შეეხება საკითხს, რამდენად შეედლოთ და თუ სარგებლობდნენ პირადი თავისუფლებით საციციანოს აზნაურები, პასუხი ერთმნიშვნელოვანია, რამდენადაც სათავადოს ძლიერების საფუძველი აზნაურობა იყო, იმდენად ციციშვილები ყველანაირად ცდილობდნენ არ მიეტოვებინათ მათი მამული, ან მეფის სახასო მამულს არ შეჰკედლებოდნენ სამკვიდრო ყმა-მამულის დატოვების შემთხვევაშიც, რადგან სათავადო მეურნეობის გაძლოლის სიმძიმე და ყმა-მამულის მოვლა-პატრონობა აზნაურის მოვალეობად ითვლებოდა და მადენად მამული მოუვლელი დარჩებოდათ. სწორედ, ამიტომ დაუწყეს აზნაურებს ყმობიდან განთავისუფლების წიგნის დადების აუცილებლობა.

ხშირად საჯილდაო მამული სადაო ხდებოდა საციციანოს აზნაურთათვის. 1783 წლის დოკუმენტში სარდალ დავით ციციშვილს მოახსენებდნენ აზნაური კლიმიაშვილები: „ლაპარაკი ჩამოვარდა რუისის ღთაების სასაფლაოზედ. კლიმიაშვილები ამბობდენ: ბატონის ჩვენისაგან არ მოგვცემია, ჩვენის კაცობით გვიშოვნია საჯილდაოთა. იმ სისხლის განაჩენში ეწერა: მესამედი სასაფლაო ღთაებისა, როგორც მამუ-

---

<sup>1</sup> სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 189.

ლი მოგვცემია, ისე ღთაების სასაფლაო მოგვცემია საყდარში. ... ამ სისხლის განაჩენში ასე ეწერა, რომ ატენს ზეით ჩვენი ყმა და მამული, რუისის ღთაების მესამედს სასაფლაოს და ყმასა და მამულს გარდა და არადეთს მუჩათიძეებს გარდა, ჩვენის განაყოფებისათვის დიდის ციციის სისხლში მიეცათ.“<sup>1</sup>

რაც შეეხება ნამზითვ ქონებას, თავისუფლად შეეძლოთ თავიანთი სურვილისამებრ ნამზითვი ყმა-მამულის გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება, მით უმეტეს, თუკი საკუთარ მებატონეს ეხებოდა, ან მის ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა. 1738 წელს აზნაური ოთარ ალექსისშვილი ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნით აძლევს დედისეულ ნამზითვ ყმა-მამულს ფარსადან ციციშვილს: „...თქვენ ციციშვილს დიდის ნოდარის შვილის შვილის ზაზას შვილს ბატონს ფარსადანს, ძმასა თქვენსა ალექსანდრეს და დავითს ...ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენის ნება-წადილით ჩვენი ალალი მამული, დედის ჩემის ზითევი გარკალს [გრაკალს – მ.მ.] შემაზაშვილი მელქუა, მისი ძმა ზახუა თავის სახლის მომავალითა და მამულითა, რისაც მქონებელნი იყვნენ. იქავ ტეტიაშვილის პაპას ნაქონი მამული და უმეკაშვილის ზურაბას მამული. ეს ერთი მსახლობელი შემაზაშვილი და ორის აყრილის გლეხის ნაქონი მამული მათის საყდრით და სასაფლაოთი, წყლითა და წისქვილითა, ველითა, ვენაჯითა, სახლკარითა, ქვევრ-მარნითა, სახლითა, კარითა, კალო-საბძლითა, შესავლითა, გასავლითა, საძებრითა, უძებრითა, ყოვლის სამართლიანის სამძღვ-

---

<sup>1</sup> საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. III, თბ., 1910, №16; №12 გვ. 11-12.

რითა, რისაც მქონებელნი ყოფილიყონ, თქვენთვის მოგვიყი-  
დია...“<sup>1</sup>

სათავადოში „ნებიერად“, წყალობის აზნაურებად, მოსუ-  
ლებს ციციშვილები ხელგაშლით იღებდნენ. ყმა-მამულს და  
აზნაურობასაც აძლევდნენ, სანაცვლოდ ეკისრებოდათ მება-  
ტონის სამსახური. ვახტანგ მეექვსის სამართლით: „თუ  
სხვას ქვეყნიდამ სხვას საბატონოს მკვიდრი კაცი საყმოდ  
მოუვიდეს ვისმე, ვისაც უწინ მოუა და ეტყვის, „შენ გყმობი-  
ვარო“ ან იქილამ ბირებია, იმას ის კაცი აღარ წაერთმევის,  
რა გინდ სხვა ბატონი მოინდომოს იმ მოსულმა კაცმა.“<sup>2</sup> ამ-  
დენად, თავისუფალი წასვლის უფლებას მალევე კარგავდნენ  
და ამ უფლების მიღება-წყალობის აზნაურებსაც მხოლოდ  
ყმობიდან განთავისუფლების წიგნით ეძლეოდათ, ან სახასო  
აზნაურობით აღწევდნენ თავს. ამის ნათელი მაგალითია საა-  
თაბაგოდან საციციანოში წყალობის აზნაურებად გადმოსული  
გვარამაძეების საგვარეულო ოჯახის ისტორია, რომელთაც  
ციციშვილებისაგან თავი დააღწიეს მხოლოდ მეფის სახასო  
ყმობაში გადასვლით.<sup>3</sup>

თავად ციციშვილთა ერთი ნაწილი ყოველ ღონეს ხმა-  
რობდა, არა მარტო შეენარჩუნებინათ თავისი ნებით გადმო-  
სულები, არამედ თავიანთი სანათესავო კავშირებით, თავად  
ცდილობდნენ მოეზიდათ საათაბაგოდან, იმერეთიდან, კახეთი-  
დან აზნაურები და ყმა-გლეხები, საამისოდ წინასწარ აძლევ-  
დნენ პირობისა და გარიგების წიგნებს. ჯავახეთიდან გადმო-

---

<sup>1</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმუ-  
რი ურთიერთობა (XV-XVIII სს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,  
1940, გვ. 274-275, დოკ. №392.

<sup>2</sup> სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა  
და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 238-239.

<sup>3</sup> საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. III,  
თბ., 1910, დოკ. №170 გვ. 146-147; ქსძ., ტ. 8 გვ. 388, დოკ. №369.

სულების შესახებ ციციშვილთა საგვარეულოს ურთიერთ შეთანხმების წიგნი შეუდგენიათ, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული: „რაც აყრილი კაცი ჯავახეთს არის, ის ვისაც მამულში ჩამოვიდეს, ერთმანეთთან საქმე არა გვაქვსრა, სადაც გლენს უნდოდეს იქ დასახლდეს-ო.“<sup>1</sup> ასევე დაეძებდნენ გაქცეულებს, ტყვედ ჩავარდნილებს და შეღავათებს პირდებოდნენ. ალექსანდრე ციციშვილის აზნაური ბეჟან დანდლიშვილი ლეკებს ჰყავდათ დატყვევებული და მეფე თეიმურაზ მეორეს გამოუხსნია. სარდალი პირობის წიგნს დებს მეფესთან 1760 წ. 14 თებერვალს, რომ, თუ შეძლებდნენ და ამ აზნაურის დასახსნელ თანხას მიართმევდნენ, მათი აზნაურშვილი ისევ მათთვის ებოდებინა. ციციშვილებს მართლაც მოუხერხებიათ აზნაურის დახსნა: „ესე წიგნი მოგართვით ჩვენ ციციშვილმა, სარდალმა ალექსანდრემ და ჩემა, ბიძაშვილმა გოგიამ, პაატამ, გლახამ და ნიკოლოზ ჩვენს ხელმწიფეს, მეფეს თეიმურაზს, ასე რომე ჩვენი აზნაურიშვილი დანდლიშვილი ბეჟანა ლეკისაგან დატყვევდა და თქვენ დაიხსენით ათ თუმნათ. მერმე თუ ჩვენ შევძელით დახსნა და თქვენი თეთრი ათი თუმანი მოგართვით, ჩვენი აზნაურიშვილი ისევ ჩვენ გვიბოძეთ... დაგიხსნიათ და ღმერთმა გამარჯვებაში მოგახმაროსთ“.<sup>2</sup> 1781 წლის საბუთით, ბეჟან დანდლიშვილი ქალაქის მოურავის ალექსანდრე სარდალის მემკვიდრის დავით ციციშვილის ყმად მოიხსენიება.“<sup>3</sup>

ტყვეობიდან თავის აზნაურის გამოსახსნელად ციციშვილები, საშიშროების მიუხედავად ლეკებთან უშუალო მოლაპარაკებასაც არ ერიდებოდნენ. შერმაზა გნოლიძე 1766 წლის

---

<sup>1</sup> ხეც. ფ., Hd, საბ. №806

<sup>2</sup> საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. III, თბ., 1910, დოკ. №16, გვ. 14-15.

<sup>3</sup> ხეც. ფ., Ad საბ. №1955

სიგელში უდასტურებდა პაატა ციციშვილს: „მე გნოლიძე შერმაზას პაატა ციცი-შვილმა მოწმობა მკითხა. ღთის წინა-შე ამისი დამსწრე და მნახავი ვარ: ხუცია ლეკებში დატყუებულეყო და სამთავის მეყვანათ, პატა ჩავიდა და დაეხსნა ლეკისაგან, ცხვილოს ამაიყვანა პერანგა. არ ვიცი რა მისცა, დახსნით ამან დაიხსნა. მე და ჩემმა სულმან და ღმერთმანა მისი მოწმე ვარ.“<sup>1</sup>

XVIII ს. მეორე ნახევრიდან ცენტრალური ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიკურ რეფორმებს, მნიშვნელოვანი პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები მოჰყვა ქვეყანაში. სათავადო სისტემის რღვევამ, ვაჭრობის ზრდამ, 1750 წელს დარიალის ე.წ. „რუსეთის გზის“ გახსნამ და გაზრდილმა სავაჭრო მოთხოვნილებამ მარცვლეულზე, ხელოსნულ ნაწარმზე, პირველადი მოხმარების საგნებზე, ხელი შეუწყო ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებას და მანუფაქტურული წარმოების შექმნას. პარალელურად სავაჭრო კავშირ-ურთიერთობა გაფართოვდა ირანთან, ოსმალეთთან, ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რასაც, თავის მხრივ, ქვეყნის შიგნით მოჰყვა ფულზე მოთხოვნილების ზრდა, მიწების ყიდვა-გაყიდვა, მამულების „ამოდრავება“ - გაფართოება-დამრგვალება, რაციონალურ საფუძველზე მოწყობილი მეურნეობების შექმნა. ეს პროცესი აშკარად აისახა საციციანოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სათავადო აზნაურებზე.

სათავადო აზნაურების ერთი ნაწილი იწყებდა ბრძოლას ციციშვილთა ყმობიდან განთავისუფლებისათვის. მეორენი, სამოხელეო თანამდებობების მქონე სათავადოს აზნაურები სარ-

---

<sup>1</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა XV-XIX სს., ნ. ბერძენიშვილის რედაქციით 1953 წ. №99, გვ. 66.

გებლობდნენ სათავადოს ფუნქციების მოშლით, მათი გავლენის დასუსტებით, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით და ციციშვილთა საგვარეულო საკუთრებაზე დამყარებული თავადური ტიპის მეურნეობათა გვერდით, ინდივიდუალურ საოჯახო საკუთრებაზე დაფუძნებულ ახალი ტიპის მამულებში აქტიურად იწყებენ რაციონალური მეურნეობის მოწყობას.

ამ მხრივ დოკუმენტების სიმრავლით გამოირჩევა აზნაურ კლიმიაშვილების საგვარეულო სახლი. მათი ისტორია ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მაღალი სამონხელეო სახელოს მქონე სათავადო აზნაურების სოციალურ მდგომარეობაზე და საციციანოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებზე. კლიმიაშვილების აზნაურთა საგვარეულო სახლი რუისში პირველად XVII ს. მეორე ნახევრიდან მოიხსენიება შაჰნავაზის (1658-1675 წწ.) წყალობის წიგნში. მეფეს ციციშვილთა სამკვიდრო აზნაურები, დაუბრუნებია იმერეთში გადასულ, მეფეზე განაწყენებულ ციცი ციციშვილისთვის, თუმცა ჩვენამდე მხოლოდ 1723 წ. ძველი საბუთიდან გადმოწერილმა პირმა მოაღწია. „შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ ხელმწიფემან მეფემან მეფეთ მეფემან პატრონმან შაჰნავაზი... ციციშვილს ციცის რომე ცოტა საქმე რამე მოხდა, შემოგვწყერი და იმერეთს წახველ „ჩვენსა ერთგულებას ეცადე და იმერეთის დაჭერას ეცადე“ ამის სანაცვლოდ პირდება დაუბრუნოს თავისი კუთვნილი მამულები და აზნაურები:“ ყოვლითურთ უკლებლად დაგიბტკიცო ჳელშეუვალად... შენი სამკვიდრო მამული... აზნაურიშვილები ქურდეგანბიეები, ბუნიათისშვილები, მამუკა მალრაძე, ...უზნაძეები, ...ჩავაძე ფარეშუზ... გვერდწითლები, ....გედიაშვილები, ალექსი ალექსიძე, ალაიბეგისშვილი, ბულუტაური, ჩაჯავახი, წინამძღვრისშვილები, ციხის თავისშვილები, მელქისადექისშვილები, ჯზ ჩალაძეები, ღანჯა ერანმისშვილები, მ[ს]ტელისშვილი..., გამცემლისშვი-

ლი, ლარაძე, ... ალექსიძე.. რუისში კლიმიაშვილები, ბუღუ-  
ტაური ზაქარია, გოსტამ[ბ]იშვილები... ესეებიცა გვიბოძებია  
და სხვა წყალობაც ბევრი გიყოთ.“<sup>1</sup>

საციციანოში კლიმიაშვილების აზნაურთა სახლი XVIII  
ს. დამდევიდან ეკონომიკურად საკმაოდ დაწინაურებულ, გავ-  
ლენიან და კარგ მურნე საგვარეულოდ გვევლინება. აქტიუ-  
რად ეწევიან, მამულების ყიდვა-გაყიდვას, სარგებლობდნენ მე-  
ბატონისაგან შეღავათებით. აზნაური დათუნა მამაცასშვილი  
ნასყიდობის წიგნებით ამოწმებს კლიმიაშვილებისგან მიწების  
ყიდვას 1708-1710 წწ. განჩინებით: „მანგლელი ეფისკოპოზი  
ნიკოლოზ რუისის მლთაების საყდრის გარიგების საქმეზედ  
მივედით მამულების გასყიდულობაზედ და მოკითხული ვქე-  
ნით... მოვიდა დათუნა მამაცასშვილი, ვკითხეთ და წიგნები  
მოიტანა, რომ ის მამული ციცისშვილის აზნაურიშვილის  
კლიმიაშვილისაგან ეყიდა, ისრე მიეყიდა, რადგან თავისი  
ნასყიდი გაეყიდა, ჩვენ ჰელი არ გვქონდა და არცავის ხელი  
აქვს.“<sup>2</sup>

ამ პერიოდის საციციანოს მამულების ყიდვა-გაყიდვის  
დოკუმენტების სიმრავლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მამუ-  
ლებს აქტიურად ყიდდა საციციანოს გლეხობა და აზნაურები,  
მათ შორის ფუნქციადაკარგული, მეფე ვახტანგ VI-გან შევი-  
წროვებული, ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნი-  
ლი ციციშვილთა საგვარეულო. კლიმიაშვილების მეურნეობის  
ფართობის ზუსტი დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან იშვიათა-  
დაა მინიშნებული მიწის ზუსტი ფართობი დღიურ მიწებში.  
დოკუმენტებში შესყიდული ქონების ჩამონათვალი დაახლოე-

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. 1449 ს. №328

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV. ტექსტი გამოსცა, შენი-  
შვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 232, დოკ.  
158



ბით წარმოდგენას მაინც გვიქმნის მათ მიერ შექმნილ მეურნეობაზე, სამაგიეროდ შევძელით გაგვეჩვენოთ ყიდვა-გაყიდვაში მონაწილე პირთა სოციალური კუთვნილების საკითხი. კლიმათმეცნიერები სარგებლობენ ციციშვილთა ძმის ეკონომიკური მდგომარეობით და აქტიურად ყიდულობენ ციციშვილთა ყმებს სამკვიდრო მამულებთან ერთად.<sup>1</sup> ზაალ ციციშვილი ლეკების ტყვეობისგან თავდასხნის მიზნით იძულებული გამხდარა სამწევრელი მკვიდრი ყმა მიჰყიდოს, თავის აზნაურ კლიმათმეცნიერებს: „ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეც მე ზაალ ქვემო ციციშვილმა პერაბის შვილმა მანუჩარის ძმის წულმა შენ რუისელ კლიმათმეცნიერს დეკანოზ გიორგის და ძმას შენსა ბეჟანს და დავითს, შვილსა შენსა ბერუკას, იოსებს და ქაინოსროს...“<sup>2</sup>

ჩვენს ყურადღებას იქცევს, ის ფაქტი, რომ XVIII ს. მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე, მდივანბეგი, ფარსადან ციციშვილი იძულებული გამხდარა აზნაურ კლიმათმეცნიერებს სოფელ რუისში მიყიდოს ყმა-მამული, მათ შორის აზნაური, გიორგი კვეზერელი თავისი საკმაოდ დიდი სამკვიდრო ქონებით. დოკუმენტში პირველად მოიხსენიება თამაზ კლიმათმეცნიერის სამონხელეო თანამდებობა - ბოქაულთუხუცესობა: „ნოდარიშვილმა ციციშვილმა ბატონმა ფარსადან ძმამან ჩვენმან ალექსანდრემ და დავით და იოთამ შენ ჩვენსა ერთგულსა და მრავალგვარად ნამსახურსა ჩვენსა აზნაურიშვილს ბოქაულთუხუცესს თამაზს, ...დაგვეჭირა და მოგყიდეთ რუისს ჩვენი ალალ ნასყიდი გლეხი ნასყიდაშვილი ნასყიდა და ბერუა და ზურაბა და აქავე ამისი მეზობელი კვეზერელი გიორგი, თავიანთის მამულითა სახლითა კარითა წყლითა წისქვილითა ვენახითა ჭურითა, მარნითა, მიწითა, ხოდაბუნითა, საზნავითა,

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 ს. №77

<sup>2</sup> სცსსა., ფ., 1450 დავთ. 38 ს. №70

უხნავითა, სასაფლაოთი, შესავლითა და გასავლითა, საძებრითა და უძებრითა...“<sup>1</sup>

საციციანოში მიწების ამოძრავების ტენდენციას მძიმე სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოჰყვა. პრივილეგიებულ კლიმიაშვილთა მიწათმფლობელობის ზრდა-განვითარებას თან სდევდა აზნაურთა მეორე ნაწილის გაღარიბება. აქტიურად იძენენ მამულებს გაღარიბებული სათავადო აზნაურებისაგან, რომელთაც თავი ვერ გაურთმევიათ მამულის მოვლა-პატრონობისათვის. მოგვიანებით აზნაურ კვეზერელთა საგვარეულოს კიდევ ერთი განაყოფი ოჯახი გამხდარა იძულებული ვენახი და ბოსტანი მიყიდოს კლიმიაშვილების იმავე საგვარეულო ოჯახს: „თამაზს ძმას მისა, ბეჟანს, გიორგის, დავითს ქაიხოსროს შვილსა მისა ბერუკას და ივანეს პაატას კლიმიაშვილებს.“<sup>2</sup> მალე კლიმიაშვილები ვალებში ჩავარდნილ კვეზერელთა სასახლეს და მათ დარჩენილ ქონებას მთლიანად ყიდულობენ „დღეს რისაც მქონებელი იყოს თავისის სასახლით შესავლითა და გასავლითა ვენახითა და მიწითა, წყლითა და წისქვილითა და გზითა და სასაფლაოთი ავღევით ფასი სრული და უკლებელი აღარა დარჩენილა რა ჩვენსა და თქვენში სასამდურო და სალაპარაკო“.<sup>3</sup> კვეზერელთა საგვარეულო მიწების ყიდვის შემდეგ, კი მათი ინტერესი მეურნეობის შემდგომ გასაფართოებლად, კვეზერელის მიწის მოსაზღვრე აზნაურ ბულუტაურის ნაფუზარი მიწის შესყიდვა გახდა საჭირო. ფარსადანსა და ქაიხოსროს შორის გაყრისას, ფარსადანს საუფროსოდ ერგო ყმა-მამული რუისში და მათ შორის სათავადო აზნაურის ბულუტაურის მამული.<sup>4</sup> მა-

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ., 1450 დავთ. 38 ს. №63.

<sup>2</sup> სცსსა., ფ., 1450 დავთ. 38 ს. №83

<sup>3</sup> სცსსა., ფ., 1450 დავთ. 38 ს. №80

<sup>4</sup> ხეც., ფ., Hd, საბ. №806

ლე კლიმიაშვილთა ეს შტო ეუფლება აზნაურ ბულუტაურის „გზასა და გზას შუა ორი დღის ნაფუზარ მიწას, კვეხელის მიწის მიდგამდის...“ დოკუმენტის წაკითხვისთანავე ბუნებრივია იბადება კითხვა, რატომ გახდა საჭირო ნასყიდობის წიგნში ბულუტაურის მიწის ადგილმდებარეობის საგანგებოდ, ხაზგასმით აღნიშვნა „კვეხელის მიწის მიდგამდის“, ჩვენი აზრით, აქ მკაფიო მინიშნება გამხდარა საჭირო იმიტომ, რომ გზასა და გზას შორის მდებარე მიწასთან ერთად მისასვლელი გზის ხელში ჩაგდება კლიმიაშვილთათვის აუცილებელი მთლიანი მეურნეობის შემოსაზღვრის, დაცვის, მოსავლის გატანა-ტრანსპორტირების და რეალიზაციისათვის. „ერთობას“ გამოხატავენ და ნასყიდობას ხშირად ამოწმებენ სათავადო აზნაურები ნიკოლოზ ტერტერასშვილი, ფრანგისშვილი.<sup>1</sup> რა თქმა უნდა, შემთხვევითი არც ის გვეგონია, რომ მოწმეები თითქმის ერთი და იგივე აზნაურიშვილები არიან. მიუხედავად ბოქაულთუხუცესის მაღალი თანამდებობისა, ნასყიდობის სიგელზე მათი დამოწმება ნასყიდობის იურიდიული დოკუმენტის სანდობის ხარისხს განსაზღვრავდა და სამომავლო დავის საშიშროებას გამორიცხავდა.

კლიმიაშვილები პარალელურად იძენენ მამულებს, მიწის მესაკუთრე გლეხებისგან ერთი დღის მიწას გელელაშვილებისაგან და მეზვრიშვილების ოჯახისაგან: „იყიდეს კლიმიაშვილებმა: თამაზ, ბეჟან, გიორგი, დავით, ქაიხოსროს, ბერუკასა ივანესა პაატასა და მათთა მომავალთა სახლთა კლდის თავს, ორი დღის მიწა საზენაქროდ.... მტკვრის პირამდე...“.<sup>2</sup> აღნიშნული მამულის ნასყიდობის წიგნის მიხედვით, მათი მეურნეობის საზღვარს უკვე მტკვრის პირამდე მიუღწევია.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 საქმე №75

<sup>2</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 საქმე №76

<sup>3</sup> ხეც., ფ., 1450 დავთ. 38 საქმე №72

ჩანს, მტკვრის სანაპირო ზოლის დასაკუთრებაც მათი მიზნების არეალში მოქცეულა. ამას ერთი ახსნა აქვს მხოლოდ, მდინარე მტკვარი ამ პერიოდში კვლავ მთავარ სანაოსნო მდინარედ რჩებოდა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გორისა და თბილისის სავაჭრო ცენტრებში გადატანის ყველაზე მოსახერხებელი და მომგებიანი გზა იყო ურმებით ტრანსპორტირებასთან შედარებით. ტვირთი ძირითადად ფიჭვის ტივებით გადაჰქონდათ.<sup>1</sup>

ამ ქალაქების სავაჭრო ცენტრების მნიშვნელობის და ბაზრებზე ქართული და უცხოური საქონლის მრავალფეროვნების შესახებ საინტერესო ცნობები გვხვდება მკვლევარების, ნ. ბერძენიშვილის, შ. მესხიას და ე. მამისთვალიშვილის, ი. ანთელავას, მ. სამსონაძის მონოგრაფიებში. ამის შესახებ აღნიშნავდნენ უცხოელი მოგზაურები, შარდენი<sup>2</sup>, გიულდენშტედტი<sup>3</sup>, პეისონელი<sup>4</sup> და სხვ.

ქართული წყაროებიდან საქონლის სიუხვეს და მრავალფეროვნებას ხაზს უსვამს იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“<sup>5</sup> და დასტურლამალი.<sup>6</sup>

---

<sup>1</sup> ხეც., ფ., 1450 ს. დავთ 52 ს. №15

<sup>2</sup> ჟან შარდენის ოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევადა კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 296.

<sup>3</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. გვ. 63, 93.

<sup>4</sup> შ. A. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, с. 134;

<sup>5</sup> იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, თბ., 1936, გვ. 194-195.

<sup>6</sup> დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 82.

პროდუქციის საბაზროდ წარმოების და ვაჭრობის განვითარების იდეა გასდევს ბაგრატ ბატონიშვილის 1816 წ. დათარიღებულ ტრაქტატს “შემოკლებული სოფლის ეკონომია“. მისი ცნობით: „შემოსავალი ყოველივე მამულისა... განიყოფების სამად. ერთი ნაწილი აიღების სახლის სახარჯავად, მეორე -შესანახავად; ხოლო მესამე - გაიყიდების.... „მებატონეს მართებს რათა ჰყუნდეს პირუტყვი მრავლებით ...ცხუარი მისცემს დიდს სარგებლობასა, აგრეთვე ღორი უფრორე, ღორის ქონი იხმარება საპნად და სანთლად, ხოლო ხორცი ღორად, მძეხუად და საჭმელად.“<sup>1</sup>

სოფელ რუისში, მროველი ეპისკოპოსის მოწვევით მეფე გიორგის და ბატონიშვილ თეიმურაზის ტივით სტუმრობაზე საუბრობს პლატონ იოსელიანი. რუისიდან გორში მისული მეფე კი დასწრებია გორიჯვრის ეკლესიაში ბატონიშვილ თეიმურაზის ჯვრისწერას ამილახვრის ასულ ელენეზე.<sup>2</sup>

ამდენად, სოფელ რუისის მთავარ სავაჭრო სატრანზიტო გზასთან და სავაჭრო ქალაქებთან სიანხლოვემ, ტრანსპორტირების სიიაფემ, მარცვლეულის, ფქვილის, ხილის, ღვინის და სხვა ნაწარმის რეალიზაციით მიღებული დიდი მოგებით და ბაზრის მზარდი მოთხოვნილებით უნდა აიხსნას, ის მოტივაცია და ახალ-ახალი მამულების შექმნისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, რაც აშკარად ჩანს კლიმიაშვილების საქმიანობაში. მეურნეობის შემდგომი გაფართოების მიზნით, ნასყიდობის წიგნითა და სიგელებით იბრუნებენ უკან ადრე გაყიდულ მამულებს.<sup>3</sup> მათი მამულების საზღვრებს შორის

---

<sup>1</sup> ანთელავა ი., XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977, გვ. 82;

<sup>2</sup> იოსელიანი პლატონ, ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა, რედაქტორი ა. გაწერელია, თბ., 1978, გვ. 83.

<sup>3</sup> სცსსა., ფ. 1450 დათ. 38 საქმე №78

მოქცეული მიწების გაყიდვაზე უარის შემთხვევაში, ჩანს, ძალადობას, შანტაჟს და ინტრიგებსაც არ ერიდებოდნენ და იძულებულს ხდიდნენ ნასყიდი მამულების გაყიდვაზეც დათანხმებოდნენ. ნარიმანაშვილებისაგან ნასყიდობის სიგელში ამაზე საინტერესო მინიშნებაა: „დრო მიზეზ მოუდევარ მოუსარჩლელ ყოვლის ჩხუბის და ხლათისაგან გამო სულ ნასყიდობის დაგიდევით და მოგყიდეთ ნარიმანაშვილებმან ნინიამან, ხიზანმან და პაპუამ.. თქვენ, კლიმიაშვილებს... მიწა ფიჭვნარში...“<sup>1</sup> როგორც ჩანს, ბოქაულთუხუცესობის მაღალი თანამდებობის წყალობით, „ყოვლის ჩხუბის და ხლათისაგან“ შეძლო თამაზ კლიმიაშვილმა, ნარიმანაშვილები რაციონალური მეურნეობისათვის ყოველმხრივ მომგებიანი მიწების გაყიდვაზე დაეყოლიებინა, მათ შორის მშენებლობებისა და საბაზრო პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის მეტად ფასეულ ფიჭვნარზე, სწორედ ეს გამხდარა ნასყიდობის სიგელის მთავარი მიზანი. საყურადღებოა ნასყიდობის ფორმულირება: „...ბატონ ზაალის დასტურით „თქვენსავ მიწის ნასყიდს მიწის მოდგმამდის... აქეთ თავს ჩემს მიწის მოდგმამდის... კიდევ აქეთ ჩემს მიწის მოდგმამდის.“<sup>2</sup> აღნიშნული ამონარიდი აშკარად მიანიშნებს ერთ მხრეს კლიმიაშვილების საზღვარს, მეორე და მესამე მხარეს მოსაზღვრე ნარიმანაშვილების საგვარეულო მამულებს და თუ მის მიწებს ვერ შეიძენდა, თავისი სურვილისამებრ მეურნეობის გაფართოვება-„დამრგვალებას“ ხელი ეშლებოდა. ამონარიდი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ მიწების გაყიდვის დასტური თავად ზაალ ციციშვილისაგან მიუღია. სარგებლობენ რა ასეთი მხარდაჭერით კლიმიაშვილები, მოსაზღვრე აზნაურ ნარიმანიშვილს აიძულე-

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38, საქ. №74

<sup>2</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 საქმე №81

ბენ უკანასკნელი საარსებო მიწის ნაკვეთიც მას მიჰყიდოს.<sup>1</sup> უკანასკნელი სარჩოს გარეშე დარჩენილ სააზნაურო გვარის შტოს ისღა დარჩენია მეფეს სთხოვოს მფარველობა.<sup>2</sup> თუმცა ეს გვარი 1783 წლის ტრაქტატის დართულ სიებში საერთოდ აღარ მოიხსენიება. საკუთარი მებატონისგან, ზაალ ციციშვილისაგან ასეთმა მხარდაჭერამ თავის მხრივ გააჩინა ინტერესი გაგვერკვია, რატომ არის მებატონე დაინტერესებული კლიმაშვილების მეურნეობის გაფართოებით, ხომ არ იკვეთება მხარდაჭერის სანაცვლოდ ორივე მხარის პირადი ინტერესები? ვფიქრობთ, ასეთი ურთიერთობა ორივე მხარისთვის სარგებლობის მომტანი უნდა ყოფილიყო. რადგან, ჯერ ერთი, ოდესღაც გავლენიანი ფანასკერტელ-ციციშვილთა გვარიშვილობისათვის ამ პირობებშიც კვლავაც სათაყილოდ, მიუღებლად ითვლებოდა მეურნეობის მოვლა-პატრონობა. სათავადოს უფროსისგან ბოძებული მაღალი თანამდებობით და მხარდაჭერით გამორჩეული, ეკონომიკურად გაძლიერებული აზნაურის შევიწროებისათვის სათანადო ძალები, რა თქმა უნდა, არ ეყოლებოდა ზაალს, რადგან საგვარეულოს ერთიანობა დიდი ხანია დაკარგულიყო და ურთიერთმტრობას დაესადგურებინა. მეორეც, აცნობიერებდა მთავარ საშიშროებას, რომ ამ საგვარეულო ოჯახთან დაპირისპირებას შესაძლოა მოჰყოლოდა მათი დაახლოება სამეფო კართან და მფარველობის მიღება. ამას მოჰყვებოდა არა მარტო სათავადო აზნაურთა ამ საგვარეულო შტოს დაკარგვა, არამედ მათ მიერ დიდძალი ნასყიდი ყმა-მამულის საბოლოოდ დაკარგვა. მეფის მფარველობაში მყოფი კლიმაშვილები და მათთან დაახლოებული საციციანოს აზნაურები კიდევ უფრო საშიშროების

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 საქმე №90

<sup>2</sup> სცსსა., ფ. 1450, დავთ. 26, ს. №3,4,7; ფ. 1449 ს.№1025

მომტანნი იქნებოდნენ და შესაძლოა საციციანოს, არაგვის და ქსნის საერისთავოთა (1743 -1777 წწ.) ბელიც გაეზიარებინა.

ამდენად, სამეფო აზნაურებად გადაქცევის საშიშროება ერთგვარად, მათ შორის ურთიერთობებს არეგულირებდა. რაც შეეხება კლიმიაშვილების არჩევანს სათავადო აზნაურებად დარჩენასთან დაკავშირებით, რამდენად პერსპექტიული იყო აღნიშნული გადაწყვეტილება მათი მხრიდან. მინდა აღვნიშნო, რომ ციციშვილებისაგან ასეთი დიდი მხარდამჭერა, მეურნეობის შემდგომი გაფართოების სრული თავისუფლება, რესურსების სიუხვე, სამოხელეო სახელო, მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები, ბევრად მომხიბვლელი ჩანდა, ვიდრე მათთვის „გაურკვეველი“ სახასო აზნაურობა, რადგან ხშირი იყო ცნობები, როცა მეფე თავისი ნება-სურვილით უწყალობებდა ან ართმევდა ყმა-მამულს და თანამდებობებს როგორც სადედოფლო, ისე საუფლისწულო აზნაურებს, 1791 წლის „განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვსადმი სამეფოისათვს საქართველოდსას“<sup>1</sup> მიხედვით კი ქვეყნის საუფლისწულოებად დაყოფამ, გაზარდა საფრთხე მოსალოდნელი ცვლილებების და უფლისწულებს შორის დაპირისპირების, რაც შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ მაღალი სახელოს მფლობელ კლიმიაშვილებს, თუ გაითვალისწინებდნენ სამეფო კარზე მოსალოდნელ, დინასტიურ ცვლილებებსაც, ცხადია, ხელშეუხებლობის სრული დაცვით გარანტირებულნი მაინც ვერ იქნებოდნენ.

რაც შეეხება კლიმიაშვილების მამულების შემდგომი გაფართოების საკითხს, ნარიმანიშვილების მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდა აზნაური ლომი გვარამაძეც. დოკუმენტი

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II ტ., საერო საკანონმდებლო ძეგლები (X- XIX სს), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 515, 517, 519.



ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სწორედ კლიმიაშვილ-  
თა ძალმომრეობის გამო გამხდარა იძულებული ვენახი მათ-  
ვის მიეყიდა: „...ჟამთა და ხანთა გასათავებლად ყოვლის ჩხუ-  
ბის ხლათისაგან გამოსავალი ყოველის კაცის უცილობელი  
...სამკვიდრო ...ნასყიდობის წიგნი მოგეც მე გვარამაძემან  
...ლომძან მომავალთა შვილთა ჩვენთა ... ძმისწულთა...დიად  
საქმე მიჭირდა თათრობა იყო, დიად გამოსაღებმან ძალა  
გვყო შიმშილობაც ძრიელი მქონდა სხვა ღონე არ მედავა  
ულაჯვით ვყავით მოგყიდეთ ჩემის ყმის ბერიკაშვილის ნაქო-  
ნი ვენახი... ასე რომე ჩემის ბატონის მანუჩარის, ბადურის  
შვილის ზაალის...ბრძანებით ან დასტურით მომიყიდა ღ  
ნ მოგახმაროს ავიღევით ფასი სრული... ამის მოწამე შემრიგე-  
ბელი განაყოფი ფრანგიშვილი, (იგი აზნაურია სხვაგვარად  
დანარჩენების მსგავსად ყმად მოიხსენიებდნენ)... გვარამაძის  
ყმა პატა ბელეშვილი, ივანე ვარძელაშვილი, ლეთეთელნი ნო-  
დარიშვილის ყმა.“<sup>1</sup>

კლიმიაშვილებზე მეტკვიდრეობით გადადის ბოქაულთუ-  
ხუცესის სახელო. თამაზ კლიმიაშვილისაგან მეტკვიდრეობით  
მიუღია აღნიშნული სახელო მის ძმას ბეჟანს, რაც საათაშ-  
ვილი იოსებისგან მამულის ნასყიდობის სიგელიდან აშკარად  
ჩანს: „სათაშვილმა იოსებ და ძმამან ჩემმან... კლიმიაშვილს  
ბოქაულთუხუცესს ბეჟანს ძმასა თქვენსა მღვდელს გიორგის,  
... დავითს... ბერუკას შვილთა იოსებს და ქაიხოსროს... დავ-  
ჭირა და მოვედით ჩვენის ნება წადილითა, მოგყიდეთ მი-  
წა...“<sup>2</sup> აზნაურ ნარიმანიშვილების ბედი გაიზიარა სათავადო  
აზნაურმა ბულუტაურმა. მათ დარჩენილ ბეთალმალ მამულს,  
რუისში დედოფლის სახლთუხუცესს, ზაქარია ციციშვილისა-

---

<sup>1</sup> 1450, დავთ 38, საბ. №202

<sup>2</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 ს. №88

გან ყიდულობენ თუმანიშვილები.<sup>1</sup> კლიმიაშვილების საგვარეულო ქონება იმდენად გაზრდილა და გამრავლებულა საგვარეულო ოჯახები, რომ ახალი სასახლის მშენებლობაც დაუგეგმავთ და ჩანს სისრულეშიც მოუყვანიათ. თუმანიშვილები-საგან ყიდულობენ საკმარად დიდ ქონებას: „ალალ ვენახსა და სასახლის ადგილს თავისის შესავლითა და გასავლითა ავიღევით ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდათ.“<sup>2</sup> ბოქაულთუხუცესი ბეჟან კლიმიაშვილი ასევე დიდის მონდომებით აგრძელებს მიწების შესყიდვას მეზობელი სათავადოს, საამილახვროს მიწებს გორელი მამასახლისის-ზალიასშვილისაგან.<sup>3</sup>

საარქივო მასალების სიმრავლით გამოირჩევა კლიმიაშვილების მამულების ნასყიდობის სიგელები სოფელ რუისში მცხოვრები გლეხების<sup>4</sup>, თოთასშვილების<sup>5</sup>, ხტისასშვილების<sup>6</sup> და შახუასშვილებისაგან, რომლებიც ჩიტის ხევში ერთმანეთის მიყოლებით მდებარეობდა. ნასყიდობის მიზანი ნათელია ჩიტის ხევის მთლიანად დასაკუთრება, რასაც აღწევენ კიდევ.<sup>7</sup> ყიდულობენ ორი დღის მიწას კოვზიასშვილებისაგან<sup>8</sup>, თევდორე ჯანგურიძისგან „ჩიტის ხევის ვენახი, გასავლითა, ნერგითა, სარწყავითა და ურწყავითა, მისის გზითა შესავლითა ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა.“<sup>9</sup> ამ მიწების შესყიდვით მთელი ჩიტის ხევის „თავამდის“ კლიმიაშვილების

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. ფ. 1450 ს. №57

<sup>2</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 საქმე №91

<sup>3</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 საქმე №102

<sup>4</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. №38, საქმე 64-65, 66

<sup>5</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 საქმე №86

<sup>6</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38, ს. №84, ს. №86

<sup>7</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 ს. №93

<sup>8</sup> სცსსა., ფ. 1450, დავთ. №38 ს. 68

<sup>9</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 საქმე №100

ხელში აღმოჩნდა. ამას მოსდევს ახალი მცდელობა, მეურნეობის შემდგომი გაფართოების მიზნით ჩვენთვის ცნობილი ნარიმანაშვილების მოსაზღვრე, ნონიაშვილებისაგან იყიდონ მიწები,“ ჩიტის ხევის ზეით, ნარიმანაშვილის მიდგამად“. ეს მინაწერი ნათლად მიუთითებს ნასყიდობის მიზანზე და ვფიქრობთ ნონიაშვილებიც სწორედ ამის გამო უნდა გამხდარიყვნენ იძულებულნი გაეყიდათ კლიმიაშვილების სამიზნე მამულები. ეს დოკუმენტი ჩვენი საკვლევი თემისთვის იმ მხრივაც საინტერესოა, რომ აქ პირველად ჩანს კლიმიაშვილების ახალი, სამოხელეო სახელო - სახლთუხუცესობა, რომელიც ბერუკა კლიმიაშვილს უჭირავს, იგი ბოქაულთუხუცესს თამაზ კლიმიაშვილის შვილია. სათავადოში ერთობ შემოსავლიანი სახელოს მიღება, თავის მხრივ საციციანოს უფროსთან და საგვარეულოსთან კეთილგანწყობაზე მიუთითებს.<sup>1</sup> ნასყიდობის დოკუმენტებში ისინი საციციანოს აზნაურებთან ხშირად გვევლინებიან მოწმედ მამულის და ყმა-გლეხების გაყიდვის დოკუმენტებშიც.<sup>2</sup> ამდენად, ცალკე ოჯახებად დაყოფის მიუხედავად ეს სააზნაურო სახლი აგრძელებს მამათა ტრადიციას და შენარჩუნებული აქვთ ერთობა. შედეგიც მალე აისახა მათ მდგომარეობაზე XVIII ს. 90-იანი წლების დოკუმენტები ხაზგასმით მიუთითებენ ახალ-ახალი მამულების შეძენას სოფელ სამწვერისსა და ხვედურეთში. ამ სოფლებში აგრძელებენ ინტენსიურ სამეურნეო საქმიანობას, მიწების შესყიდვას ცდილობენ ჩვენთვის ნაცნობი გზებით, როგორც ჩანს რუისში ახალი ინტენსიური მეურნეობის მოწყობისა და მართვის რაციონალურმა მიდგომებმა, მიღწეულმა შემოსავალმა, გაუმჯობესებულმა ცხოვრების მალაღმა დონემ, მატერიალურმა ინტერესებმა და მოთხოვნილებებმა კლიმიაშვი-

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 ს. №97, ს. №98

<sup>2</sup> საქართველოს სიძველენი, III, №15, გვ. 14, თბ., 1910

ლებს გაუჩინა მოტივაცია აღნიშნულ სოფლებში მეურნეობის რაციონალიზაციის მიზნით მოწყობის. ქვემო ციციშვილმა ზა-ზამ, მისმა შვილმა მანუჩარმა კლიმიაშვილებს მიჰყიდა ხვე-დურეთს ბაკურაშვილის მამული: „ვენახით, სასაფლაოთი საყდრით მთით ბარით შესავლით გასავლით“.<sup>1</sup> იგივე კლიმია-შვილთა საგვარეულო ხვედურეთში აქტიურად აგრძელებს (ბევადე ბიძინასგან, ზურაბის, გიორგის და სეხნიასგან) ვენა-ხების შექმნას.<sup>2</sup> სოფელ ხვედურეთშივე ბარბიმ ციციშვილის ოჯახისგან იძენენ დიდძალ ყმა-მამულს: „ჩვენ ციციშვილმა დემეტრეს შვილმა ბარბიმ, ძმამა ჩემმა ... გიორგიმ თქვენ კლიმიაშვილს პატას შენსა ნიკოლოზს ძმის წულსა შენსა... ქვეყანას აღარ გაიძლებოდა ყიზილბაშობაში წამოველ, იქ დამჭირდა და მოგყიდეთ, ჩვენი ალალი ბარათით წილხედო-მილი ხვედურეთს ძულიაშვილი შიო თავისის შჯლით, ძმით, ძმისწულებით ...ვენახით, მიწით, წყლით, მის სასაფლაოთი, მთით, ბარით, შესავა[ლ] გასავალით, დღეს რისაც მქონებელი იყოს. ავიღე ფასი სრული და უკლებრივ, რითაც ჩვენი გუ-ლი შევეკრებოდა ...მოწმებად თავადთა გვერდით დასახელე-ბულია აზნაურიშვილები, დედანაშვილი, წინამძღვრიშვილი, მუჩაიძე, მეღვინეთხუციშვილი“.<sup>3</sup>

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული დოკუმენტები აშკარა მიუთითებენ, ნაცადი გზებით კლიმიაშვილების ახალი რაციო-ნალური მეურნეობების შექმნაზე საციციანოს სხვა სოფლებ-ში. მათ მიზანმიმართულად მეურნეობის გაფართოება ამოძრა-ვებდათ და არა სხვადასხვა ადგილებში მხოლოდ მუქთად მი-წების ხელში ჩაგდების სურვილი, თუმცა არ გამოვრიცხავთ ფულადი შემოსავლების გაზრდის მიზნით გადადგმულ ამ

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 საქმე №89

<sup>2</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 საქმე №95, 97

<sup>3</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 ს. №101

ქმედით ნაბიჯებსაც. მიზნის მისაღწევად მათთვის ყველა გზა მიღებული იყო, მოსაზღვრე მამულების გაყიდვის მოწინააღმდეგებთან პირველ რიგში აღწევდნენ ჯერ შეთანხმებას მიწების გაცვლის თაობაზე, ამის ნათელი მაგალითია ე. წ. გაცვლილობის წიგნი: „ესე გაცვლილობის წიგნი მოგართვი ჩვენ თოთაშილმა გოდეძიმ ბიძაშილმა ჩემმა... თქვენ კლიმიაშილებსა პატასა, შერმაზანსა და ოტიასა და თამაზასა, ასე რომე, თქვენი ვენახი ჩემზე სამჯროთ იყო და ჩემი ვენახი თქვენზე სამჯროთ ...გაესცვალეთ, რომე ერთმანეთთან სალაპარაკო საქმე აღარა გექონდესთ რა.“<sup>1</sup> მეურნეობის შემდგომი გაფართოვების შედეგად, იგი კვლავ მოსაზღვრე მეზობელი ხდება და საბოლოოდ იძულებული შეიქნა „ახალ აზნაურებს“ - კლიმიაშილებს მიჰყიდონ აღნიშნული მამულები.<sup>2</sup>

ამდენად, საციციანოს სათავადო აზნაურ კლიმიაშილეების მთავარი მიზანი გამოკვეთილია, მეურნეობის გაფართოება მოსაზღვრე მამულების შესყიდვით, მამულების გაერთიანება-„დამრგვლება“. მამულების გაერთიანება-„დამრგვლების“ შესახებ საინტერესო მოსაზრება პირველად გამოთქვა პროფ. გ. ნათაძემ „Очевидно здесь мы имеем дело со стремлением к округлению имения с целью вести более рациональное хозяйство“.<sup>3</sup> ამ მეტად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწვევი დეტალების გათვალისწინებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ, რა თქმა უნდა, ამხელა მეურნეობა მხოლოდ მათი ოჯახების მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით არ შექმნილა. ბაზრის მზარდი მოთხოვნილების შესაბამისად

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. №38 საქმე 65

<sup>2</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 საქმე №86

<sup>3</sup> Натадзе Г., К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия. Журн. “История классово́й борьбы в Закавказье”, Т. I, 1930, с. 129-130.

წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია საგანგებოდ ბაზრისთვის მზადდებოდა.

საკვლევ თემიდან გამომდინარე ასევე საყურადღებო ფაქტია, ის რომ ნასყიდობა ყველგან ფორმდება დოკუმენტით, სადაც ხაზგასმულია „დაგვჭირდა და მოგყიდეთ“, „ავიღევით ფასი სრული და უკლებელი“, ან „ავიღე ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა“. აშკარაა, მიღწეულია ორივე მხარის შეთანხმება და კმაყოფილება. რაც შეეხება მიწის ღირებულებას, თუ რა იგულისხმეოდა უცვლელ ფორმულირებაში „ავიღევით ფასი სრული და უკლებელი“, დოკუმენტებში ფასის კონკრეტული დასახელება არსად გვხვდება და ვთვლით მხოლოდ ფულადი თანხით ანგარიშსწორებას, რადგან ჩვენს მიერ მოკვლეულ დოკუმენტებში ნახსენები არსად არის ნატურით გადახდილი საფასური. ასეთი დოკუმენტების სიმრავლე კი თავისთავად მიგვანიშნებს სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებაზე. ფულადი კაპიტალის სოფლის მეურნეობაში შემოჭრამ სოფელი კიდევ უფრო დაუახლოვა ბაზარს. ფულად-სასაქონლო წარმოების განვითარებასთან ერთად იზრდება ციციშვილთა საგვარეულოს მოთხოვნილება ფულზე, რასაც მოჰყვა მათი რაციონალური მეურნეობის შემდგომი გაფართოება. ამას ერთგვარად ხელი შეუწყო, ერეკლე II-ის რეფორმებმა, მათ შორის სახელმწიფო გადასახადების ფულადი სახით მოთხოვნამ, რის შედეგადაც სახელმწიფო გადასახადებში დომინირებდა ფულადი გადასახადები. ფინანსისტ-ეკონომისტი ნ. ქოიავა დამატებით აღნიშნავს, რომ „გლეხთა სახელმწიფო გადასახადებში დომინირებდა ფულადი გადასახადები, ხოლო საბატონო გადასახადებში - მისი პროდუქტადი ფორმა“.<sup>1</sup> ფულად გადასახადებზე მიუ-

---

<sup>1</sup> ქოიავა ნ., ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII ს. ქართლ-კახეთში, თბ., 1963, გვ. 152.

თითებს 1784 წ. საციციანოს საქვეყნო ხარჯი, დამტკიცებული ერეკლე მეორის მიერ,<sup>1</sup> 1791 წ. სახელმწიფო იჯარების სარგოს ანგარიშის წიგნები,<sup>2</sup> 1792 წ. სახელმწიფო იჯარათა და ბაჟების ნუსხა,<sup>3</sup> 1786 წ. სალაროს მოხელეების რუსუმის ნუსხა,<sup>4</sup> ქალაქის ბაჟისა, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა და სხვ.<sup>5</sup>

რაციონალური მეურნეობის ტექნიკური ორგანიზაციის სრულყოფაზე მიგვანიშნებს მიზანმიმართული სამეურნეო ღონისძიებანი, კერძოდ: საკანონმდებლო აქტებით აღწევენ შეთანხმებას ყმა-მაძულის ყიდვაზე, სარწყავი წყლით სარგებლობაზე, ყიდულობენ არა მხოლოდ სახნავ მიწებს, არამედ მთითა და ბარით, ურწყავი მიწებით, საყდრებით, სასაფლაოთი, მაძულებთან მისასვლელი გზებით, წისქვილებით, რომელთა ნასყიდობის სიგელებს მოსდევს სარწყავი წყლით კანონიერად სარგებლობის უფლებების მიღებაზე ზრუნვა. წყლით სარგებლობაზე გარიგების სიგელებიც ნათლად მიუთითებს მოსავლიანობის ზრდით და მიწის რენტაბელობით დაინტერესებაზე. სახეზე გვაქვს ტრადიციული, ფეოდალურ-ბატონყმური თავადური მეურნეობის ნაცვლად, ახალი რენტაბელური, რაციონალური მეურნეობის შექმნის რეალობა, სადაც შრომის დანაწილებაზე და საბაზროდ წარმოებული პროდუქციის მრავალგვაროვანზე უნდა მიგვანიშნებდეს ნასყი-

---

<sup>1</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ. 77-80.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 101.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 102-103.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 80.

<sup>5</sup> მესხია შ., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, მსკ, 30, თბ., 1954, გვ. 74-75; ქსძ, ტ. II, გვ. 392-395.

დობის დოკუმენტებში საგანგებო ფორმულირება: „ხოდაბუნი“, „ნაფუზარი“, „ვენახი“, „საბოსტნე“, „სანერგე“ და სხვ.

განსაკუთრებით დიდია წისქვილების სამეურნეო მნიშვნელობა კლიმათშივლთა მეურნეობისათვის. ნასყიდობის წიგნების და სიგელების სიმრავლე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კლიმათშივლების მეურნეობის ფართო მასშტაბებზე და ბაზრის მზარდ მოთხოვნილებაზე.<sup>1</sup> 1802 წლის რუსული მმართველობის დამყარებისთანავე სახელმწიფო პურის გადასახადის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საციციანოსა და სათარხნოს მხარეს შესწერდა პურის საკმაოდ დიდი რაოდენობა 874 კოდი პური, რომელიც ბევრად აღემატებოდა ტფილისის განაბირა სოფლების გადასახადს, რომლებსაც უნდა გამოეღოთ მხოლოდ - 519 კოდი.<sup>2</sup>

ამდენად, ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი ნასყიდობის დოკუმენტები აშკარად მიუთითებს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებაზე, საბაზრო კავშირ-ურთიერთობათა გაფართოებაზე, მიწების ყიდვა-გაყიდვის ზრდაზე, მამულების დამრგვალებაზე, შრომის დანაწილებაზე, რაციონალურ საფუძვლებზე მოწყობილ მეურნეობაზე და მანუფაქტურული წარმოების არსებობაზე.

მამულების რაოდენობისა და ყმა-გლეხთა ნასყიდობის სიგელების შედარებისას, აღმოჩნდა, რომ ნასყიდ ყმა-გლეხთა რაოდენობა მიწის ფართობის დასამუშავებელ ძალასთან მნიშვნელოვნად მცირე იყო. ბუნებრივია ერთგვარად განისაზღვრა ჩვენი კვლევის შემდგომი მიმართულება, თუ რა ძალებით შეეძლოთ დაემუშავებინათ ესოდენ დიდი მეურნეობა.

ეს ძალები შეიძლებოდა ყოფილიყო:

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 38 საქმე №70,71, 79, 82, 84.

<sup>2</sup> ხანთაძე შ., სახელმწიფო პურის გადასახადი (სურსათი) ქართლ-კახეთში მე-19 საუკუნის დამდეგს, მსკ 32, თბ., 1955, გვ. 161-162.



1. კლიმათშეცვლის მიერ შესყიდულ მამულებზე მოსახლელე ყმანი და უმამულოდ დარჩენილი მეპატრონეები. დაქირავებული ძალის, ამ სარეზერვო რესურსის წყაროს, კლიმათშეცვლები აქტიურად გამოიყენებდნენ გირავნობის, ნასყიდობის, საღალედ მიწების გაცემის, ან სხვადასხვა სახის იჯარის<sup>1</sup> გზით.

2. ასევე სახეზე გვაქვს გახშირებული შემთხვევები, როცა გაღარიბებულ, მცირე ყმამამულიან აზნაურთა და თავადთა ერთ ნაწილს, რომელსაც მეურნეობის შექმნის არც ეკონომიკური შესაძლებლობა და არც სამოსელეო შემოსავალი გააჩნდა, ფულადი სახელმწიფო გადასახადების სიმძიმე აიძულებდა თავისი ყმა ხიზნად სხვის მამულში თვითონვე გაეშვა, ან დაეგირავებინა და ამ გზით ყმისგან ფულადი შემოსავალი მიეღო, თუმცა ხშირი იყო მეპატრონისგან გაქცევის შემთხვევები. უკიდურეს შემთხვევაში აზნაურს ისლა დარჩენოდა იმ აზნაურისთვის მიეყიდა, ვის მამულშიც მუშაობდა, რათა სამუდამოდ დაკარგვის სანაცვლოდ მცირე სარგებელი მაინც ენახა. ამ საკითხზე დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს მეფე ერეკლე მეორის ოქმი, სადაც ყმად ეკუთვნიან ერთ მეპატრონეს, ხოლო სახლობენ მეორე მეპატრონის მიწაზე.<sup>2</sup>

3. XVIII ს. მეორე ნახევარში ერეკლე მეორის მიერ განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ქვეყანაში თავისუფალ<sup>3</sup>, თავდაცნილ<sup>4</sup>, აზატ ყმა-გლეხთა

---

<sup>1</sup> აკოფაშვილი გ., ეკონომიური და სოციალური ცხოვრების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში XVIIIს. 40- 80-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები IV, თბ., 1973, გვ. 537.

<sup>2</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №10578

<sup>3</sup> სცსსა., ფ. 1448, ს. №4968

<sup>4</sup> სცსსა., ფ. 1449 ს. №2535

მნიშვნელოვან ზრდას, რომლებიც სიგელებში, თითქმის ერთი და იგივე მნიშვნელობით გვევლინება. „თავდახსნილ“ ყმათა საკითხს ჯერ კიდევ მეფე ვახტანგის სამართლის 260-ე მუხლი არეგულირებდა: „თუ წიგნი ჯელთ უჭირავს თავის თავის დაჯსნისა, და წავა ეს თავდაჯსნილი კაცი და ერთს კაცს ეყობა, და მამულს გამოართომს, და ასეთს წიგნსა და პირობას მისცემს, რომე, „როგორც სხვა შენი მკვიდრი ყმა გყვანდესო, მეც ისრე მკვიდრად გემობივარო“... იმრიგად აყმევით და თუ მკვიდრობის წიგნი და პირობა მიუცია, ადვილად ველარ წაუა. თუ ისრე, უწიგნოდ და უპიროდ, წყალობის ყმად მისვლია, რადგან წიგნი არ მიუცია და თავი - სამკვიდროდ ყმათ, ამრიგად მისული, როდისაც უნდა, მამულს დაუგდებს და წავა, ჯელი არა აქვს.“<sup>1</sup>

4. „ახალი აზნაურების“ მიერ დაქირვებული ძალის სარეზერვო წყარო შეიძლებოდა ყოფილიყო, მეფე ერეკლეს 1765 წ. განჩინებით ტყვეობიდან საკუთარი საშუალებებით დახსნილი და სამშობლოში დაბრუნებული გლეხი,<sup>2</sup> ასევე „უცხოს ქვეყნიდან“ სათავადო აზნაურთა ძალებით გადმოყვანილი ნებიერი, ხიზანი გლეხები, რომელთა გარკვეული რაოდენობა საციციანოში სამცხე-ჯავახეთიდან<sup>3</sup> და იმერეთიდან შემოდიოდა.

XVIII ს. მიწურულს კლიმიაშვილის მეურნეობის შესახებ ცნობები წყდება ისე, რომ მათი შემდგომი საქმიანობის შესახებ ძნელი გახდებოდა დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება, რომ არა დაახლოებით 1812 წლით დათარიღებული, მეტად

---

<sup>1</sup> სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 262.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 513.

<sup>3</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №806

მნიშვნელოვანი ცნობა, ვალებში ჩავარდნილი და უმწეო მდგომარეობაში მყოფი კლიმიაშვილების შესახებ. იუსტინე მთავარეპისკოპოსის გასეხსებულ ფულის ანგარიში ნათელს ჰფენს არა მარტო ოდესღაც გავლენიან ციციშვილთა გვარის დაკნინებულ, უიმედო მდგომარეობას და ვალებს, არამედ იძლევა ინტერპრეტაციის საფუძველს, რომელშიც ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ამ პერიოდის საციციანოს ისტორიული სინამდვილის კონკრეტული მოვლენები და იმავდროულად ფართო სპექტრის ყოფითი პრობლემები, რომლებიც უფრო პოლიტიკურია, მაგრამ სოციალური პროცესების კონტექსტში პოულობენ ახსნას:“... ჩყ კლიმიაშვილს თამაზას მართებს ორი თუმანი თეთრი ფული თავისის სარგებლით, ვექსილი ჳელთ მიჳირავს.

წელსა ჩყბ კლიმიაშვილს გლახას მართებს სამი თუმანი და სამი მინალთუნი ვექსილით.

ქკს უჳვ აღექსიძეს სფირიდონს მართებს ოცი თუმანი ვექსილით.“<sup>1</sup>

ფაქტობრივი მასალის და კლიმიაშვილების მეურნეობის ფართო მასშტაბების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღვნიშნავთ, რომ ეს პროცესი აშკარად მიანიშნებდა სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის ნიშნებზე, მაგრამ კაპიტალისტური წარმოების ტემპები იმდენად სუსტი და იშვიათი გამონაკლისი იყო, რომ ვერ უძლებდა თავადური რეაქციის შემოტევას, გზას უღობავდა „ახალ აზნაურებს“ და რაციონალური მეურნეობის შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებდა.

---

<sup>1</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, 1953 წ. დოკ. №282, გვ. 202.

სწორედ თავადურ ძალმომრეობას შეეწირა დაფქვიაშვილების რაციონალური მეურნეობა. ეს სათავადო აზნაურთა სახლი XVIII ს. დამდეგიდან სოფელ რუისში ეკონომიკურად საკმაოდ დაწინაურებული ჩანან. ციციშვილების ეს აზნაურები ინტენსიურად ეწეოდნენ საეკლესიო და სათავადო მიწების ყიდვას<sup>1</sup> და ყმა-მამულის გაზრდისაკენ თავდაუზოგავად ისწრაფვოდნენ. ასევე აქტიურად ყიდულობენ მიწებს გლეხებისგან, ურბნისელი ელიაშვილისაგან, ხიზანაშვილისგან და ფასიც სრულად გაუღიათ“.<sup>2</sup> აფართოებენ სათავისთაო, ინტენსიურ მეურნეობას: „დაფქვიაშვილ ივანეს და შვილსა ოტიას და ბეჟანს და მრავალსა სახლისა შენისასა ასე, რომ დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩემი ალალი ნასყიდი ქუმიასშვილისეული და მალუასშვილისეული მამული... ოთხი დღისა... დავითისშვილის მიწის მიღმამდი... ავიღეეთ ფასი სრული“.<sup>3</sup> კლიმაშვილებისაგან განსხვავებით მათ ვერ მოახერხეს სამოხელეო თანამდებობის მიღება, მძიმე უფლებრივი მდგომარეობისაგან თავის დაღწევის მიზნით, ამჯობინებენ მეფისთვის ეთხოვით მფარველობა, როგორც ჩანს, შედეგმაც არ დააყოვნა მდივანბეგის ცნობით: „...მეფის თეიმურაზის ოქმი აქვს... მოურავისა და მოხელეებისა, რაც მამული უყიდია იმისი სამყოფი წყალი მიეცითო... მეც ასე გწერთო რაც მაგ სარწყავში მიწა აქვს ამ დაფქვიაშვილს ივანეს ნასყიდი იმისი წყალი დაანებეთ ნუღარ აჩივლინებთ-ო“.<sup>4</sup> ამის შემდგომ უფრო ინტენსიურად აგრძელებენ მიწების ყიდვას და მეურნეობის გაფართოება-

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. 1450, დავთ. №30; ს. №225; ს. №231; ს. №23; ს. №239.

<sup>2</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 30 ს. №225

<sup>3</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 30, ს. №227; ს. №228

<sup>4</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 30, ს. №229

„დამრგვალებას“ სოფელ რუისში<sup>1</sup> ყმებისგან შესყიდული მიწების ნასყიდობას დაფქვიაშვილებს უდასტურებს მთავარეპისკოპოსი კირილე (ციციშვილი - მ.მ.)<sup>2</sup> მათ მხოლოდ საკუთარი შრომითა და გარჯით შეუძენიათ დიდი ქონება, რასაც ამოწმებს ჩვენს მიერ მოკვლეულ წყაროში, გავლენიანი საერო და სასულიერო წარმომადგენლობა: „ჩვენ ქვემო მომწერალნი ერთობით რუისში მცხოვრებნი აზნაურშვილნი და სამღვდელონი კაცნი ხელს ვაწერთ ჭეშმარიტებით, რომ ასე ვიცით, რომელიც ამ ნიკოლოზ დაფქვიაშვილისათვის თვისი სამკვიდრო ყმანი და აზნაურშვილები წაურთმევია ციციშვილი გიორგისა... თვთ ეს კაცნი მამითა და პაპათ ჩამომავლობით ამ ნიკოლოზის ყმანი არიან, არცარა ციციშვილის გიორგისათვის დაუშავებია ერთგულებისა და სამსახურის მეტი... უსამართლოდაც ერთმევათ ის თავიანთი ყმა-მამული... არაფერი ციციანთაგან წყალობა არ აქვს ამ ნიკოლოზს. სულ თავის ნასყიდს მამულ-ალაგზე დგას, რომელი მრავალი სიგელი ხელთ უჭირავს ნასყიდობისა“.<sup>3</sup> ხელმომწერთა შორისაა თამაზ კლიშიაშვილი, ივანე მამაცაშვილი, ...მოურავი - კლიშიაშვილი ტეტია, მამაცაშვილი დეკანოზი ზაქარია, გვერდწითელი მღვდელი მაქსიმე, სფირიდონ ალექსიძე... წეს ნიკოლოზის ყინწვისის არქიმანდრიტი. სათავადო აზნაურობიდან თავის დასალწევად სამეფო ხელისუფლებასთან კიდევ უფრო დაახლოებას ცდილობს და, როგორც ჩანს, მიზანსაც აღწევს. 1771 წელს მეფისაგან იღებს სახელმწიფო ბეგარისაგან განთავისუფლებას, საკუთარ მამულში კომკის აშენების სანაცვ-

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. 1450, დავთ.30, ს. №230 №231

<sup>2</sup> სცსსა., ფ. 1450, დავთ. 30, ს. №234; ს. №237; ს. №238; ს. №239.

<sup>3</sup> ხეც., ფ. Qd, საბ. №730

ლოდ.<sup>1</sup> გიორგი ციციშვილი ვერ პატიობს ყმის ასეთ განდი-  
დებას და მისი გვერდის ავლით სამეფო კართან დაახლოებას.  
მათ შორის დავის მოსაგვარებლად 1798 წელს იოანე ბატონ-  
ნიშვილი ავალებს მამუნაშვილს დაფქვიაშვილები თავის ბა-  
ტონთან მოერიგებინა“.<sup>2</sup> ეს კიდევ უფრო დიდ შეურაცხყო-  
ფად მიუჩნევია სამეფო კარის გავლენიან თავადს, მეფის სი-  
მამარს, სარდალ - გიორგი ციციშვილს, ვერ უპატიებია მის-  
თვის ქვეშევდომობაზე უარი. ყმა-გლეხი წაურთმევია და თა-  
ვის მამულში დაუყენებია. მათ შორის დავა ისეთ სერიოზულ  
დაპირისპირებადღე მისულა, რომ მისი თავიდან მოცილება  
თავად გადაუწყვეტია და უთქვამს: „ვისაც გინდა ეყმეო“. რო-  
გორც ჩანს გიორგი ციციშვილს არა მარტო სამკვიდრო,  
არამედ ნასყიდი ყმა-მამულიც წაურთმევია. მძიმე ეკონომიკურ  
და უფლებრივ მდგომარეობაში ჩავარდნილი დაფქვიაშვილი  
ციციშვილთან შერიგებას და მამულში დაბრუნებას ითხოვს,  
თუმცა თავადს ნება აღარ მიუცია.<sup>3</sup> „კნიაზ ციციანმა პაატა-  
შვილმა გიორგიმ მოწმობა მთხოვა მისი და წინაშე ღვთისა  
ამისი დამსწრე და მოწამე ვარ, რომ დაფქვიაშვილს კიკოლას  
გაუწყრა ეს გიორგი ციციანოვი და უთხრა შენ აზნაურში-  
ლი ხარ გინდ სახელმწიფოთ მიბრძანდი და თუ გინდა ვისაც  
შენი ნება არის ეყმეო. დავითაშვილები თავისის მამულ დე-  
დუღლით სულ ჩამოართვა წელიწადია, რომ ამ ყმებზედა და  
მამულზედ ხელი აუმაართა კიკოლასა და თითონ იმსახურებს  
ეს გიორგი კნიაზი. მიუხედავად იმისა, რომ სთხოვდა ერთ-  
გულად მსახურებას ციციშვილს აღარ მოუსურვებია მისი  
მამულში დაბრუნება. არტილერიის გენერალ მაიორ აზუნ-  
ლოვს და დავით ციციშვილსაც შეევედრა შუამავლობას დაფ-

---

<sup>1</sup> ხეც., ფ. Hd, საბ., №6029

<sup>2</sup> ხეც., ფ. Qd, საბ. №730

<sup>3</sup> ხეც., ფ. Hd საბ. №14708

ქვიაშვილი: „თავადს გიორგი ციციანოვთან დიდთაც ვეცადე რომ დაებრუნებინა თავსი აზნაურიშვილი, მაგრამ...არც ყმა მისცა და არც მამული... აღარც მისი ქვეშევრდომობა მონღოლმა,“<sup>1</sup> როგორც ჩანს, გავლენიანი ბიძაშვილის, დავით ციციშვილის თხოვნაც აღარ შეუსმენია.

ასევე საგანგებო ყურადღებას იმსახურებს აზნაურ მალრაძეთა საგვარეულო, რომელიც ფეოდალური ძალმომრეობის გამო იძულებული გახდა მიეტოვებინა სამეურნეო საქმიანობა რაციონალური მეურნეობის მოწყობის მიზნით და დაგროვილი ფულადი რესურსები აქტიურად ჩაება ფულად-საკრედიტო ოპერაციებში.

აზნაურ მალრაძეთა საგვარეულო პირველად ჯერ კიდევ XVII ს. მეფე როსტომის დროს სარდალ-სახლთუხუცესს პაპუნასთან სამამულო დავისას მოიხსენიება.<sup>2</sup> მეფე შაჰნავაზის დროს (1658-75 წწ.) სარდალ ზაზა ციციშვილის მკვლელობას მოჰყვა მისი სახლისკაცთა აწიოკება და მამულების ჩამორთმევა. მეფემ, როგორც ჩანს ზემო საციციანოს მამულები სახასოდ დაიტოვა, მაგრამ შეუსმენია სათავადო აზნაურთა თხოვნა-ვედრება არ გაეყარა თავიანთი მამულებიდან:<sup>3</sup> „...მამუკა მალრაძე, ომან უზნაძე, ალექსი ალექსიძე, ლარაძე და ქურდვენიძე ჯთაც ჩემს სამკვიდროს სამწყურადოზედ ესახლენ, შემომახვეწნენ და აღარ გავჰყარე. ბოსლეთს სამი კვამლი კაცი ხუთათ გაყრილან. ლეთეთს სამი კვამლი კაცი ოთხათ გაყრილა...“ მალრაძეთა ქონებაზე დავა დიდხანს გაგრძელებულა სარდლების პაპუნასა და ზაზას შთამომავლებს შორის და საბოლოოდ მაინც პაპუნასა და ედიშერს დარჩენიათ: „სარდლის პაპუნას შვილი ზაალ და მისი ძმის-

---

<sup>1</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №3307

<sup>2</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. ს. 38 №57

<sup>3</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №820

წულს ზაზას შვილი უთრუთ ზემო ციციშვილისა პაპუნასა და ედიშერს მალრაძეს იასეს და მის ბიძაშვილს გიორგისა და სამწყერადიოს მამულს ამაებს შეცილებოდნენ... ერთმანეთს ამაზედ შეჯვრდნენ, რომე: მალრაძე და სამწყერადიო მამული, ისევ პაპუნასა და ედიშერს დაანებეს.“<sup>1</sup>

ერეკლე პირველის (1688-1703 წწ.) მეფობისას მალრაძენი მრავალრიცხოვნებით გამორჩეული და ეკონომიკურად დაწინაურებული ციციშვილთა სააზნაურო სახლია. ზემო და ქვემო საციციანოს სახლისკაცთა გაყრისას კვლავ სადაოდ გადაქცეულან: „ქვემო ციციშვილის სარდლის პაპუნას შვილი ზაალ და მისი ძმისწული სარდლის ზაზას შვილი უთრუთ წარმოდგენ და ეს იჩივლეს: ოდეს თაობით ჩვენი სახლის კაცნი ერთობით ქვემო ციციშვილები მაგათს სახლს გამოვჰყერივართ და დაეშორებულვართო, მაშინ აზნაურიშვილი მალრაძე, მამუკაშვილები და გიორგიშვილები და ხვედურეთს სამწყერადო თქვენგან გამოგვეყოლიაო... ეს ჩვენი აზნაურიშვილი მალრაძე და ხვედურეთს სამწყერადო მაგათ დაუჭერიათო, ჩვენსას ნუ გაიყოფენ, არას გვემართლებიან...მაგრამ სხვა ძველი და ახალი წიგნები ზემო ციციშვილებმაც მოიტანეს, რომე ამათაც უწინაც ჰქონებოდათ და ახლაც ჯელთ ეჭირათ და ჯერიც ითხოვეს. ასრე ფიცი შეგვიძლიაო, რომე: „როდესაც ქვემო ციციშვილი ჩვენს სახლს გაჰყროდეს, არც მაშინ ეს აზნაურიშვილი მალრაძე და სამწყერადო გაჰყოლოდესო“.<sup>2</sup> ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩვენს მიერ მოკვლეული

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 313, ლოკ. №227

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 206, ლოკ. №137



დოკუმენტები Hd-801; Hd-804; Hd-873 საკმაო საფუძველს გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ აზნაურ მალრაძეთა გვარი XVII ს. მეორე ნახევარში რამოდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ განშტოებებს ქმნის. სამამულო დავა თვით საგვარეულოს შიგნით სათავისთაო ქონების გამო დაწყებულია. თითოეული სააზნაურო სახლი ცალკე დამოუკიდებელ მეურნეობას აწარმოებს, მათი სათავისთავო ქონება და გავლენა საკმაოდ დიდია საციციანოში. იმავედროულად ბააკა მალრაძეს საციციანოში მაღალი სამოხელეო სახელო – სახლთუხუცესობა მიუღია. სათავადოს სამოხელეო შემოსავალი და გავლენა სახლთუხუცესისა რა თქმა უნდა აუმჯობესებდა თავის ეკონომიკურ მდგომარეობას, იძენდა ყმა-მამულს, აქტიურად იყო ჩაბმული საგვარეულოს წევრთა სამამულო დავებში: „ჩვენ ბატონი ციცი, არაგვის ერისთვიშვილი ნუგზარ, ჩხეიძე ქაიხოსრო და მისი შვილი თეიმურაზ, ქსნის ერისთავის ბოქაულთუხუცესი ჩერქეზი, აბაშიძის სახლთუხუცესი სავანელი თამაზა და ერთობილნი საციციანო აზნაურიშვილები მოვედით ყრისის ჯევს. **სახლისუხუცესი ბააკა და მალრაძე მამუკა** ცილობდენ მთასა და ძველითგან მამა პაპათაგან ჩვენთა გაერიგებინა და იმათს გარიგებულს აღარ დაჯერებულ იყუნენ; კიდევ ცილობდენ...“ ციცი ციციშვილის დამოწმებით მოდავე მხარეები მოურიგებიათ, „...ასრე გაგვირიგებია ერთმანერთთან ძმობისა და მოყურობის მეტი ჯელი არა აქუთ.“<sup>1</sup> მიღწეული მორიგებით კმაყოფილი არ დარჩენილა მამუკა მალრაძე, სათავისთაო ქონების შესანარჩუნებლად ამჯობინა მეფისთვის ეთხოვა მფარველობა. ნაზარალიხანისაგან იღებს აშკარა მხარდაჭერას რათა, ციცი ციციშვილის ხელყოფისაგან დაეცვა სათავისთავო საკმაოდ დიდი ქონება.

---

<sup>1</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №801

რომლის რაოდენობაზე წარმოდგენას გვაძლევს მამუკა მადრაძის მამულების ნუსხა, რომელიც დაახლოებით 1683 წლითაა დათარიღებული: „მე მადრადე მამუკამა, ბიძის ჩემის ფაზიას ნაქონი მამული სასახლე, მისი ბოსტნითა ერთი მისი სახასო ვენახითა, მისი სასაფლაოთი გძელი მიწა ერთი ...ურჯამელაშვილის მამულითა, გაბრიელა რისაც მქონებელი არის, ქოქუაშვილი რისაც მქონებელი არის, მისი მამულითა, ვენახს გარდა... დაბრუნდაშვილის მამული, მიწითა, წყლითა, წისქვილითა, ბოსტნითა, სასახლითა და სასაფლაოთი, ლუჯს ჯავახიშვილი რისაც მქონებელი არის, მისი მამულითა, მიწობს ჯალაბაშვილის სახლკარი, ნაფუზარი მისი მიწებითა რისაც მქონებელი არის, ...იქივ ნასყიდი სასახლე მეცხვარე რომ ესახლა, იქივ ჯადრიაშვილისაგან მოსყიდული ვენახი ჳნაჳ იქივ დათუა მულქან ბიძისაგან მოსყიდული. მიწა ერთი და საბოსტნე ერთი, იქავ მულქან ბიძის შოშიასაგან მოსყიდული მიწა ერთი, იქავ გაბუაშვილისაგან მოსყიდული სასაფლაო... იქავ პაპიაშვილისაგან მოსყიდული მიწა ერთი დღისა, იქავ მიწობს არს სამკვიდრო ხოდაბუნი იქით ჳალის პირამდი და აქათ სამძღვრმდი, კიდევ სახასო ერთი, ხოდაბუნი ტრანკაშვილისაგან მოსყიდული ერთი. ყრცისის ბოლოსა, იქავ ჩაკასაგან მოსყიდული მიწა ერთი ტრანკაშვილისაგან ... მოსყიდული მიწა ერთი იქავ, ჳ...ში გვერდწითელისაგან მოსყიდული მიწა ერთი. შრატიაშვილისაგან მოსყიდული მიწა ყრისის ხევს ერთი; იქივ თუთუშიძისაგან მოსყიდული პატარა მიწა ერთი; იქივ ბალ[ო]კაძისგან მოსყიდული მიწა ერთი საბოსტნე ერთი, იქით სახნავი ნახევარდღისა, იქივ შრატიაშვილისგან მოსყიდული საბოსტნე. ერთი მთიულიშვილი, უმამულო. დემეტრაშვილი მისი მამულითა, კიდევ მისი განაყოფი მისი მამულითა. ჯანთუა მისი მამულითა. ხუციშვილი მისი მამულითა, მგელიაშვილი მისი მამულითა, ბე-

სიაშვილი მისი მამულითა, საროზანაშვილი მისი მამულითა. ლუკს ლაცაბიძე მისი მამულითა, მისი განაყოფი მისი მამულითა, ჩემი ნასყიდი სასახლე ნაფუზარი, ორი ვენახი, ბოსტანი და წისკვილი. ხელმწიფის ბრძანებითა მე სულბათ იასაული ჭილაშვილი ბეჟან გავყავ მალრაძე მამუკასა რაც ამ ნუსხაში წერია სამკვიდრობითა და ნასყიდობით გამო.“<sup>1</sup>

მეფე ნაზარალიხანის 1701-1703 წწ. განჩინებებით მალრაძეთა საგვარეულო მამულებს ფლობდნენ სამწყერაოზედ, ლეთეთს<sup>2</sup>, ხვედურეთში<sup>3</sup> და აფართოებენ მამულებს ზემო საციციანოში XVIII საუკუნის პირველ ნახევარში.<sup>4</sup>

XVIII მეორე ნახევარში მალრაძეთა სათავადო სააზნაურო საგვარეულოს შესახებ ცნობები მწირია, რაც სახასლო აზნაურობაში გადასვლით აიხსნება. მალრაძეთა ერთ-ერთ შტოზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის 1729 წელს მირველ თუმანიშვილის გადაწერილი დასტურლამალი გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის უძველესი ხელნაწერი (№138), რომელიც ქრონოლოგიურად ვახტანგ მეექვსის დედანთან ყველაზე ახლოს დგას, თუმცა ჩანს მერმინდელი ჩანართები. ხელნაწერი რომ პროტოპოპი გიორგი მალრაძის საკუთრებაა, ამაზე მიგვანიშნებს ხელნაწერის ყდის შიგნით ცალკე ფურცელზე, ტექსტისაგან განსხვავებული ხელით, XVIII ს. მეორე ნახევრის მინაწერი:“ პროტოპოპი გიორგი მალრაძე.“ ჩვენი საკვლევი თემისთვის საინტერესოა ვრცელი მინაწერიდან ამონარიდი: „მალრაძე ქუშსის ძე გიორგი დაიბა-

---

<sup>1</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №821

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 194-195, დოკ. №127

<sup>3</sup> იქვე, დოკ №137, გვ. 206-207.

<sup>4</sup> იქვე, დოკ. №227 გვ. 313.

და აპრილის: ი:ქკს: ულბ (1744). მალრაძე გიორგი მთავარ-  
დიაკვნად კელდასმულ იქნა იანვრის: იბ: ქკს: უდე: (1777)

მალრაძე გიორგი მღვდლათ კელდასმულ იქნა იანვრის:  
კვ: ქკს: უოა: (1783)

...გიორგი მალრაძე ყიზილბაშშინ შირაზს წავიდა დეკემ-  
ბრის: გ: ქკს: უდა (1773)

გიორგი მალრაძე ყიზილბაშიდამ მოვიდა დეკემბრის: იე:  
ქკს: უდდ (1776)

ჩანაწერის მიხედვით პროტოპოპი გიორგი მალრაძე რუ-  
სეთს წასულა თავისი დისწულის იოანე კლიმიაშვილის თან-  
ხლებით, რაჭის გზით 1783 წლის თებერვალს. მოუვლიათ  
„ყირიმი, პოლშა, ნოვა[როსია?] ელისაბედის ქალაქი, ეკატე-  
რინესლავი, კლემენჩუკი, კიავი, ალექსანდრია, ნიჟნა დუბნა,  
ხარკოვი, ბელაგოროთი, ცარიცინი,....., ვორონიში, ნახჩივანი,  
ჩერქეზ ქირმანი, სტავროპოლი, ასტრახანი, ყიზლარი, მოს-  
დოგი და ხევზე მოვედით ქართლში მშვიდობით და უვნებ-  
ლად დეკემბრის: იე: ქკს: უოდ (1786 წ.). ტექსტი მთავრ-  
დება გიორგი მალრაძის ხელრთვით. ტექსტის გაცნობა ინტუ-  
იციურ დონეზე, სრულ შთაბეჭდილებას გვიქმნის, ავლნიშნოთ  
რომ რომ იგი საკმაოდ განათლებული, მწიგნობარი, ენების  
მცოდნე, მშფოთვარე და ბურუსით მოცული ცხოვრებით  
ცხოვრობდა. ვეთანხმებით ვ. გაბაშვილის მოსაზრებას 1773-  
76 წწ. ირანის ქალაქ შირაზში, ქერიმ-ხან ზენდის კარზე  
შეიძლება ყოფილიყო წარგზავნილი.<sup>1</sup> არ გამოვრიცხავთ  
როგორც სასულიერო პირს, ანტონ კათალიკოსისგან ჰქონო-  
და ნლობა და ყურადღება. შესაძლოა სწორედ ამიტომ მიანდო  
მას მეფე ერეკლემ საგანგებო დავალება. როგორც ჩანს წარ-  
მატებით უნდა დაგვირგვინებულიყო მისი სამწლიანი სამსა-

---

<sup>1</sup> გაბაშვილი ვ., დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი, მსკ.30,  
თბ., 1954, გვ. 86-87.

ხური შაჰის კარზე. ამაზე ხაზგასმით მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ირანიდან დაბრუნებული მალრაძე გიორგი ჯელდასმულ იქნა მთავარდიაკვნად 1777 წ. იანვარს. არ უნდა იყოს შემთხვევითი მისი მეორედ გამგზავრება უცხო ქვეყანაში, რუსეთში. შესაძლოა მეფე ერეკლეს დავალებით დიპლომატიურ საქმიანობას - 1783 წლის ტრაქტატის დადებას უკავშირდებოდეს. თავისი დისწულის იოანე კლიმიაშვილის თანხლებით მოუვლია ყირიმი, პოლონეთი და სამხრეთ რუსეთის მთავარი ქალაქები. ვფიქრობ, მოგზაურობისას ეწეოდა კომერციულ საქმიანობასაც. არ გამოვრიცხავ სავაჭრო გამოცდილება სწორედ ირანში ყოფნისას შეეძინა. იგი კარგა ხანს რჩება რუსეთში და მხოლოდ 1786 წელს ფულადი რესურსებით ბრუნდება სამშობლოში. უცხოეთიდან დაბრუნებულს ბატონის ყმობიდან გამოსასყიდი თანხით თავი დაუხსნია, ყმა-მამული შეუძენია და საკუთარ ინტენსიურ მეურნეობას ეწეოდა. მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ შეცვლილა მისი მდგომარეობა. 1800 წელს მდივანბეგობის სახელოს იღებს ნიკოლოზ ციცისშვილი, მეფე გიორგის გაფრთხილებას „მდივანბეგობა ვიბოძეთ. როგორც მდივანბეგობის რიგი იყოს და მართებული ისე უნდა იმდივანბეგო.“<sup>1</sup> ადვილად ივიწყებს და თანამდებობის მიღებისთანავე სადაო გახდა არა მარტო მალრაძის მეპატონისაგან გათავისუფლება, არამედ მისი ნასყიდი ყმა-მამულის საკითხი. ნიკოლოზ ციცისშვილს 1800 წ. 25 სექტემბერს მეფისათვის მიუმართავს არზით: „ოცდაშვიდი თუმანი მიბარებია ჩემო ხელმწიფევ, წიგნები გახლავსთ. ახლა ასორმოც თუმანს ამბობს, ყმასა და მამულს მართმევს. ამაზედ ყური მამიგდევით ...კიდევ მიანგარიშონ, რაც დამედე-

---

<sup>1</sup> სცსსა., ფ. 1448, საქმე №5084

ბა მივცემ. ჩემი ყმა და მამული მე დამნებდეს.<sup>1</sup> ირანსა და რუსეთში ხანგრძლივმა ხიფათით სავსე მოგზაურობამ, როგორც ჩანს, სრულიად შეცვალა მისი ცხოვრების წესი. გიორგი მალრაძე უსამართლობას და ძალადობას ადვილად არ ეგუება, ცდილობს მებატონისგან ძალით დაიბრუნოს კუთვნილი ქონება. ციციშვილი ამის თაობაზე მოახსენებდა მეფეს, 1800 წ. 8 ოქტომბრის არზაში: „ასე უსამართლოდ, ხელი აუშართავთ, აქ ღოესს აუკლიათ ჩემი კაცები-ო“.<sup>2</sup> გიორგი მალრაძის წინააღმდეგობით აღშფოთებული მებატონე მეფეს ახალ, 1800 წ. 16 ნოემბრის არზაში მოახსენებდა: „...ამ მალრაძე ხუცისაგან ილაჯვი აღარა მაქვს. ამას წინათ მიმიხდუნა იასაული და შვიდი სული ხარი და ძროხა წამართვეს. მოგახსენე და თქვენის ოქმითა და იასაულით გამოვართვი. ახლა კიდევ ოქმი აუღია და იასაული გაუგზავნია ჩემს კაცებზედ ხელის ასამართავათა. ჳელმწიფევე გამიკითხეთ, ქრისტიანობა არის. ვისთან მომცა ასორმოცი თუმანი და სად მამცა? ეს კაცი ასე მიკლებს, ეს მოწყალება მოიღეთ, ის კლიმაშვილიც აქ დაიბარეთ და ვინც ამ საქმეში დამსწრენ[ი] არიან, ისინიც. თქვენს შვილს იოანეს უბრძანეთ, მოსამართლენი დაისხას და ჳეშმარიტი სამართალი განსაჯოს. მოწყალებას ვითხოვ, უსამართლო ნურც კაცნი მერთმევიან და ნურც მე ვხდები. იმ ჩემს აზნაურიშვილს ჩემი ბატონეობა არ უნდა და ის მტანჯავს. მალრაძე მოყვარე არის შეთარხმებული... გაუკითხავად ვხდები და ნუ წამახდენთ. ჳელმწიფევე უსამართლოდ. ამ მალრაძემ ჯერ აზნაურშვილი მომპარა, რუსეთს წაიყვანა, ოთხი წელიწადი იქ გახლდა. იქიდან

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 674, ღოკ. №696

<sup>2</sup> იქვე, გვ. 676, ღოკ. №698

მოვიდნენ, თეთრი მოიტანეს. ახლა ყმასა და მამულსაც მართმევენ.“<sup>1</sup> დავის პროცესში დოკუმენტები, ხშირად ტენდენციურია და ამა თუ იმ მებრძოლი მხარის ინტერესებითაა აღწერილი. ამიტომ მოვიძიეთ დამატებითი საბუთები და შედარებითი ანალიზით შევეცადეთ რეალური ისტორიის დადგენას. რეალობა კი ასეთი აღმოჩნდა: საბუთები მას საკმაოდ მკაცრ მებატონედ ახასიათებენ. 1801 წლის 13 იანვარს რუისელების გამოსაღების არზაში, ბატონიშვილ თეიმურაზს მოსახსენებელში სთხოვენ ნიკოლოზ ციცისშვილის ყმები გათარხნებას ერთი წლით მაინც, გაუსაძლისი გაჭირვების გამო: „...სულ აგვიკლეს; პურით, ქერით, ღვინით, საქონლით; რაც გვებადა, სარჩოსაგან გაგვაყენეს; სულების მეტი აღარა შეგვრჩა რა.“ მართლაც, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ყმები ბატონიშვილის გადაწყვეტილებით გაუთარხნებიათ.<sup>2</sup>

ნიკოლოზ ციცისშვილი მეფესთანაც ტენდენციურია და კატეგორიულიც. განგებ ამძიმებს თავის მდგომარეობას არზაში, მაშინ, როცა, მართო ყმა-მამულის შემოსავლების გარეშე, მდივანბეგობის სამოხელეო სარგოს - 700 მანეთს იღებდა.<sup>3</sup> რაც შეეხება არზაში მოხსენიებულ იოანე კლიმიაშვილს, გიორგი მაღრაძის დისშვილს, მის კანონიერ უფლებას ყმობიდან წასვლის შესახებ არ სცნობდა. სწორედ მდივანბეგს ევალებოდა სამართალწესრიგის დაცვა ადგილზე, ამიტომ უძემლო, უპერსპექტივო ბრძოლას თავისი მრავალსულიანი ოჯახის გამო ამჯობინა, დაეთმო პირადი თავისუფლება, სამ-

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 690, დოკ. №717

<sup>2</sup> იქვე, გვ. 707-708, დოკ. №737

<sup>3</sup> Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией, 1868, II, №57

კვიდრო და ნასყიდი ყმა-მაძულის დაბრუნების სანაცვლოდ და ისევ ნიკოლოზ ციციშვილის ყმობაში დარჩენილიყო: „ესე წიგნი მოგართვით ჩვენ კლიმიაშვილმა იოანემ შვილმა ჩემან თქვენს ჩვენს ბატონს ნიკოლოზ ციციშვილს, დივანბეგს შვილსა თქვენსა იოანეს, რევაზსა და დავითსა, ასე რომ ჩვენ თქვენთან თქვენი მოწყალე გული ცოტა რაზედმე შემღურდა მოველ და შემოგვედრე. და თქუენი მოწყალე გული გამო-მიბრუნე და შემივედრე... თქვენს ბატონყმობაზედ ხელი ვერ ავიღეთ. ჩვენ ჩვენი თავი მოგვიტანია თქვენთანა ყმათა და ასე უნდა გემსახუროთ როგორც თქუენი მამა პაპისათვის გვმსახურია დღეს და დღეის იქით. აღარცარა შეგცოდოთ და აღარცარა თქვენი ერდგულობისა და სამსახურის მეტი არა ვქნათ რა. დღეის იქით თუ შეგცოდოთ და დავაშაოთ რამე თქვენზედა ღვთისაც შემცოდე ჯიყვნეთ და თქვენიცა რახან აზნაურიშვილი განლავარ თქვენს მეტი ბატონი არა მინდოდეს არც მე და არც ჩემს შულეებსაც არც სხვა ციციშვილთან საბატონოდ საქმე არა მქონდესრა...“<sup>1</sup> ნიკოლოზ ციციშვილის ქვეშევრდომობას არაერთი დოკუმენტი ადასტურებს.<sup>2</sup> ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოკვლეული საინტერესო საბუთების<sup>3</sup> მიხედვით მათ შორის დავა კვლავაც გაგრძელებულა.

ამ მწარე რეალობის თვითმხილველ მაღრამეს ისღა დარჩენოდა ყმობისგან თავდასაღწევად მეფის მხარდაჭერისთვის მიემართა. დავით ციციანოვი მის შთამომავალს მეფე გი-

---

<sup>1</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №14.708

<sup>2</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, მასალები შეარჩიდა გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, გვიანფეოდალური ხანა, (ვალი, იჯარა, ვაჭრობა), თბ., 1953, დოკ. №209, გვ. 153.

<sup>3</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №14712; ფ. Sd, საბ. №3310



ორგი XII-ის მოძღვრად მოიხსენიებს 1815 წ. 12 ოქტომბრის - გორის მაზრის სასამართლოსადმი ვალის თაობაზე თუმა-ნიანთ მიერ აღძრული საჩივრის პასუხში: „1809 წელსა აგვისტოს დღესა ...მოვახსენე თუმიანიანთ პასუხად, რომ.. ოქმიც მოეტანიებინათ და ამასთანვეცა ეკითხათ ფიცით იმ მეფის გიორგის მოძღვრის იოსებ პროთო პაპისათვის, რადგან იმან გამომიტანა ის ოქმი და მეფემ ოდეს ზედმიწევნით სცნა გარდახდა იმ ვალისა, თამასუქიც აღარ დაუბრუნა იმ თუმიანოვთა და დასდვა უქმად, რადგან სრულიად გარდახდილი გვექონდა.“<sup>1</sup> თავად გიორგი მალრაძემ დავით მეძკვიდრის 1801 წ. ოქმიდან ჩანს, რომ მეფის დანმარებით შეძლო მდივანბეგის ყმობიდან განთავისუფლება:<sup>2</sup> „ქ. მალრაძეს გიორგი მღვდელთან, იმის ძმისწულებთან, იმათ გლეხკაცთან კი საქმე არა აქვს.“ ყმა-მამულის გირავნობის წიგნებში ხშირად მოწმეთა შორის მოიხსენიება. ფართოდ ეწეოდა ფულადი თანხების სესხად, (გირავნობით) გაცემას პროცენტებზე. ამდენად, კრედიტის გამცემად გვევლინებიან აზნაურები, რაც მეორის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი მაჩვენებელიცაა.

რაც შეეხება ციციშვილთა აზნაურთა საგვარეულოს, 1783 წლის ტრაქტატზე დართული სიის მიხედვით საციციანოში სულ 34 სააზნაურო სახლი იყო.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, მასალები შეარჩიდა გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, გვიანფო-დალური ხანა, (ვალი, იჯარა, ვაჭრობა), თბ., 1953, ლოკ. №294, გვ. 213.

<sup>2</sup> ქსძ., ტ. VIII. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 735.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II ტ., საერო საკანონმდებლო ძეგლები (X- X I X სს. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 487-488.

1. მეღვინეთხუციშვილი
2. კლიმიაშვილი
3. ორჯონიკიძე
4. უთრუთიშვილი
5. ალიბეგისშვილი
6. დანდლისშვილი
7. სტელისშვილი
8. დაფქვიაშვილი
9. ქართველისშვილი
10. აბრამისშვილი
11. ობლიძე
12. მალრაძე
13. ალექსიძე
14. ბუნიათისშვილი
15. მუჩაიძე
16. გულბადისშვილი
17. ბულუტაური
18. დეკანოზისშვილი
19. წინამძღვრისშვილი
20. ფურცელაძე
21. ჩინჩალაძე
22. ქურდევანიძე
23. ჩაკაშვილი
24. იონათამიშვილი
25. მწყერაძე
26. საყუარელიძე
27. ალიყულაშვილი
28. საფარაშვილი
29. გვარამაძე
30. საამისშვილი

31. ავალდაშვილი
32. ხუცისშვილი
33. ტაბარაძე[ზაბარაძე]
34. რევაზისშვილი

საციციანოს აზნაურთა ეს ნუსხა სრულყოფილად ვერ ჩაითვლება. რამოდენიმე სააზნაურო სახლი გამოტოვებულია, საციციანოს ყმა-მამულთა ნუსხებში, გაყრისა და წყალობის წიგნებში აშკარად ჩანს იმ აზნაურთა საგვარეულო ყმა-მამული, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხვდნენ 1783 წლის ტრაქტატის სიაში. ამის სხვადასხვა მიზეზები სახელდება.

**გვერწითელის სააზნაურო სახლი** ყმად ეკუთვნოდათ ციციშვილებს.<sup>1</sup> 1823 წ. დავით ციციანოვი აზნაურობის მოწმობის წიგნს აძლევს გვერდწითლებს და მიუთითებს, თუ რატომ ვერ მოხვდა ეს გვარი სიაში: „ტრაქტატსა შინა არ არიან მოხსენებული, ამის მიზეზი ის არის, რომ, როდესაც ტრაქტატი შეუდგენია ირაკლი მეფეს. მამაჩვენი სპარსეთში ყოფილა ელჩად და გვერწითლები უფროსნი კაცნი თან ხლებიან. ჩემის აზნაურების აღწერა მინდობია თავადს მოურავს დავითს ციციანოვსა და ჩემი სახლისკაცსა და...იმ ავით მოურავს...ჩემის სახლის კაცების მტრობით და შურით არ დაუწერია, თორემ ესენი ჩვენგან პატივცემულნი და ჩინებულნი აზნაურნი ყოფილან.“<sup>2</sup> ციციშვილთა გაყრილობის წიგნებსა და ყმების ნუსხებში გვერწითლები ხშირად მოწმეთა შორის მოიხსენიებიან.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> ხეც., ფ. Hd,საბ. №8516; საბ. №855; ხეც., ფ. Ad,საბ. №911; საბ. №511; ხეც., ფ. Qd, საბ. №№1026; საბ.№798;

<sup>2</sup> ხეც. ფ. Ad, საბ. №911

<sup>3</sup> სცსსა. ფ. 1448, ს. №5010; ს. №5557; ს. №504; სცსსა., ფ. 1449, ს. №868; ს. №869

**იასე აბაშიშვილი** იმერეთიდან გადმოსულა და დავით ციციშვილს წყალობის ყმად მისვლია. გაწეული ერთგული სამსახურისთვის 1782 წელს ციციშვილი უბოძებს მამულს და სხვა წყალობასაც ჰპირდება: „კიდევ წყალობა გიყოთ, მამული მოგიმატოთ და სახელო მოგცეთ და ვითარცა ჩვენს აზნაურიშვილთ წესი და რიგია, ისე გამყოფოთ.“ პირობის მიუხედავად მებატონეს ტრაქტატის სიაში არ შეუტანია.<sup>1</sup>

**ტერტერაშვილები** - XVII-XVIII სს. ყმათა ნუსხებში აზნაურებად იწოდებიან<sup>2</sup>, თუმცა მეორე შტო ტერტერაშვილებისა გლეხებად მოიხსენებიან.<sup>3</sup> XVIII საუკუნის ბოლოს მათი აზნაურობა, როგორც ჩანს სადავო გამხდარა, ამიტომაც მიუძღრათ იულონ ბატონიშვილისათვის 1796 წ. 21 დეკემბერს არზით, სადაც მოწმეები მათ აზნაურიშვილობაზე იფიცებიან: „ქ. ღმერთმან ბატონიშვილი იულონის ჭირი დუელს (სოფ. დოესი) ტერტერაშვილებს მოგვცეს. ჩვენს მეზობლებს ჩვენი თავი მოხარჯე კაცათ შემოუსმენიათ. ჩვენი აზნაურშვილობის მოწამე მთელი საციციანო განხლავთ, რომ აზნაურშვილები განხლავართ. ამას ვითხოვთ, რომ მტრის ენით და შებუხლებით ჩვენ ხარჯი არავინ შემოგვაწეროს, თქვენად გასამარჯვებლად. იმდენი გამარჯვება გაქვსთ, რამდენი გადმოსვარდნილი აზნაურშვილნი სხვანი განხლდნენ, რომ ხარჯი არ ეთხოვებოდესთ...“ მათი აზნაურიშვილობის მოწმეთა შორისაა გიორგი მინბაში. „...მე მინბაში გიორგი ამას მოვასხენებ ჩვენს ჯელმწიფის შვილს, რომ ამ ტერტერაშვილსა გაგონი-

---

<sup>1</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №39 71

<sup>2</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. 875; საბ. №873; საბ. №804

<sup>3</sup> ხეც., ფ. Sd, საბ. №№9 28; საბ. №9 29; ხეც., ფ. Ad, საბ. №1358; საბ. №1429

თაც აზნაურისშვილათ გამიგონია და ცოდნითაც ვიცი, რომ აზნაურისშვილი არის-ო.“<sup>1</sup>

**უზნაძეთა საგვარეულო** - ტრაქტატის სიაში ვერ მოხვდა, მათი აზნაურობა ციციშვილთა საგვარეულოში დოკუმენტურად მტკიცდება. ქრისტიანე შარაშიძე ხაზგასმით მიუთითებს სამცხის მკვიდრ უზნაძეთა საგვარეულო სახლის შესახებ.<sup>2</sup> XVII ს. დამდეგს შენმასურ უზნაძე, სხვა აზნაურების გვერდით ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილების აზნაურებად იხსენიებიან მეფე ლუარსაბ I-ის წყალობის წიგნში, სადაც ვეცნობით საციციანოს სხვა აზნაურთა სახლებს: „ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩუენ მეფემან პატრონმა ლუარსაბ თქუენ ციციშვილისათვის ქაიხოსროს და მერაბს ... მოკითხული ვქენით; ზოგი თქუენი სამკვიდრო და ზედ სანაცლოდ მოგეცით ნიჩბისი, უმფლისა [უფლისციხე], დოესი, აკეთი, ახალდაბა, ქვენაფლიჯ, ღვეკს [ღვლევი]. აზნაურშვილი შენმასურ უზნაძე, დავით სიხულარიძე, ივანე ალექსიძე, მერაბა მთიელი, ესეებითა და სახლ-მამულითა მქონებელნი ყოფილან და ანუ არიან.“<sup>3</sup> ციციშვილებსა და უზნაძეთა შორის ურთიერთობა მკვეთრად შეცვლილია. XVII ს. ბოლოს. განაწყენებულ უზნაძეთა შემოსარიგებლად და მათ მამულში დასაბრუნებლად პირობის წიგნსაც სთავაზობენ. ციცი ციციშვილმა და ძმამ ქაიხოსრომ თავიანთ აზნაურიშვილს ანზორ უზნაძეს წიგნი მისცეს: „ცოტა საქმეზე შემოგვწყერი და ჩვენს ბიძაშვილებთან მიხველი, აწე შენისავე ნდომებით შემოგვირიგდი. საჯელოთ კარალეთი

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 403-404.

<sup>2</sup> შარაშიძე ქრ., საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბ., 1961, გვ. 35.

<sup>3</sup> ხეც., ფ. Ad, საბ. №1410

გქონდათ და ბატონმა გამოგვართვა [თუ] კარაღით ვიშოვნეთ შენი სახელო ისევ მოგცეთ თუ არა და...სანაცვლო საჯელო საქურდევანიდო მოგცეთ.“<sup>1</sup> XVIII ს. დამდეგისათვის წყაროები საციციანოში ამ გვარის მხოლოდ ორი კომლზე მიუთითებენ სახელოდ კი მიცემული აქვთ კარაღითის მამული.<sup>2</sup>

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი აზნაურთა საგვარეულოებისა, ტრაქტატის სიაში ვერ მოხვდნენ აზნაურები, ალადასშვილები და დედანაშვილები, მათ სათავადო აზნაურობას ადასტურობს ჩვენს მიერ მოკვლეული საარქივო მასალა.<sup>3</sup>

ტრაქტატის სიაში მოხვედრილი სტელიშვილების სააზნაურო სახლი, XVIII ს. ბოლოს ყმა-მამულის გარეშე რჩება. 1798 წლის ნიკოლოზ და ამილღაბარ ციციშვილების წილის ბარათით სტელისშვილების მამულს თავად იყოფენ: „თავიანთ შეფარდებით აზნაური შატელიშვილი უმამულოთ ერგო ციცის-შვილს ნოდარის შვილს ნიკოლოზსა და ამის ძმას ამილღაბარს ერგო აზნაურის შატელის-შვილის ფარდათ გოდერძის-შვილი უმამულოთ...“<sup>4</sup> ჩვენამდე მეტად მცირე ფრაგმენტულმა ცნობებმა მოაღწია წინამძღვრიშვილების<sup>5</sup>, ალექსიძეების, მუჩაიძეების, რევაზიშვილების<sup>6</sup>, ბუნიათისშვი-

---

<sup>1</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №1789

<sup>2</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №873; ფ. Hd, საბ. №1789;

<sup>3</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთარი 38 №ს. 57; ს. №101

<sup>4</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა XV-XIX სს, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1953 წ. №315. გვ. 195;

<sup>5</sup> სცსსა, ფ. 1448, ს., №5041; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ. 1972, გვ. 200 დოკ. №132

<sup>6</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №7886; საბ. №873

ლების<sup>1</sup>, ალაიბეგისშვილის<sup>2</sup>, ფიფიაშვილის, ფხაკაძეების, მანველიშვილების, ფრანგიშვილების<sup>3</sup> სააზნაურო საგვარეულოებზე.

ამ აზნაურთა დიდ ნაწილს საუკუნის დასასრულამდე ციციშვილთა ყმობიდან თავი დაუღწევიათ და სახასო აზნაურობა მიუღიათ.

ზემოთ განხილულ სათავადო აზნაურთა მიერ სამეურნეო საქმიანობის ამსახველ დოკუმენტებს, შემოსავლის და გასავლის აღრიცხვის, საეაჭრო პროდუქციის და მოგების დაანგარიშების ნუსხებს, მეურნეობაში მომუშავე ყმა-გლეხების მოზიდვის და მათი შრომის ანაზღაურების მასალებს, მეურნეობის ტექნიკური გაუმჯობესების გადაწყვეტილებებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია, ამიტომ აზნაურთა რაციონალური მეურნეობის სტატისტიკური მონაცემების ნაცვლად მასალები მხოლოდ ვარაუდის და ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს გვითვებდა. მიუხედავად ამისა სათავადო აზნაურთა მცირე ნაწილის მიერ გეგმაზომიერმა და მიზანმიმართულმა ინდივიდუალური ინტენსიური მეურნეობის შექმნის ზოგადმა მასშტაბებმა საფუძველი მოგვცა წარმოგვედგინა პროგრესული ხასიათის ცვლილებები და ოპტიმალური გადაწყვეტილებები საციციანოში რაციონალური მეურნეობის შესაქმნელად, რომელსაც სამეფო კარის მხარდაჭერის მიუხედავად ფუნქციონირებული სათავადო სისტემა, სხვა საშინაო და საგარეო ფაქტორებთან ერთად ყოველმხრივ აფერხებდა სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების კონტურებს.

---

<sup>1</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №5210; ფ. Hd, საბ. №2377

<sup>2</sup> სცსსა., ფ. 1450 დავთ. 51, ს. № 20;

<sup>3</sup> ხეც., ფ. Hd, საბ. №1636; სცსსა. ფ. 1448, ს. №5041, ფ. 1449, ს. №868; სცსსა., 1450, დავთ 38, საბ. №202

### დამოწმებანი:

1. ანთელავა ი., XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977.
2. აკოფაშვილი გ., სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში (აზნაურთა ფენა), თბ., 1965.
3. აკოფაშვილი გ., აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XV-XVIII სს. საქართველოში მსკ 32, თბ., 1955.
4. ბატონიშვილი იოანე, კალმასობა, თბ., 1936.
5. გაბაშვილი, დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი, მსკ 30, თბ., 1954.
6. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა გ. გელაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. გამომცემლობა, ტ. I, თბ., 1962.
7. დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970.
8. ლოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940.
9. ლოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა XV-XIX სს., ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953.
10. იოსელიანი პლატონ, ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა, რედაქტორი, ა. გაწერელია, თბ., 1978.
11. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953.



12. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, 1955.
13. მესხია შ., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, მსკ, 30, თბ., 1954.
14. საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. III, თბ., 1910.
15. სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981.
16. სოსელია ო., ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966.
17. შარაშიძე ქ., საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბ., 1961.
18. ქსდ., I ტ., ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963.
19. ქსდ., II ტ., საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ. 1965.
20. ქსდ., ტ. IV, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972.
21. ქსდ., ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. VI, თბ., 1977.
22. ქსდ., ტ. VIII, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985.
23. ხანთაძე შ., სახელმწიფო პურის გადასახადი (სურსათი) ქართლ-კახეთში მე-19 საუკუნის დამდეგს, მსკ32, თბ., 1955.
24. ხანთაძე შ., სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX, 1959.

25. ჯამბურია გ., სათავადოთა საკითხისათვის, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.
26. Бердзенишвили Н., Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии XIII-XVI вв. Тб., 1938.
27. Месхиа Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959.
28. Натадзе Г., К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия. Журн. "История классовой борьбы в Закавказье", Т. I, 1930.
29. АКАК - Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией.

*Manana Michitashvili*  
*Gori State Teaching University*  
**FROM THE HISTORY (THE 15<sup>TH</sup>-18<sup>TH</sup> CENTURIES)**  
**OF SATSITSIANO'S SOCIAL RELATIONS**  
**(NOBILITY)**  
**RESUME**

On the basis of the documents written with the dictation of situation or events of that time, deeds of grant, mercy and purchase; also, the books of separation, brotherhood and friendship, the lists of slaves, inventory and other legal documents (petitions, proceeding, the court verdicts, ect.) the paper comprehensively presents study Satsitsiano's social-economic and political support power - legal state of nobility and the relationship of the Tsitishvilis. Through interpretation of the historic materials, the paper depicts the progressive changes occurring within the 15<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries in Georgia affecting the social- economic state of the Satsitsiano nobility.

**ლიახვის ხეობის ნასოფლარები**  
**(საკითხის შესწავლისათვის)**

დოკუმენტური და ნარატიული წყაროების მიხედვით ლიახვის ხეობაში ისტორიულად არაერთი სოფელი არსებობდა. ამ სოფლებიდან ზოგიერთის სახელი მხოლოდ საისტორიო წყაროებში შემოგვინახა. დოკუმენტებში დაცული ცნობების შესწავლის შედეგად შესაძლებელია ლიახვის ხეობის რამდენიმე ნასოფლარის მდებარეობის დადგენა. ერთ-ერთი ასეთი ნასოფლარი „ქუაბნი“ გვხვდება 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, სადაც დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში არსებული არაერთი სოფელი იხსენიება. დოკუმენტში ვკითხულობთ: „გორს რაც მცხეთის მამულნი და ვაჭარნი არიან, კუალად სოფელი ზერტი, თვისთა მამულით, ნასოფლარი სათიბი, სოფელი ქვეში, სოფელი დისევი, ფლავი, სოფელი ჩხრიკეთი, სოფელი სათიხარი და ვანათს ცხრა კომლი კაცი, სოფელი ქუაბნი, სოფელი ქორდი და პატარა მელვრეკისი, ერედს გილაძენი, ვირშას მონასტერი მთავარანგელოზისა-თვისთა შესავლითა; ქრცხინვალს ელიოზიძე ურია, მამულითა.“<sup>1\*</sup> დოკუ-

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 177.

\* საკათალიკოსო მამულების ნუსხაში მოხსენიებული სოფლების ერთი ნაწილი დღეის მდგომარეობით უკუპირებულია 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად. ასეთია მაგ. პატარა ლიახვის ხეობაში

მენტში მოხსენიებული „ქვაბნი“ ჩვენი აზრით პატარა ლიახვის ზეობის ზემო წელზე მდებარეობდა. იგი სავარაუდოდ სოფელ ვანათს ესაზღვრებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი ვანათის აღწერისას წერს: „ვანათის ციხე შემუსვრილი განაახლა შანშემ. შემუსვრეს კუალად ყიზილბაშთა. ციხის უკან, ჩრდილოთ არს კლდე მაღალი, ქარაფოვანი, მჭურეტი ლიახვსა, და მას შინა ქუაბნი გამოკვეთილნი მრავალნი.“<sup>1</sup> არ არის გამორიცხული, რომ „ქუაბნი“ ვანათთან ახლოს მდებარე სოფელს თავდაპირველად ამ გამოქვაბულების გამო ერქვა. სოფელი ქვაბთა იხსენიება 1720 წელს შედგენილ სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმების და მამულის ნუსხაში, სადაც აღნიშნულია: „ქ. ქვაბთ(?)სამი“.<sup>2</sup> როგორც ჩანს აკად. ნ. ბერძენიშვილმა სოფლის სახელწოდებას, რაკი ის გაურკვეველად ეწერა ნუსხაში, კითხვის ნიშანი დაუსვა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ნუსხაში „ქვაბთა“ იხსენიება სოფელ ერედვის შემდეგ. ჩვენი აზრით, 1720 წლის ნუსხაში მოხსენიებული „ქვაბთა“ და 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში მოხსენიებული სოფელი „ქუაბნი“ ერთი და იგივე სოფელი უნდა იყოს. აღნიშნულ სოფელს იხსენიებს სეხნია ჩხეიძე. მისი გადმოცემით 1731 წელს, თეიმურაზ II ქართველ-ოსმალთა ჯარით შანშე

---

არსებული რამდენიმე სოფელი: დისევი, სათიხარი, ვანათი, ერედვი, ეს უკანასკნელი დოკუმენტში იხსენიება ერედვის სახელწოდებით. იხ. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ზეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 109; შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიახვის ზეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. I, თბ., 2002, გვ. 94.

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 369.

<sup>2</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. თ. I, თბ., 1940, გვ. 184, №256.

ქსნის ერისთავის სამფლობელო მთარბია, ხოლო შემდეგ სამაჩაბლოში გადავიდა და აიღო მუგუთისა და სვერის ციხეები, საცხენისი, ქვაბები.<sup>1</sup> სხვადასხვა წყაროებში მოხსენიებული ტოპონიმები: „ქვაბთა“, „ქუაბნი“, „ქვაბები“ პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფლის აღმნიშვნელი სახელებია. ეს სოფელი უნდა ყოფილიყო სოფელ ვანათის სიახლოვეს. ტოპონიმი „ქვაფთა“, რაც ჩვენი აზრით „ქვაბთას“ შეცვლილი ფორმა უნდა იყოს, უფრო მოგვიანებითაც გვხვდება. აღნიშნული ტოპონიმი იხსენიება 1894 წელს გაზეთ ივერიაში“ გამოქვეყნებულ ვ. მძინარაშვილის კორექსონდენციაში. წერილში ვკითხულობთ: „ეს ერთი თვე მიდის თქვენი მტერი იყოს ისე შეწუხებული და გაჭირვებული, როგორც ჩვენ (იგულისხმება სოფ. დიცის მოსახლეობა – გ.ს.) ვართ, ამ სოფლის მცხოვრებლები, ცალკე შიმშილი გვაწუხებს და ცალკე წყლის სურვილი. განათუ საჭმელი გვაკლია, ან სასმელი, წყალი არა გვაქვს არც დასალევად და არც საჭმლისათვის სახმარად. ჩვენი სოფლის წყალს უწოდებენ დიცურას და შიგ შუა სოფელში მოდის. ამ წყლის მეტი სხვა არც დასალევი სადმე წყალი გვაქვს მდინარე და არც წყარო. მხოლოდ ხუთ ვერსზედ თუ წავალთ, შეგვიძლია პატარა ლიახვიდგან წყალი ამოვიტანოთ, მაგრამ დიდად ძნელია ამ სიმორიდგან წყლის ზიდვა. დიცურა შიგ შუა სოფელში აბრუნებს ამავე სოფელში ოთხ წისქვილს, რომლითაც მთელი სოფელი სარგებლობს და ამ საფქვავესა ჰფქვავეს. წარმოიდგინეთ ეს ერთი თვე სრულდება, რაც ამ წყალს გვიწყვეტენ სათავეში ხუთი ვერსის მანძილზედ, ქვაფთის ჭალასთან; რამდენჯერ იყო შემთხვევა, როდესაც დაწყვეტენ წყალსა და ამ სოფლის გლეხნი წავიდოდნენ და ისევ გადმოუგდებდნენ

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის რედ. ტ. II, სპბ., 1854, გვ. 335.

ხოლმე, მაგრამ როდემდის უნდა იყოს ასე? საჭიროა რომ ჩვენმა მამასახლისმა ყურადღება მიაქციოს როგორმე ამ საქმეს და ხალხი დაიხსნას გაჭირვებისაგან<sup>1</sup>. წერილიდან ირკვევა, რო ქვაფთა (ქვაფთის ჭალა) მდებარეობდა მდინარე დიცურის სათავესთან.\* სოფელ დიციდან ხუთი ვერსის მანძილზე, რაც, ჩვენი აზრით, სწორედ ვანათის მისადგომებთან უნდა ყოფილიყო.<sup>2</sup> საკათალიკოსო მამულების ნუსხაში ყურადღებას იპყრობს დოკუმენტში მოხსენიებული „ვირშას მთავარანგელოზის მონასტერი თვისითა შესავლითა“. დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ: პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობდა სოფელი ვირშა, სადაც ვირშას მონასტერი არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ვირშას მონასტერი თავისი შესავალი მამულებით XV საუკუნის I ნახევრის დოკუმენტშიც იხსენიება. საქართველოს მეფემ ალექსანდრე I დიდმა ვირშის მთა და მონასტერი თავისი კუთვნილი სოფლებით განახლებულ სვეტიცხოველს უწყალობა. 1431 წლით დათარიღებულ სიგელში კვითხულობთ: „და ვითარ გუმართებს, და ჩუენგან სათანადო არის, ეგრეთ კუალადვე ვინებეთ შემატება და გაზედავება და შევსწირეთ და მოგახსენეთ ძუელითგან მეფეთაგან შემკობილი და აღშენებული და გადიდებული მთა ვირშისა, მონასტერი და მისნი შესავალნი ბადასშვილნი და ქორდი; და მას აქათ, ანუ

---

<sup>1</sup> გაზეთი „ივერია“ 1894 №226, 26 ოქტომბერი, გვ. 2.

\* დიცურა პატარა ლიახვის ერთ ტოტს ერქვა და ის სათავეს სოფელ არბოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მდ. პატარა ლიახვიდან იღებდა, როგორც ჩანს, ქვაფთის ჭალა სოფელ არბოსა და ვანათს შორის არსებულ პატარა ლიახვის ნაპირს ერქვა, არ არის გამორიცხული აქვე ყოფილიყო აღნიშნული დასახელების სოფელიც.

<sup>2</sup> გაზ. ივერია 1894, № 226, 26 ოქტომბერი, გვ. 2; იხ. გ. სოსიაშვილი, დიციის ისტორია, თბ., 2010, გვ. 12

მზღვარი ჰქონებიან მისითა მიმდგამითა, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქულითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა და ბართა, მზღურითა, სამხრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა სამართლიანითა ყუალათა ერთობ უნაკლულოდ, მოგუიხსენებია თქვენ, დიდისა და ცათა მომბაძავისა მცხეთისა საყდრისათუის და თქუენისა მპყრობელისა ჩუენისა სულისა მოძღურისა და მეოხისა კათალიკოზისა თეოდორესათუის: მოგუიხსენებია ძუელითგან ჩუენითა მომავალთა მეფეთაგან გადიდებული და შემკობილი ვირშა მთა და მონასტერი და მისნი შესავალნი, ქორდი და ბადასშვილნი და მას აქეთ, რაცა ძუელითგან მთას და ანუ მამულინი, ანუ გლეხნი და ზღვარნი, და პარტახტნი ჰქონებიან, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქულითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა და ბართა, სახმრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა მიმდგამითა, სამართლიანითა ყუალათა, ყ(ოვლა)დვე უნაკლულოდ... არას ჟამისა შემოსრულობისა და გამოცვალებისათვის არ მოგეშალოს და ვერვინ იკადროს ამისად სარჩლად და ცილებად, ვითა ჩუენითა მომავალთა მეფეთაგან აღშენებულისა და გადიდებულისა და პატივცემულისა და აწ ჩუენგან ახლად შემოწირულისა და სამკუიდროდ მოხსენებულისა დაცილება არავის მართებს აგრე. და ვინცა დაგეცილოს, პირნი და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ. და ვირშისა მთისა და მონასტრისა და მისთა შესავალთა, ვითა არვინ ღირსა, ყოვლისაგან კაცისაგან უაჯო არის. და დაღათუ ვისმე შემოტყუვილითა ანუ მამული ანუ გლეხნი და ანუ ზღუარი და ყანა და ვენახნი დიდი, ვინდა მცირე გამოეაჯოს, იგი ყუალა ამა დაწერილითა გაგუიცუდებია და მტკიცე ესეოდენ არის. ამა ვირშისა სახლისა ულუფა ძუელითგანვე ჩუენთა მეფეთაგან ამოკუეთილი და გაშუებული არის და მას აქეთ, როგორცა სხუანი მცხე-

თისა მამულნი შეუვალნი არიან, აგრეთვე ესე შეუვალად და თარხნად მოგუიხსენებია და არასთანა სათხოვარი არაოდეს ეთხოვებოდეს.<sup>1</sup> ზუსტად ძნელია, ვირშას მთის და მონასტრის ლოკალიზება, თუმცა, ჩვენი აზრით იგი პატარა ლიხვის ხეობაში მდებარეობდა, სოფელ ქორდთან ახლოს, რადგან ვირშის „შესავალნი“ იყვნენ სოფელი ქორდი და ბადას-შვილნი, რომლებიც ვირშასთან ერთად სამეფო ხელისუფლებას კათალიკოს თეოდორესთვის გადაუცია. საკათალიკოსო მამულების 1392 წელის სითარხნის გუჯარიდან ჩანს, რომ სოფელი ქორდი საკათალიკოსო მამულებში შედიოდა. სავარაუდოდ, ცოტა უფრო გვიან იგი სამეფო ხელისუფლებისაგან ვირშას მონასტერს გადაეცა. აღნიშნული მონასტერი, როგორც ჩანს, სამეფო კარისაგან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო, სწორედ ამაზე მეტყველებს ალექსანდრე I მიერ გაცემულ სიგელში არსებული ჩანაწერი „ძუელითგან მეფეთაგან შემკობილი აღშენებული და გადიდებული მთა ვირშისა, მონასტერი“. როგორც ჩანს, სამეფო ხელისუფლება ვირშას მონასტერს ძველი დროიდანვე დანმარებას უწევდა. აღნიშნული საბუთის გარდა, ვირშის მონასტერი სხვა ლოკუმენტებშიც იხსენიება, მაგ.: 1447 წლის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯრის მიხედვით ალექსანდრე I ძემ გიორგიმ სხვა მამულებთან ერთად საპატრიარქოს ხელახლა დაუმტკიცა მამულები, ამ მამულებში მოხსენიებულია ვირშის მონასტერი: „ვირშა მისითა შესავლითა“. ლოკუმენტში აღნიშნულია: „ესე სულკურთხეულსა მამასა ჩუენსა მეფეთა მეფესა ალექსანდრეს შე[ე]წირნეს თარხნად თავისუფლად და შეუვლად დაემტკიცნეს. აწ ჩუენ ახლად

---

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა და ბაბილინა ლომინაძემ, თბ., 2013, გვ. 171-172.



გუჯრითა ამით ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ ყოვლისა სათხოვარისა და გამოსაღებისაგან.“<sup>1</sup> ვირშის მონასტერი საკათალიკოსო მამულებში შედიოდა ასევე 1559 წლის მონაცემებით. ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში ჩამოთვლილია საპატრიარქოს კუთვნილი სოფლები, მათ შორის პატარა ლიახვის ხეობაში: „კულობის სამი საგლეხო: გეგელიშვილი, ლიპარიტაშვილი და მიქლუტაური, ვირშა მისი შესავლითა...“<sup>2</sup> 1574 წლის 14 მარტით დათარიღებული წყალობის წიგნის თანახმად, ქართლის კათალიკოსმა ნიკოლოზმა სოფელ ყურისუბნის სანაცვლოდ ვახტანგ ბატონიშვილს რამდენიმე სოფელი გადასცა, მათ შორის ვირშაც. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწყვნითა ღმრთისათა, კითხვითა, მოწმობითა და ბრძანებითა მეფისა პატრონისა სუიმეონისითა და დედოფლისა პატრონისა ნესტანდარეჯანისითა ჩუენ, ქართლის კათალიკოზ-პატრიარქმან ნიკოლაოზ და ყოველთავე მცხეთისშვილთა მოგახსენეთ და მოგეცით თქუენ, პატრონიშვილსა პატრონსა ვახტანგს ყურისუბნის სანაცვლოდ: მონასტერი და სოფელი ვირშა მისითა შესავლითა რარიგადცა სუეტიცხოველს შემოსწირვია... ყელქცეულს ვირშის შეწირულნი მიწანი რარიგადცა აქამდი ჩუენ გუქონებია; ესე მოგუებარებია და დაგუინებებია ყურისუბნის სანაცვლოდ.“<sup>3</sup> როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ვირშას

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ, III, გვ. 191.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 265.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 277-278.

\* აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი ოდნავ განსხვავებული სახით აქვს გამოქვეყნებული თ. ჟორდანიას. საბუთს თან ახლავს მკვლევრის მინაწერი: 1574 წ. ნუსხა მცხეთისა № :მ სვიმონ მეფე სწერს: „...მონასტერი და სოფელი ვირშა მისითა შესავლითა რა გვარადაც სუეტიცხოველს შემოსწირვია წასწყალს(?) არჩვაძეები ერისთავს რომ შამოუწირავს მითვე

სახელით არსებობდა სოფელიც და მონასტერიც. ხოლო ალექსანდრე I მიერ სვეტიცხოვლისადმი მიცემულ სიგელში იხსენიება „მთა ვირშისა, მონასტერი და მისი შესავალნი ბადასშვილნი და ქორდი“. ვირშის მონასტერს თვითონაც გააჩნდა თავისი მამულები. მათ შორის, სოფელ ყელქცეულში „შეწირულნი მიწანი“. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ სვეტიცხოვლის კუთვნილი მამულები, მათ შორის სოფელი ვირშა და ვირშის მონასტერი, საპატრიარქომ სამეფო კარისაგან რამდენიმე წლის შემდეგ ხელახლა გამოითხოვა. კათალიკოსმა დომენტიმ მუხრანთან ახლოს არსებული სოფელი ყურისუბანი ვახტანგ ბატონიშვილს გადასცა და სანაცვლოდ სვეტიცხოვლის მამულები უკან დაიბრუნა. 1595 წლით დათარიღებულ დოკუმენტში კვითხულობთ: „მას ჟამსა, ოდეს თქუენის ძმის მეფის პატრონის სუიმეონისგან მუხრანს სოფელი ყურისუბანი სამამულოდ და სამკუიდროდ მოგცემოდა. ამას წინათ კურთხეულს კათალიკოსს პატრონს ნიკოლოზს ზემო ქართლს ქორდი და რაცა სხუა მის გარშემო საყდრის მამული იყო, თქუენთვის ყურისუბანზედ გაეცვალა; ამისთვის, ვითა ყურისუბანი საყდარსა უფრო ახლო ახლდა. აწე არცა თქუენ მოგხდომოდა კარგად და არცა სუეტმან ცხოველმა

---

წესითა, ერეთს გ-ლაშქლი(სიც) მისითა მამულითა, ზაკვ მისითა ზღურითა, სათახნი... ქორდს... ხომატე, ლუკერისი. „მელუკერის ვენახნი... ახალდაბას... საგლეხოები, რაც ვარდანს შემოუწირავს, ყელქცეულს ვირშის შეწირულნი... ესე მოგვბარებია და დაგვენებებია ყურის უბანის სანაცვლოდ. . ქ-კ:სიბ:თუესა მარტსა:იდ:“ თ. ჟორდანი, ქრონიკები, ტ. II, 1897, გვ. 415. ჩვენი აზრით, ეს დოკუმენტი უნდა წარმოადგენდეს პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებულ ზემოთ დამოწმებული ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის სიგელის ასლს. იმ სიგელის, რომელიც მან ვახტანგ ბატონიშვილს უბოძა და სვეტიცხოვლის მამულების სანაცვლოდ ყურისუბანი გამოართვა. თ. ჟორდანიამ ჩვენი აზრით ამ დოკუმენტის დაზიანებული ასლი ამოიკითხა და სიგელი სიმონ I მიაწერა.

იპრიანა. აწე თქუენივე ყურისუბანი თქუენვე დაგიდევით და საყდრისა მამული საყდარსავე დაანებეთ.“<sup>1</sup> თუ დაუკვირდებით ამ დოკუმენტში არსებულ ჩანაწერს: „ზემო ქართლს ქორდი და რაცა სხუა მის გარშემო საყდრის მამული იყო“. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქორდის გარშემო არსებულ საყდრის მამულებში სოფელი ვირშა და ვირშის მონასტერიც იგულისხმება. ზემოთ წარმოდგენილ 1431 წლის ალექსანდრე I სიგელში კიდევ ერთი საინტერესო დეტალი გვხვდება: „ამა ვირშისა სახლისა ულუფა ძუელითგანვე ჩუენთა მომავალთა მფეთაგან ამოუკუეთილი და გაშუებულ არის“. რას ნიშნავს „ვირშისა სახლისა ულუფა.“ შესაძლებელია არსებობდა ვირშელთა სახლი, ვირშელთა საგვარეულო, რომელიც უკავშირდებოდა ვირშის მთას, ან სოფელ ვირშას.<sup>2</sup> ალექსანდრე I კათალიკოს თეოდორეს არამარტო ვირშას მთა და მონასტერი უბოძა არამედ „მისნი შესავალნი ბადასშვილნი და ქორდი“. როგორც აღვნიშნეთ, ქორდი მდებარეობს პატარა ლიანხვის ხეობის შუა წელზე.<sup>3</sup> ქორდში დღემდე ცხოვრობენ სიგელში მოხსენიებული ბადაშვილები. ბადაშვილთა საგვარეულო ჯინჯინისძეთა საგვარეულოდან მომდინარეობს და როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, ჯინჯინისძე-ბადაშვილები ვირშის მთავარანგელოზის ტაძრის საგანძურის მცველები ყოფილან. ამას ადასტურებს 1453 წლის მცხეთის სიგელი, სადაც ვკითხულობთ: „...ესე სიგელი მოგახსენეთ თქუენ ვირშის წ-თა მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელს,

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 348.

<sup>2</sup> გ. სოსიაშვილი, ვირშას მონასტერი და ვირშელთა საგვარეულო (საკითხის შესწავლისათვის), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №8, 2015, გვ. 66-80.

<sup>3</sup> გ. სოსიაშვილი, პატარა ლიანხვის ხეობის ისტორიიდან (სოფელი ქორდი), თბ., 2007, გვ. 7.

ქართლისა პატრიარქს დავითს და თქუენტა მკუიდრთა მეგანძურთა სახლისა თქუენისა უხუცესთა ჯინჯინისძეთა ბადასშვილთა გრიგოლს და შენტა შვილთა ბადასა და ბევროზს და შენტა ძმისწულთა შალვას და ივანეს. .. მე უჯარმელმან (ფავნელმან?), ჩემმა შვილმან შალვამ მას ჟამსა, ოდეს გაგიცვალეთ ჰჯიკას ძესა (უჯიკასძისა) ოქროთა ნასყიდსა და მიქაურსა მამულსა ზედა მოგუახსენეთ (მოგახსენეთ) ქუბეშური (ქუბეშური) მამული ჩარეხელას შვილითა გერასიმისძისეული მამული... სახლითა, კარითა.. ჭურითა... მოგუიხსენებია ჩუენ უჯარმელსა ფავანელსა... თქუენ ვირშის თავს წთა მთავარანგელოზთათუის ესე მამული და გლეხნი... არა მოგეშალოს“.<sup>1</sup> აქ ნახსენები „მკუიდრთა მეგანძურთა“, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ჯინჯინისძე-ბადაშვილებს ვირშის მთავარანგელოზის საგანძური ძველი დროიდან ჰქონდათ ჩაბარებული. ბადაშვილები შედარებით გვიანდელ დოკუმენტურ წყაროებში კათალიკოსის ყმები იყვნენ. 1694 წლის დოკუმენტის თანახმად ნიკოლოზ კათალიკოსმა გიორგი გედევანიშვილს ქორდში მცხოვრები ბადაშვილების მამული გადასცა.<sup>2</sup> სოფელ ვირშას ზუსტი ლოკალიზაცია ძნელია, თუმცა, ის ჩვენი აზრით მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე, მთის ფერდობზე უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ სოფელ კომკასთან და კულბითთან ახლოს.

**ბადანი (იგივე ბადაანი)** ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ სიგელში, რომელიც 1687 წლით არის დათარიღებული, ჩამოთვლილია კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისადმი გაწეული ღვაწლი, სადაც აღნიშნულია: „კიდევუ ნასოფლარი ბადანი ავაშენე“.<sup>3</sup> „ბადაანი“ს-

---

<sup>1</sup> თ. ჟორდანი, ქრონიკები, ტ. II, გვ. 272.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 603-604.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 592.

არსებობა უფრო გვიანდელი პერიოდის დოკუმენტითაც დასტურდება. ანტონ I კათალიკოსმა გიორგი გელევანიშვილს უბოძა „ოსების მოურაობა ბადაანისა და ხოდელისა“: ესე უკუნისამდე ჟამთა და დროითა გამოსადეგი მტკიცე და უცვლელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ გელეონისშვილსა გიორგის და მომავალთა სახლისა შენისათა ჩვენის ეკლესიის ყმების ოსების მოურაობა ბადაანისა და ხოდელისა, რომელიც შეგეძლოს უნდა მოუარო და ეკლესიას იმათი თავი არ დაუკარგო და რიგიანად, რომელიც იმათ გეწყობოდეს, ისე გეემსახურო. და თუ ურჩნი შეიქმნენ, მისის სიმაღლის ჩვენი ოქმიც გებოძება. და ესე ჩვენგან ბოძებული წყალობა გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ეკლესიისა და ჩვენსა ერთგულებისა შინა“<sup>1</sup> როგორც ჩანს, ვირშის მონასტერს ეკუთვნოდა „შესავალნი ქორდი და ბადასშ-

---

<sup>1</sup> გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 78.

\* ამ დოკუმენტში ოსების მოურაობა შემთხვევით არ არის ნახსენები, ჩვენი აზრით სოფლები, სადაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული ოსები დასახლდნენ ვიდრე ქართულ გარემოს შეეჩვეოდნენ სპეციალურ სამოურაობად დაჰყვეს. ჩამოსახლებული ოსების ერთი ნაწილი ეკლესიის საკუთრება გახდა, რასაც ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტიც ადასტურებს. ოსების სამოურაოები რომ არსებობდა, ეს სხვა დოკუმენტითაც დასტურდება: 1796 წლის საბუთში იხსენიება მირზაშვილის სამოურაო ოსები. ნიქოზში მოტაცებული გოგია ციციშვილის ყმა სწორედ მირზაშვილის სამოურაო ოსებში გაუყიდათ. იულონ ბატონიშვილმა ოსების მოურავ თამაზა მირზაშვილს დაავალა გატაცებული ტყვის მოძებნა. იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 363. ოსებისთვის საგანგებო მოურავების დაწესება ხელისუფლებისაგან, თუ ეკლესიისაგან იმით იყო ნაკარნახევი, რომ ახლად ჩამოსახლებულ ოსი მოახალშენეებს ადგილობრივ მოსახლეობასთან შესაგუებლად განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებოდათ.

ვილნი“, ანუ ბადასშვილების მამული (მცირე სოფელი),\* სწორედ აქ ცხოვრობდნენ ვირშის მთავარანგელოზის „მეგან-ძურნი“ ჯინჯინასძე-ბადასშვილნი, რომლებიც მათი სოფლის განადგურების შემდეგ ქორღში გადმოსახლდნენ. მოგვიანებით ნიკოლოზ კათალიკოსმა „ბადანი“ იგივე ბადაანი ხელახლა მოაშენა და სვეტიცხოველს გადასცა. უფრო გვიან, XVIII საუკუნეში აქ ჩრდილოეთიდან ჩამოსული ოსები დაასახლეს, რომლებიც საეკლესიო ყმები გახდნენ. ანტონ კათალიკოსმა მათი მოურაობა გიორგი გედევანიშვილს უბოძა. ჩვენი აზრით ბადანი პატარა ლიხვის ხეობაში ქორღსა და ვირშას შორის არსებული პატარა სოფელი იყო.

**ბაკურისუბანი** - იხსენიება 1348 წელს ანდრონიკე მეფის მიერ წითლოსან ქვენიფნეველისადმი ბოძებულ წყალობის სიგელში: „ქ. სახელითა ღმრთისაითა, ანდრონიკესაგან ბაგრატუნინის, ნებითა ღმრთისითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთ მეფისა, შარშვანშე და შანშა და ყოვლის აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ხელმწიფედ მოპყრობელისა; მოვიდა ჩუენს წინაშე ქუენიფნეველი, ლარგ[ვ]ელისა შვილი წითლოსან და გუეჯა და მოგ[უ]ახსენა, რაითამცა ქართლს მუხუსძისა სალარისეულნი სოფელნი: კარბაი და გარეჯარ ბაკურისუბანი მისთუსისმცა მიგუებოდნეს. დაგუეაჯა ღმერთმან და ვისმინეთ აჯაი ქუენიფნეველისაი წითლოსანისი, ვინაითგან მათის ცოლის ძმის მუხუსძეს სალარესცა მისთუის და მისთა დისწულთათუის ეანდერძა მისი მამული, ჩუენცა შევიწყალეთ და მიუბოძენით სოფელნი: კარბაი და გარეჯარ ბაკურისუბანი, მისითა სამართლიანითა

---

\* შესაძლოა ბადასშვილებს სწორედ ვირშის მთავარანგელოზის ტაძრის წინაშე არსებული დამსახურების გამო გადაეცათ მამული მონასტერთან ახლოს. საგანძურის მცველები მონასტრიდან შორს ვერ იცხოვრებდნენ.

მძღურითა მკ[უ]იდრად, სამამულოდ, შეუვ[ა]ლად და შეუცვა-  
ლებლად<sup>1</sup> ღოკუმენტში ნახსენები სოფლები პატარა ლიხ-  
ვის ხეობაში მდებარეობს. აქედან კარბი და გარეჯვარი დღე-  
საც არსებობს (გარეჯვარი ორ ნაწილად არის გაყოფილი:  
დიდ და პატარა გარეჯვრად)\*. ზუსტად ძნელია, ბაკურისუბ-  
ნის ლოკალიზება. არ არის გამორიცხული, რომ გარეჯვარი  
ძველ დროშიც რამდენიმე ნაწილად იყოფოდა და მის ერთ  
ნაწილს ბაკურის უბანი ერქვა. 1382 წლით არის დათარიღე-  
ბული ოქონის ხატისადმი ბოძებული სიგელი, რომლითაც  
დავით მეფემ ოქონის ხატს თამარ მეფის დროს ბოძებული  
მამულების წყალობა განუახლა. ღოკუმენტში მოხსენიებულია  
გარეჯვარს ლომსათუბანი: „ზემო რეხას ათი საკუამლო  
მისითა რუთა, მამულითა, მიწითა, საწისქვილოთა, სასაფლა-  
ვოთა, სამძღვრითა და სამნებითა ყოველის კაცისაგან მოუღე-  
ვარი და შემოუცილებელი; აგრეთვე გარეჯვარს ლომსათუბა-  
ნი მისითა წყლითა, რუთა, სამძღურითა და სამნითა ამით:  
თამარ დედოფლის რუმდის ქუემოთ, რეხის ფშნამდინ, გვერ-  
დით ხელთუბნის სამნამდის, მარჯუნით თორტიზის ფშნამ-  
დინ.“<sup>2</sup> ღოკუმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლომსათუბა-

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 98-99.

\* აღსანიშნავია, რომ სოფელ კარბს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. კარბი იხსენიება XI საუკუნეში, როდესაც საქართველოს თურქ-სელჩუკთა შემოსევები დაატყდა. „მატიანე ქართლისაი“ ავტორის ცნობით: „და იქმნა ზამთარი სასტიკი; რომელი გარდახუეწა და მიმართა მათა, მოსწყდა იგიცა სიფიცხისაგან ზამთრისა. ზოლო ყოველსა ქართლსა შინა დადგა ლაშქარი, და თვით თავადი სულტანი დადგა კარბსა.“ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 309.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს, თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა და ბაბილინა ლომინაძემ, თბ., 2013, გვ. 51.

ნი გარეჯვერის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა და ის თორტიზას, ხელთუბანს და რეხას ესაზღვრებოდა. ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ: ბაკურისუბანი პატარა სოფელი (შესაძლებელია უბანიც) შედიოდა დიდი სოფლის – გარეჯუარის შემადგენლობაში. გარეჯვარში სხვა პატარა დასახლებაც იყო, რომელიც ლომსათუბნის სახელწოდებით გვხვდება 1382 წლის დოკუმენტში. ჩვენი აზრით, გარეჯუარში შემავალი პატარა სოფლები ბაკურისუბანი, ლომსათუბანი გახდა საფუძველი, რომ მოგვიანებით სოფელი დიდ და პატარა გარეჯვარად გაიყო.

დოკუმენტურ წყაროებში დიდი ლიახვის ხეობაში იხსენიება სოფელი **პატარა მელურეკისი**. 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში სხვა სოფლებთან ერთად მოხსენიებულია: „სოფელი სათიხარი და ვანათს ცხრა კომლი კაცი, სოფელი ქორდი და პატარა მელურეკისი...“<sup>1</sup> 1559 წლის ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში ვკითხულობთ: „ტ[ი]რძნის[ს] გელდიაშვილი, გუდაძე, უტიძე და ფილიპაშვილნი მათითა მამულითა, ზემო მელურეკის ერთი მრთელი მამული საგლეხო, ცოტა მელურეკისი ნასოფლარი მისითა სამართლიანითა მზღურითა.“<sup>2</sup> აღნიშნულ დოკუმენტებში მოხსენიებული „პატარა მელურეკისი“ და „ცოტა მელურეკისი“, ჩვენი აზრით, ერთი და იგივე სოფელია. მისი თავდაპირველი სახელი „პატარა მელურეკისი“ უნდა ყოფილიყო. 1559 წლის საკათალიკოსო გუჯარის შედგენის დროს პატარა მელურეკისი უკვე ნასოფლარი იყო. მისი მცირე ტერიტორიული მოცულობის

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 177; თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 197.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 265.



გამო იგი „ცოტა მელურეკისად“ იწოდებოდა. ზემო მელვრეკისი მისი სახელწოდებიდან გამომდინარე მელვრეკისის ჩრდილოეთ ნაწილს ეწოდებოდა, რომელიც სოფელ ერგენტის ემიჯნებოდა. „ცოტა მელურეკისი“ 1574 წლის ერთ დოკუმენტშიც იხსენიება. ეს არის „წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა პატრონ ვახტანგისადმი“. ამ დოკუმენტის თანახმად ნიკოლოზ კათალიკოზმა (კათალიკოსი ნიკოლოზ VII - 1561-1584 წწ.) ვახტანგ ბატონიშვილს სოფელ ყურისუბნის ნაცვლად რამდენიმე სოფელი უბოძა, მათ შორის: „ცოტა მელურეკისი მისითა სამართლიანითა; მელურეკის ვენახი და სხვა რაც საჩუენო იყო.“<sup>1</sup> მელვრეკისი იხსენიება ასევე 1432 წლის დოკუმენტში, ეს არის ხელა მოლარეთუხუცესის დაწერილი თირის მონასტრისადმი. ხელა თავხელისძეს თირის მონასტრისათვის თავისი ერთგული პირის ბეჟან იალღუზის-შვილის სააღაპოდ მელვრეკისში მცხოვრები გლეხი ჭონის-შვილი შეუწირავს.<sup>2</sup> ამ დროისთვის მელვრეკისი ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა, თუმცა, როგორც ჩანს, თავხელისძეებს იქ თავიანთი ყმები ჰყავდათ. 1432 წლის დოკუმენტიდან არ ჩანს, რომელ მელვრეკისზეა საუბარი, პატარა მელვრეკისზე, თუ ზემო მელვრეკისზე. არ არის გამორიცხული, რომ პატარა მელვრეკისი ამ დროისთვის უკვე ნასოფლარი იყო და ზემო მელვრეკისი მხოლოდ მელვრეკისის ფორმით მოიხსენიეს. უფრო გვიანდელ დოკუმენტებში იხსენიება სოფელი მელვრეკისი. 1720 წლის სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმების ნუსხის მიხედვით მელვრეკისში მთაწმინდის კუთვნილი თორმეტი კომლი გლეხი ცხოვრობდა. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 277.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, გვ. 180.

ისტორიიდან,<sup>1\*</sup> მეღვრეკისში საქართველოს საპატრიარქოს რამდენიმე კომლი გლეხი ჰყავდა. 1736-1744 წ.წ. ქართლის საკათალიკოსო ყმების აღწერის დავთარში, მეღვრეკისში იხსენიებიან საკათალიკოსო ყმები: მაისურაძე ოთია, ჯან-ჯალაშვილი ქიტესა, ილარიონის ბერი, მაისურაძე ივანე.<sup>2\*\*</sup> მეღვრეკისი იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაშიც“ გვხვდება, სადაც აღნიშნულია: „ქ. მეღვრეკისი, მოსახლე“.<sup>3</sup> XVIII საუკუნის II ნახევრის ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრებში იხსენიება სოფელი მეღვრეკისი, სადაც ყმა-გლეხები ჰყავდა სინას მთის მონასტერს.<sup>4</sup> ამრიგად, დიდი ღიახვის ხეობაში არსებული სოფელი მეღვრეკისი XIV საუკუნემდე ორ ნაწილად იყოფოდა: ზემო მეღვრეკისად და პატარა, ანუ ცოტა მეღვრეკისად, მოგვიანებით პატარა მეღვრეკისი ნასოფლარად გადაიქცა, რასაც XVI საუკუნეში შედგენილი დოკუმენტური წყაროე-

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 182.

\* აღნიშნულ დოკუმენტში მოხსენიებულ „თაწმინდაში“ უნდა იგულისხმებოდეს სინას წ. ეკატერინეს მონასტერი, რომელსაც სოფელ მეღვრეკისში თავისი მამული ჰქონდა, ამის შესახებ იხ. გ. სოსიაშვილი, სინას მთა და სოფელი მეღვრეკისი, „გულანი“, №16, 2015, გვ. 113.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 780.

\*\* ჩვენი აზრით, დოკუმენტში მოხსენიებული გვარის არასწორ წაკითხვასთან გვაქვს საქმე. საკათალიკოსო აღწერის დავთარში უნდა იყოს „ილარიანი ბერი“ და არა „ილარიონი ბერი“. მეღვრეკისში გვარი ილარიანი გვხვდება XVIII საუკუნის II ნახევრის დიდი ღიახვის ხეობის აღწერის დავთარში. იხ. ა. თაბუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88-89.

<sup>3</sup> იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბელოშვილმა, თბ., 1986, გვ. 41.

<sup>4</sup> ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 88.

ბიც ადასტურებს. ვინაიდან პატარა მელვრეკისი აღარ არსებობდა, ზემო მელვრეკისს შემდგომში მელვრეკისი დაერქვა. **ტყიურა** პატარა ღიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებულ სოფელი იყო. ამას ადასტურებს 1716-1724 წ.წ. შედგენილი განაჩენი ვახტანგ VI-ისა თუმანიშვილებსა და ქარუმიძეებს შორის ხევთუბნისა და თორტიზის რუხე დავის გამო. დოკუმენტში ვკითხულობთ: „მეფეს როსტომს შეეწყალა, თვითან მიბძანებულყო რუ და სათაო მოესაზრა, ქვეენისათვი[ს] მუშა შეეწერა, დიდის ღიახვიდამ და პატარას ღიახვიდამ, ორითგანვე, სათავე აერო და წყალი წამოეყუამა და ერთ რუდ შეეყარა და მარანა გაეთარხნებინა, მერუეთ დაეყენებინა და ეს რუ და წყალი ყოვლის კაცის უვილობლად თუმანიშვილებისთვის ხევთუბნის სარწყავად ებოძებინა. ძვეერელთა, ტყიურელთა, კარალელთა, ორთავ გარეჯურელთა და თორტელთათვინ თაკეთი რუები ზოგი ზედ გარდაეტარებინა და ზოგი ქვეშ გაეძეურინებინა.“<sup>1</sup> სოფელი ტყიურა, თუ დოკუმენტში სოფლების ჩამონათვალის მიხედვით ვიმსჯელებთ, ძვეერას და კარალეთს შორის უნდა ყოფილიყო. შემდეგ იგი ნასოფლარად იქცა, ან სოფელ კარალეთს შეუერთდა და როგორც ცალკე სოფელმა არსებობა შეწყვიტა. სოფელ ტყიურეთს იხსენიებს იოანე ბაგრატიონი: „ქ. ჩმართა მოსახლე, ქ. ზერტი, მოსახლე, ქ. ტყიურეთი, მოსახლე“.<sup>2</sup> ჩვენი აზრით ტყიურა და ტყიურეთი ერთი და იგივე სოფელი იყო. აღნიშნული სოფელი უფრო გვიანდელი პერიოდის დოკუმენტურ

---

<sup>1</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. II, ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ., 1953, გვ. 20.

<sup>2</sup> იოანე ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ფრონეს ხეობაში არსებობდა სოფელი ტყის უბანი, სადაც ყმები ჰყავდათ ფალავანდიშვილებს. იხ. ა. თაბუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

მასალებში აღარ გხვდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის XIX საუკუნის დასაწყისში (როგორც აღვნიშნეთ აღნიშნული სოფელი, როგორც მოსახლე მოხსენიებულია იოანე ბაგრატიონის თხზულებაში, რომელიც 1794-1799 წ.წ შეიქმნა) ნა-სოფლარად გადაიქცა.

**თიხრევი** მდებარეობდა დიდი ღიახვის ხეობაში. იოანე ბაგრატიონის თხზულებაში „ქართლ-კახეთის აღწერა“ ჩამოთვლილია დიდი ღიახვის ხეობაში არსებული სოფლები, მათ შორის, თიხრევიც: „ქ. ცხინვალის ხეობასა და სამაჩაბლოს ხეობას რაც სოფლები სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო და დიდი ღიახვით ირწყვის... „ქ. თიხრევი, მოსახლე“. სოფლების ჩამონათვალში თიხრევი ნიქოზის შემდეგ იხსენიება.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ სოფელი თიხრევი არ არის შეტანილი XVIII საუკუნის II ნახევრის ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრებში. არ არის გამორიცხული, რომ იგი დავთრების შედგენის დროს გამოჩაბდა. თიხრევი ძალზე პატარა სოფელი იყო დიდი ღიახვის ხეობის ერთ-ერთი უძველესი სოფელი იყო. ამ სოფლის არსებობა ლაპიდარული წარწერითაც დასტურდება. სოფელ ტბეთში ბორცვისფერის ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადის ქვედა ქვაზე ორსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში, რომელიც X საუკუნით თარიღდება კვითხულობთ: 1. „ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისაი)თა ესე ბალ(ა)ჰვ(ა)რი/2. თიხრევე(ე)ლთა ითვიხ(ა)ნთ ესე ჩ(უე)ნ დ(ა)ვს(დე)თ.“<sup>2</sup> თიხრევი ტბეთთან ახლოს მდებარეობდა და ბორცვისფერის ტაძრის აშენებაში თიხრეველებს თავიანთი წვლილი შეუტანიათ. (შესაძლოა

---

<sup>1</sup> იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 41.

<sup>2</sup> ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 184.

ისინი ხელოსნები იყვნენ და დიდგვაროვან ტბელების დავა-  
ლებით მოქმედებდნენ). აშკარაა, რომ აღნიშნული სოფლის  
სახელის ფუძე თიხასთანაა დაკავშირებული. მსგავსი ფუძის  
მქონე სოფელი სათიხარი არსებობდა პატარა ლიახვის ხე-  
ობაში.<sup>1</sup> ლიახვის ხეობაში დოკუმენტური წყაროების მიხედვით  
სხვა არაერთი ძველი სოფელი არსებობდა, რომელთა შესა-  
ხებ კვლევა-ძიების გაგრძელებას სამომავლოდაც ვაპირებთ.

*Giorgi Sosiashvili*  
*Gori State Teaching University*  
**GHOST VILLAGES OF LIAKHVI GORGE**  
**(STUDYING THE ISSUE)**  
**RESUME**

According to documental and narrative sources, there were a number of villages in Liakhvi Gorge. Many of those villages still exist but names of some of them are maintained only in the historical sources. Studying the information stored in documents enabling us to define location of several ghost villages. These ghost villages are *Kuabni*, *Virsha*, *Patara Meghvrekisi*, *Badani*, *Tkiura*, *Tikhrevi*. Carrying out researches on ancient villages of Liakhvi Gorge are planned to be continued in the future as well. Majority of historical villages of Liakhvi Gorge are occupied that is why the research of the abovementioned issue is topical. Objective analysis of sources will enable readers to arrive at correct conclusion.

---

<sup>1</sup> იხ. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 19.

**ადრექრისტიანული ხანის ქართლის (იბერიის) სამეფოს  
ისტორიის ერთი ფრაგმენტის შესახებ**

IV საუკუნის ცნობილი რომაელი მემატიანის ამიანე მარცელინეს ცნობით, 368-369 წწ-ში ქართლის (იბერიის) სამეფოს მთლიანობა დაირღვა: მისი ერთი ნაწილი რომაელთა მომხრე სავრომაკს (<საურმაგ) ერგო, მეორე კი – სპარსელთა ფავორიტ ასპაკურეს (<ასფაგურ/ვარაზ-ბაკურ)<sup>1</sup>. ამ უკანასკნელს ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ქართული საისტორიო წყაროებში ნახსენებ მეფე ვარაზ-ბაკურთან (ვარაზ-ბაქართან) აიგივებს<sup>2</sup>. თუმცა ამ პირთა იდენტიფიცირების საკითხში მეცნიერთა შორის არსებობს განსხვავებული მოსაზ-

---

<sup>1</sup> ამიანე მარცელინე. „გეორგია“. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, თბილისი, 1961.

<sup>2</sup> ბოგვერაძე ა., ქართლის (იბერიის) სამეფოს 369 წლის გაყოფის საკითხისათვის. კრებული „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბილისი, 1976, გვ. 89, შენ. 6; გოლაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბილისი, 1990, გვ. 87-89; გორგაძე ს. წერილები საქართველოს ისტორიიდან, III, თბილისი, 1913, გვ. 58; მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. IV, ნაკ. I. თბილისი, 1958, გვ. 170; ზურცილავა ბ. „მოქცევაი ქართლისაი“-ს მატიანის ერთი ფრაგმენტის აღდგენისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საისტორიო აღმანახი „კლიო 13“, თბილისი, 2001, გვ. 38; ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 234-235.

რებებიც<sup>1</sup>. ამჯერად ჩვენ გვერდს ვუვლით ასპაკურესა და ვარაზ-ბაკურის ურთიერთმიმართების საკითხს და მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ „მოქცევაი ქართლისაისა“ და „ქართლის ცხოვრების“ იმ ცნობებს, რომლებშიც ვარაზ-ბაკურის (ვარაზ-ბაქარის) ზეობის პერიოდია მოცემული.

„მოქცევაი ქართლისაის“ შატბერდულ ხელნაწერში (X ს.) დაცული ცნობა, როგორც წესი, ლაკონიურია: „დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ, და მისა ზევე სპარსთა მეფისა მარზაპანნი შემოვიდეს სივნიეთა და იგი ზიდარდუკუჯდა. და მთავარებისკობოსი იყო იგივე იობ. და მაშინ მოვიდა ქრამხუარბორზად სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი. და მისაზე აღაშენეს აზნაურთა წმიდაი იგი ეკლესიაი მცხეთას და დაამოთაულეს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლს შინა“<sup>2</sup>. ეს ცნობა საზოგადოდ ისტორიკოსთა დიდ ინტერესს იწვევს, რადგან, როგორც ამას თავის დროზე ნ. ჯანაშია აღნიშნავდა, აქ საუბარია იბერიის სამეფოს ჩვენთვის ცნობილ პირველად დახარკვის ფაქტზე<sup>3</sup>; ის ამ ფაქტს IV ს-ის 70-იანი წლების მიწურულით ათარიღებდა<sup>4</sup>. ე. აბაშიძე ქართულ მატრიანეებში

---

<sup>1</sup> კაკაბაძე ს., ძიებანი ქართველთა IV-VII საუკუნეების ისტორიის შესახებ. „საისტორიო კრებული“, წ. II, თბილისი, 1928, გვ. 13; კეკელიძე კ., იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან, „ეტიუდები“, III, თბილისი, 1955, გვ. 22; ლომოური ნ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში. თბილისი, 1989, გვ. II.

<sup>2</sup> მოქცევაი ქართლისაი. კრებული „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, I, თბილისი, 1963, გვ. 91-92.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. თბილისი, 1973, გვ. 80.

<sup>4</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. თბილისი, 1973, გვ. 80-81

აღწერილ ამბებს IV ს-ის 60-იანი წლების ბოლოთი ათარი-  
ლებდა და მათ იბერიაში ორმეფობის შემოღების ფაქტს უკავ-  
შირებდა<sup>1</sup>. მსგავს თვალსაზრისზე დგას ვ. გოილაძე<sup>2</sup>. ნ.  
ლომოურმა იბერიაში პიტიასხშის მოსვლისა და ქვეყნის დახა-  
რკვის ფაქტის დათარიღებისაგან საერთოდ თავი შეიკავა<sup>3</sup>. მ.  
ჩხარტიშვილის აზრით, რადგან შატბერდულ რედაქციაში ვა-  
რაზ-ბაკურის მეფედ „დადგომაზეა“ საუბარი ნაცვლად მოსა-  
ლოდნელი „დაჯდომისა“, ეს თითქოს მის მიერ სამეფო ტახ-  
ტის დაკავების დროებით ხასიათზე უნდა მიუთითებდეს<sup>4</sup>.  
მაგრამ მას შემდეგ, რაც ქრონიკის უძველესი, ე.წ. სინური  
რედაქცია (Sin 48) აღმოჩნდა, სადაც ვარაზ-ბაკურის მეფედ  
„დაჯდომაზეა“ საუბარი, ცხადია, მეცნიერის ზემოხსენებულ  
ვარაუდსაც სიმყარე მოაკლდა. სინურ ხელნაწერში მცირეო-  
დენი ნიუანსობრივი განსხვავების მიუხედავად შატბერდულის  
მსგავსი ტექსტია მოცემული, „ქრამხუარბორზადის“ ნაცვლად  
კი იქ გვაქვს სახელის განსხვავებული ფორმა: „ქარზამხუარ-  
ბარზადურ“<sup>5</sup>.

ამთავითვე გვსურს იმის აღნიშვნა, რომ ქრონიკის აღ-  
ნიშნული ცნობა მხოლოდ ქართლის სამეფოს ისტორიის  
ერთი ეპიზოდის შესწავლისთვის როდია საგულისხმო, არა-

---

<sup>1</sup> აბაშიძე ე. „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაი ქართლისაის“  
ტექსტების შედარებითი შესწავლის საკითხისათვის. კრებული „ქართული  
წყაროთმცოდნეობა“ VII, თბილისი, 1987, გვ. 53-60.

<sup>2</sup> გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტან მეფეთა ქრონო-  
ლოგია, თბილისი, 1990, გვ. 85.

<sup>3</sup> ლომოური ნ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V სა-  
უკუნეში, თბილისი, 1989, გვ. 11.

<sup>4</sup> ჩხარტიშვილი მ., ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი  
შესწავლის პრობლემა, თბილისი, 1987, გვ. 40.

<sup>5</sup> იხ. ალექსიძე ზ., ახალი ცნობა „რუვისთაველთა სახლის“ შესა-  
ხებ. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №14 (5 აპრილი), 1991.



მედ, როგორც ამას დავინახავთ, ის საინტერესოა მეზობელი სომხეთის ისტორიისათვისაც. კერძოდ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო V ს-ის სომეხი მემატრიანის მოვსეს ხორენაცის იმ ცნობებმა, რომლებიც ეხმიანებიან და ნათელს ჰყვენენ ქართულ წერილობით წყაროებში აღწერილ ამბებს. სომეხი ავტორი, მოგვითხრობს რა სპარსელებსა და რომაელებს შორის 387 წელს დადებული ზავის შესახებ, როდესაც მხარეებმა სომხეთი ერთმანეთში გაიყვეს\*, იქვე იმასაც დასძენს, რომ სომეხთა მეფე ხოსროვ IV-ს (383-388 და 390-391 წწ.) კეისრისთვის უთხოვნია, რომ „მიენდო მისთვის ბერძენთა წილი სომხეთი, რომელსაც ძველებურ ბარაქას შეუნარჩუნებდა და უკლებლივ გადაიხდიდა ყოველივეს, რასაც კეისარი თავისი მოხელეების მეშვეობით იღებდა“<sup>1</sup>, რაზედაც მას თანხმობა მიუღია. ამის შემდეგ ხოსროვმა სპარსელთა დაუკითხავად სომხეთის ეკლესიის გარდაცვლილი მეთაურის ადგილზე საჰაკი დაადგინა, რითაც შაჰ შაბურ III-ის (383-388 წწ.) გულისწყრომა დაიტეხა თავს. შაჰის მუქარას სომეხთა მეფემ საკმაოდ კადნიერად უპასუხა, მისი მოციქულები შეურაცხყოფილნი გააბრუნა უკან და კეისარს სამხედრო დახმარების თხოვნით მიმართა. ამასობაში შაჰმა თავისი ვაჟის არტაშირის წინამძღოლობით სომხეთში დიდი ჯარი მიაგვლინა და ვინაიდან ხოსროვს აღარც კეისარი და „**არც სხვა რომელიმე უცხო ნათესავი**“ არ დაეხმარა, მან წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო და თვითონ ეახლა სპარსელ მეფისწულს, რომელმაც იგი გადააყენა მეფობიდან, სომხეთში დიდი რაზმი

---

\* ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ამ ზავის თანახმად სპარსეთის ხელქვეით იბერია და ალბანეთიც მოექცნენ. იხ. История Ирана. Москва, 1977, стр. 112).

<sup>1</sup> მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ. თბილისი, 1984, გვ. 218.

დატოვა, უფლებააყრილი ტყვე კი ქტეზიფონს წაიყვანა და იქ ანუშად წოდებულ ციხეში გამოამწყვდევენ<sup>1</sup>. ის ფაქტი, რომ სპარსელებს ხელი არ უხლიათ არც საჰაკ კათალიკოსისათვის და არც ხოსროვისგან დანიშნული ნახარაებისთვის, მოწმობს იმას, რომ სომეხთა მეფის მხრივ მღვდელმთავრის თვითნებურად დაყენება მხოლოდ საბაბი იყო ირანელთა სომხეთზე გალაშქრებისთვის, რეალური მიზეზი კი მეფე ხოსროვის მხრიდან 387 წლის ზავის პირობების შეცვლისა და რომის იმპერიის გავლენის სფეროში გადასვლის მცდელობაში უნდა ვეძიოთ.

ახლა იმის შესახებ, თუ რა კავშირშია აღნიშნული ზემოთ დამოწმებული ქართული წყაროების ცნობებთან. როგორც ვიხილეთ, სომეხთა მეფემ სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში დახმარება ვერსაიდან ვერ მიიღო. „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკაში დაცული ცნობით, სპარსელი მარზპანები სივნიეთს (სიუნიქს) მისულან და ვარაზ-ბაკური მათი შიშით ხიდარს გახიზნულა. მიზეზი მისი ამ „უკუჯდომისა“ წყაროში არ არის დაკონკრეტებული, თუმცა მასზე ინფორმაციას უკვე „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის ადგილზე ვპოულობთ. აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ვარაზ-ბაქარის ზეობისას „გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკისა დადებად“<sup>2</sup>, რის შემდგომ „სომეხთა მოგზავნესვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრბენ და მოირთონ ძალი ბერძენთა-

---

<sup>1</sup> მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ალ. აბდლაძემ. თბილისი, 1984, გვ. 219.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 135.

გან, და განახუენენ კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნეთ  
ოვსნი და ლეკნი და წინააღუდგნენ სპარსთა, და  
წარჩინებულნი თვისნიცა ეტყოდეს წინააღდგომასა სპარსთა-  
სა“. მაგრამ ქართლის მეფემ „არა ისმინა არცა სომეხთა, არ-  
ცა წარჩინებულთა თვისთა, რამეთუ იყო ჩუკენი და მოშიში.  
უკუჯდა იგი ხევსა კახეთისასა, და ალაშენა ციხე ხიდარს და  
განამაგრა ციხე-ქალაქნი, და უბრძანა ყოველთა დამალნენჯუ-  
არნი. და მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს, და მოაოხ-  
რეს სომხითი<sup>1</sup>. დაკვირვებული თვალი იოლად შენიშნავს  
ქართული და სომხური წერილობითი წყაროების ცნობებს  
შორის მსგავსებას; ისინი ურთიერთს ავსებენ. სამივე განხი-  
ლული წყარო უთითებს იმაზე, რომ სპარსელთა ლაშქრობა  
ძირითადად მიმართული იყო სომხეთზე, რის მიზეზობრივ ახ-  
სნას იძლევა მხოლოდ მოვსეს ხორენაცი. ქართველთა მი-  
მართ სპარსეთის შაჰის გულისწყრომის მიზეზს კი არცერთი  
წყარო არ ასახელებს. სავარაუდოდ, შაჰს ქართლის მეფისა-  
თვის ხოსროვისთვის შენათვალის მსგავსი მოთხოვნები უნდა  
წაეყენებინა. თუ კი, მოვსეს ხორენაცი ცნობით, ხოსროვი  
სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყებაში რომაელთა და „სხვა  
უცხო ნათესავთა“ დახმარებას იმედოვნებდა, „ქართლის ცხო-  
ვრებაში“ ჩვენ ვხედავთ თუ კონკრეტულად ვინ იგულისხმე-  
ბოდნენ რომაელთა („ბერძენთა“) გარდა ხოსროვის პოტენცი-  
ურ მოკავშირეებში. ესენია: ქართველები, ოსები და ლეკები.  
მოვსეს ხორენაცი არაფერს ამბობს სპარსელთაგან იბერიის  
დალაშქვრაზე. მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ სპარსელთა დიდი  
რაზმი სომხეთში დაბანაკდა, ხოლო ჯარის წინამძღოლი მე-  
ფისწული არტაშირი სასწრაფოდ ქტეზიფონს გაეშურა მისი

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა  
ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი,  
1955, გვ. 135-136.

მამის – შაბურ III-ის ხანდაზმულობით შეფიქრანებული. ამის შემდეგ წყაროში საუბარია შაჰის გარდაცვალებაზე. საინტერესოა, რომ ზუსტად იმავე 388 წელს, რა დროითაც აღნიშნული მოვლენები თარიღდება, სპარსეთის სამეფო კარზე შინაარეულობის შედეგად საკუთარი ხელქვეითების მიერ მოკლული იქნა შაბურ III. ჩანს, რომ სწორედ ეს ფაქტია ოდნავ სახეცვლილად არეკლილი სომეხ მემატრიანესთან.

წყაროთა ცნობების შეჯერება იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შაბურ III-ის სიცოცხლეში სპარსელებს იბერია არ დაულაშქრავთ. ეს უნდა მომხდარიყო სპარსეთის სამეფო ტახტზე ახალი შაჰის – ბაჰრამ IV-ის (388-399 წწ.) ასვლისთანავე. სპარსელები, არ დაჯერდნენ რა სომხეთის დახარკვას, ანალოგიური განზრახულობით იბერიასაც მოადგნენ. აქ მოსულ სპარსელ პიტიანშს თავის რეზიდენციად თბილისი, კალას ციხე შეურჩევია. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ „ვარაზ-ბაქარ ეზრახა შევრდომით და ითხოვა მშვიდობა“ სპარსთაგან, „ხოლო ერისთავებან სპარსთამან რქუა მას: ... გაქუნდესუკუე ქართლი და ხარკსა მისცემდეთ მეფეთა ზუასროვანთა“, შემდეგ „განუკუეთა ხარკი, ... უკუსცა ტფილისი ... და მიერთ განიქმნნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთა მოხარკენი“<sup>1</sup>. „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვითაც „ქართლი მისსა (ე.ი. პიტიანშის) ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი“. რომაელთა რეაქცია ამ ფაქტზე ნეგატიური იყო. როგორც „ქართლის ცხოვრებაშია“ ნათქვამი, „განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა და დაიპყრეს ბერძენთა თუხარი-

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 136

სი და ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანთამდე<sup>1</sup>, ხოლო ვარაზ-ბაკურის ხელქვეით დარჩა „ქართლი - თვინიერ კლარჯეთისა“. ფიქრობენ, რომ აქ ის ტერიტორიაა ნაგულისხმები, რომელიც 369 წლიდან მოყოლებული რომაელთა გავლენის სფეროს განეკუთვნებოდა<sup>2</sup>.

ამრიგად, ქართული და სომხური საისტორიო წყაროთა ცნობების ურთიერთშედარებით ირკვევა, რომ ქართლის სამეფოს სპარსელთაგან დახარკვა მოხდა 388 წლის ახლო ხანებში, ხოსროვ IV-ის სომხეთის სამეფო ტახტიდან გადაყენების შემგომ. „ქართლის ცხოვრება“ არ უთითებს არც იმ სპარსელი ერისთავის (პიტიახშის) სახელს, ვინც ხარკი დაუწესა ქართველებს, და არც სპარსეთის იმ შაჰის სახელს, ვის მიერაც იქნა იბერიაში ეს მოხელე გამოგზავნილი. სამაგიეროდ, „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკამ იცის ერთ-ერთი ამათგანის სახელი. შატბერდულ ხელნაწერში გვაქვს „ქრამხუარბორზად სპარსთა მეფისა პიტიახში“, სინურ ხელნაწერში კი - „ქარზამხუარბარზადურ სპარსთა მეფისა პიტიახში“. რაკილა „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკაში ნახსენები „პიტიახში“ - ტერმინის ადგილობრივ შესატყვისად „ქართლის ცხოვრების“ მატთანეში „ერისთავია“ მოცემული, ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ „ქრამხუარბორზად“ არის იმ სპარსელი პიტიახშის სახელი, ვინც იბერიას ხარკი განუწესა. მაგრამ თვით ქრონიკაში მოცემული ცნობის შინაარსით ამგვარი თვალსაზრისი ცრუვდება, რაზედაც ყურადღება აქამდე არავის გაუმახვილებია. თვალსაჩინოებისათვის იმავე ქრო-

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 136-137.

<sup>2</sup> მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1977, გვ. 201.

ნიკიდან წარმოვადგენთ კონსტრუქციის თვალსაზრისით მსგავს წინადადებას: „და მთავარეპისკოპოსი იყო **ნერსე სომეხთა კათალიკოზისა დიაკონი იობ**“<sup>1</sup>. უბრალო შედარებაც კმარა იმის საილუსტრაციოდ, რომ ჩვენთვის საინტერესო წინადადებაში მოცემული სახელი „ქრამხუარბორზად“ (ან „ქარზამხუარბარზადურ“) ეკუთვნის არა სპარსთა მეფის პიტიახშს, არამედ თვითონ სპარსეთის ხელმწიფეს და რომ წყაროში პიტიახშის სახელი ფაქტიურად გვაკლია.

მატბერდული და სინური ხელნაწერების მონაცემთა გავთვალისწინებით, აღნიშნული კომპოზიტიური სახელის ოთხიდან სამი წევრი უტყუარად აღდგება, როგორც „ხუარ-ბურზადურ“, რაც საშუალო სპარსულიდან ქართულად ითარგმნება „მზის მაღალი ცეცხლის“ მნიშვნელობით<sup>2</sup>. რაც შეეხება კომპოზიტის საწყის წევრს - სიტყვა „ქრამ“-ს, ის თითქოს სინურ ხელნაწერში დამოწმებული „ქარზამ“-სიტყვის ნაშთი ჩანს. მაგრამ ასეთი შესაძლებლობის დაშვებას ეწინააღმდეგება თვითონ „მოქცევაი ქართლისაის“ მონაცემები. ქრონიკის სხვა ადგილას მანამდე ჩვენ ვხვდებით სახელს „ქარდამ“ და ამის გვერდით „ქარზამ“ - ფორმის გამოჩენის ფაქტი რთული ასახსნელია. ჩვენი აზრით, „ქრამ“-ი კი არ წარმოადგენს „ქარზამ“-ის შემოკლებულ ფორმას, არამედ პირიქით, სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს პირვანდელი „ქრამ“-ის ნიდაგზე მოგვიანებით წარმოქმნილი. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი: ქართული და სომხური წერილობითი წყაროების ცნობათა ურთიერთშეჯერების ნიდაგზე ჩვენ უკვე ვიხილეთ ის, რომ ქართლის სამეფოს დახარკვის ფაქტს აღ-

---

<sup>1</sup> მოქცევაი ქართლისაი. კრებული „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, I, თბილისი, 1963, გვ. 91.

<sup>2</sup> ჩხეიძე თ., ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან. თბილისი 1984, გვ. 64.

გილი ჰქონდა ბაჰრამ IV-ის სპარსეთში გამეფების დროს (388/89 წ.). მოვსეს ხორენაცი კი ამ ფაქტის აღნიშვნისას წერს შემდეგს: „გამეფდა ვრამი (=ბაჰრამი), რომელსაც **ქრმანც** ერქვა“<sup>1</sup>. ძნელია არ შენიშნო სახელების „ქრამ“ და „კრამან“ მსგავსების ფაქტი. ცნობილია, რომ უფლისწული ბაჰრამი მისმა მამამ, მეფე შაბურ III-მ თავის დროზე ქერმანის (ძვ. ბერძნული „კარმანია“) მხარის მმართველად განამწესა. ტრადიციით სწორედ ბაჰრამს მიეწერება მოგვიანებით ქალაქ ქერმანშაჰის დაარსება. მემატიანეების აგათიასა (IV. 26) და ალ-ტაბარის ცნობათა მიხედვით, იგი დამატებით ქერმანშაჰდაც (ანუ ქერმანის მხარის მბრძანებლად) იწოდებოდა. ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ ერთ ამეთვისტოს ინტალიოზეც გვაქვს იგივე სახელი ფაჰლავური შრიფტით წარწერილი: „ვაჰრანქერმან შაჰი“<sup>2</sup>. აი, სწორედ ეს „ქერმან“/„კარმანია“ სახელი გახლავთ სომხურ წყაროში ქართულთან შედარებით ნაკლებად დაზიანებული ფორმით შემონახული, ხოლო ქართულ წყაროში სომხურთან შედარებით უფრო სახეცვლილად დაცული. გამოძინარე აღნიშნულიდან, სრულიად ცხადია, რომ „ქრამ“-ი „ქარზამ“-ისგან ვერ წარმოსდგებოდა, საპირისპირო შესაძლებლობა კი ლოგიკურად დასაშვებია.

ამრიგად, „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკაში ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ სპარსეთის მეფე ბაჰრამ IV-ის კუთვნილი სახელი სრული კომპოზიტიური ფორმით: „ქერმან-ხუარბურზ-ადურ“. ამ მხრივ ქართული ქრონიკის ცნობა ავთენტურთან ერთად უნიკალურადაც უნდა ჩაითვალოს. შეგვიძლია

---

<sup>1</sup> მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბილისი, 1984, გვ. 221.

<sup>2</sup> Herzfeld E. Paikuli I, Berlin, 1924, p. 78.

განვაცხადოთ ისიც, რომ ქართულ წყაროებში მოთხრობილი იბერიის დახარკვის ამბავი სავსებით ემორჩილება ზუსტ დათარიღებას (388/89 წწ.). თავშივე ვთქვით, რომ ქართული წყაროების მეფე ვარაზ-ბაკური (ვარაზ-ბაქარი) ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მიერ გაიგივებულია იბერიის მეფედ ამიანე მარცელინესგან ნახსენებ „ასპაკურთან“. მაშასადამე, გამოირკვა ისიც, რომ 388/89 წლისათვის ქართლის სამეფოს ორ ნაწილად გაყოფას (369 წ.) ადგილი უკვე აღარ ჰქონდა. სავსებით სწორად მიუთითებდა თავის დროზე ისტორიკოსი ა. ბოგვერაძე ამიანე მარცელინეს ცნობების ანალიზის შედეგად იმაზე, რომ ორმეფობას იბერიაში ბოლო მოელო 377 წელს და ქვეყანა მთლიანად სპარსელთა ფავორიტი ასფაგურის ხელში გადავიდა. ხოლო რაკილა 388/89 წელს ეს ასფაგურ/ვარაზ-ბაკური სპარსელებს ტახტიდან გადაუყენებიათ. შესაბამისად ამისა „ქართლის ცხოვრების“ ის ცნობაც, რომ უკვე ხანდაზმული და თავის დროზე (368 წ.) სამეფო ტახტიდან სპარსელთაგან ასევე გაძევებული თრდატ რევის ძე (=სავრომაკ/საურმაგ) ადგილობრივმა წარჩინებულებმა ხელმეორედ აღაზვეეს ქართლის სამეფო ტახტზე, სიმართლის მარცვალს უნდა შეიცავდეს.

### **დამოწმებანი:**

1. აბაშიძე ე., „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაი ქართლისაის“ ტექსტების შედარებითი შესწავლის საკითხისათვის. კრებული „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VII, თბილისი, 1987.
2. ალექსიძე ზ., ახალი ცნობა „რუვისთაველთა სახლის“ შესახებ. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ №14 (5 აპრილი), 1991.



3. ამიანე მარცელინე, „გეორგიკა“. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, თბილისი, 1961.
4. ბოგვერაძე ა., ქართლის (იბერიის) სამეფოს 369 წლის გაყოფის საკითხისათვის. კრებული „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბილისი, 1976.
5. გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბილისი, 1990.
6. გორგაძე ს., წერილები საქართველოს ისტორიიდან, III, თბილისი, 1913.
7. კაკაბაძე ს., ძიებანი ქართველთა IV-VII საუკუნეების ისტორიის შესახებ. „საისტორიო კრებული“, წ. II, თბილისი, 1928.
8. კეკელიძე კ., იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან. „ეტიუდები“ III, თბილისი, 1955.
9. ლომოური ნ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში. თბილისი, 1989.
10. მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. IV, ნაკ. I, თბილისი, 1958.
11. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო აღ. აბდალაძემ, თბილისი, 1984.
12. მოქცევაი ქართლისაი, კრებული „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, I, თბილისი, 1963.
13. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბილისი, 1977.
14. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბილისი, 1973.

15. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955.
16. ჩხარტიშვილი მ., ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემა, თბილისი, 1987.
17. ჩხეიძე თ., ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან, თბილისი, 1984.
18. ხურცილავა ბ., „მოქცევაი ქართლისაი“-ს მატთანის ერთი ფრაგმენტის აღდგენისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საისტორიო აღმანახი „კლიო 13“, თბილისი, 2001.
19. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1960.
20. История Ирана, Москва, 1977.
21. Herzfeld E. Paikuli I, Berlin, 1924.

*Besik Khurtsilava*  
*Georgian Technical University*  
**ABOUT ONE FRAGMENT OF THE HISTORY OF  
IBERIA KINGDOM  
OF EARLY-CHRISTIAN ERA  
RESUME**

In the article, on basis of the interconnect and analysis of notifications of Georgian (“Life of Kartli”; “Moktsevey Kartlisay”) and Armenian (Movses Khorenatsi) historical sources, there is restored the historical picture of charging the

tribute to the Kingdom of Iberia by Persia in the last quarter of IV century.

Author indicates the exact time (389 AC) and identity of that Persian king at time of which the mentioned fact took place. Namely, author considers that “Kram Khuar Borzad” mentioned in “Moktsevey Kartlisay” (Conversion of Iberia) and “Kerman” mentioned by Movses Khorenatsi is one and the same person and he accords to the Persian king Bahram IV (388-399 AC) who had the second name too – “Kerman/Karman” according to the notice of old authors – Agathias and Al-Tabari. Author restores the full name of Bahram IV: “Kerman (or Karman) Khuar Bur zAdur” and considers that notification of chronic of “Moktsevey Kartlisay” with the authentic is the unique too.

## **მარადიული იერუსალიმი ქართულ მეტანარატივში**

„ამიერიდან უცხონი კი აღარ ხართ და უცხოელნი,  
არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღმერთის  
სახლეულნი.“  
(*ეფეს. მიმ. 2:19*)

### **1. წინასიტყვაობა, საკითხის დასმისათვის**

ქალაქი ტრადიციას, და ამ ნაშრომის მიზანი ქალაქის ტრადიციის შექმნას, გამოგონებას, გახსენებას და XXI საუკუნეში მის აღქმას ეძღვნება. სამივე პროცესი, როგორც თავდაპირველი შემოქმედების ნაყოფი, აუცილებლად ფიზიკური განსხეულებით სრულდება. მომდევნო პროცესი, „ტრადიციების გაფართოება“ უკვე არსებულ იდეაზე რეფლექსიაა და ადრე არსებული ჩანაფიქრის გაფართოებას და შემუშავებას ეყრდნობა.

სამივე პროცესი ისტორიული კონცეპტებით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი: გამოგონება (*ინვენცია*) - invention of tradition, შექმნა - creation of tradition (*კრეაცია*) და შემუშავება - devising of tradition.

ამ კვლევის მთავარი ლაიტმოტივი „მარადიული ქალაქის“ იერუსალიმის პრობლემას ეხება, მე მიზნად ვისახავ „მარადიული იერუსალიმის“ პერსეფციას რეგიონის პერიფე-

რიულ სივრცეში, კერძოდ, დავით აღმაშენებლის ეპოქაში. იერუსალიმის აღქმამ ზეგავლენა მოახდინა ისტორიული ნარატივის ფორმირებაზე და განაპირობა ახალი ურბანული სივრცის მოდელირება, რომელიც დავით აღმაშენებლის ხანას უკავშირდება. აღნიშნული მიმართება მრავლისმთქმელი მაგალითია პერიფერიულ სივრცეში იერუსალიმის ხატის აღქმის და შეფასების თვალსაზრისით.

კვლევას წარვმართავ შემდეგი მიდგომებით:

ა) გამოიკვეთოს და დადგინდეს იერუსალიმის შეფასება თანადროული საზოგადოებების მიერ ლოკალურ, რეგიონულ და ტრანსრეგიონულ დონეებზე, რა დროსაც გასათვალისწინებელია როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შეფასებათა სისტემა. რა დროსაც ყალიბდება ქალაქის ღვაწლის და კულტურული მონაპოვრის შეფასებათა სისტემა;

ბ) გამოიკვეთოს და დადგინდეს ამ ქალაქის „ხატი“, გამოსახულება ან მოდელი, თუ როგორ შემოინახა მახსოვრობაში შემდგომმა საზოგადოებებმა;

გ) დაბოლოს, თანამედროვეობამ რა შეფასება მისცა იერუსალიმს, რის ნიმუშად აღიქმება და დგინდება ეს ქალაქი, მისი მახასიათებლები, ან კონკრეტული მახასიათებელი? თუ რა სახის, ან ტიპის ბიძგი მისცა თანამედროვეობას მოდერნიზირების თვალსაზრისით, ან რა მოდერნიზირებული ფორმების/ კატეგორიების პირველსაწყისად მოგვევლინა?

## **2. იერუსალიმი-როგორც მარადიული ქალაქი**

„მარადიული ქალაქი“ ჩემი ახალი კონცეპტია და შევეცდები მის მეცნიერულ დასაბუთებას: ეს არის ინოვაციურ კვლევაზე დაფუძნებული, შემეცნების თეორიის (ეპისტემოლოგია) შედეგად მიღებული ისტორიულ-საზოგადოებრივი

მოცემულობის ამსახველი კონცეფცია. ონტოლოგიაში კონცეპტი მარტივად დგინდება, რადგანაც ამ შემთხვევაში სახელს არქმევ იმას, რაც ფაქტის დონეზე არის გამყარებული. ონტოლოგია შეისწავლის ასევე ფაქტის, ან მოვლენის ბუნებას, მაგალითად, რა ზომის არის ქალაქი, ან რა ტიპის კონსტრუქციებია აგებული მის სივრცეში. მაშინ, როცა ეპისტემოლოგიაში გარკვეული კონცეპტები, ჩვენს შემთხვევაში კომპოზიტი - მარადიული ქალაქი, ცოდნის ფორმულირებას ეყრდნობა, რომელიც გამყარებულია როგორც ექსპერიმენტული, ისევე ლოგიკური მტკიცებულებით, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ობიექტურ და გონივრულ გამართლებას.

ჩვენს შემთხვევაში იერუსალიმის შესახებ გვაქვს გარკვეული ისტორიული ცოდნის მარაგი, ასევე ვითვალისწინებთ იმას, რაც უკვე „ცნობილია“ სხვებისთვის, როგორც ისტორიული მახსოვრობა, ან კულტურული ტრადიციები.

ჩემთვის ქალაქის მარადიულობის ფენომენი უკავშირდება ქალაქის *განგრძობითობას* და მის ტერიტორიულ მდებარეობას/განფენილობას. ეს მახასიათებლები არსებითია ქალაქის მარადიულობის ფენომენის აღქმაში, ქალაქის მარადიულობის საინტერესო გამოვლინებაა, როცა ქალაქი დროის ახალ განზომილებაში განაგრძობს არსებობას, ასევე იცვლის მდებარეობას ან სივრცეს, თუნდაც ხანდახან ვირტუალურ წარმოსახვაში. ამ თვალსაზრისით, რომი თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც აპენინებიდან მცირე აზიაში „გადმოიტანეს“. ამ ახალ სივრცეში მოხდა მისი პორტაცია, აქ განაგრძო მან არსებობა და გახდა აღმოსავლეთის რომი (იგულისხმება რომის იმპერიის გვიანი ხანა, რომის ბიზანტიად გადაქცევის ეტაპი). რომის მარადიულობის გადმოტანა-განგრძობითობა ახალ სივრცესა და დროში მენტალურ დონეზე მატერიალიზაციას უფრო ჰგავს, ვიდრე ფიზიკური და ისტო-

რიული პროცესის პირდაპირ გაგრძელებას. ეს ფენომენი ახალი „წარმოსახვითი სივრცის“ (ინგ. „Imaginary space“, რუს. „Мнимая пространство“) კატეგორიად აქცევდა მარადიულ რომს. რასაკვირველია, ამგვარი მატერიალიზირებული დედა-ქალაქი სიმბოლურია. ამიტომ არის მესამე რომი, სიმბოლური ისტორიული ცნება, რაზეც პრეტენზიას აცხადებს ბულგარეთი XIV საუკუნიდან, ხოლო რუსეთი, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ. მესამე რომის საკუთარ სივრცეში პორტაბელობაზე პრეტენზია გაუჩნდათ გერმანელებს, ავსტრიელებს და იტალიელებს.<sup>1</sup> ოსმალთა თურქების ლიდერმა მეჰმედ II-ემ მესამე რომის იდეა აიტაცა და შექმნა ისლამური რომი<sup>2</sup> ამდენად, პირველი რომი წარმართული იყო, მეორე რომი ქრისტიანული, ხოლო მესამე რომი ისლამური უნდა ყოფილიყო.

---

<sup>1</sup> მესამე რომი, რელიგიური და პოლიტიკური დოქტრინა იხ. Eastern Orthodoxy: The “third Rome”, <http://www.britannica.com/topic/Third-Rome>. P. Marshall, Moscow, *The Third Rome: the Origins and Transformations of a 'Pivotal Moment. Jahrbücher für Geschichte Osteuropas*, 49:3, 2001, 412-429; A. Laats, *The Concept of the Third Rome and its Political Implications*. Kilp, Alar; Saumets, Andres. (Toim.). Religion and Politics in Multicultural Europe: Perspectives and Challenges. Estonian National Defense College (ENDC) Proceedings, Tartu: University of Tartu, 2009, 98-113; J. Meyendorff, *Rome, Constantinople, Moscow*. Historical and Theological Studies. New York: St Vladimir's Seminary Press, 1996; M. Clark, *Mussolini: Profiles in Power*, London: Pearson Longman, 2005, 136. Ch. Duggan. *The Force of Destiny: A History of Italy Since 1796*. New York, New York, USA: Houghton Mifflin Harcourt, 2008. 304.

<sup>2</sup> J.J., Norwich, *Byzantium: The Decline and Fall*. New York: Alfred A. Knopf. 1995, 81-82; İ. Ortaylı, *Büyük Constantin ve İstanbul*, Milliyet, 28 May 2011; D. Kitsikis, *Türk-Yunan İmparatorluğu*. Arabölge gerçeği ışığında Osmanlı Tarihine bakış – İstanbul, İletişim Yayınları, 1996.

ეს საინტერესო გამოვლინება ახასიათებს იერუსალიმსაც, როგორც წარმოსახვითმა მარადიულმა ქალაქმა, იერუსალიმმაც განიცადა ახალ სივრცეში პორტაცია, შუა საუკუნეების ქართულ ტრადიციაში მენტალურ-წარმოსახვით დონეზე იერუსალიმი „გადმოიტანეს“ გელათში და უწოდეს „მეორე იერუსალიმი“. დავით აღმაშენებლის ხანაში ამ ქალაქის ვირტუალურმა გადმონაცვლებამ და წარმოსახვითმა პორტაციამ გარკვეული ისტორიული კონცეფციის სახე მიიღო - „გელათი-სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი“, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მარადიული დედა-ქალაქის რემინისცენცია სხვადასხვა განზომილებაში გვახვედრებს, დაწყებული მითოლოგიური და კოლექტიური მახსოვრობიდან, ისტორიულ მახსოვრობით დასრულებული, ამ დროს ხდება ქალაქის „გამოგონება“, „შექმნა“ და „შემუშავება“. ქალაქის მარადიული ფენომენის აღქმა გვიწევს კომპლექსური დიაპაზონიდან- დაწყებული მისი ფიზიკური მახასიათებლიდან, ემბლემატური სიმბოლიზმით დასრულებული, ხოლო ქალაქის მრავალი, უხილავი და ამოუწურავი მახასიათებელი დგინდება, როგორც ფიზიკურ (მატერიალური არტეფაქტების) დონეზე, ასევე მნემოისტორიის,<sup>1</sup> ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში შემონახული ცოდნით.

---

<sup>1</sup> მნემოისტორია, ანუ მახსოვრობის კულტურა, თეორიული კვლევითი მიდგომაა, რომელიც უკავშირდება იან ასსმანს, მისი ძირითადი მიდგომები იხ. Jan, Assmann, *Das kulturelle Gedächtnis. Schrift, Erinnerung und politische Identität in frühen Hochkulturen*. München: Beck. 1992, 30-34. მისივე. *Ägypten. Eine Sinngeschichte*. München: Hanser, 1996, 26, სქ. 31.



აქამდე ყველა არსებულ ცივილიზაციას თავისი ქალაქური კულტურა ახლავს, ცივილიზაციის გასაღები ხდება სწორედ ამ ქალაქური კულტურის გაცნობა.

ჩემს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ძველი ქანაანური ცივილიზაციის ეპიცენტრში გაჩენილი იერუსალიმი, რომელიც ხდება ისრაელის დედაქალაქი, შემდეგ კი მრავალი პოლიტიკური ძალის და ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი იერუსალიმის ისტორიაში დგება მაშინ, როცა ქრისტიანულ კონტექსტში, იესოს ჯვარცმის შემდეგ, იერუსალიმი ღვთის ქალაქი ხდება, ხოლო ყველა ქალაქი და მისი მორწმუნე მოქალაქენი ერთიანდებიან ერთ სივრცეში, ქრისტეს სივრცეში „ამიერიდან უცხონი კი აღარ ხართ და უცხოელნი, არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღმერთის სახლეულნი.“ (ეფეს. მიმ. 2:19,20,21)<sup>1</sup>. შემდეგ იერუსალიმი ბიზანტიურ სივრცეში შესული ქალაქია და 1099 წლიდან ჯვაროსნების მიერ 90 წლით მმართველი და ტრანსფორმირებული.

### 3. კვლევითი მიდგომები

გარდა ზემოთ მითითებული მეთოდოლოგიისა მინდა დავაზუსტო, რომ ჩემს მიერ არჩეული კვლევითი მიდგომა ფერნარდ ბროდელისეულ *longue durée*-ს რეჟიმს ითვალისწინებს და იერუსალიმს განვიხილავ განგრძობითობის სისტემაში.<sup>2</sup> ამდენად, მე კვლევის პროცესს არ შემოვფარგლავ

---

<sup>1</sup> ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989.

<sup>2</sup> *განგრძობითი რეჟიმი* ანალების სკოლის კვლევითი მიდგომაა, გულისხმობს ისტორიული სტრუქტურების კვლევას დროის განგრძობით სისტემაში. ჩვენს შემთხვევაში ქალაქის, მისი განვითარების ტრაექტორიების და სხვადასხვა პროცესის შესწავლა *longue durée* რეჟიმში დაგვეხ-

კონკრეტული პერიოდიზაციის ქარგით და განგრძობითობის რეჟიმში ჩასმულ იერუსალიმს, ისტორიული თუ ქრონოლოგიური კვლევის საფუძვლად დაუდებ ე.წ. ქრისტიანულ ხანას, რაც პირობითად იწყება ქრისტეს ვნებით, ითავსებს ბიზანტიურ ხანას და სრულდება ჯვაროსნების იერუსალიმით. ამ პროცესებზე გამოძახილი კი თანამედროვე ისტორიის ციკლზე გადის.

მეორე კვლევითი მიდგომა, როგორც აღვნიშნე, ემყარება იან ასსმანისეულ კონცეპტსა და მეთოდოლოგიას, რომელიც მნემოისტორიის სახელით არის ცნობილი და კულტურის მახსოვრობის თეორიაა.<sup>1</sup> ასსმანი კულტურულ მეხსიერებას განსაზღვრავს როგორც „ადამიანის მეხსიერების გარე განზომილებას“,<sup>2</sup> რომელიც მოიცავს ორ კონცეპტს - „მეხსიერების კულტურას“ და „წარსულის დამოწმებას, მითითებას“. მეხსიერების კულტურა არის გზა, რაც უზრუნველ-

---

მარება იერუსალიმის მარადიულობის სტატუსის დადგენაში. დაწვრილებით ამ მიდგომის და მეთოდის შესახებ იხ.ბროდელის სტატია, გამოქვეყნდა 1958 წელს *Annales. Histoire, Sciences Sociales* 13.4, October - December 1958, 725-753. მეცნიერი ამ საკითხს დაუბრუნდა 1987 წელს და ა. კოლთან ერთად გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც ეძღვნება სოციალურ მეცნიერებებსა და ახალ ისტორიის შორის არსებულ საერთო საკვლევ ინტერესებს. F. Braudel and A. Coll, *The alliance between the New History and the Social Sciences, Histoire et sciences sociales: La longue durée, Réseaux*, 5:27 1987, 7-37.

<sup>1</sup> იან ასსმანის შრომები მნემოისტორიაში: Jan, Assmann, Kollektives Gedächtnis und kulturelle Identität. In: J.Assmann and T.Hölscher (eds) *Kultur und Gedächtnis*, Frankfurt/M.: Suhrkamp, 1988, 9-19.; Jan, Assmann, Stein und Zeit. Das "monumentale" Gedächtnis der altägyptischen Kultur. In: J.Assmann and T.Hölscher (eds) *Kultur und Gedächtnis*, Frankfurt/M.: Suhrkamp 1988, 87-114; misive, *Moses the Egyptian. The Memory of Egypt in Western Monotheism*. Cambridge, Mass. and London: Harvard University Press. 1997.

<sup>2</sup> Assmann, 1992, 19.

ყოფს კულტურული უწყვეტობის შენარჩუნებას, კულტურული მახსოვრობის გადაცემას ერთი თაობიდან მეორეზე, რაც შესაძლებლობას აძლევს და სამსახურს უწევს მომავალ თაობას თავისი იდენტობის დადგენაში. წარსულის დამოწმება საზოგადოების წევრებს უჩენს კოლექტიური იდენტობის რწმენას და მათ ცნობიერებას ერთიანობის განცდით უზრუნველყოფს. ასევე მათ ეხმარება დროსა და სივრცეში სინგულარიზმის - ერთადერთობის განცდაში, ე.ი. ეხმარება მათი ისტორიული ცნობიერის ფორმირებას, რომელიც ეყრდნობა-გაზიარებულ წარსულს.<sup>1</sup>

ემბლემატური იერუსალიმი, რომელიც ქრისტიანულ-ლათინური ქალაქი ხდება, მნიშვნელოვან გზით შემოდის ქართულ სივრცეში, რომელიც ეყრდნობა ადრეული მახსოვრობის გამოძახილს <sup>2</sup> და ბიბლიურ მახსოვრობაზეც გადის.

ქართულ მეტანარატივში ფორმულირებული კონცეფცია „მეორე იერუსალიმზე“ საზოგადოებას უქმნის კოლექტიური იდენტობის და განსაკუთრებულობის განცდას, რომელიც ზედროთ და ზესივრცობრივ იერუსალიმთან აერთიანებს მათ და უკავშირდება იერუსალიმის ქართულ სივრცეში ფიზიკურ განსხეულებას. გელათის სიმბოლიზმის გამოგონება და შექმ-

---

<sup>1</sup> Assmann, 1992, 30-34. ასევე, 1996, 26 სქ. 31.

<sup>2</sup> ელდარ მამისთვალიშვილი შენიშნავს რომ, თუ გავიზიარებთ პირველ ქართულ წერილობით ცნობას ებრაელების ქართულ სივრცეში შემოსვლის თაობაზე, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნის მოვლენებზე აკეთებს აქცენტს, მაშინ აღნიშნული მიგრაცია არ უნდა ჩავთვალოთ ერთჯერად მოვლენად და მეცნიერი თვლის, რომ ებრაელების ტალღები შემოდოდა საქართველოში და ეს პერმანენტული მოვლენა იყო. სწორედ ამ მედიატორების დახმარებით ხდებოდა იერუსალიმთან კავშირი. დაწვრილებით ის. ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. IV (საქართველო და ჯვაროსნები), გამომცემლობა „საარი“, თბ., 2014, გვ. 15-16. იქვე ის. დამოწმებული ლიტერატურა.

ნა (მენტალური მოდელირება), როგორც ალტერ იერუსალიმისა (ლათ. *alter* სხვა), განსაკუთრებული მიგნებაა, რადროსაც აუცილებელი არ არის ისტორიის პირუთვნელი აღწერა და დამარწმუნებელ ფაქტებზე გასვლა, ამ დროს არსებითია დამაჯერებელი განაცხადის ფორმულირება, წარსულის დამოწმება, მითითება, რეპრეზენტაცია, თუ წარსული როგორ შემოდის შენს თანამედროვე კულტურულ სივრცეში და როგორი მზაობა გაქვს მისი მიღების.

ნათელია, „ის მომენტი“, როცა მეფე დავით აღმაშენებელი (1073-1125) ცდილობს იერუსალიმის გადმოტანას ქართულ სივრცეში (ლათ. *alterare* „მეორეს შექმნა“), ის ამით გამოხატავს იერუსალიმზე პრეტენზას და მასთან მიმართებას. სწორედ ეს მომენტი ასახავს იერუსალიმის „გაყოფის“ მცდელობას ორ ისტორიულ აგენტს შორის. ლათინ-ევროპელებსა და ქართველებს შორის „გაყოფილი“ იერუსალიმი შენიღბული კონკურენციის პროცესს ასახავს, სადაც ორივე მხარე გამოხატავს თავის პრეტენზიას საკუთრებაზე და მემკვიდრეობაზე, რაზეც მათ სავარაუდოდ ჰქონდათ დასაბუთებული უფლება. თუმცა აქვე მინდა დავძინო, რომ იერუსალიმის დასაკუთრების ფორმები, შეხედულებები და შესაძლებლობები ამ ორი ბანაკისათვის განსხვავებული იყო. ჯვაროსნებს სურდათ ეჩვენებინათ, რომ კათოლიციზმი (კათოლიკური ეკლესიის დომინირებით) აკონტროლებდა მთელს ქრისტიანულ სამყაროს იერუსალიმიდან, და ევროპა იყო „გადმოტანილი“ იერუსალიმში.<sup>1</sup> მაშინ, როცა მეფე დავით აღმაშენებელი თავისი ახალი კონცეფციით მოკრძალებულად შენიშნავდა, რომ იერუსალიმი აღმოსავლეთია და „მეორე იერუსალიმიც“, „რომელიცა აწ წინა-მდებარე არს ყოვლისა

---

<sup>1</sup> T. Jones and Al. Ereira, *Crusades* (BBC Books) Penguin Books, New York, 1995.

აღმოსავლეთისა“ კვლავ აღმოსავლეთში რჩება, ოღონდ, აღმოსავლეთის ათვლის გეოგრაფიული მიჯნა გადმოდის საქართველოში.

განგრძობითი კვლევის რეჟიმი განსაკუთრებით გასათვალისწინებელია დავით აღმაშენებლის დროინდელი ნარატივის კომპოზიციის შესწავლაში, რადგანაც წყაროს ავტორი იერუსალიმს ზედროით კატეგორიად მიიჩნევს და ბიბლიურ კონტექსტში აღიქვამს და სწორედ ამ კუთხით ასაბუთებს მემკვიდრეობით უფლებას.<sup>1</sup>

#### **4. ისტორია მნემორისტორიის პირისპირ, იერუსალიმი ბიზანტიურ ხანაში**

კონსტანტინეს მმართველობის ხანაში იერუსალიმმა კიდევ ერთხელ იცვალა თავისი სახე და რელიგიური ორიენტირები. ბიზანტიის იმპერიაში მოქცეული იერუსალიმი 324-

---

<sup>1</sup> ბაგრატიონების წარმომავლობის ბიბლიური კონტექსტისთვის შდრ. „ადამ შვა სეით. სეით შვა ენოს ... ლამექ შვა ნოე. ნოე შვა სემ. სემ შვა არფაქსად ... იესე შვა დავით მეფე. დავით მეფემან შვა სოლომონ. სოლომონ შვა რობუამ ... იერობემ შვა მოსე. მოსე შვა იუდა ... დან შვა სოლომონ. სოლომონ შვა შვიდი ძმანი, რომელნი—იგი მოსცნა ღმერთმან ტყუეობასა შინა. და ესე შვიდი ძმანი, ძენი ამის სოლომონისანი, წარმოვიდეს ქუეყნის ფილისტიმით, ტყუეობით წარმოსულნი ჰურიანი, და მოიწვიენეს ეკლესს, წინაშე რაქაელ დედოფლისა და მისგან ნათელ—იღეს. და დაშთეს ივინი ქუეყანათა სომხითისათა და მუნ დღეინდელად დღემდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს. და ოთხნი ძმანი მოვიდეს ქართლს. ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისაი და მამაი ბაგრატიონთაი. და ესე ქართლისა ბაგრატიონიანი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი. ხოლო ძმაი მისი, სახელით საჰაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს“. ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, არტანუჯი, თბ., 2008, 359-360.

638 წწ. ქრისტიანული ქალაქი ხდება. კონსტანტინეს მიეწერება მის ხელახალი ურბანიზაცია და აღმშენებლობა. ქალაქი ქრისტიანული საკულტო ცენტრი ხდება.<sup>1</sup> პირველი ქრისტიანული ტაძრის ბაზილიკის ადგილი, რომელიც კონსტანტინემ ააგო და სადაც ტრადიციისამებრ ქრისტე დამარხეს, იმპერატორის დედის მითითებით იქნა არჩეული. ქრისტიანული ბაზილიკა იმეორებდა რომაული არქიტექტურის ფორმებს, რომელიც გადაკეთდა, განიცადა ტრანსფორმაცია და მიესადაგა ახალ რელიგიას.<sup>2</sup> ტაძრის აგების პროცესში მშენებლებმა აღმოაჩინეს ქვის აკლდამა-სამარხი, რომელიც იესოს სამარხად და მისი აღდგომის ადგილად იქნა მიჩნეული.<sup>3</sup> სამარხის გარშემო აიგო მრგვალი ფორმის როტონდა (რომაული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი მრგვალი ფორმის შენობა), რომელიც ანასტასის სახელობის როტონდად არის ცნობილი. ეს ადგილი წმინდა ალაგად იქნა გამოცხადებული და უერთდებოდა ბაზილიკას ატრიუმის ეზოთი. კონსტანტინეს მიერ აგებული ბაზილიკა და როტონდა განადგურდა 1009 წელს, ემსხვერპლა ფატიმიდების მმართველის, ალ-ჰაკიმის ლაშქრობას. 1048 წელს ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე IX კვლავ აღადგინა ბაზილიკა. 1077 წელს იერუსალიმი სელჯუკებმა აიღეს. 1099 წელს ჯვაროსნების შესვლის შემდეგ ქალაქი კვლავ ქრისტიანული ცენტრი ხდება, ჯვაროსნებმა თავი წარმატებულად გაართვეს მისიას, ქალაქი

---

<sup>1</sup> A. J. Wharton, *Selling Jerusalem: Relics, Replicas*, Theme Parks. University of Chicago Press, 2006.16.

<sup>2</sup> Ch. Gates, *Ancient Cities The Archaeology of Urban Life in the Ancient Near East and Egypt, Greece, and Rome*, second edition Routledge, 2011, 408.

<sup>3</sup> Wharton, 2006, 17.

ქრისტიანულ სამყაროს დაუბრუნეს.<sup>1</sup> ჯვაროსნების ქალაქმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია და მოდიფიკაცია განიცადა, მათ შორის გადაკეთდა კონსტანტინეს ბაზილიკა.<sup>2</sup>

ქართული საზოგადოების გარკვეული ფენებისთვის ბიზანტიური ხანის იერუსალიმი კომუნიკაციის მნიშვნელოვანი სივრცე იყო. ე. მაძისთვალიშვილი მიიჩნევს, რომ მეხუთე საუკუნიდან იერუსალიმში უკვე ჩნდებიან ქართველი რელიგიური მოღვაწეები და ახორციელებენ საამშენებლო პროექტს, რომელიც განკუთვნილი იყო ბერებისათვის. იერუსალიმის ემბლემატურობაზე და მნიშვნელობაზე მოჰყავს მეორე მაგალითი, კერძოდ, ვახტანგ გორგასლის, მისი დედისა და დის იერუსალიმის მოსალოცად მოგზაურობის შესახებ.<sup>3</sup> აღნიშნული მაგალითები<sup>4</sup> შუა საუკუნეების ქართული წყაროების მიერ არის დამოწმებული და მათ უტყუარობაზე რთულია მსჯელობა, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად შეიძლება აღინიშნოს, რომ იერუსალიმი, როგორც ემბლემატური სივრცე, შემოსულია ქართულ მენტალურ განზომილებაში უკვე V-X საუკუნეებში. მენტალური მეხსიერების ეს გარე განზომილება<sup>5</sup>, რომელიც მოიცავს „მეხსიერების კულტურას“ და „წარსულის დამოწმებას, მითითებას“, ითამაშებს არსებით როლს

---

<sup>1</sup> *Crusader Jerusalem 1099-1187 AD*, by Mustafa A Hiyari in: *Jerusalem in History*, ed., by K J Asali, Scorpion Publication LTD, 1989, 138-140.

<sup>2</sup> Gates, 2011, 408.

<sup>3</sup> შდრ. ე. მაძისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV (საქართველო და ჯვაროსნები), გვ. 17-18. გვ. იქვე იხ. დამოწმებული ლიტერატურა.

<sup>4</sup> იერუსალიმთან კომუნიკაციის სხვა მაგალითები იხ. იქვე, გვ. 18-22. გვ. ასევე, საკომუნიკაციო გზების შესახებ, 23-24 გვ. იქვე იხ. დამოწმებული ლიტერატურა.

<sup>5</sup> Assmann, 1992, 19.

დავით აღმაშენებლის კონცეფციის, „გელათი-სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი“, ფორმულირებასა და იერუსალიმის გელათში ვირტუალურ გადმოტანა-პორტაციაში.

### **5. ისტორია, როგორც კულტურული მახსოვრობა: მნე-მოისტორია, იერუსალიმი და ქართული ერის ფორმირების საწყისები**

საზოგადოდ მიჩნეულია, რომ დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ევროპაში დაწერილი მთელი რიგი ნაციონალური ისტორიები ცდილობდნენ აღმოეჩინათ, ხელახლა აღმოეჩინათ, ან თუნდაც გამოეგონათ გერმანიკული სამეფოების წარმოშობა, რომლებმაც მეშვიდრეობით მიიღეს რომის იმპერიის ტერიტორიები. ამ ისტორიის ავტორები იყვნენ საეკლესიო პირები, როგორც იყო ეპისკოპოსი გრიგოლ ტურინელი და ინგლისელი ბერი ბედე. VIII-X საუკუნეების ევროპული ნარატივები მდიდრდება ქრონიკებით.<sup>1</sup> დასავლეთის სივრცის საპირისპიროდ, აღმოსავლეთშიც მიმდინარეობდა ისტორიული ნარატივის ფორმირების პროცესი, ასეთ ნარატივზე დაკვეთა ქართულ სახელმწიფოშიც ჩნდება და, ჩანს, მომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. სწორედ ამგვარ ინტერესებში შედის „იერუსალიმის გახსენება“ და ახალი ტრადიციის შექმნა, რასაც დიდ მეფე დავით აღმაშენებლის ღვაწლად მივიჩნევ. ეს ღვაწლი სწორედ მის უნივერსალურ, ლაკონურ ისტორიულ კონცეფციაში ეტევა: „გელათი-სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი“. ქვემოთ სწორედ ამ კონცეფციის რაობაზე, ისტორიულ საფანელზე და საბუთიანობაზე გვექნება საუბარი.

---

<sup>1</sup> Ph. Parker, *World History*, Dorling Kindersley, London, New York, Munich, 2010. 20.



დავით აღმაშენებელმა საქართველოს იმდროინდელი დედა-ქალაქის, ქუთაისის ახლოს დააარსა საგანმანათლებლო ცენტრი, გელათის აკადემია. იერუსალიმის რაღაც „ოდნობით“ პორტაცია („მეორე იერუსალიმი“) სწორედ ამ გეოგრაფიულ სივრცეში გაიზარდა.<sup>1</sup> იერუსალიმის, მისი მახასიათებლის ან ფუნქციის გადმოტანა-განგრძობითობა ახალ სივრცესა და დროში მენტალურ დონეზე მატერიალიზაციას უფრო ჰგავს, ვიდრე ფიზიკური და ისტორიული პროცესის გაგრძელებას. „წარმოსახვითი სივრცის“ ნაწილად ქცეული იერუსალიმი თავისი მარადიულობის ერთ-ერთ უნიკალურ გამოვლინებას ახდენს ქართულ კონტექსტში. ქართულ სივრცეში „მეორე იერუსალიმის“ შემოტანა მყარდება ქართულ მეტანარატივში გადმოცემული კონცეფციით.<sup>2</sup> ამ კონცეფციას ქმნის მეფის მემკვიდრე, მეფე „მოიგონებს“

---

<sup>1</sup> დავით IV აღმაშენებლის სატახტო ქალაქი ქუთაისში იყო, სადაც არსებობდა სასახლე-პოლიტიკური ორგანიზაციის ცენტრი, აშენებული იყო ბაგრატის ტაძარი-რელიგიური ორგანიზაციის ცენტრი, სახეზეა სამეფო დედა-ქალაქისათვის მიღებული ინსტიტუციური მმართველობის და ორგანიზაციის მოდელები, მაგრამ დავითს „შემოაქვს“ მესამე კომპონენტი - განათლების ცენტრი („სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად“- იერუსალიმის მახასიათებელი) და მეცნიერების ცენტრი („მოდურად სწავლულებისად“- ათენის მახასიათებელი). ამ დებულებით ხდება იერუსალიმის და ათენის ფუნქციური მახასიათებლის სინთეზი და ორი მახასიათებლის გელათზე გადმოტანა.

<sup>2</sup> ქართული წყაროს დამოწმება აქ და სხვა ადგილებში ხდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: დავითი აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 1, განათლება, თბ., 1955. ტექსტი აღებულია ტიტუს პროექტის ელექტრონული გამოცემიდან, TITUS Project, მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტი, Vita David Constructoris regis Iberorum ინტერნეტ მისამართი:

[http://titus.unifrankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/kcx1/kcx1.htm?kcx1063.htm#KCx\\_I\\_Vita\\_Dav.Aghm](http://titus.unifrankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/kcx1/kcx1.htm?kcx1063.htm#KCx_I_Vita_Dav.Aghm)

(შუა საუკუნეების ტერმინი „მოიგონებს“ მახსენებს თანამედროვე სიტყვას - „რემინისცენცია“ ე.ა.) მონასტრის მშენებლობას, ღვთიური ნების ჩარევით, ირჩევს ყოვლად უნაკლო და მშვენიერ სივრცეს/ადგილს, აშენებს იქამდე არსებულ კონსტრუქციებზე გაცილებით აღმატებულ ტაძარს, ავსებს მის სივრცეს უნიკალური რელიგიური დეკორაციებით, სიწმინდეებით, რელიქვიებით, ფუფუნების ნივთებით, შემოაქვს ხოსროანთა და არაბთა მეფის დამარცხების შემდეგ მოპოვებული ალაფი-ძვირფასი ტახტი, სასანთლები, გვირგვინი, ფიალები, სასმელები და სხვა ნივთები. ეს პასაჟი მე აღმიძრავს ცდუნებას, რომ „გავიხსენო“ ბიბლიური სოლომონი და მის მიერ აშენებული და დამშვენებული უფლის ტაძარი (ნაწილობრივ მისი სასახლეც).<sup>1</sup> ამის შემდეგ მეფე დავითმა არა მარტო მისი სამეფოდან, არამედ მსოფლიოს ყველა კუთხიდან შემოიკრიბა აღამიანები „პატიოსანი ცხოვრებით და ყოველგვარი სათნოებით“ დაჯილდოვებულნი და დაამკვიდრა ამ სივრცეში.<sup>2</sup> პასაჟიდან ჩანს, რომ ქართველი მეფე ჰბაძავს იერუსა-

---

<sup>1</sup> ჩემი აზრით, ავტორი ამ პასაჟებში დავითს ადარებს იერუსალიმის მეფეს, სოლომონს, რომელიც აშენებს უფლის ტაძარს. სოლომონი ტაძრის მშენებლობის დაწყების წინ წერილს სწერს ტვიროსის მეფეს, დახმარებას სთხოვს მშენებლობაში და ეუბნება „აჰა, და ვფიქრობ ავაშენო სახლი უფლისა“ (*მეორ. მეფ.* 5:5). შდრ. შესატყვისი პარალელი, დავითის შესახებ თქმული ფრაზა: „მოიგონა აღშენება მონასტრისა“ (ქც. „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“ 329 გვ. სტრ. 20).

<sup>2</sup> აღნიშნული პასაჟი: „და მუნ-ვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ სადათ-ცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ჯორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანა და დაამკვიდრნა მას შინა“. შდრ. ქც. ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, 330 გვ. სტრ. 11,12,13.

ლიმის კოსმოპოლიტურ ბუნებას და ახალი იერუსალიმის წიაღში მსახურებისთვის შემოჰყავს უცხოტომელნი, განთქმულნი თავიანთი ზნეკეთილობით. მათ მეფემ გამოუყო საარსებო წყარო-„მამული ლიპარიტეთი“, რომელიც ეკონომიკურად და მატერიალურად უზრუნველყოფდა ამ სივრცეში მოღვაწე ადამიანებს.<sup>1</sup> ამდენად, ეს სივრცე გადაიქცა ურბანული ტიპის დასახლებად, ინტელექტუალების აგლომერატად:

„რომელიცა აწ წინა-მდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად ფრიად უადრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად. ხოლო სახელი მისი გელათი“<sup>2</sup>.

გელათის „გარდასახვა“ იერუსალიმად XII საუკუნეში, კერძოდ კი, 1106-1110 წწ. ხდება. ქართულ მენტალურ მოდელებში ეს ეტაპი პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს იერუსალიმის შეფასებას, მისი გარკვეული ფუნქციური მისიის გააზრებას (ან გადააზრებას) ე.წ. „ყოვლისა აღმოსავლეთის“ სივრცეში და შესაბამისად, ახალი შეფასებათა სისტემის დამკვიდრების მცდელობას. საინტერესოა, ამ კონცეფციის გაჩენის ისტორიული საფანელი; ქრონოლოგიურად ეს პერიოდი მოდის იერუსალიმის ისტორიაში რთულ ხანაზე და უკავშირდება იერუსალიმის აღებას სელჯუკი მუსლიმების მიერ, მისი გათავისუფლების მიზნით 1096 წლიდან დაწყებულ ჯვაროსნულ ომებს. 1099 წელს ჯვაროსნების მიერ

---

<sup>1</sup> „მამული ლიპარიტეთი“ მაგონებს სოლომონის პერიოდის „სამარაგო ქალაქს“, რომელიც ეკონომიკურად უზრუნველყოფდა იერუსალიმს. *მესმეფე*. 9: 19.

<sup>2</sup> დავითი აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ქ. ც. 330 გვ. 18, 19 სტრ. 331 გვ. 1, 2, 3 სტრ.

განთავისუფლებული ქალაქი იერუსალიმი,<sup>1</sup> ქალაქ-სახელმწიფოდ ცხადდება და ერქმევა იერუსალიმის სამეფო (1099-1187 წწ. პირობითად, პირველი ეტაპი). 1187წ. სულთან სალადინის მიერ ხდება ქალაქის აღება, ხოლო 1189 წელს იწყება მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა<sup>2</sup> და ჯვაროსნების სამეფოს რესტავრაციით სრულდება 1192 წ., რომლის დედა-ქალაქი ხდება აკრე და არა იერუსალიმი. ამ დროს კვლავ სალადინის ხელშია (პირობითად, მეორე ეტაპი). ეს რთული ისტორიული რეალიები 1291 წ. ქალაქის განადგურებით დასრულდა.

ამდენად, ჯვაროსანთა ხელში იერუსალიმი მხოლოდ 90 წელი იყო<sup>3</sup> და დავითის ურბანული რეფორმა ემთხვევა ჯვაროსნების ხანის პირველ ეტაპს, ამ დროს ხდება იერუსალიმის გელათში პორტაცია. დავითის ისტორიკოსი ჯვაროსნების გამოჩენას და მათ მიერ იერუსალიმის გათავისუფლე-

---

<sup>1</sup> პირველი ჯვაროსნული ლაშქრობები და შედეგები იხ. Th. Asbridge, *The First Crusade: A New History*, Oxford, 2004; Ch. Tyerman, *God's War: A New History of the Crusades*, Penguin, 2006; J. Riley-Smith, *The First Crusade and the Idea of Crusading*, Pennsylvania, 1991.; S. Runciman, *A History of the Crusades. Volume 1, The First Crusade and the Foundation of the Kingdom of Jerusalem*, Cambridge, 1953; M.A. Hiyari, *Crusader Jerusalem, (1099-1187AD)*, in *Jerusalem in History*, ed., K.J. Asali, Scorpion Publishing, 1989, 130-177.; წყაროები: Arab Historians of the Crusades, Selected and translated from the Arabic sources by F. Gabrieli Translated from the Italian by E. J. Costello, University of California, Berkeley and Los Angeles, 1969.

<sup>2</sup> P. W. Edbury, *The Kingdom of Cyprus and the Crusades, 1191-1374*. Cambridge: Cambridge University Press, 1991. 4-5.

<sup>3</sup> ჯვაროსანთა იერუსალიმის შესახებ საინტერესო ინტერნეტ რესურსი იხ:

<http://www.biblicalarchaeology.org/daily/biblical-sites-places/jerusalem/what-were-the-crusades-and-how-did-they-impact-jerusalem/>

ბას პოზიტიურად აფასებს, საქართველოს გაძლიერების წინამძღვრებს იერუსალიმში მიმდინარე პროცესებში ხედავს.<sup>1</sup> იერუსალიმის თვისობრივად ახალი აღქმა და შეფასება სწორედ 1099-1110 წწ. უნდა ემთხვეოდეს. ლათინების ხელში გადასული იერუსალიმი პოლიტიკურად „სხვისია“, მისი პოლიტიკური და რელიგიური ლიდერი ხდება გოტფრიდ ბულიონელი (Godfrey of Bouillon, გოტფრი ბულონიდან),<sup>2</sup> ფრანკული წარმომავლობის რაინდი და ქრისტეს საფლავის მცველი (კათოლიკური ეკლესიის მიერ ხელდასმული). გოტფრიდი 1110 წ. გარდაიცვალა.<sup>3</sup> იერუსალიმის ოფიციალური მეფე ხდება გოტფრიდის ძმა, ბალდუინ I იერუსალიმელი, იერუსალიმის ტიტულოვანი მეფე.<sup>4</sup>

ამრიგად, 1099-1110 წწ. სხვათა პოლიტიკური დომინანტობის გამო, იერუსალიმის „ფიზიკური დასაკუთრება“ ქართველებისთვის შეუძლებელი იქნებოდა, ასევე შეუძლებელი იყო მასზე, როგორც ქრისტიანობის ცენტრის კუთვნილებაზე ღია პრეტენზიის განცხადება (რეალური პრეტენდენტის და კუთვნილების გამო), მაგრამ შესაძლებელი ხომ იყო მენტალურ დონეზე მისი სულიერების, სიკეთის, სათნოების და სწავლების („სასწავლოდ ყოველისა კეთილისად“) გელათში პორტაცია-გადმოტანა?! ამაზე ვერც ერთი პოლიტიკური

---

<sup>1</sup> „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია, და შეწვენითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი“ ქ.ც. 325 გვ. სტრ. 20.

<sup>2</sup> ოფიციალურად გოტფრიდი მეფე არ ყოფილა, ითვლებოდა ქრისტეს საფლავის მცველად შდრ. W. Porter, *A History of the Knights of Malta*. Cambridge Library Collection - European History. Cambridge University Press. 2013, 18.

<sup>3</sup> გოტფრიდის გარდაცვალების შემდეგ იერუსალიმის მეფე გახდა.

<sup>4</sup> Tyerman, 2006, 201-202; J. Richard, *Le Royaume Latin de Jerusalem*. Paris, 1953, English trans. J. Shirley, North Holland 1979, 61.

ოპონენტი ვერ შეგეკამათებოდა და რაღაც ოდენობით იერუსალიმის აბსტრაქტიზებული „სიკეთე, სათნოება და სწავლება“ სამართლიანად „რჩებოდა“ აღმოსავლეთში.<sup>1</sup> „მეორე იერუსალიმის“ სახელდებით შემოდის დავითისეული ისტორიული კონცეფცია ქართულ მეტანარატივში.<sup>2</sup>

რა საფუძველი, ან დასაბუთება შეიძლებოდა ჰქონოდა დავითის თუნდაც ასეთ მოკრძალებულ პრეტენზიას და იერუსალიმის ერთ-ერთი მახასიათებლის გელათში გადმოტანას?!

ე. მამისთვალისშვილი<sup>3</sup> გამოთქვამს მოსაზრებას, რომ საძლებელია დავითის ხანაში ქართველი ჯარისკაცები, ანუ

---

<sup>1</sup> თითქოს შეფარვით იკვეთება ორიენტალური სამყაროს მენტალური ოპოზიცია ევროპულთან. მეფე დავითი ორიენტალურ ქრისტიანულ სამყაროს ეკუთვნის, ვისაც უფრო მეტი ტრადიცია, გეოგრაფიული და სივრცობრივი სიახლოვე აქვს იერუსალიმთან, ვიდრე ევროპელ მეფეებს, რომლებსაც პრეტენზია იერუსალიმზე ჯერ კიდევ შარლ I დიდის, ფრანკების და გაერთიანებული დასავლური ევროპის მონარქის დროს (774-814) უჩნდებათ. შარლ დიდის მგზავრობა, იერუსალიმის სიწმინდეების მონახულება დღეს ფიქტიურ წყაროდ არის მიჩნეული. ეს ისტორია აღწერილი აქვს, *უილიამ ტვიროსელს, ტვიროსის არქიეპისკოპოსს* შდრ. William, of Tyre, Archbishop of Tyre, ca. 1130-ca. 1190., Krey, August C. (August Charles), 1887-1961., Babcock, Emily Atwater. Columbia University Press, 1943. Records of civilization, sources and studies, 64-65. ელ-მისამართი

<http://hdl.handle.net.proxy.library.vanderbilt.edu/2027/heb.06057.0001.001>

<sup>2</sup> დავითისა და ბაღდადის საგარეო კავშირები ნახსენებია საქართველოს ისტორიის ნარკვევებში, III ტ., თუმცა წყარო მითითებული არ არის, გვ. 181. ასევე, აღნიშნულ საკითხზე დაწვრილებით იხ. რ. მეტრეველი, *დიპლომატიკური საქართველოში, XII ს. I ნახევარში, ქართული პოლიტიკა*, თბ., 2013, 10-11გვ., დაზუსტებული კონტექსტით. ავტორს გვიან ხანის წყაროები მოჰყავს, ევრდნობა ზ. ავალიშვილს ნაშრომს (ჯვაროსანთა დროიდან, ნარკვევი: გარშემო ერთი ომისა, პარიზი, 1929) და იოანე ბატომიშვილის „კალმასობას“.

<sup>3</sup> შდრ. მამისთვალისშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, საქართველო და ჯვაროსნები, ..... 106-107.

რაინდები იღებდნენ მონაწილეობას იერუსალიმის განთავისუფლებაში ჯვაროსნების გვერდით, თუმცა ამ ფაქტის გადამოწმება არ ხერხდება. მკვლევარი აქვე გამორიცხავს თავად მეფის მონაწილეობას ამ კამპანიაში. შუა საუკუნეების ევროპულ ტრადიციაში გაჩენილი თქმულება პერიფერიული ქვეყნის მმართველის, იოანე პრესვიტერის შესახებ, რომელიც იერუსალიმის გულმხურვალე გულშემატკივარი იყო და ლამობდა იერუსალიმის დახმარებას, ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ დავით აღმაშენებელთან არის გაიგივებული.<sup>1</sup> თუმცა არიან მეცნიერები, რომლებიც ემიჯნებიან დავით აღმაშენებლის ამგვარ მისტიფიცირებას და ეყრდნობიან წერილობით დოკუმენტებს, სადაც დავითი ჯვაროსნებთან მხოლოდ თანამშრომლობს (ევროპელები და ჯვაროსნები მას პიროვნულად იცნობენ) და იგი „მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლის მოწინავე ბურჯია“.<sup>2</sup> იერუსალიმის გელათში გადმოტანის კონცეფციას უკავშირდება შუა საუკუნეებში გაჩენილი მეორე კონცეფციაც, ბაგრატიონების გვარის პირდაპირი კავშირი იერუსალიმთან და ისრაელის მეფე დავითთან. ეს კონცეფცია ამყარებდს პირველს და მასთან ერთგვარი ლოგიკური შესატყვისობა აქვს.<sup>3</sup> არსებობდა კიდევ ერთი უძვე-

---

<sup>1</sup> ზ. ავალიაშვილი, შ. ბადრიძე, შ. რევიშვილი და სხვ., შდრ. ა. გოგოლაძე, *იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ. მერიდიანი*, თბ., 2005.

<sup>2</sup> გოგოლაძე, 2005, 54. იქვე იხ. ლიტერატურა.

<sup>3</sup> ქართველი და სომეხი ბაგრატიდები შორეულ წინაპრად ებრაელების მეფე დავითს მიიჩნევდნენ. შდრ. *Encyclopædia Iranica, Columbia University Project*, “Bagratids“ ელ-მისამართი:

<http://www.iranicaonline.org/articles/bagratids-dynasty>.

იხ. დავით აღმაშენებელი, როგორც იერუსალიმის მეფის დავითის შემკვიდრე. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 1, განათლება, თბ., 1955. გვ. 324,

ლესი ტრადიცია, რომელიც „არიან-ქართლის“ სივრციდან ხალხის ერთი ჯგუფის მცხეთაში შემოსვლაზე და იქ დასახლებაზე გვაძლევს ცნობას. ეს ცნობა დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვრის არსენ ბერის (მას არსენ იყალთოელად მიიჩნევენ) მიერ ტრადიციის „გახსენებას“ ან „შექმნას“ ჰგავს. არსენ ბერი „ინნოს ცხოვრების“ მეტაფორასული რედაქციის ავტორია და მისი განმარტებით:

„ჩვენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსრულთანი და ენად მათი უწყით, და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილის-შვილნი არიან“.<sup>1</sup>

გიორგი ქავთარაძე თავისი კვლევის „არიან ქართლის“ საკითხისათვის“ იმოწმებს პავლე ინგოროყვას მოსაზრებას<sup>2</sup> და აღნიშნავს (შდრ. სქოლიო №3), რომ „პ. ინგოროყვას ვარაუდით, არსენ ბერს უსარგებელია ახ. წ. IV საუკუნის ქართველი ისტორიკოსის (წარმოშობით ქართველი ებრაელის) აბიათარის დაკარგული ნაშრომით „ცხოვრება და მოქცევა ქართლისა და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი

---

სტრ.1-2/ ტექსტი მოცემულია ტიტუს პროექტის ელექტრონული გამოცემაში, TITUS Project, მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტი, Vita David Constructoris regis Iberorum ინტერნეტ მისამართი:

[http://titus.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/kcx1/kcx1.htm?kcx1063.htm#KCx.\\_I\\_Vita\\_Dav.Aghm](http://titus.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/kcx1/kcx1.htm?kcx1063.htm#KCx._I_Vita_Dav.Aghm)

<sup>1</sup> გ. ქავთარაძე, „არიან-ქართლის“ საკითხისათვის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები IX, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2009. ელ-რესურსი

[http://saunje.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=881%3A2011-02-13-19-10-03&catid=1%3A2010-01-24-19-54-07&lang=ka](http://saunje.ge/index.php?option=com_content&view=article&id=881%3A2011-02-13-19-10-03&catid=1%3A2010-01-24-19-54-07&lang=ka).

<sup>2</sup> პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატანიე ”მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XI-B, 1941. 1, 283.



რომელთა ტომიანი ვართ, ანუ ვითარ მოვიქეცით და მივიღეთ სჯული ქრისტიანობისა“. ეს, მისი აზრით, არსენ ბერის თხზულების ტექსტისა და აბიათარის მატთანის ზედწერილის გამონათქვამების ზუსტი დამთხვევიდან ირკვევა [1, 283-284],<sup>1</sup> რომ პირველი წყარო ცნობილი იყო არსენ ბერისთვის. სავარაუდოდ, დავითისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო არსენ ბერის მოსაზრება, ქართლის მეფეების წინაპრის მიგრაციის შესახებ, და სავარაუდოდ, ებრაელი წარმომავლობის აბიათარის მოსაზრებაც.

როდესაც ზემოთ ჩამოთვლილ ალტერნატიულ მოსაზრებებს განვიხილავ, მე არ ვაცხადებ პრეტენზიას ამ ფაქტების უტყუარობაზე ან გადამოწმებაზე, არც ობიექტურ რეალობად ვიღებ მათ (ეს ცალკე კვლევის თემაა), მაგრამ ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, რომ დავით აღმაშენებლის პერიოდში იერუსალიმთან მიმართებაში უკვე მუშაობს „მენსიერების კულტურა“, ხდება „წარსულის დამოწმება“ და „მითითება“. ამდენად, ყოველივე ეს დავით IV-ს უკვე აძლევს საფუძველს წარსული „დაიმოწმოს“ და ამის შემდეგ მოახდინოს ახალი ტრადიციის გამოგონება (ამ ტრადიციას აძლევს წერილობითი სახეს, ქმნის ფიქსირებულ ისტორიული დოკუმენტს).<sup>2</sup> ტრადიციაზე ორიენტირებული ურბანული სივრცის

---

<sup>1</sup> ქავთარაძე, 2009, სქ. 3.

<sup>2</sup> ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი მიხეულისა, რომ დაწერილია დაახლოებით 1130-იან წლებში. მაგრამ მე არ გამოვრიცხავ, რომ ნარატივის დეკონსტრუქციამ შესაძლებელია აჩვენოს ის, რომ ნარატივის ნაწილები ეტაპობრივად იქმნებოდა, ანუ ვგულისხმობ, რომ ჯერ კიდევ დავითის სიცოცხლეშივეა შექმნილი „მეორე იერუსალიმის“ კონცეფცია, წერილობითი სახით ფიქსირებული და გელათის მშენებლობის თანადროული. თუ იერუსალიმის გადმოტანის იდეა სახელმწიფოს იდეოლოგიის და იდენტობის ნაწილი იყო, მაშინ პოსტფაქტუმ ამ თემაზე საუბარი

სივრცის (გელათის კრეაცია) აღმშენებლობა, ვფიქრობ, რომ კონცეფციის შექმნის თანადროული მოვლენა უნდა ყოფილიყო.

ამდენად, დავითისეული კონცეფცია არ იყო მთლად უსაფუძვლო ამბიციებზე აგებული, არც მეტანარატივის დონეზე დარჩენილ იდეოლოგიურ პროპაგანდად განიხილებოდა და, სავარაუდოდ, არც ჯვაროსნების მიერ გაპროტესტებული გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო. არ გამოვრიცხავ, რომ ეს კონცეფცია ორმხრივი თანხმობის შედეგად გახდა ერთგვარი პოლიტიკური დევიზი და ფორმა რეგიონში ქრისტიანული ახალი თანაარსებობისთვის. ამგვარად, იერუსალიმი, დასავლეთმა და აღმოსავლეთმა გაიყვეს, რეალური იერუსალიმი ევროპელებს დარჩათ, ვირტუალურმა იერუსალიმმა გელათში გადმოინაცვლა. დავით აღმაშენებელი შესანიშნავად აცნობიერებდა, რომ იერუსალიმის, როგორც მარადიული ქალაქის, გადმოტანა-მოდელირება (იგულისხმება არა მარტო პოლიტიკური, ან ანტროპოცენტრული, არამედ ფიზიკური მოდელირება) აუხდენელი ოცნება იყო,<sup>1</sup> ამიტომ მან „მეორე იერუსალიმი“ არა სატახტო ქალაქ ქუთაისში, არამედ მის მიმდებარე სივრცეში გადაიტანა. ამ გადაწყვეტილებით მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველო მხოლოდ ნაწილობრივად იღებდა მემკვიდრეობას და ისაკუთრებდა იერუსალიმის გარკვეულ ასპექტებს.

შუა საუკუნეების საქართველოსათვის და თავად დავითისათვის, თუ რის ნიშნულად აღიქმებოდა და დგინდებოდა იერუსალიმი, დაზუსტებით არ ვიცი; მხედველობაში მაქვს,

---

კარგავდა პროპაგანდის მნიშვნელობას და ვერ უხსნიდა საზოგადოებას გელათისადმი დაკისრებულ მისიას.

<sup>1</sup> დავით აღმაშენებელი ვერ გაიმეორებდა აღმოსავლეთ (მეორე) რომის პროექტს.

პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საფანლისგან დაცლილი დამოკიდებულება და შეხედულება. საინტერესოა, აგრეთვე მეორე საკითხი, თუ დავითის სწამდა თავისი ებრაული წარმომავლობის, მაშინ ეს პრეტენზიები გულწრფელ ამბიციას ეყრდნობა და ნაწილობრივ, მისი პირადი იდენტობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ობიექტური რეალობიდან დროში დაცილებულს, ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ მითითებული წყაროების ინტერპრეტაციის (ხანდახან რეინტერპრეტაციის) საფუძველზე მიყალიბდება, თუმცა რა სახის ბიძგი მისცა შუა საუკუნეების საქართველოს იერუსალიმის ვირტუალურმა გადმონაცვლებამ, ვთვლი, რომ უკვე ფაქტის დონეზე არის გამყარებული, კერძოდ, გელათის აკადემიის, უნივერსალური საგანმანათლებლო ცენტრის და მონასტრის დაარსებით. მე ამ მოვლენას იერუსალიმის ტრადიციის ფიზიკურ განსხეულებად მივიჩნევ.

## **6. ტრადიციების გაფართოება**

როგორც ზემოთ აღვნიშნე, „ტრადიციების გაფართოება“ უკვე არსებულ იდეაზე რეფლექსიაა და ადრე არსებული შემუშავებული იდეის გაფართოებას ეყრდნობა. ამდენად, თუ დავითის ეპოქამდე უნდა მომხდარიყო იერუსალიმთან მიმართების „გამოგონება“ და ეს მნემოისტორიის ფორმატია, დავითის ეპოქაში მოხდა ტრადიციის შექმნა, რაც უკვე ისტორიული ნარატივის სახეს იღებს, ხოლო 21-ე საუკუნის 10-ან წლებში დაიწყო ამ ტრადიციის შემუშავება-გაფართოება, რაც გლობალური პოლიტიკის ქარგაში ქართული სახელმწიფოს მოქცევის დიდი გეგმის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

წინასწარმეტყველ ესაიას ხილვით მომავალში იერუსალიმს მსოფლიოს დედა-ქალაქის ფუნქცია ეკისრება, საიდა-

ნაც უფლის სიტყვა გამოვა, საიდანაც სამართაღს განიკითხავს ღმერთი ერებს შორის, სადაც ერი ერზე აღარ აღმართავს მახვილს და აღარავინ ისწავლის ომს (ესა. 2:3-4), სადაც შეგროვდებიან ხალხები ერთად და სამეფონი უფლის სამსახურებლად (ფსლ. 101 (102): 22-23). ამდენად, მსოფლიოს ქალაქ იერუსალიმთან და მის ტრადიციასთან სიახლოვე, რასაც დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა საფუძველი, თანამედროვე ქართულ სახელმწიფოებრიობას „მარადიულობის“ მახასიათებელს ჰმატებდა და ამყარებდა მისი, როგორც ნაციონალური სახელმწიფოს ავტორიტეტს. საქართველოს მომავლის ტრადიციის შემუშავება 2004 წელს სახელმწიფოს სათავეებში მდგარმა ინტელექტუალებმა დაიწყეს. ახალი ნაციონალური პროექტის ფარგლებში, რიგი ცვლილებები გაატარეს, მათ შორის განხორციელდა სახელმწიფოს სიმბოლოების რევიზია და 2004 წელის იანვარში მ. სააკაშვილის ინიციატივის დღეს გამოჩნდა ახალი დროშა, ეს იყო თეთრი დროშა, რომელსაც ხუთი სისხლისფერი ჯვარი ამშვენებდა, რომელიც თავისი სიმბოლიკით თითქმის იმეორებდა იერუსალიმის ჯვაროსანთა რაინდის, გოტფრიდ ბულიონელის აღამს (1060-1100 წწ.), რომელიც წარმოადგენდა იერუსალიმის გერბსა და დროშას 1099-1291 წწ.<sup>1</sup> ხუთი ჯვრის სიმბოლიკა იწოდება იერუსალიმის ჯვრად, თავისთავში მოიცავდა წმ. გიორგის ჯვარს და ჩნდება როგორც ინგლისის დროშაზე ასევე, საქართველოში ბოლნისში და კაცხეთში, და ცნობილია ბოლნურ-კაცხური ჯვრის სახელწოდებით.<sup>2</sup> შუა

---

<sup>1</sup> K. Krohg-Sørensen, *Our Icon is the Homeland – Georgian Nation Building Before and After 2008*, Master thesis in Russia studies Institute of Languages and Oriental Studies/Faculty of Humanities University of Oslo, Autumn 2011, 77.

<sup>2</sup> Op.cit 77-78.

საუკუნეების პერიოდში გაჩენილი სიმბოლო დასტურდება იტალიელი კარტოგრაფის ანჯელინო დულკერტის მიერ XIV საუკუნეში რუკაზე, სადაც გამოსახულია საქართველო.<sup>1</sup> დავითისეული „მარადიული საქართველოს“ პროექტის მეორე ნაწილი იყო ქალაქ ქუთაისისთვის პოლიტიკური დეზიგნატორის მინიჭება, პარლამენტის გადატანა. რა იქნება მესამე ნაბიჯი? ამას მომავალი გვიჩვენებს.

### **დამოწმებანი:**

#### **წყაროები:**

ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989.

დავითი აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 1, განათლება, თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, არტანუჯი, თბ., 2008.

A. C. Krey, *The First Crusade: The Accounts of Eyewitnesses and Participants*, Princeton, 1921.

William, of Tyre, *Archbishop of Tyre, ca. 1130-ca. 1190.*, Krey, August C. (August Charles), 1887-1961., Babcock, Emily Atwater. Columbia University Press, 1943.

*Arab Historians of the Crusades, Selected and translated from the Arabic sources by F. Gabrieli Translated from the Italian by E. J. Costello, University of California, Berkeley and Los Angeles, 1969.*

---

<sup>1</sup>ანჯელინო დულკერტის მიერ 1339 წ. შედგენილი რუკა შეგიძლიათ იხილოთ ელ-რესურზე მისამართით:

[http://commons.wikimedia.org/wiki/Category:Map\\_of\\_Angelino\\_Du\\_lcert](http://commons.wikimedia.org/wiki/Category:Map_of_Angelino_Du_lcert). წვდომა მოხდა 16.05.2015.

### ძირითადი ლიტერატურა:

ა. გოგოლაძე, იოანე პრესვიტერის ლევენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ. მერიდიანი, თბ., 2005.

ბ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატანე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XI-B, 1941.

გ. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, საქართველო და ჯვაროსნები, ტ. IV, თბ., 2015.

დ. მამისთვალიშვილი, ზეციური იერუსალიმის შესახებ იხ. ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998.

ე. მეტრეველი, დიალოგი ძველ საქართველოში, XIIს.. I ნახევარში, ქართული პოლიტიკა, თბ., 2013.

ვ. ქავთარაძე, „არიან-ქართლის“ საკითხისათვის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები IX ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მთავარი რედაქტორი: ვაჟა კიკნაძე, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.

Th. Asbridge, The First Crusade: A New History, Oxford, 2004

J. Assmann, Kollektives Gedächtnis und kulturelle Identität. In: J.Assmann and T.Hölscher (eds) Kultur und Gedächtnis, Frankfurt/M.: Suhrkamp, 1988.

J. Assmann, Stein und Zeit. Das "monumentale" Gedächtnis der altägyptischen Kultur. In: J.Assmann and T.Hölscher (eds) Kultur und Gedächtnis, Frankfurt/M.: Suhrkamp 1988.

J. Assmann, Das kulturelle Gedächtnis. Schrift, Erinnerung und politische Identität in frühen Hochkulturen. München: Beck. 1992.

J. Assmann, *Moses the Egyptian. The Memory of Egypt in Western Monotheism*. Cambridge, Mass. and London: Harvard University Press. 1997.

F. Braudel and A. Coll, *The alliance between the New History and the Social Sciences*, *Histoire et sciences sociales: La longue durée*, *Réseaux*, 5:27. 1987.

M. Clark, *Mussolini: Profiles in Power*, London: Pearson Longman, 2005, 136. Ch. Duggan. *The Force of Destiny: A History of Italy Since 1796*. New York, New York, USA: Houghton Mifflin Harcourt, 2008.

P. W. Edbury, *The Kingdom of Cyprus and the Crusades, 1191-1374*. Cambridge: Cambridge University Press, 1991.

Ch. Gates, *Ancient Cities The Archaeology of Urban Life in the Ancient Near East and Egypt, Greece, and Rome*, second edition Routledge, 2011.

I. Hasson, *The Muslim view of Jerusalem. The Qur'ān and ḥadīth*, in J. Prawer and H. Ben-Shammai (eds.), *The history of Jerusalem. The early Muslim period. 638-1099*, New York 1996.

M.A. Hiyari, *Crusader Jerusalem,(1099-1187AD)*, in *Jerusalem in History*, ed., K.J. Asali, Scorpion Publishing, 1989.

T. Jones and Al. Ereira, *Crusades (BBC Books)* Penguin Books, New York, 1995.

A. Kaplony, *The Haram of Jerusalem 324-1099. Temple, Friday Mosque, Area of Spiritual Power*. Franz Steiner Verlag. Stuttgart 2002.

D. Kitsikis, *Türk-Yunan İmparatorluğu. Arabölge gerçeği ışığında Osmanlı Tarihine bakış – İstanbul, İletişim Yayınları*, 1996.

K. Krohg-Sørensen, *Our Icon is the Homeland – Georgian Nation Building Before and After 2008*, Master thesis in Russia

studiesInstitute of Languages and Oriental Studies/Faculty of Humanities University of Oslo, Autumn 2011.

A. Laats, *The Concept of the Third Rome and its Political Implications*. Kilp, Alar; Saumets, Andres. (Toim.). *Religion and Politics in Multicultural Europe: Perspectives and Challenges*. Estonian National Defense College (ENDC) Proceedings, Tartu: University of Tartu, 2009.

P. Marshall, *Moscow, The Third Rome: the Origins and Transformations of a 'Pivotal Moment*. *Jahrbücher für Geschichte Osteuropas*, 49:3, 2001.

J. Meyendorff, *Rome, Constantinople, Moscow. Historical and Theological Studies*. New York: St Vladimir's Seminary Press, 1996.

J.J., Norwich, *Byzantium: The Decline and Fall*. New York: Alfred A. Knopf. 1995, 81–82; İ. Ortaylı, *Büyük Constantin ve İstanbul*, *Milliyet*, 28 May 2011.

*The Oxford Encyclopedia of Ancient Greece and Rome*, Michael Gagarin editor in chief. Oxford University Press, Oxford 2010.

Ph. Parker, *World History*, Dorling Kindersley, London, New York, Munich, 2010.

W. Porter, *A History of the Knights of Malta*. Cambridge Library Collection - European History. Cambridge University Press. 2013.

J. Richard, *Le Royaume Latin de Jerusalem*. Paris, 1953, English trans. J. Shirley, North Holland 1979.

J. Riley-Smith, *The First Crusade and the Idea of Crusading*. Pennsylvania, 1991.

S. Runciman, *A History of the Crusades*. Volume 1, *The First Crusade and the Foundation of the Kingdom of Jerusalem*, Cambridge, 1953.



Ch. Tyerman, *God's War: A New History of the Crusades*, Penguin, 2006.

A. J. Wharton, *Selling Jerusalem: Relics, Replicas, Theme Parks*. University of Chicago Press, 2006.

**ინტერნეტული რესურსი:**

Biblical Archaeology Society, *Bible History Daily*, ელ-მისამართზე:

<http://www.biblicalarchaeology.org/daily/biblical-sites-places/jerusalem/what-were-the-crusades-and-how-did-they-impact-jerusalem/>.

*Encyclopædia Iranica, Columbia University Project*, “Bagratids“ ელ-მისამართი:

<http://www.iranicaonline.org/articles/bagratids-dynasty>.

Eastern Orthodoxy: The “third Rome” ელ-მისამართი:

<http://www.britannica.com/topic/Third-Rome>.

***Eka Avaliani***

*International Black Sea University*

**ETERNAL JERUSALEM IN GEORGIAN  
METANARRATIVE  
RESUME**

In today’s society, the reality of the past is a metaphor that needs to be deciphered, divided into constituent elements, and reassembled by applying the methods of historical research and related disciplines. Scholars should aim as far as possible to reconstruct the conditions of this social reality as a whole. The modern terms “construction” and “reconstruction” claim to

achieve such remodellings of the past. The term “interpretation” is much more modest, implying that individual scholars can investigate the past and how it is reconstructed and can propose introduce creative new ways to do this.

History is a tradition, and my research intents to reconstruct the process of "invention" and "creation" of the Medieval tradition on the subject of eternal city-Jerusalem; with a particular aim of *understanding the sense of any further* spreading of tradition into the neighboring cultural environment, and in addition, my research explores later reflection on this tradition, off the modern XXI century. The entire process, as a primordial act of creation, obviously completes with physical embodiment of tradition, by some means, constructed through the Georgian literary-historical narrative and somehow, complemented with the physical construction of medieval Gelati complex as -"the second Jerusalem" in the XII century. Thus, the paper draws the two approaches together, plumbing medieval material sources for traces of sensory experience - above all ephemeral and physical experiences that, unlike emotion, are rarely fully described or articulated in texts .

The main leitmotif of the present paper is related to the matter of eternity of a city Jerusalem, whereas exploring how Medieval Jerusalem during the Crusades was perceived by the Georgian historical narrative and how Georgian King David Builder (1073-1125 CE) responded on it and recreated and relocated "the Second Jerusalem" in the peripheral region of the Eastern Christendom, close to the Georgian city, Kutaisi.

The linkage of Medieval Christian Jerusalem to the peripheral space of Medieval Christian Georgia in the same times is an obvious example of division legacies between the Eastern and Western Christians; appropriation of the legacies of

eternal Jerusalem between the two historical actors and claiming an inheritance visibly demonstrate how and why they prized, esteemed and evaluated Medieval Jerusalem as an eternal city, and how they were able to claim an inheritance to which they're entitled.

*ფიქრია დიდებაშვილი*  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**თომას კემპელი**  
**„მიბაძვა ქრისტესი“**

ქრისტიანთათვის უდიადესი წიგნის, წიგნთა წიგნისა ანუ ბიბლიის მიხედვით ღმერთმა შექმნა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად. იგი მხოლოდ ასლია მასზე მალლა მდგომი ღვთაებრივი არსებისა. მისი დანიშნულება და მთელი საზრისი უზენაესი არსების მიბაძვაა. ყოველივე ეს უდიდეს ინტერესს უღვივებს ადამიანს იმ წიგნისადმი, რომელსაც „მიბაძვა ქრისტესი“ ეწოდება. ცნობილი კათოლიკური სასულიერო ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდა ლათინურად 1418 წელს ანონიმურად, მის ავტორებად სხვადასხვა პიროვნებები მოიაზრებოდნენ. დღეს კი უდაოა თომას კემპელის ავტორობა.

წიგნში ქრისტეს ცხოვრება წარმოდგენილია როგორც ჭეშმარიტი, მისაბადი ცხოვრების გზა უბრალო მოკვდავთათვის. იგი თავის დროზე დაიწერა ბერის მიერ და განკუთვნილი იყო სამონასტრო ცხოვრების წესების დაცვისთვის.

ამ წიგნს თვლიან უდიდეს სახელმძღვანელოდ თავგანწირვისა და ერთგულების, სახელმძღვანელოდ რეფორმაციამდე პერიოდის კათოლიკური საქრისტიანოსი. მისი გამოცემების რიცხვი 2000 აჭარბებს. 1000 სხვადასხვა გამოცემა ინახება ბრიტანეთის მუზეუმში. ის თარგმნილია ფრანგულად 1447 წელს. პირველი ბეჭდვითი გამოცემა, კატალონური (კატალონური) რედაქციის, მიეკუთვნება 1482 წელს (ბარსე-

ლონა) და თარგმნილია ამავე ენაზე. პირველი ბეჭდვითი გამოცემა ფრანგულ ენაზე გაჩნდა 1488 წელს ტულუზაში. გერმანულად ითარგმნა 1434 წ., იგი დაცულია კელნში, ხოლო პირველი გერმანული გამოცემა 1486 წლით თარიღდება. ინგლისურად „მიბაძვა ქრისტესი“ ითარგმნა 1502 წელს, იტალიურად – ვენეციაში 1488 წ., მილანში – 1489, ესპანეთში (სევილია) – 1536, არაბულად – 1663, სომხურად 1674, ივრითზე – ფრანკფურტში 1837 წელს (1). გვაქვს ქართულ ენაზე ნათარგმნი ამ წიგნის ფრაგმენტები, მათი მთარგმნელები ანონიმურია, თუმცა ხელნაწერები შემორჩენილია. აღსანიშნავია რომ დავით გურამიშვილი „დავითიანის“ 148 სტროფში იხსენიებს თომას კემპელის, როგორც ჩანს, ის იცნობდა მის ნაწარმოებს. ქართულ ენაზე პირველი სრული და ბეჭდვითი გამოცემა თარიღდება 1890 წლით, გამოიცა გორში, მისი მთარგმნელია კათოლიკე მღვდელი ა. მღებრიშვილი, რომელსაც რედაქტორობას უწევს ნ. ლომოური.

ცოტა რამ წიგნის ავტორის შესახებ. იგი დაიწერა გვიანი შუა საუკუნეების კათოლიკე ბერის თომა კემპელის მიერ (1380-1471). ის მიეკუთვნებოდა მისტიკოსთა სკოლას, რომელიც გავრცელდა (რეინის გასწვრივ) შვეიცარიაში, სტრასბურგში, კელნში, ნიდერლანდებში. იგი იყო მიმდევარი Geert Groote-სა და Florentius Radewijns-ისა, რომლებმაც დააარსეს „საერთო ცხოვრების ძმობა“ აქ ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდნენ და ქრისტესთან მისტიკური შეერთებისათვის იღვწოდნენ.

პატარა თომა დაიბადა სოფელ კემპში. მისი მშობლები ჯონი და გერტრუდა ღარიბი ადამიანები იყვნენ, მამა, როგორც ჩანს, მჭედელი იყო, ლითონზე მუშაობდა და სწორედ აქედან მომდინარეობს მათი გვარიც Haemerken.

ჩვენ ინფორმაცია გაგვაჩნია მხოლოდ მათ ორ შვილზე, რომლებიც კათოლიკე ბერები იყვნენ და რომლებიც მიეკუთვნებოდნენ „საერთო ცხოვრების ძმობას“. თომაზე 10–12 წლით უფროსი ჯონი პირველი წასულა სასწავლებლად ჰოლანდიაში, დევენტერების სკოლაში. ეს იყო სკოლა, სადაც საზოგადოების ხარჯზე ღარიბი გლეხის შვილებს ზრდიდნენ. ძმის კვალს 13–14 წლის თომაც გაჰყოლია.

კათოლიკური მისტიციზმი გერმანიაში, დომინიკელთა ორდენში განვითარდა. კათოლიკური მისტიციზმის ძირეული ნიშნებია უცნობი ავტორის „ქრისტეს მიბაძვა“. ეს წიგნი ერთგვარ გადამწყვეტ სიტყვას წარმოადგენს აზროვნების მართულებისა, რომელიც ერთი მხრივ, ადამიანის ბუნების სრულ გაცემას მოითხოვდა, მეორე მხრივ კი – ლოგიკურ-ვერბალური (ვერბალისტური ლოგიციზმი) პოლემიკით ირობდა თავს<sup>1</sup>.

მას იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა, რომ „XVI ს. დასაწყისში ჰოლანდიაში არსებობდა სახელგანთქმული რელიგიური დაწესებულება – „საერთო ცხოვრების ძმობა“. ძმობის მიზანი იყო ისე ეცხოვრათ, როგორც თომას კემპელის ცნობილ წიგნში „მიბაძვა ქრისტესი“ არის აღწერილი. აღსანიშნავია, რომ აქ უსწავლია სამი წელი ნ. კუზანელს<sup>2</sup>.

თომა კემპელი გარდაიცვალა 1471 წლის 25 ივლისს. მისი ნეშტი გადატანილი იქნა 2006 წელს ქ. ზვოლის ცენტრში არსებულ ისტორიულ ეკლესიაში.

„მიბაძვა ქრისტესი“ შედგება 4 წიგნისაგან. წიგნს სახელწოდება მიეცა პირველივე წიგნის სათაურის მიხედვით.

---

<sup>1</sup> მამა ივანე მარტინი, ფილოსოფიის ისტორია, პირველი ტომი, თბ. 2005, 71.

<sup>2</sup> შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, ნაწ. II, თბ., 1984, 281.

ჩვენ შევეცდებით გაგაანალიზოთ და გავიაზროთ მისი შეგონებანი.

„მოძღვრება ქრისტესი უაღრეს-არს ყველა წმიდანების მოძღვრებაზედ; და იგი, რომელსაც ექნება ჭეშმარიტი სული ქრისტესი, დაფარულს მანანასა ჰპოვებს მას შინა. მაგრამ მოხდება ხოლმე, რომ მრავალნი, თუმცა ხშირად ისმენენ სახარებასა, ხოლო მცირედ აღიძვრიან მისგან, რადგან არა აქვთ მათ სული ქრისტესი. რომელსა ჰნებავს სრულიად გულისხმა-ჰყოს სიტყვანი ქრისტესი, და შთაჰხედეს მათ, მისთვის საჭიროა მთელი ცხოვრება თვისი ცხოვრებასა მისსა მიამსგავსოს“<sup>1</sup> – აქ გადმოცემულია მთელი ნაწარმოების დედააზრი. საუბარი ქრისტეს მოძღვრების არსზე, მისი შეცნობის სიღრმეზე. მართლა ყველა ადამიანს აქვს მიმადლებული ღვთის შემეცნების ნიჭი, მაგრამ მისი შეცნობა რთულია რწმენის, სულიერების გარეშე. ამის მისაღწევად საჭიროა მისივე ცხოვრების გზის გავლა, მისთვის ცხოვრება.

„უაღრესი სიბრძნე მასშია, რომ მოიძულოს კაცმა სოფელი ესე და მიისწრაფოდეს ზეციურისა სამეუფოისაკენ“<sup>2</sup> – ადამიანს წმიდანად და სამართლიანად სათნო ცხოვრება აქცევს. მთავარია ვიქცეოდეთ სამართლიანად, ვიდრე მისი განმარტება ვიცოდეთ, ე.ი. საქმე და არა მხოლოდ ცოდნა, რადგან „სიბრძნე – მხოლოდ ცოდნის კორპუსი კი არ არის, არამედ მასშია – ცხოვრების ხელოვნებაში წვრთნა და დაოსტატება“. ამ სტრიქონებში პავლე მოციქულის სიტყვები გამოსჭვივის, მათი არსია გადმოცემული, რომ რწმენას უპირატესობა გააჩნია ცოდნასთან შედარებით.

---

<sup>1</sup> კემპელი თ., მიბაძვა ქრისტესი, ქართული თარგმანი მამა ა. მღებრიშვილი, თბ. 2007, 16.

<sup>2</sup> კემპელი თ., მიბაძვა ქრისტესი, 16–17.

იგი ადამიანს მოუწოდებს „ნამეტანი ცოდნის“ სურვილის დაცხრომაზე, რათა არ შეცდეს, რადგან შექცევის პროცესში მოიპოვება მრავალი ცთომილება და მისი სწორი შეცნობა კი მხოლოდ ღვთის სიყვარულითაა შესაძლებელი. მართალია, ადამიანს აქვს სურვილი იცოდეს ყველაფერი, ფლობდეს მარადიულ ჭეშმარიტებას, მაგრამ ეს მისთვის მიუწვდომელია. „აბსოლუტური ცოდნის მოპოვების პრეტენზიას თანამედროვეობაც კრიტიკულად ეკიდება და მას გონების ავადმყოფობას უწოდებს“.

„დიდი განსხვავებაა იმ კაცებ შუა, რომელთაგანი ერთია ღვთიურის სიბრძნით განათებული და გულმხურვალე, ხოლო მეორე საქვეყნიერო მეცნიერებით განათებული. ზეგარდმო ღვთისაგან მოვლინებული სიბრძნე დაშორებით ძალდასდგას ამ ცოდნაზედ, რომელიც მოიპოვება ადამიანის ხერხითა და მეცადინეობით“<sup>1</sup>. ეს ციტატა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ღვთიური ცოდნა სულ სხვაა, იგი საკარარულია და ამიტომაც, იცოდნენ რა ამის შესახებ, პირველმა ფილოსოფოსებმა თავიანთ თავს არა ბრძენი, არამედ სიბრძნის მოყვარული უწოდეს. ღმერთი ინარჩუნებს განსხვავებას ადამიანურ და ღვთაებრივ ცოდნას შორის.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ღმერთი მარადიულია, ადამიანისაგან განსხვავებით ყოვლისმცოდნეა, ყოვლადკეთილია, ყოვლის შემძლეა. ამავე დროს, მისი განგება მიუწვდომელია ადამიანისათვის. „უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მისი სიბრძნე, სიკეთე და ძლევამოსილება ადამიანისათვის უმეტესწილად გაუგებარია“.

თომას მიხედვით, რამდენადაც მეტი იცის ადამიანმა, იმდენად უფრო მოეთხოვება იმ ცოდნის შესაბამისი კეთილი ქმედება, იმდენად უფრო მეტად იქნება განსჯილი. იგი იძლე-

---

<sup>1</sup> კემპელი თ., მიბაძვა ქრისტესი, 278.



ვა დარიგებას „უკეთუ გგონია, რომ შენ ბევრი რამ იცი, კარგად და საფუძვლიანად გესმის ყოველივე, მასთანვე იცოდე ისიცა, რომ არიან კვალად მრავალნი რაიმენი და უფრო მეტნიც, რომლებიც შენ არ იცი“ (გვ. 20) – ეს სიბრძნე სოკრატედან მომდინარეობს „მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“. ბრძენმა ბერძენმა რაც უფრო მეტი იცოდა, მით უფრო კარგად ხედავდა, თუ რამდენი რამ იყო კიდევ შესაცნობი ადამიანის გონებისათვის. თომას მიაჩნია, რომ სწორედ ასეთი მიდგომა იქნება საფუძველი შემდგომი ცოდნის ძიებისაც და თავმდაბლობისაც.

„ხშირად ვებზრდები ბევრის კითხვისა და სმენისაგან. შენში არის ყოველივე, რაიცა მსურს და მენატრება. დასდუმდნენ ყოველნი მოძღვარნი და ყოველნი გაჩენილნი წინაშე შენსა; არამედ მხოლოდ შენ უბნობდე ჩემთან“<sup>1</sup> – აქ შუა საუკუნეების ძირითადი აზრია გადმოცემული, რომ ბიბლიაში, ანუ ღვთის სიტყვაში გადმოცემულია ყოველივე.

თომა სწუხს იმის გამო, რომ მრავალნი ცოდნის შეძენას ცდილობენ, ვიდრე სათნოიან ცხოვრებას, არადა მას მიაჩნია, რომ „ჭეშმარიტად, განკითხვის ღღეს იმას კი არავინ მოგვეთხოვს, თუ რა წაგვიკითხავს, არამედ თუ რა გვიმოქმედია; არცა იმას – თუ ვითარი მჭევრ-მეტყველებით გვილაპარაკნია, არამედ თუ ვითარი სიწმინდით გვიცხოვრია“<sup>2</sup>. მთავარია არა ცოდნა, არამედ ამ ცოდნის შესაბამისად მოქმედება და ცხოვრება, ანუ როგორ ვიცხოვრეთ, ვასრულებდით და ვიცავდით კი იმას, რაც კი ვიცოდით, რომ ჭეშმარიტია და სულის ცხოვრებისთვის გამოდგება.

თომასთვის, როგორც ბერისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია მარტობა, ასკეტური ცხოვრება, განრიდება საზოგადოე-

---

<sup>1</sup> კემპელი თ., მიბაძვა ქრისტესი, 23.

<sup>2</sup> კემპელი თ., მიბაძვა ქრისტესი, 23.

ბიდან. „მოერიდე რამდენათაც შესაძლო იყვეს კაცთა ყაყანსა, ნეტავი მრავალჯერ მღუმარება დამეცვა და კაცთა საზოგადოებაში არ გავრეულიყავი!“<sup>1</sup> „უდიდესნი წმიდანნი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ერიდებოდნენ კაცთა საზოგადოებას და ღვთის გულისთვის განმარტოებულს ცხოვრებას რჩეულობდნენ“<sup>2</sup>. იგი იმოწმებს სენეკას: „ვილაცას უთქვამს: ყოველ დროს, როდესაც კაცთა თანა ვიმყოფები, სახლში ვბრუნდები რაიმე ნაკლოვანებით (სენეკა, ეპისტ. 7). ასეთ რჩევას ძალიან ბევრჯერ გავიგონებთ. ციცერონი ამბობდა: „ყველაზე ბედნიერი ისაა, ვინც მთლიანად საკუთარ თავზეა დამოკიდებული და საკუთარ თავში ეგულება ყველაფერი“. ჯორდანო ბრუნო: „ყველანი, ვინც სცადეს ეგემნათ დედამიწაზე ზეციური ცხოვრება, ერთხმად ამბობენ: ჩვენ განვერიდეთ ქვეყანას და მივიქეცით მარტოობად!“ შოპენჰაუერი: „მარტოობა რჩეულთა ხვედრია. სულიერი სიმშვიდე – ეს უმაღლესი მიწიერი სიკეთე – მხოლოდ განმარტოებით მიიღწევა და სრული მარტოობით გვირგვინდება. სხვებთან დაკავშირების უნარი მარტოობის, ესე იგი საკუთარი თავის ატანის უუნარობაა. სწორედ შინაგანი სიცარიელე და საკუთარი თავის სიძულვილი მიერეკება ადამიანებს საზოგადოებისაკენ“ (105–106). მარტოობის ესოდენი სიყვარული თომასთან, გამოწვეულია იმით, რომ იგი საფუძველია განწმენდის, საღმრთო წერილის საიდუმლოებათა შეცნობის.

თომამ იცის, რომ საკუთარ თავზე უფლობა, ნიშნავს შინაგან თავისუფლებას: „უკეთუ სრულად მოგვეკვდინა თავი ჩვენი, და შინაგან თავისუფალნი ვყოფილიყავით, მაშინ შეგვეძლო შთამხვდარვიყავით ღვთიურ რაიმეთა და გვეცნო სიტკობება განჭვრეტისა“ (41).

<sup>1</sup> კემპელი თ., მიბაძვა ქრისტესი, 39.

<sup>2</sup> კემპელი თ., მიბაძვა ქრისტესი, 72.

თომას ღრმად სწამს, რომ არაფრის გამო არ უნდა ჩავიდინოთ ბოროტება, თვით სიკეთისთვისაც კი. „არა ვითარის საქვეყნიერო რაიმისათვის, არც ვისიზე სიყვარულისათვის, არ უნდა ჩავიდინო ბოროტება, არამედ ზოგჯერ თვით კეთილი საქმეც-კი უნდა გადავლოთ და ანუ შევცვალოთ უფრო სხვა უკეთილესზედ სარგებლობისათვის დაჭირებულთა“. მას მიაჩნია, რომ სიყვარულით კეთებული ნებისმიერი საქმე უფრო მეტი სიკეთის მომტანია „მრავალს მოქმედებს იგი, ვისაც დიდი აქვს სიყვარული, ბევრს აკეთებს იგი, რომელიც კეთილად მოღვაწეობს“ (55).

სიმშვიდეს და მოთმინებას „მიბაძვა ქრისტესი“-ში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „ეცადე სიმშვიდით დაითმინო სხვათა ნაკლოვანებად ყოველნაირი უძლურება, რადგან შენშიც ბევრი რამეა იმისთანა, რომელნიც უნდა დაითმინოს სხვებმა. უკეთუ შენი თავი ვერ გაგისწორებია ისე, როგორც შენ გინდა, მაშ როგორ შეგიძლია შესცვალო სხვები შენის სურვილისამებრ? ჩვენ გვინდა, რომ სხვები იყვნენ სრულნი და თვით-კი არ ვისწორებთ საკუთარ ნაკლოვანებათა“ (გვ. 57) – ეს გავს სხვათა თვალში ბეწვის ხედვას და ჩვენ თვალში ღირესაც რომ ვერ ვამჩნევთ.

თომას ყველაზე გავრცელებული გამოთქმაა: „კაცი განიზრახს, ხოლო ღმერთი განაგებს (იგავ. 16, 1); რამეთუ გზა კაცისა არ არის მის ხელში (იერ. 10, 23)“ (გვ. 67) – ღმერთი ერთპიროვნულად, განუყოფლად განაგებს ყველაფერს ამ ქვეყანაზე.

თომას ერთ-ერთი ცნობილი შეგონებაა: „უკეთუ არ შეგიძლია ხშირად ჩაუფიქრდე შენს თავსა, ეცადე ჰყო ეს დღეში ერთხელ მაინც; დილით ანუ საღამოთი, დილით გადაწყვიტე როგორ უნდა იცოცხლო იმ დღეს; ხოლო საღამოზედ გამოიძიე სინდისი შენი, განიხილე სიტყვანი, საქმენი და

ზრახვანი შენნი იმ დღის განმავლობაში. (გვ. 68) ეს ადგილი ძალიან ჰგავს ილია ჭავჭავაძის „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო: აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“. რომის იმპერატორი ტიტუსი იტყოდა თურმე „მე დავკარგე დღე“ იმ დღეს, როცა ვერც ერთ კეთილ საქმეს ვერ იქმნოდა.

თუკი ადამიანი ჭეშმარიტი მორწმუნეა, მუდამ ღმერთთან უნდა იყოს, ჭირსა და მწუხარებაში. ეს კი ნიშნავს მასავით ცხოვრებას, მისთვის ყოველდღე გაჭირვების დათმენას, ცდუნების გაძლებას და ჯვარზედ მასთან ერთად სიკვდილს, ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი ვნებები, ბოროტი განზრახვაი ვაცვათ ჯვარს, ჩვენც უნდა დავიდოთ წილი უფლის ღვაწლსა და მისიაში – ალვდგეთ მასთან ერთად, ვიცვალოთ ფერი, გარდავიქმნათ, აემალღდეთ, რისთვისაც გულისა და გონების განწმენდაა აუცილებელი. „ყველას უნდა ქრისტესთან იხაროს; ხოლო მცირედნი არიან, რომელთაც-კი უნდოდესთ მისთვის რაიმის დათმენა. მრავალნი შეუდგებიან ქრისტეს განტეხადმდე პურისა; ხოლო მცირედნი – შესმადმდე ვნებისა ბარძიმისა. მრავალნი თაყვანსა სცემენ სასწაულთა მისთა, ხოლო მცირედთა ჰნებავთ გაკიცხულად სიკვდილი მასთან ჯვარზედ“. (151)

იგი გვაფრთხილებს, რომ უნდა ვერიდოთ „მომეტებულად ამო კმაყოფილებას და ამპარტავნებას“. (192) რადგან ადამიანის ღირსება თავმდაბლობაა.

ღმერთი მოწყალეა, იგი ყველას გულის კარებს მიადგება. თუკი ადამიანი ფხიზლად იქნება და მას გულისკარს გაუღებს, ეს იქნება უდიდესი ხსნა და მოწყალე თითოეული ადამიანისათვის. „ყოველსავე ჩემის გულის პასუხს თავისუფლად გეტყვი და გამოგიცხადებ, თუ რომ ჩემი მოსვლისათვის გულს-მოდგინებით იფხიზლებ, და მოვალ, თუ არა, შენ გულში კარს გამიღებ“. (256). მორწმუნე უნდა ეცადოს, რომ

იგი ყველაფერში ეძიოს და ამ ძიებისას ადამიანი უფალს ყველაფერში ჰპოვებს, „უკეთუ ყოველს რამესი იესოს ეძიებ, შეეჭველია იესოს ჰპოვებ და უკეთუ შენს თავს ეძებ, ცხადია, იმასვე ჰპოვებ, მაგრამ ჰპოვებ მას შენს წასაწყმედლად“. (134) და ეს მართლაც ასეა, ის ვინც ეძებს, აუცილებლად ჰპოვებს და, რასაც ეძებს, იმასვე ჰპოვებს. თუმცა საკუთარი თავის ძიება, ადამიანის სულიერი დაცემის წინაპირობაა.

სრულ თავისუფლებას ადამიანი აღწევს საკუთარი თავის უარყოფით, საკუთარ ვნებებზე ამაღლებით, როცა ადამიანი თავად ხდება შენი თავის უფალი. „ძეო ჩემო, ვერ შეიძენ სრულს თავისუფლებას, სინამ უარს არა ჰყოფ შენს თავს.“ (281)

საინტერესოა ადგილი, სადაც უფალი მოძღვრავს მორწმუნე სულს: „ყოველგან და შენს ყოველს გარეგანს საქმესა და შრომაში თავისუფლად დაიცვა შენი გული და შენ იყვე პატრონი შენის თავისა; ყოველივე შენ უნდა გემორჩილებოდეს და არა შენ იმათ. უფალი უნდა იყვე და მართველი შენის საქმისა და არა მსახური და მონა. თავისუფალი და ნამდვილი ისრაელი უნდა იყვე, რათა მემკვიდრე შეიქმნე იმ მამულისა, და იმ თავისუფლებისა, რომლითაც ხარობენ შვილნი ღვთისანი“ (გალ. 3, 26, 29). (298) – ადამიანი უნდა იყოს უფალი და პატრონი თავის თავისა. ყოველივე მას უნდა ემორჩილებოდეს და არა თავად მათ. უფალი და მმართველი საკუთარი თავის და არა მსახური და მონა, რადგან თავისუფალი ადამიანი უნდა გახდეს ღვთის შვილი, თავისუფალი თავისი ვნებებისა და განცდებისგან – აქ ის აზრიც გამოსჭვივის, რომ თავისუფლების ჭეშმარიტ არსს, მხოლოდ თავისუფალი ადამიანი შეიცნობს და არა მონობაში დაბადებულნი.

საკუთარი თავის მძლეველი კაცი ღმერთს ემსგავსება „რავდენადაც უფრო მოაკვდინებს და დაიმორჩილებს კაცი თავის ბუნებას, იმდენად უფრო უხვად მიიღებს მადლსა და ყოველ ღლე ახალი მადლის მიერ შინაგანი კაცი ღმერთს დაემსგავსება“. (364)

ღვთის სიტყვა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას თქმულნი, საუკუნო ჭეშმარიტებაა, იგი ღვთისაა და ამავე დროს ადამიანისიც, რადგან მის შესაგონებლად არიან თქმულნი. „შენნი არიან ივინი, რადგან შენგან არიან წართქმულნი; მაგრა ჩემნიც არიან, რადგან ჩემის ცხოვრებისათვის არიან თქმულნი შენგან“ (391)

უფალი ჩვენთან ჩვენივე განწმენდისა და ხსნისთვის მოდის. „მე ვარ შენთვის საჭირო და არა შენ ჩემთვის. შენ კი არ მოდიხარ ჩემთან, რომ წმიდა გამხადო, მე მოვდივარ შენთან, რათა წმიდა გყო და საუკეთესოდ შეგცვალო. შენ მოდიხარ ჩემთან იმისთვის, რომ გაგწმიდო და ჩემთან შეერთდე, რათა ახალი მადლი მიიღო და ხელახლად ალეგზნას შენში სურვილი სიცოცხლის გასწორებისა“. (450–451).

#### **დამოწმებანი:**

1. Google wikipedia org/wiki/The Imitation of Christ (book).
2. მამა ივანე მარტინი, ფილოსოფიის ისტორია, პირველი ტომი, თბ. 2005.
3. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, ნაწ. II, თბ., 1984.
4. კემპელი თ., მიბაძვა ქრისტესი, ქართული თარგმანი მამა ა. მღებრიშვილი, თბ., 2007.

*Pikria Didebashvili*

*Georgian Technical University*

**THE IMITATION OF CHRIST BY THOMAS KEMPER  
RESUME**

“Imitation of Christ” is a famous literary work. It was first published in Latin in 1418 anonymously. Different persons were considered to be its authors. However, today a majority of scholars makes the authorship of Kempen undeniable.

The book presents the life of Christ as the way true, exemplary life for ordinary mortals. It was written by a monk and is designated for observance of rules of the monastic life. This book is considered to be the greatest textbook for self-sacrifice and devotion, the textbook of Catholic Christian world of the pre-Reformation period. The number of its publications exceeds 2 000. 1 000 different publications are preserved in the British Museum. The book is translated into the French, German, English, Italian, Spanish, Arabian, Armenian languages, and Hebrew. The fragments of this book are translated into Georgian, but the author of the translation is an anonym. The first complete printed edition is dated by 1890, and the author is a priest A. Mghebrishvili.

Thomas Kempen, a Catholic monk (1380-1471) belonged to the mystic school, which was spread (along the Rheine) in Switzerland, Strasburg, Köln, the Netherlands. He was a follower of Geert Groote and Florentius Radewijns, who founded “Common Life Brotherhood”. They led an ascetic life in it and worked hard for mystic union with Christ.

Catholic mysticism in Germany developed in the Order of Dominicans. The basic sample of their work is “Imitation of

Christ". It consists of four books. The book was given its name after the title of the first book. The present paper analyzes the basic admonitions of the author.



**ქართული ეკლესიის ბედი XIX საუკუნეში ავტოკეფალიის  
დაკარგვის შემდეგ ი. გოგებაშვილის რამდენიმე  
პუბლიცისტური წერილის მიხედვით**

XIX საუკუნე ქართული ეკლესიის ისტორიაში შევიდა ტრადიციასა და ახალ, უცხოურ დიქტატთან ჭიდილისა თუ დაქვემდებარების პროცესებით. თუმცა რწმენის ერთგული და დამცველი ქართველობა წარსულს ძნელად შორდებოდა. როგორც ჯერ კიდევ რომანტიკოსი პოეტი გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846) თავის „საქართველოს მოკლე ისტორიულ ნარკვევში“ (1801-დან 1831 წლამდე) აღნიშნავდა, უწინ „თავისი სამღვდელოების მიერ შთაგონებულმა ქართველებმა, რომლებიც დედის ძუძუსთან ერთად ითვისებდნენ ურჯულოებისადმი სიძულვილს, შეინარჩუნეს სარწმუნოება, მებრძოლი სული და სიყვარული სამშობლოსადმი“<sup>1</sup>. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ მოიხსნა ქვეყნის, რწმენის დაცვის აუცილებლობა. ენის უცოდინარი მამამთავრის (ეგზარქოსის) დანიშვნით, სამღვდელოებამაც დაკარგა თავისი ძირითად მიზანი, მოყვასის ჭეშმარიტი სულიერებით აღზრდისა და პატრონობის აუცილებლობა. და, თუმცა რამდენიმე ღირსეული ეპისკოპოსი მაინც რწმენის და ქვეყნის პრინციპების ერთგული რჩებოდა, სასულიერო სასწავლებლების სწავლების უხეში სისტემა არღვევდა ისედაც დაუძღურებულ ეკლე-

---

<sup>1</sup> ა. ჭავჭავაძე, თხზულებები, თბილისი, „მერანი“, 1986, გვ. 209;

სიას. სასულიერო პირთა იერსახე აღიბეჭდებოდა სასწავლებლებისა თუ სემინარიების მოსწავლეებზეც. გაბრიელ ეპისკოპოსი, რომლის ცხოვრებასაც ილია ჭავჭავაძემ უწოდა „ერთი დიდი სკოლა მაღალსათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა“, გელათის სობოროში (ჩყა-სა წელსა 3 სექტემბერსა) წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა: „ოდეს მამული ჩვენი იყო შევიწროებული, ოდესცა ჩვენ ყოველნი ვიყვენით მოუძულურებულ და დამცირებულ, მაშინ უმეტესად ვიყავით განკრძალულ ღვთის – მსახურებასა შინა; მაშინ მონასტერნი და უღაბონი ჩვენნი იყვნენ აღვსებულ კეთილთა და პატიოსნის ცხოვრებისა მონაზონთა მიერ, სოფელთა შინა იყო სიწმიდე ზნეობისა, ხოლო აწ, ოდეს მოგვემატა კეთილმდგომარეობა, მაშინ გული გაგვივიგრილდა ღვთისმსახურებაზედ, სოფლებში განეფინა ბიწიერება და უსამართლოება, დაგვეკარგა ერთგულება, განქარდა სიყვარული, შეირყა ზნეობა“<sup>1</sup>. ამიტომ ჭეშმარიტად მამულიშვილი და ეკლესიის ერთგული ადამიანები ზოგჯერ ფრთხილად, ზოგჯერ აშკარად გამოდიოდნენ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობის განცხადებით ქართული პრესის ფურცლებზე. ასეთ ადამიანებს განეკუთვნებოდა მწერალი, პედაგოგი, პუბლიცისტი იაკობ გოგებაშვილი (1840-1912). როგორც თავად ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, „რას ვიცავდი და როგორ ვიცავდი ჩემის ორმოცი წლის სალიტერატურო მოღვაწეობაში, ეს კარგად იციან მოსწრებულმა მკითხველებმა. ვიცავდი უმთავრესად: თვითმართველობას, ავტონომიას, ხალხის განათლებას დედაენაზე, ქართულის ეკლესიის განთავისუფლებას, ანუ ავტოკეფალიას (ხაზი

---

<sup>1</sup> გაბრიელ ეპისკოპოსი, ქდავებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ქუთაისი, 1913, გვ. 260;

ჩვენია – თ. გ.), ქართულის ტერიტორიის გადასვლას ქართველის გლეხების ხელში და სხვ“.<sup>1</sup>

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ი. გოგებაშვილმა რამდენიმე წერილში დასვა საკითხები ქართული ეკლესიის შესახებ („შინაური მიმოხილვა“, „მთავარნი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“), სწორედ მისი და სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პუბლიცისტური წერილებით მწიფდება ავტოკეფალიის აღდგენის პროცესი, რაც გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის თვითმპყრობელურ ინტერესებს. „ივერიის“ დაარსებიდან ილია ჭავჭავაძემ შემოიღო ე.წ. „შინაური მიმოხილვები“, რომელიც „განზოგადებული დასკვნების გამოტანის დიდ შესაძლებლობას იძლევა“<sup>2</sup>, 1879 წელს, იანვრის ნომერში დაიბეჭდა პირველი „შინაური მიმოხილვა“, რომლის ავტორობაც დღემდე დავის საგანია. პროფ. ვ. თავზიშვილმა იგი მთლიანად მიაკუთვნა იაკობ გოგებაშვილს, პ. ინგოროყვას გამოკვლევით კი, იაკობი მხოლოდ თანაავტორია ილია ჭავჭავაძისა: „ეს სტატია, რომელიც წარმოადგენს ჟურნალ „ივერიის“ პირველ მეთაურ სტატიას „შინაური მიმოხილვის“ სერიიდან... ძირითადად ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის, მაგრამ იგი შეცდომებით მთლიანად ი. გოგებაშვილს მიეკუთვნა და ამიტომ შეტანილი იქნა მის პედაგოგიურ თხზულებათა II ტომში (1940) და თხზულებათა ათტომეულის I ტომში (1952, 1955 წ.წ.)“.<sup>3</sup> ასევე ნაწყვეტის სახით შესულია ი. გოგებაშვილის ხუთტომეულის (1989 წ.) I ტომში, (წინამდებარე წერილში მასაც მოვიხსენ-

---

<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, თბ., 1955, გვ. 286.

<sup>2</sup> ნ. ტაბიძე, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1988, გვ. 128;

<sup>3</sup> ი. გოგებაშვილი, რჩეული, თხზულებანი, I, თბილისი, „განათლება“, 1989, გვ. 460;

ნიებთ). სწორედ ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“, რომელიც ილიას დავალებით დაუწერია იაკობ გოგებაშვილს 1882 წლის პირველ ნომერში (რასაც აღნიშნავდა თავად ი. გოგებაშვილიც), დაჯამებული და ჩამოყალიბებულია ქართული ეკლესიის პრობლემები უწინ და ახლა, მისი დაკნინების ძირითადი მიზეზები. „შინაურ მიმოხილვაში“ მხოლოდ II თავი ეხება ქართული ეკლესიის პრობლემებს, პირველი თავი კი თანდათანობით შლის თემებს: „ვისა ჰქვიან მამულიშვილი“, „რად არის ჩვენში მამულის სიყვარული სუსტი?“, „ქართულს საზოგადოებაში ეროვნულის გრძნობის გაღვივება“ და სხვ. აშკარაა, ი. გოგებაშვილის აზრით, მომწიფებული „პრობლემა ერის გამოღვივების, „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის აუცილებლობისა, რაც ორგანულ კავშირშია ჭეშმარიტ ერის სულიერ მოძღვართა აღზრდისათვის, დაუკავშიროს ილიასეულ სამ ჰიპოსტასს: „ენა, მამული, სარწმუნოება“.

უფრო ადრე 1881 წელს გაზეთ „დროებაში“ (№31, №32, №33) დაიბეჭდა წერილი სახელწოდებით „ზოგიერთი შენიშვნები“ (შემდგომ „ივერიაში“ 1892 წელს სათაურით „რანი ვიყავით გუშინ?“) სწორედ აქ საზღვრავს ი. გოგებაშვილი წარსულში სამღვდელთა ყოფას და მიზნებს XVIII საუკუნეში. „ორი სასულიერო სემინარია, თელავში და თბილისში, უმზადებდა საქართველოს ერსა განათლებულს მწყემსთა“<sup>1</sup>. „ეს სემინარიები ჰზრდიდნენ პირთა, რომელთაგან შემდგომში გამოდიოდნენ შესანიშნავი მსწავლეულნი, სახელოვანნი მქადაგებელნი და ჭეშმარიტნი მწყემსნი ერისა. ამათის მეოხებით მაღალი სწავლა სახარებისა ზშირად გაისმოდა ხალხში, უნათლებდა მას გონებასა, უმტკიცებდა ზნეობასა და უმაღლებდა პატიოსნებას. ამისთანა მწყემსნი ღირსნი იყვნენ სიყვარულისა და ერსაც უყვარდა ისინი, ყასპური ტაქცია

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 312;

ერსა და მღვდელს შორის მაშინ ყოვლად მოუფიქრებელი იყო და უშვერს რასმეს შეადგენდა. სემინარიებზედ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დიდი ღვაწლი მიუძღოდა მაშინდელს მონასტრებს, რომელთა რიცხვი მართო ქართლში თორმეტამდე აღიოდა (ქვათახევისა, შიომღვიმისა, მეტეხისა, იკორთისა, ანანურისა, ჯვარისა, მღვიმისა, ლარგვისისა, ხობისა, ულუმბისა, გეთსამანიისა, თირისა). ესენი, როგორც ყველგან ცნობილია, იყვნენ არა მართო ლოცვისა და მარხულობის ადგილნი, არამედ სწავლის და განათლების ლამპრები ჩვენს ქვეყანაში. ეს კიდევ ცოტაა, თხუთმეტი კათედრა სამიტროპოლიტო და საეპისკოპოსო წარმოადგენდა პატარა ცენტრებსა, რომელნიც საეკლესიო საშუალებით ავრცელებდნენ სწავლას და ზნეობას ხალხში<sup>1</sup> ეპისკოპოსი კურთხევის დროს აძლევდა აღთქმას, რომლითაც ვალად იღებდა საეკლესიო სკოლების გამრავლებას თავის ეპარქიაში. საეკლესიო გუჯრებზე დაყრდნობით აცხადებს იაკობი. გარდა ამისა სწავლებაც მაღალ დონეზე იყო. ბუნებრივია, ი. გოგებაშვილი გამოკვეთს იმ მნიშვნელოვან ფაქტსაც, რომ სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა, განათლებული, სემინარიადამთავრებული დგებოდა მწყემსი კეთილი, სარწმუნოებისა და ქვეყნის დაცვის აუცილებლობას შთააგონებდა მრევლს.

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ კი სამღვდლოებას სათავეში ჩაუდგა „შორიდან მოსული პირი“, რომელსაც არავითარი ეროვნული კავშირი არა აქვს ქვეყანასთან და, „ყოველს ღირსეულს პირს მაშინ იმედი ჰქონდა, რომ ბედმა შეიძლება მომანიჭოს პირველი ადგილი, სასულიერო სფეროში, დამაყენოს საქართველოს ეკლესიის მთავრად, მმართველად და გამიყვანოს მოქმედების ფართო ასპარეზზედაო“<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 213-214;

<sup>2</sup> იქვე, გვ. 216;

„შორიდან მოსულ პირზე“ და მის უფლება-მოვალეობებზე ამახვილებს ყურადღებას ი. გოგებაშვილი „შინაურ მიმოხილვაში“ (1882 წ.) ჯერ კიდევ 1879 წლის „შინაურ მიმოხილვაში“ ავტორი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართველობამ ვერ შეინარჩუნა ეკლესიის დამოუკიდებლობა, სამაგიეროდ „მოკლე ხნის განმავლობაში ქართველობა ბევრით, ძალიან ბევრით უკან ჩამორჩა სომხობასა, რომელმაც, სხვათა შორის, შეინარჩუნა სამი ნაციონალური ცენტრი: თვით – მდგომარე ეკლესია, მასზე მჭიდროდ დაკავშირებული ეროვნული ოჯახი და დამოუკიდებელი სკოლა“<sup>1</sup>.

„ჩვენში რაღასა ვხედავთ? სრულს უკუდმართობას. მოისპო თუ არა კათალიკოსობა საქართველოში და დამკვიდრდა ექზარხოსობა, სასულიერო ახალგაზრდობის აღზრდა და სწავლა დააცდინეს თავის წმინდა მიზანს – ქართველ ხალხისათვის ჭეშმარიტის მოძღვრების მომზადებას – და დააყენეს გადაგვარების გზაზედ“. „საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი ქვეყნის სასულიერო საქმეებს განაგებს არა ადგილობრივი მთავრობა – საქართველოს ექზარხოსი, რომელმაც უფრო დაახლოებით იცის თავისი ეპარქიების ავი და კარგი, საჭიროება და მოთხოვნილება და რომელზედაც სამწყსოს უნდა ჰქონდეს მეტ-ნაკლებობით გავლენა, არამედ უმაღლესი ინსტანცია პეტერბურგიდან, – უწმინდესი სინოდი, რომელიც ყოველთვის იმასა ცდილობდა და ცდილობს, რომ სრულიად რუსულს დონეზედ დააყენოს ჩვენი სასულიერო სასწავლებლები. საქართველოს ექზარხოსის უფლება ბევრით არაფრით გაირჩევა უბრალო არქიეპისკოპოსის უფლებათაგან და აჩრდილიც არ არის იმ მძლავრი უფლებისა, რომლითაც იყო შემოსილი საქართველოს კათალიკოზი...

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 289;

... ერთის სიტყვით, ექზარქოსობის თანამდებობა გამოვიდა იმ გვარი, რომ სიკეთისათვის უძლური იყო და ავისათვის კი შემძლებელი“<sup>1</sup>.

ი. გოგებაშვილი აქვე იხსენებს ეგზარქოს ევსევის, რომელმაც წარადგინა პროექტი ქართული ენის კათედრის დაარსებისა სასულიერო სემინარიაში, რაზედაც „ცივი, ჩრდილოური უარი მოუვიდაო“.

აქედან გამომდინარე ჩვენი ერი სრულიად მოაკლდა მოძღვართა, სულით და გულით მასთან დაკავშირებულთა. მათი ადგილი დაიჭირეს მღვდლებმა, რომელთაც ხალხში დაიმსახურეს „სულის მტრების“ და „მგლების“ სახელი... სახარების მაღალის სწავლის ქადაგება ისე მოსპეს, რომ ათი და ოცი წელიწადი გავა, რომ არამცთუ სოფლებში, ქალაქებშიაც ვერ გაიგონებ საეკლესიო კათედრიდან მოძღვრებასა. მღვდლების გულის აცრუებამ ქადაგებაზედ იქამდის მიაღწია, რომ მზა-მზარეული ქადაგების წარმოთქმაც კი მრევლის წინაშე ეძნელებათ და ეზარებათ“.<sup>2</sup> იშვიათი და გამორჩეული ქადაგების ნიმუშად ი. გოგებაშვილს მოჰყავს იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ქადაგებანი, რომელიც აქ, მშობლიურ მიწაზე, ვერ გამოიცა და ორი წლის შემდეგ კი ლონდონში დაბეჭდესო.

ამიტომ, თუ ქუთაისში სემინარია დაარსდა, კარგი იქნება იმერეთის სამღვდლოებამ სემინარია ბერძნულ-ლათინურ-რუსულ სემინარიის ნაცვლად დააარსონ ქართულ-რუსული სემინარია, რომელიც საეკლესიო ხაზინას არ ექვემდებარება თბილისის სასულიერო სემინარიის მსგავსად. ეს კი ზედგა-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 248;

<sup>2</sup> იქვე, გვ., 250;

მოჭრილი იქნება ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებასა და საჭიროებაზე.

ამრიგად, თავის პუბლიცისტურ წერილებში ი. გოგებაშვილი ერთგვარ სქემას აყალიბებს ქართული ეკლესიის მიმედგომარეობის მიზეზებისა: თუ უწინდელ დროში ქართული ეკლესია გვერდში უდგა ერის ინტერესების დაცვასა და ჭეშმარიტი მამულიშვილების აღზრდას, დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ სასულიერო სასწავლებლებში ბერძნულ-ლათინურ-რუსულ ენებზე სწავლებამ დაამორა აღსაზრდელები თავის ჭეშმარიტ მიზნებს, ამან კი ხელი შეუწყო მომავალი მღვდლების გულგრილობასა და საკუთარ პრინციპებზე წირვა-ლოცვას, მრევლთან დაშორებასა და საღვთო საქმის არაკეთილსინდისიერად აღსრულებას. თვით შორიდან მოსულმა ექზარქოსმა კი, არამცთუ გაამყარა სამღვდელოება, პირიქით, უფლებრივი უძღურებით ვეღარ ახერხებდა ვერც მომავალი მღვდლმთავრების აღზრდას, ისე სასულიერო წოდების საღვთო პრინციპებზე დაყენებას. ეს კი ღვთისა და ერისათვის საზიანო იყო.

ყოველი ქრისტიანული სარწმუნოება მომავალს სასულიერო მამებს უპირველესად ასწავლის ერის ენას, მის ისტორიას, ლიტერატურას, ყოფაცხოვრებასა, წარსულსა და აწმდგომსა. ეს საგნები ითვლება მთავარ საგნებად ღვთისმეტყველებასთან ერთად და მათი ზედმიწევნით შეთვისებას შეადგენს მოწაფეთათვის. ამ მსოფლიო მოვლენაში ერთად ერთს გამოკლებას მთელის დედა-მიწის ზურგზე შეადგენს მხოლოდ ქართული სემინარია, დაარსებული თბილისში<sup>1</sup> – წერს მოგვიანებით ი. გოგებაშვილი წერილში „მთავარნი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“ აქედან დასკვნაც: „იმ სამწუხარო მოვლენას, რომ ქრისტიანობამ ჩვენში კანს ვერ გა-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 346;



ატანა და ვერ გამეფდა სულსა და გულში, ბევრი მიზეზი ჰქონდა, შინაგანიც და გარეგანიც“<sup>1</sup>.

ამიტომ ი. გოგებაშვილის ეს პუბლიცისტური წერილები, ჭეშმარიტი გაბედულებით იხსენებს რა სამღვდელოების წარსულს XIX საუკუნემდე, კატეგორიულად აყენებს სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას. სწორედ ი. გოგებაშვილისა და სხვა

ქართველ სამოციანელთა წერილებმაც ერთგვარად მოსამზადებელი ნიადაგი შექმნეს ქართული სამღვდელოების დამოუკიდებლობის აღსადგენად გამართული მძიმე და გამარჯვების მომტანი ბრძოლისათვის.

### **დამოწმებანი:**

ტაბიძე ნოდარ, „ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა“, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1988;

გაბრიელ ეპისკოპოსი, „ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა“, ქუთაისი, 1913;

ჭავჭავაძე ალექსანდრე, „თხზულებები“, თბილისი, „მერანი“, 1986;

გოგებაშვილი იაკობ, „რჩეული თხზულებანი“, ტ. I, თბილისი, „განათლება“, 1989;

გოგებაშვილი იაკობ, „რჩეული თხზულებანი“, ტ. III, თბილისი, „განათლება“, 1990;

ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, თბ., 1955.

---

<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, III, თბილისი, „განათლება“, გვ. 343-344;

*Tamar Gogoladze*

*Gori State Teaching University*

**THE FATE OF GEORGIAN CHURCH AFTER LOSING  
AUTONOMY IN THE XIX CENTURY ACCORDING TO  
SOME (I. GOGEBASHVILI) PUBLICIST LETTERS  
RESUME**

In the beginning of the XIX century after losing autonomy the conditions of Georgian church as a moral leader of the flock changed greatly. Dictated institutions of the Exarches, concealing the Georgian language as an academic language in the theological institutions and schools caused falling into decay the Georgian priesthood. Exposing the causing reasons and discussing the problem became the main patriotic duty of Georgian public men of “sixties”. Iakob Gogebashvili started to investigate the mentioned issues in his publicist articles (“What were We Yesterday?”; “Internal Overview”; “Main Necessities of Spiritual Rank”) that prepared groundwork for the struggled started in the second half of the XIX century for restoring autonomy of Georgian church.

*მურმან პაპაშვილი*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*  
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ჯუსტინო ლივორნოელის ერთი დღემდე უცნობი რელაცია**

კაპუჩინთა ორდენის მისიონერი ჯუსტინო ლივორნოელი, მისივე ცნობების თანახმად, 1666 თუ 1667 წელს<sup>1</sup> ჩამოვიდა აღმოსავლეთ საქართველოში სამოღვაწეოდ. ეს მრავალმხრივ საინტერესო მისიონერი, როგორც მის მიერ პროპაგანდა ფიდელადმი მიწერილი წერილებიდან ჩანს, თავის საქმიანობაში იყო მიზანმიმართული, აქტიური, მისიაში მკაცრი დისციპლინის დამცველი და მისიონერული მოვალებების მტკიცე და უკომპრომისო შემსრულებელი<sup>2</sup>. საქართველოში მოღვაწე კაპუჩინი მისიონერებისაგან მას გამოარჩევდა ქართული ენის შედარებით კარგი ცოდნა. ამის მეოხებით მან ქართველ სასულიერო და საერო მმართველებს შორის დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. თუ ჯუსტინოს ვერწმუნებით, მისი ძალიანხმევით 1667 წელს<sup>3</sup> მოხდა გორში კაპუჩინთა მისიო-

---

<sup>1</sup> Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol.31, f. 358; მ. თამარაშვილის თანახმად, ჯუსტინო ლივორნოელი 6 სხვა კაპუჩინ მისიონერთან ერთად 1669 წელს ჩამოვიდა საქართველოში (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 235).

<sup>2</sup> Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol.31, f. 358 r-v.

<sup>3</sup> მ. თამარაშვილის თანახმად, ეს მოხდა 1669 წელს (მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ.235). მ. თამარაშვილზე დაყრდნობით ადრე

ნის დაფუძნება, აგება და გაფართოება. ამ მისიონის ის შვიდ წელზე მეტხანს ედგა სათავეში, რომლის დროსაც გორში კათოლიკობამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია<sup>1</sup>.

კაპუჩინთა მისიონის პრეფექტის სერაფინო და მელიკოკას გარდაცვალების შემდეგ ჯუსტინო ლივორნოელი გორიდან თბილისში გადმოიყვანეს და უფროსის ადგილი დაიკავა. 1686 წლის 7 ოქტომბერს თბილისიდან პროპაგანდაში გაგზავნილ რელაციაში ჯუსტინო იუწყებოდა: „მამა სერაფინოს გარდაცვალების შემდეგ გამიწვიეს თბილისში, სადაც კანონის საფუძველზე თითქმის ყოველთვის ღირსეულად მეკავა უფროსის ადგილი...“<sup>2</sup>. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სერაფინო და მელიკოკა 1675 წელს გარდაიცვალა<sup>3</sup>, სწორედ ამ წელს უნდა გადმოეყვანათ ის გორიდან თბილისში. სერაფინო და მელიკოკას შემდეგ თბილისის მისიონის პრეფექტის ადგილი, ჩანს, დაიკავა ჯუზეპე და ბოგონიანომ, რომელსაც იგი 1686 წლის 3 სექტემბრამდე განაგებდა<sup>4</sup>. ამ უკანასკნელთან ჯუსტინო ლივორნოელს, როგორც მისი ცნობებიდან ირკვევა, განსაკუთრებულად კარგი ურთიერთობა ჰქონდა. 1686 წლის 6 სექტემბერს ის პროპაგანდას ატყობინებდა: „...მიმდინარე თვის სამ რიცხვს (ე.ი. 3 სექტემბერს-მ.პ.) ღირსეულმა მამა-პრეფექტმა ჯუზეპე და ბოგონიანომ, კორსიკის პროვინციიდან, სამ თვე ნახევრის აუტანელი ავადმყოფობის შემდეგ თავისი ნეტარი სული უფალს ჩააბარა და ღმერთმა ის ისეთი

---

ჩვენც ამას ვიზიარებდით (მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ., 1995, გვ.248).

<sup>1</sup> Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol.31, f. 358 r-v.

<sup>2</sup> Ibid.

<sup>3</sup> მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ.248.

<sup>4</sup> Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol.31, f. 358 r-v.

სიყვარულით მიიღო, რომ მისი აღწერა ძნელია. მის დაკრძალვაზე ორივე სქესის ყველა წოდების უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. მას ბოლო პატივი მიაგეს ასევე სომეხმა და ქართველმა მღვდლებმა<sup>1</sup>.

როგორც ირკვევა, ჯუზეპე და ბოგონიანო დიდი დანაკარგი იყო საქართველოს მისიონისათვის. „ამ მიზეზით, - წერს ხსენებულ წერილში ჯუსტინო ლივორნოელი, - მისია უმეთაუროდ დარჩა, ასევე იგი მისიონერების გარეშე აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, სრულიად დაობლდა“<sup>2</sup>. ამას სხვა არანაკლები მიზეზებიც ჰქონდა: პირველი, სომეხ სასულიერო პირთა მიერ მისიონერების ტრადიციული დევნა; მეორე, 1684 წელს თბილისსა და გორში გაჩენილი შამიანობა; მესამე, თვით კათოლიკე მისიონერებს შორის შურიანობისა და ღვარძლის გაჩენა; მეოთხე, პროპაგანდის მიერ საქართველოს მისიონისადმი ნაკლები ყურადღება და ფინანსური ხელმძღვანელობა<sup>3</sup>. „ამათგან პირველი, ქართლის მეფის გიორგი XI-ის მეშვეობით ადვილად დაიძლია, მაგრამ ავბედითმა შამიანობამ თვით პატრების სიცოცხლეც იმსხვერპლა“<sup>4</sup>.

ჩვენს ხელთ არსებული ჯუსტინო ლივორნოელის რელაციებიდან ჩანს, რომ ის ძალზე დაახლოებული იყო ქართლის მეფე გიორგი XI-თან. უფრო სწორად, მისი თაოსნობით მიმდინარეობდა გიორგი XI-ის მომზადება კათოლიკობის მისაღებად და ეკლესიათა გაერთიანებისათვის ორგანიზაციული საკითხების გადაჭრა. მოწოდებით გულმხურვალე მისიონერი, როგორც მისი წერილებიდან ირკვევა, ვერ იტანდა უსაქმურობას. მისიონერში უპირატესობას ანიჭებდა თავდადებას,

---

<sup>1</sup> Ibid.

<sup>2</sup> Ibid.

<sup>3</sup> Ibid.

<sup>4</sup> მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 218.

მოყვასისადმი სიყვარულს, სამართლიანობას, განათლებასა და აღმოსავლური ენების, განსაკუთრებით ქართული ენის, შესწავლის უნარს. მკაცრი და მომთხოვნი ჯუსტინიო, როგორც თავიდან გორის მისიონის პრეფექტი, ხოლო შემდეგ თბილისის მისიონის ვიცე-პრეფექტი, მისიონერთა ერთმა ნაწილმა მოიძულა და რომში მისი ცილისწამება დაიწყო<sup>1</sup>. ამას შედეგად, ალბათ, ის მოჰყვა, რომ ის ვიცე-პრეფექტობიდან გადააყენეს. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს შემდეგი არგუმენტი: თუ 1686 წლის რელაციებს ის ხელს აწერს, როგორც თბილისის მისიონის ვიცე-პრეფექტი<sup>2</sup>, 1687 წლის 1 ნოემბრის რელაციაში ეს არ ჩანს. უბრალოდ ასე აწერს: “თქვენი უსამღვდელოესობის ერთგული მსახური, ძმა ჯუსტინო ლივორნოელი, უღირსი კაპუჩინი და სამოციქულო რწმენის მისიონერი“<sup>3</sup>.

თავის ცნობილ ნაშრომში მიხეილ თამარაშვილმა ჯუსტინო ლივორნოელის მრავალი წერილებიდან მხოლოდ ორი დაიმოწმა<sup>4</sup>. წინამდებარე რელაციაში მოცემულმა ფაქტებმა მის ნაშრომში ასახვა ვერ პოვა. სწორედ ამიტომ აქვს მას მეტი მნიშვნელობა და, ვფიქრობთ, ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა ინტერესს გამოიწვევს. ამ ჯერზე საჭიროდ არ მივიჩნევთ ამ რელაციაში მოტანილი ახალი ფაქტების დაზუსტება და კვლევა-ანალიზი. იგი სრულყოფილ სახეს მაშინ მიიღებს, როცა მთლიანად გამოვაქვეყნებთ ჯუსტინო ლივორნოელის ყველა რელაციას. ეს რელაცია, ჯუსტინო ლივორნოელის სხვა რელაციებთან ერთად, ვატიკანის არქივ-

---

<sup>1</sup> Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol.31, f. 358 r-v.

<sup>2</sup> Ibid.

<sup>3</sup> Ibid.

<sup>4</sup> მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 262-266.

ში დაცული დედნიდან ფოტოპირის სახით გადაიღო და საქართველოში ჩამოიტანა პროფესორმა ზურაბ გამეზარდაშვილმა და უშურველად გადმოგვცა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ. რელაცია დაწერილია იტალიურ ენაზე და დაცულია ვატიკანის არქივში. ტექსტში ზოგიერთი ადგილი არ იკითხება, თუმცა ამით ძირითადი აზრი არ იკარგება. ჩვენს სინამდვილეში ამ რელაციის თარგმანი პირველად ქვეყნდება.

უგანათლებულესო და ფრიად პატივცემულო, დიდად თაყვანსაცემო ჩემო ბატონო და პატრონო! <sup>1</sup>

ვიცი, რომ თქვენი მოწყალეობა ეკუთვნის ჩიბოს<sup>2</sup> კეთილშობილთა საგვარეულოს, რომელიც ნიადაგ კვებავდა ჩემს ნათელ რელიგიურ გრძნობებს სასიკეთო ძალ-ღონით და არაერთხელ განვიცადე თქვენი მოწყალეობისა და თქვენი ძმის, უგანათლებულესი ჰერცოგის, ასევე მთელი თქვენი მოღვმის, მადლის ცხოველმყოფელი ძალა, სწორედ იმ წელს, როცა თქვენი წყალობით ვქადაგებდი ანტონაში. აქედან გავემგზავრე ამ მხარეებში, რომელშიც დავტოვე სიყმაწვილე, ჯანმრთელობა და აქ ავადორძინე უმადურობა დედა-რელიგიისადმი. ყოველთვის მჯეროდა, რომ ჩემი და მოყვასის სულების სასარგებლოდ ღირსეულად ვეკიდებოდი ყველა მათ მიერ წარმოდგენილ და შეცვლილ [მამებს]. ვიქცეოდი ისე, როგორც ღმერთს სურდა და როგორც ესამოვნებოდა მის მაღალ

---

<sup>1</sup> Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol.31, f. 358 r-v.

<sup>2</sup> უდავოა, წერილის ადრესატია სახელმწიფო მდივანი, კარდინალი ალდერანო ჩიბო-მალასპინა, რომელსაც ეს თანამდებობა ეკავა 1676-1689 წლებში. იხ: Alderano Cybo-Malaspina (cardinale):[https://it.wikipedia.org/wiki/Alderano\\_Cybo-Malaspina\\_\(cardinale\)](https://it.wikipedia.org/wiki/Alderano_Cybo-Malaspina_(cardinale)).

უსამღვდელოესობას და ჩემს პატრონებს, უფრო კი თქვენს მოწყალებას; თუკი ასე არ ჩავთვლიდი, მიუხედავად შვიდი წლის მანძილზე მძიმე პირობებისა, მე უფრო, ვიდრე სხვა რომელიმე დან (არ იკითხება), 20-ზე ნაკლები ღირებულების იქნებოდა ყველა მტკიცე კვანძები ჩამეჭრა, რათა უკან გავბრუნებულიყავი, სახელოვან გმირად წარვმდგარიყავი და ამ მისიას<sup>1</sup> შეუცნობელ საქართველოში შვიდი წელი არ მივეჯაჭვებოდი. მე საწყალი! იმდენად უმეცრად ჩავთვალე, რომ უფლისაგან მეტ დიდებასა და პატივს მივიღებ, თუკი 20 წლის მტკიცე ძღვემადურ ჭაპანს გავაქრობ იმ დროს, როცა იტალიის საუკეთესო ქალაქებში შემემდლო ჭეშმარიტად თავის მოწონება იმდენი ენის [ცოდნის] წყალობით, რომელიც მოწყალე ღმერთმა გამომიგზავნა. ისე კი, ამიერიდან თითოეულს, როგორც მოესურვება, შეუძლია საქართველოში ჩირქი მომცხოს და თქვენი მოწყალების წმინდა სამსჯავროს წინაშე ჩემი საქციელი უკუღმართად წარმოადგინოს. თუმცა ვიცი, რომ თქვენი ანგელოზური სახისა და სამართლიანი მსჯელობის წინაშე ჭეშმარიტების შუქი არ დაიხშობა; არ ვცდილობ საკუთარი თავის გამამართლებელი საბუთების მოტანას; გარდა ამისა, ვგრძნობ როგორ ხარობს ჩემი გული, როცა თქვენს მოწყალებას ყველა ჩემს კეთილისმყოფელთა ყურადღებით მოსმენას ვთხოვ, თუკი ეს მისიას სასარგებლო სამსახურს გაუწევს. მხოლოდ საჭირო არაა ჩემი სრულიად პირშავად გამოყვანა; ყოველ შემთხვევაში, გორის მისია - ჩემი დამსახურებაა. მე იგი დავაფუძნე, მწყობრში მოვიყვანე და შევინახე ( ), ვმართავდი 7 წელზე მეტხანს; ამის შესახებ ღირსეულ მამებს სტეფანო დ,ამ (არ იკითხება), მამა რაფაელე პარმელს და ძმა ანჯელო ვიტერბოელს შეუძლიათ მოგითხრონ. მათ იციან, თუ როგორ ვხელმძღ-

---

<sup>1</sup> იგულისხმება გორის მისიონი.



ვანელობდი [გორის მისიას] და როგორ მოვაქციე [კათოლიკურ] რწმენაზე 150 კაცი, რამაც ჩვენს ეკლესიას დიდებული საჩუქარი შესძინა; დაე, ჰკითხონ მამა ფრანჩესკო მარია ტორინოელს, მამა ბერნარდო მარია ნეაპოლელს და ძმა პოლიკარპო ნეაპოლელს, რადგან მათ მოწმობებს ვენდობი. იმ მისიის<sup>1</sup> ხელმძღვანელობიდან გათავისუფლება მე მოვიტხოვე; შემდეგ არა ერთხელ ვიხვეწებოდი, რაზეც დამემოწმება მამა ბერნარდო მარია, რომელსაც ვენდობი, რათა [გორის მისიას] წინანდელი დიდება არ დაეკარგა. მე იქ არ დავდივარ, ვინც მას მართავდა და [ახლა] მართავს, არაფერს ვწამებ. მამა ბონავენტურა და ლუკას და (არ იკითხება) მამების დიონიზიო პიაჩენცელისა და კარლო პეშელის მოსვლის შემდეგ როგორ ვამარაგებდი ხანგრძლივად მას (გორის მისიონს-მ. პ.) სურსათით და სხვა საჭიროებებით ისე, რომ დამატებითი ხარჯები არ მომითხოვია; ვერც იმას დავადასტურებ (არ იკითხება), გამოიღო თუ არა მან ნაყოფი. ამის მიზეზი უნდა ახსნას მამა დიონიზიომ, რომელიც ყველაზე მეტხანს ედგა მას სათავეში; მამა ბერნარდო მარიას წასვლის შემდეგ მამა ჯუზეპე და ბოგონიანო მისიიდან გაქცევას აპირებდა, თუ მე არ დავთანხმდებოდი მისი ხელმძღვანელობის ხელში აღებას. ასევე ავადმყოფმა, სიცოცხლეს გამოსალმებულმა, საჯარო და ნამდვილი ნებართვის საფუძველზე (არ იკითხება) რამდენიმე თვის გამოკლებით, მამა ბერნარდო მარიას წასვლის შემდეგ, მისიას მუდამ მე ვმართავდი. თქვენმა ბუნებრივმა გულკეთილობამ გაიძულათ მამა ბერნარდო მარიასაგან გაგეგოთ, რომ მისი უფროსობის დროს ჩვენს სარწმუნოებაზე ახალ მოქცეულთა რიცხვმა ძლივს მიაღწია 30-ს და თუ ახლა მე, ვისაც გადავცემ მისიას, ის 300-ზე მეტ კათოლიკეს მიიღებს, ამას თქვენს წმინდა ლოცვებსა და კურთხევას

---

<sup>1</sup> იგულისხმება გორის მისიის.

კუმადლი; დაე, მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ თქვენს მოწყალეებას გადასცენ დაწვრილებითი ანგარიში იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს სარწმუნოების გავრცელების საქმე და ვნახოთ, მოიმატებს თუ არა [კათოლიკეთა რიცხვი]. მე ვნახე და ვიცი ყველა მისიონერი, რომლებიც ჩემამდე, ერთდროულად ჩემთან ერთად და ჩემი ჩამოშორების შემდეგ ამ მისიაში იყვნენ. მათი რიცხვიდან პრეფექტებმა მამა სერაფინომ და მამა ჯუზეპემ [ქართული] ენა ვერ ისწავლეს და მისიისათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ; მათგან, ვინც ჩემთან იყო და ჩემს შემდეგ არის, მხოლოდ მამა ბერნარდო მარიაა, რომელმაც [ქართული] ენა იცის და ისიც ძლიერ იბნეოდა; ვერ იტყვი, რომ [ქართულ] ენას ფლობდა მამა რაფაელე და მამა ბონავენტურა, რადგან მათი ცოდნა იმის იქით არ მიდიოდა, რაც ექიმობისათვის არის აუცილებელი; ისინი იქ, თქვენს გვერდით იმყოფებიან და შეგიძლიათ ჰკითხოთ, აღსარება მიუღიათ თუ არა თუნდაც ერთი ადამიანისაგან; სხვა დანარჩენთ, თავშიც არ მოსვლიათ ქართული ენის სწავლა, მათ მისია არ უყვართ და ახლა მთებში დაეხეტებიან. თქვენმა მოწყალეებამ და ყველა ჩემმა უფროსმა იცის, რომ არასოდეს მომიბეზრებია ისინი წერილებით ანდა საჩივრებით. დაე, მოინახოს თუნდაც ერთი მისიონერი, რომელიც იტყვის, რომ მე მას ვეჩხუბებოდი ანდა ვადარდიანებდი აქაური ცხოვრებით; თქვენი მოწყალეობა ასეთ ადამიანს უფრო უნდა ერწმუნოს, ვიდრე ნებისმიერ იმას, ვინც ჩემზე ლაპარაკობს. იმედი მაქვს, კურთხეული უფალი ისე მოაწყობს, რომ ჩემი მტრები, უფრო სწორად მისიის მოწინააღმდეგეები, არ მოისურვებენ სამოთხის კარს გვერდით ჩაუარონ და იძულებულნი გახდებიან ერთ-ნახევარ ფურცელი მოანდომონ მონანიების წერილს, როგორც პოლიკარპო ნეაპოლელმა, რომელმაც უარყო ყველაფერი ის, რაც მისიონერების წინააღმდეგ ჰქონდა ნათ-

ქვამი და თავისი ბოროტი საქციელის გამო ყველას პატიება სთხოვა, ხვადებსაც კი; სწორედ ასე წერს ძმა პოლიკარპო და შევიძლიათ თვით მას ჰკითხოთ. და თუკი, მისიაში ყოველთვის მბრძანებლურობას ვიჩინდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ამას ითხოვდა მსახურება; ენების<sup>1</sup> ცოდნამ ავტორიტეტი მომიხვეჭა და ეს აუცილებელი იყო იმის გამო, რომ სხვადასხვა წოდების ადამიანებს შორის ვტრიალებდი. მათ შორის იყვნენ წარჩინებულები და უბრალო ადამიანები და ყოველთვის პირველ ადგილზე მისიის ინტერესებს ვაყენებდი. არასოდეს უსაქმოდ არ ვყოფილვარ და თუ ამბობენ, რომ ოდესმე მისიონერების მიმართ უხეში ანდა უსამართლო ვიყავი, ზუსტად თქვან, როდის და როგორ იყო ეს; ამ სამყაროში შური ყოველთვის ძლიერია და თავისი გააქვს; მე ვმუშაობდი სამი პრეფექტის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელთაგან ერთ-ერთი მამა სტეფანო აქამდე ცოცხალია; არც ერთი მათგანისაგან საყვედური არ მიმიღია, პირიქით, ისინი მავალბდნენ მისიების მართვას და სამჯერ, როცა აქედან წასვლა დავაპირე, ისინი მეწინააღმდეგებოდნენ. დაე, თქვან მამებმა სტეფანომ, ბერნარდო მარიამ, რაფაელემ და სხვებმა კი დაწერონ. ქართულ ენაზე არსებობს ერთი ანდაზა, რომელიც დამახასიათებელია [ქართული] სიბრძნისათვის: „რაც გონებისთვის გაუგებარია, იგი დაუჯერებელია“; კაპუჩინი, უფრო ზუსტად მისიონერი, რომელიც არ დაუთმობს ამხანაგს, არაფერს თაკილობს. საიდან შემემძლო ისეთი ძალის მოკრება, რომ მისიიდან მისიონერები გამეძევებინა ანდა რა ადამიანი, რა ძვდელი ვიქნებოდი მაშინ, თუ ასეთი რამ აზრად მომივიდოდა. ამაზეა ქართული ანდაზაც: რაც გონებისთვის გაუგებარია, მისი დაჯერება არ შეიძლება. მამა რაფაელემ იცის, რამდენი

---

<sup>1</sup> ქართულ ენასთან ერთად, სხვა ენებიც იგულისხმება. ჩანს ჯუსტინომ, ქართული ენის გარდა, იცოდა სომხური და თურქული ენა.

ვეხვეწე მას წერილებში, რომ არ წასულიყო; მამა ბერნარდო მარიამ იცის, რამდენი ვთხოვე მას, მისია არ დაეტოვებინა, თუმცა მორჩილების ორი აღთქმა დავდე; ასევე ვარწმუნებდი ძმა პოლიკარპოს. დაე, დაადასტუროს მამა ბონავენტურამ, როგორ ვთხოვდი მთავარს<sup>1</sup> ჩარევას, რათა მას წასვლაზე ხელი აელო და როგორი ტაქტიკითა და მორჩილებით შეასრულა მთავარმა<sup>2</sup> ჩემი თხოვნა. დაე, ამის შესახებ თქვას მამა ბონავენტურამ; მაგრამ არაფერმა უშველა. მამა ლიონიზიოს სახელით მისიის ელჩად წარვსდექი სპარსეთში, ასევე წარმოვადგენდი აქაურ მთავრსაც<sup>3</sup> რომის ეკლესიასთან გაერთიანების ინტერესებში.

სწორედ ამ დროს მამა ლიონიზიომ მისია დატოვა. არ ვიცი, წმინდა კონგრეგაციის მსახურებაში, რის გამო მახლავს წარმატებები ნაკლებად. ვაწუხებ თქვენი მოწყალების წმინდა თავს, რომელსაც, დე, ღმერთმა მეწამული კაპორი აღირსოს, რადგან იგი ჩემთვის ყოველთვის იქნება სიყვარულისა და წყალობის წყარო, როგორც ეს იყო ადრე და ახლაც გრძელდება. მაგრამ თუ ვინმეს არ ვარგივარ, დაე, მან ჩემზე უარი თქვას; დე, აქ ჩამოვიდნენ ყველაზე საუკეთესონი, დაე, ქართულ მიწაზე ეწვალონ და მაშინ ვნახავთ, ვინ რად ღირს. თუკი უფალი ოდესმე თქვენს წმინდა საზღვრებში მოსვლის წყალობას მაღირსებს, ანდა გავაღწიო ამ მხარეებიდან, ევროპის ყველაზე ველური კუთხე ჩემთვის ტადარი იქნება. ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი მოწყალების ბრძანებებს, როგორც ეს ჩემს გულს სურს, ისე სწრაფად ვერ ვასრულებ: პირველი, იმიტომ, რომ შემახასა და მის მეზობელ მხარეებში შავი ჭირი მძვინვარებს, რის შესახებაც მწერენ

---

<sup>1</sup> ცხადია, იგულისხმება ქართლის მეფე გიორგი XI (1677-1688).

<sup>2</sup> ე.ი. ქართლის მეფე გიორგი XI-მ.

<sup>3</sup> ე.ი. ქართლის მეფე გიორგი XI-ს.

წერილებში და საუბრობენ [ქართლის სამეფოს] კარზე; მეორე, ვერავის ვუტოვებ ამ საბრალო სულებს და არ მინდა დავეუშვა, რომ უსაქმო ლაპარაკმა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებაში ჩემი ძალისხმევა ნულამდე დაიყვანოს; დე, ვინც აქ უნდა ჩამოვიდეს, მალე მოვიდეს და მისია თავისი მზრუნველობის ქვეშ აიყვანოს; მესამე, იმ შეთანხმების გამო, რომელიც მაქვს აქაურ მთავართან<sup>1</sup> და მის დიდებულებთან ჩვენს სარწმუნოებაზე მათი მოქცევისა და ჩვენს ეკლესიასთან გაერთიანების შესახებ; თუკი ეს მოხდება, მით უკეთესი, დიდად გავიხარებ. როგორც კი კურთხეული ღმერთი და თქვენი მოწყალეობა აქ მისიის ახალ მეთაურს გამოაგზავნის, დაუყოვნებლივ გადავცემ მას მისიონის მეურნეობას, მრევლს და ვიქნების მის განკარგულებაში. სხვა წერილში ვიუწყებოდი, თუ რა ადვილად შეიძლება შემახაში მისიის დაფუძნება და მისი შენახვა; 17 თვის წინ გორის პროვინცია ალაგოჯიდან<sup>2</sup> ვწერდი, რომ მის მფლობელთან ანუ ხანთან ჩემი კარგი ურთიერთობის წყალობით, კარგი იქნებოდა იქ მისიის გახსნა და დასაწყისში ორი მღვდელი საკმარისი იქნებოდა; ახალი მისიონერების ჩამოსვლის დიდი იმედი მქონდა, რადგან მათი დახმარებით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, მაგრამ მათ იმედი სრულად გამიცრუეს და გორში ხელახლა მისიის გახსნასაც ვერ ვახერხებ. ვითვალისწინებდი, რომ ამ მამებიდან ძმა მიკელესთან ერთად ცხოვრება არავის სურდა, ხოლო მისი მარტო დატოვება იქ არ შემიძლია; აქედან თვით განსაჯეთ, როგორ გვჭირდება მისიონერები. და თუ თქვენი მოწყალეობა არ გამოგვიგზავნის ახალ მი-

---

<sup>1</sup> ე.ი. ქართლის მეფე გიორგი XI-სთან.

<sup>2</sup> „...da Alagogi nella provincia Di Gori...“. „...გორის პროვინცია ალაგოჯიდან...“ ძნელია ზუსტად ითქვას „ალაგოჯი“ რომელი ადგილია დღეს. შესაძლებელია, ეს იყოს „ალაგირი“?

სიონერებს, ჩვენ ვერაფერს მივალწევთ. მამა სილვესტრო და პანიკალე და მამა ანჯელო და ფილინე თავიანთი საქციელით ადასტურებენ იმას, რომ ისინი ნამდვილი და ღირსეული მღვდლები არიან. ისინი დაუღალავად სწავლობენ ქართულ ენას და მე ყოველთვის ვეხმარები ჩემი მოკრძალებული ცოდნით; ისინი მისიის მიმართ დიდ ინტერესსა და სიყვარულს ავლენენ. მაგრამ ძმა მიკელე შეიძლება აქ არ გამოეგზავნათ, თუმცა ვნახოთ, როგორი იქნება შემდეგში. დიდი მწუხარებითა და თვალბუნი ცრემლებით გავიგე იმის შესახებ, რომ აქ სურთ გამოაგზავნონ (ან თვითონ ითხოვენ ან ვინმემ შესთავაზა მათი კანდიდატურა) დონ პიეტრო იარალაშვილი და დონ ჯოვანი ენიბეგაშვილი იმ მიზნით, რომ ისინი წარმოშობით ამ მხარეებიდან არიან და აქ რწმენის გავრცელების საქმეში დიდ სარგებლობას მოიტანენ. მან, ვინც ეს კანდიდატურები წარადგინა, სრულიად არ იცის ამ მხარეებისა და ქალაქების ცხოვრება ანდა სურს წმინდა კონგრეგაცია ბოროტი განზრახვით მოატყუოს. პირველი, როგორც კი დამშვიდებული და ბედნიერი დონ ჯოვანი აქ ჩამოვა, ის მაშინვე იგემებს იმას, რაც იგემა ადამიანმა, რომელსაც გვერდებზე ჯოხები მოხვდა და ფეხებზე ბორკილები დაადეს, რადგან მას აქ ბევრი ვალი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მამა-მისიონერებს მოუწევთ დიდი ძალისხმევა, რათა მას დაეხმარონ, რაც არაერთხელ მომხდარა და საკუთარი გამოცდილებიდანაც კარგად ვიცი; ეს ადგილობრივი გაიძვერა და გაქნილი მღვდლები ნებას მისცემენ თავს, აქეთ-იქით იარონ ქალაქში და მღვდლებად იწოდონ; ბევრ მათგანს არა ერთხელ გახადეს ტანთ, სცემეს და ქვებით დასდევდნენ თვით დიდი წოდების მღვდლები და ხელისუფალნი. ამის შესახებ შეუძლიათ თქვან პარცივ ვართაპეტმა, ტომას ვართაპეტმა, ვართან ვართაპეტმა, მინას ვართაპეტმა, ავეტიკმა, ალექსანდ-

რემ, გრიგორიმ და სხვა მღვდლებმა, რომელთა მიმართაც თვით ნათესავები არიან ცუდად განწყობილნი, რადგან ისინი კათოლიკობის აშკარა მოწინააღმდეგეები არიან; რამდენიმე დღის შემდეგ შეიძლება დაიწყოს ნადირობა და ღვენა იმის მსგავსად, რაც ჩვენ არა ერთხელ გადავიტანეთ; და აქ ენის ცოდნა ვერ დაგეხმარება, ნაკვალევი მხოლოდ სხეულზეა, თუკი ამ ცოფიანთა წინაშე თავი მთელი დაგრჩა; ეს რამდენჯერმე გამოვცადე და ვიცი, რასაც ვამბობ. და ამგვარად, გარდა ჩვენი სახლისა, მამა ჯოვანისა და პიეტროს სხვა თავშესაფარი არ ექნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისევ დაიწყება საშინელი კინკლაობა, რომელიც წარსულში ზალინას, ჯოვანის მამის, გამო ბევრჯერ მოხდა პატრებს შორის, რადგან ის ყოველთვის უკიდურესი უპატივცემლობით ეკიდებოდა მისიონერებს. ჩვენს ქვეყნებში ქრისტეს სრულქმნილების (არ იკითხება) და განსაკუთრებით მათ გულითად მღვდელთმსახურთა წმინდანობასა და (არ იკითხება) წმიდა ეკლესიაზე, უწინარეს ყოვლისა, მსჯელობენ გარეგნულად იმის მიხედვით, თუ ეს როგორ გამოვლინდება რომში; მაგრამ არ იციან, რომ მამა ჯოვანიმ თავის დედას ყველაზე უღირსი წერილი მისწერა საკუთარი ხელით, რომლის შეთხზვა შეეძლო მხოლოდ სასოწარკვეთილ ადამიანს; მასში ის წყევლის იმ დღეს, როცა გაჩნდა ამ ქვეყანაზე და იმ საათს, როცა კათოლიკე მისიონერებს შეხვდა, წყევლის ნავსადგურს, საიდანაც გაემგზავრა იტალიაში, სადაც მას ისე ექცევიან, როგორც ძაღლს; ბოლოს ის წერს, რომ დედამისს ნუ ექნება ამ მატყუარებისაგან კარგის მოლოდინი და დააგდოს კათოლიკური სარწმუნოება. ეს წერილი ხელში ჩაუვარდა მამა პრეფექტს<sup>1</sup>, რამაც ძლიერ დაამწუხრა; ამ წერილმა კარგად დაგვაფიქრა

---

<sup>1</sup> იგულისხმება თბილისის კაპუჩინთა მისიონის პრეფექტი ჯუზეპე და ბოგონიანო.

და დავადგინეთ მისი დაწვა. ახლა, რადგან მამა პრეფექტს არ შეუძლია ამ ფაქტის დადასტურება, ფიცით ვღებ აღთმას მის ნამდვილობაზე, თუმცა იესო ქრისტეს უღირსი მღვდელი ვარ, მაგრამ თქვენი მოწყალების უერთგულესი მსახური. და ამგვარად, თუკი ეს მღვდლები აქ ჩამოვლენ, ისინი პირველნი ჰკრავენ ფეხს კათოლიკურ სარწმუნოებას, დაარიგებენ წყევლას და ეკლესიისაგან განკვეთას, რადგან მისიონერებს არ შეუძლიათ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც ძალიან დიდი იქნება; საკმარისია ისიც, თუკი ისინი იქნებიან ისეთნი, როგორებიც იყვნენ სასკოლო ასაკში. მისი<sup>1</sup> მეუღლე წელიწად-ნახევრის წინ გარდაიცვალა; მას შეუძლია დარჩეს იქ, სადაც ამჟამად იმყოფება და რწმენაში სრულყოფას მიაღწიოს. დონ პიეტროს მისი უსამღვდელოესობა უნდა გაეცნოს; ის აქ გაუწონასწორებლობით გამოირჩეოდა; ქალაქში ამბობენ, რომ, თუ ის რომიდან ბევრ ღირსებას არ (არ იკითხება), დაანგრევს მთელ კათოლიკობას ამ ქვეყნებში და თუ ის აქედან შორს იქნება, ვერაფერს ავნებს. წარმომავლობით ის ქალაქში ყველაზე ცნობილი გვარეულობიდანაა, მაგრამ სიღარიბითაც ერთ-ერთი პირველია და დიდი გაჭირვებით გააქვთ თავი. თუკი ისინი აქ ჩამოვლენ, ძალიან შეიცვლებიან. პირველი, მისიაში მე არ ვიქნები; მთელი არსებით ვუთანაგრძნობ უბედური ცხოვრებით (არ იკითხება) საწყალ მისიონერებს და აქაურ კათოლიკეებს, რომელთაც მათთან ექნებათ საქმე. თქვენს მოწყალებას შეუძლია მენდოს, რადგან აქ დავბერდი და მთელი სიგრძე-სიგანით ვიცნობ აქაურობას. მეც გამოვცადე მათი საშინელი დევნა; დაე, მოწყალე ღმერთმა მათხოვრად მაქციოს ამქვეყნად და ეს ჩემთვის დიდი ნუგეში იქნებოდა. თხოვნა, რომელიც თქვენს მოწყალებას გავუზღავნე

---

<sup>1</sup> ე.ი. ჯოვანი ენიბეგაშვილის.



ალაგ(არ იკითხება)დან<sup>1</sup> ეხებოდა ყველა აქაური ქვეყნის (არ იკითხება) გარემოებას, რომ სომხები ითხოვენ წირვის დაყენებას სომხურ ენაზე, გამონაკლისია ლოცვა მოწყალებაზე (არ იკითხება) ანდა თავისი შეხედულებისამებრ. თუკი ისინი ამაზე სიძნელეებს განიცდიან, მე (არ იკითხება) გამოცდა ამ ენაზე მის უსამღვდელესობა ეპისკოპოსს აბრანელოდან [ჩავაბარე]; და (არ იკითხება) მამა-დომინიკელების შესახებ სხვა წერილში ვწერდი და არაერთხელ ველაპარაკე მამა პრეფექტს, თუ როგორ შეიძლება მარტივად ნამდვილი პროვინციის შექმნა. ჩვენ მასთან მაშინ ყველაფერზე შევთანხმდით, მართალია, იმ პირობით, რომ მისიონერები გვეყოლებოდა, რომლებიც ღმერთის, მისიისა და რელიგიის მიმართ თავდადებულნი იქნებოდნენ. ახლა ჩვენთვის ძალიან ადვილია ოსებში შეღწევა, რადგან აქაურ მთავარს<sup>2</sup> მათი მრავალი სოფელი დაქვემდებარებული აქვს. ასევე იმის გამოც, რომ ის<sup>3</sup> დაუმოყვრდა ჩერქეზების მთავარს, რომლის ქალიშვილი მის ვაჟიშვილს ცოლად შერთეს; ეს ქალიშვილი უკვე აქაა, რომლის წყალობით ამ სახელმწიფოებს შორის მჭიდრო კავშირი და მეგობრული ურთიერთობები დამყარდა. მე ხშირად მქონდა საქმე ამ და სხვა ხალხთან. გარდა ამისა, უკვე შევთანხმდით იმაზეც, რომ მის სახელმწიფოში<sup>4</sup> გადავიდეთ, რადგან ახლა სავსებით მშვიდად შეიძლება ჩერქეზეთსა და ამადონებში დაფუძნება. ამის შესახებ ვესაუბრე მთავარს<sup>5</sup>, რომელიც ყველაფერზე თანახმაა. მე მიხლოდა ასე გაძეკეთებინა მისიები თბილისში, გორში, ალში, საციციანოში,

---

<sup>1</sup> ე.ი. „ალაგოჯიდან“.

<sup>2</sup> ივულისხმება ქართლის მეფე გიორგი XI.

<sup>3</sup> ე.ი. ქართლის მეფე გიორგი XI.

<sup>4</sup> ე.ი. ჩერქეზეთში.

<sup>5</sup> ე.ი. ქართლის მეფე გიორგი XI-ს.

კირსილვანიაში, საერისთავოებსა და სომხითში-ყველა ესენი აქაური მთავრის<sup>1</sup> სამფლობელოა და მის საზღვრებშია; შემდეგი მისიები-ლორეში, განჯაში, შემახაში, კახეთში, სხვა ახლომდებარე სახელმწიფოებში, ქუთაისში, რაჭაში, გურიაში-ყველა ამ ქალაქში ვიყავი, ვცხოვრობდი და სარწმუნოებას ვავრცელებდი. შემახასა და განჯაში სომხური ანდა თურქული ენის ცოდნა აუცილებელია; აქ მცირე ხარჯებით მისიის ორგანიზება ძალიან ადვილია ანდა აქაური მთავრის<sup>2</sup> მხარდაჭერით სულაც არ იქნება ხარჯი საჭირო; ლორესა და სომხითში სომხური ენის გარეშე ვერაფერს გააწყობ. სომხითი ამ მთავარს<sup>3</sup> ეკუთვნის, ხოლო ლორეს ხანი თავისი გულითადობით ჩემთან ძალიან კარგ ურთიერთობაშია. ასე რომ, ამ მხარეებში ძალიან ადვილად შეიძლება ვადიდოთ ჩვენი უფალი და რომის წმინდა ეკლესია. სხვა დანარჩენ ადგილებში, გარდა ოსეთისა და ჩერქეზეთისა, სადაც საკუთარ და თანაც ძალიან რთულ ენაზე ლაპარაკობენ, ქართული ენის ცოდნა აუცილებელია. ყველა ამ მისიაში საკმარისია ორ-ორი მისიონერი, ოღონდ ისინი იყვნენ რწმენაში მტკიცენი, ჰუმანურები და არა მკაცრნი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოწყალეო ხელმწიფე, თბილისის მისიის შენარჩუნებასაც ვერ შევძლებთ. ამას ვწერ ნამუსის მოსაწმენდად. როცა სხვები მეთაურობდნენ, მე მხოლოდ ჩემზე მინდობილი მისიით ვიყავი დაკავებული; ახლა, როცა სხვა მოვა, რომელიც ჩემზე უფრო კარგი იქნება, ის უკეთ წარმართავს საქმეს, ვიდრე მე. თუკი კეთილმოწყალე უფალი მომანიჭებს წყალობას და მალე ვინილავ აქაური მთავრის<sup>4</sup> რომის ეკლესიასთან შეერთებას,

---

<sup>1</sup> ე.ი. ქართლის მეფე გიორგი XI-ის.

<sup>2</sup> ე.ი. ქართლის მეფე გიორგი XI-ის.

<sup>3</sup> ე.ი. ქართლის მეფე გიორგი XI-ს.

<sup>4</sup> ე.ი. ქართლის მეფე გიორგი XI-ის.

დაუყოვნებლივ ვაუწყებ ამის შესახებ თქვენს მოწყალებას; ღვთისმშობლის უბიწო ჩასახვის დღეს მან<sup>1</sup> მიიღო რწმენის სიმბოლოს წარმოთქმის წესი<sup>2</sup>, რაც მისთვის უდიდესი ნუგეში იყო, ხოლო ჩემთვის გამოუთქმელი სიხარული. მაგრამ მე ბევრად უფრო მეტი მინდა, მასაც გონების პირველი ნაყოფის მოკრეფა სწყურია, ხოლო შემდეგ ღიად გამოვიდეს; ამჯერად ის<sup>3</sup> წმინდა საიდუმლოს მისაღებად ემზადება. ჩვენი ბატონი პაპის მაღლი და კურთხევა, წმინდა კონგრეგაციისა და თქვენი მოწყალების უდიდესი მზრუნველობა მომცემს საშუალებას, რომ ეს ოდენ მნიშვნელოვანი დღე ვიხილო. ხოლო შემდეგ ბეჩავი არარაობა გავქრე, ჯანდაბამდე გზა მქონია, ოღონდ ამობრწყინდეს ჩვენი უფლის, ჩვენი დედა-ეკლესიის, წმინდა კონგრეგაციისა და თქვენი მოწყალების გამარჯვება და დიდება, რომლის წყალობით მინდოდა ასეთი ბედნიერი დღის დადგომა გამომეცხადებინა; ეს დღე, როგორც ვიმედოვნებ, შორს არ არის. თუ თქვენი მოწყალება ჩემს წინააღმდეგ არ არის განწყობილი, მსურს გამოვიგზავნოთ რუკა, რომელზეც გიჩვენებთ, თუ როგორ შეიძლება აქაური მისიების გაფართოება, რათა კიდევ უფრო გაბრწყინდეს რომის წმინდა ეკლესიის დიდება. ამას განსაკუთრებული ძალისხმევა არ სჭირდება და იგი მცირე ხარჯებით არის შესაძლებელი. თუ ყურს დამიგდებენ და დამეხმარებიან, ხოლო მე ამ საქმეს წარმატებით ვერ განვახორციელებ, მაშინ, დაე, რაც უნდათ ის დამმართონ; თუკი აქ მყოფი მისიონერებიდან რომელიმეს აქვს უნარი და იცის, როგორ შეინარჩუნოს ეს მისია, დაე, გამოჩნდეს, რაც ჩემთვის დიდი შვება იქნებოდა. მაშინ მეცოდინებოდა, რომ ჩემს შრომას ფუჭად არ ჩაუვლია; გეგებით

---

<sup>1</sup> ე.ი. ქართლის მეფე გიორგი XI-მ.

<sup>2</sup> ე.ი. ქართლის მეფე გიორგი XI-მ მიიღო „ფილიოკვე“.

<sup>3</sup> ე.ი. ქართლის მეფე გიორგი XI.

ფეხქვეშ და თუ ღირსი ვარ თქვენი წმინდა ტანსაცმლის ჩრდილს ვეამბორები; თავს ვხრი თქვენი ლოცვა-კურთხევით, რომელიც ასე სწყურია ჩემს გულს; თქვენთვის ვევედრები ღვთიური მადლის საგანძურადან ყველა იმ წყალობას, რომელთაც მხოლოდ თქვენი ანგელოზური გული ისურვებს.

ტიფლისი, 1686 წლის 22 დეკემბერი.

თქვენი მოწყალების უერთგულესი მსახური და ქვეშევრდომი, ძმა ჯუსტინო ლივორნოელი, უფროსი მოქადაგე, სამოციქულო რწმენის მისიონერი და საქართველოს მისიის უღირსი ვიცე-პრეფექტი.

***Murman Papashvili***

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**ONE UNKNOWN RELATION OF GUSTINO DE  
LIVORNO  
RESUME**

In years 1666 - 1687 Cappuchin missionary Gustino De Livorno served in Georgia. In 1667 he founded the mission in Gori, that he headed for seven years. This relation had written in 1686 and sent to Rome on 22 December. Up to date the relation was unknown to historians. Relation shows that Gustino De Livorno was a very close person to Kartli's king George XI. He had prepared the king to accept Catholicism and resolved the issue of organizational unification of the churches. In addition, in relation there are many new facts about the activities of missionaries in Georgia.

**სახისმეტყველებითი ასპექტები „წმ. ცხრათა ყრმათა  
კოლაელთა წამებაში“**

ქართულ ჰაგიოგრაფიაში შემონახულია თხზულება, რომლის მთავარი პერსონაჟები ბავშვები არიან, წამებული ბავშვები. ესაა „წმ. ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამება“, რომელიც შემონახულია ერთადერთი ხელნაწერით, ათონის X საუკუნის მრავალთავით (№57). იმერეთის მეფის სოლომონის მოძღვრის, ილარიონ ყანჩაშვილის მიერ შედგენილი ათონური ხელნაწერების აღწერილობის საფუძველზე 1849 წელს ათონის ქართველთა მონასტერში მყოფმა პლატონ იოსელიანმა გადმოწერა და საქართველოში ჩამოიტანა. ტექსტი რუსულ თარგმანთან ერთად პირველად აკად. ნიკო მარმა გამოაქვეყნა 1903 წელს<sup>1</sup>. 1946 წელს მცირე კომენტარითურთ სოლომონ ყუბანეიშვილმა დაბეჭდა „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის“ პირველ ტომში<sup>2</sup>. 1963/1964 წელს ლამარა ქავაიას მიერ მეცნიერულად დადგენილი ტექსტი გამოქვეყნდა „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ პირველ ტომში<sup>3</sup>. რამდენჯერმე დაიბეჭ-

---

<sup>1</sup> Н. Я. Марр, Мученичество девяти отроков колайцев, Тексты и разыскания по армянско-грузинской филологии, V, Санкт-Петербург, 1903, 53-61.

<sup>2</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1946, 72-73.

<sup>3</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ,

და პოპულარულ გამოცემებში, კერძოდ, რევაზ თვარაძის მიერ გამოცემულ „ძველ ქართულ მოთხრობაში“, „ქართულ მწერლობაში“, „ქართულ პროზაში“. გვაქვს რუსული თარგმანიც, შესრულებული ნიკო მარის მიერ, და დევიდ ლანგის მიერ შესრულებული ინგლისური თარგმანი, რომელიც მთარგმნელმა 1956 წელს გამოაქვეყნა.

„წმ. ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამების“ ფილოლოგიურ-ისტორიული საკითხები, კერძოდ, ავტორის ვინაობა გაურკვეველია, არც დაწერის თარიღია საბოლოოდ დადგენილი. მკვლევრები, რომლებიც ნაწარმოებებში ასახულ მოვლენებს ქრისტიანობის ადრეული პერიოდში მომხდარ ფაქტებად მიიჩნევენ, ძველში აღწერილი ქრისტიანული მოვლენების არქაულობაზე ამახვილებენ ყურადღებას. თუმცა, თხზულების დაწერის თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულებები გამოითქვა, ძირითადად, ორი თვალსაზრისი: 1. მეცნიერთა ჯგუფი ვარაუდობს, რომ თხზულება ასახავს ადრექრისტიანული ეპოქის მოვლენებს და ადრევეა დაწერილი; თუმცა, აქაც განსხვავებული ვერსიები არსებობს; 2. თხზულება ასახავს ადრექრისტიანულ ეპოქას, მაგრამ დაწერილია გვიან, IX საუკუნეში. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, თხზულება ენობრივ-სტილური თვალსაზრისით შეცვლილი სახითაა მოღწეული<sup>1</sup> და, შესაბამისად, იგი დათარიღებისათვის მყარ არგუმენტად ვერ გამოდგება.

ჩემი სტატიის მიზანი კონკრეტულია, კერძოდ, თხზულების ლიტერატურული ღირებულების, სახისმეტყველებითი

---

ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963-1964, 183-185.

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ. VIII, თბილისი, 1977, 74.

ასპექტების განსაზღვრა, რადგან ეს პრობლემაც, ავტორისა და დაწერის თარიღის საკითხებთან ერთად, სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოდ იქცა. მეცნიერთა ნაწილმა იგი მხატვრული ღირებულების მქონედ არ მიიჩნია.

თხზულების სრული სახელწოდება სახისმეტყველებითად დატვირთულია და ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ასახავს: „წამებაჲ ყრმათა წმიდათაჲ, რიცხვთ ცხრათაჲ, რომელნი იყვნეს სულითა ძმანი ნათლის-ღებითა წმიდისაგან ემბაზისა, ხოლო შობილ იყვნეს თავის-თავისა დედისაგან თვისისა“<sup>1</sup>. თხზულება მოცულობით მომცროა, მაგრამ საკმაოდ მაღალი საღვთისმეტყველო და ლიტერატურული ღირებულება აქვს, რადგან მასში ახლადგაქრისტიანებული მცირეწლოვანი პერსონაჟები და მათთან დაპირისპირებული წარმართი მშობლები, როგორც ჰაგიოგრაფიის გმირები და მტარვალები, ქრისტიანული სახისმეტყველების კვალობაზე წარმოჩნდებიან. თხზულების სათაურის სიმბოლო, მეტაფორა, პარადიგმა გამჭვირვალეა, მისი სახელწოდება მიუთითებს, რომ ცხრა ბავშვი, – შვიდიდან ცხრა წლამდე ასაკის ბავშვები, – სულიერი ძმები იყვნენ, რომლებიც ერთმანეთს წმინდა ემბაზში ნათლისღებით დაუკავშირდნენ, თუმცა მათ სხვადასხვა ხორციელი დედა ჰყავდათ. ნათლობამ ისინი ყველა ქრისტიანის თანამოზიარედ გახადა. მნიშვნელობა იმასაც ენიჭება, რომ ისინი ცხრანი არიან, ხოლო ცხრა სამი ტრიადაა, რაც, არეოპაგიტული მოძღვრების თანახმად, ზეციური ძალების, ანგელოზთა დასების შესაბამისია. წმინდანთა დასს ცხრა ბავშვის ზესთასოფლად ამალღებით ცხრა ანგელოზი შეემატა. თუ სამყაროს აგებულების რაობას, კერძოდ, ცხრა ცის სიმბოლიკასაც გავითვალისწინებთ, ცხრა ყრმა კოლაელის სულიერ

---

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 183.

ძმებად წარმოსახვა მიზანდასახულია და ქრისტიანული სა-  
ხისმეტყველებით აიხსნება.

მტკვრის სათავეში, კოლას ხევში, ცხოვრობდა ბევრი  
წარმართი და ცოტა ქრისტიანი; აქედან ჩანს, რომ თხზულე-  
ბა ქრისტიანობის ადრეულ ეტაპს ასახავს. საღამოობით  
„ჰრეკის ხუცესმან და წარვიდიან ყრმანი ქრისტიანეთანი ეკ-  
ლესიად ლოცვად“. ქრისტიან ბავშვებთან ერთად ეკლესიაში  
შესვლა წარმართ ბავშვებსაც უნდოდათ, როგორც თხზულება  
მიუთითებს, „ყრმანი წარმართთანი რიცხვთ ცხრანი მიუდგიან  
უკუანა, რამეთუ შესულებულ იყვნეს ყრმათა მათ ქრისტიან-  
ეთადა და უყუარდა მათ რჩული ქრისტიანობისა“<sup>1</sup>, მაგრამ  
მათ ტაძარში არ უშვებდნენ, რაც ბავშვებში გულისტკივილს  
იწვევდა და არაერთხელ სირცხვილეულნი გამობრუნებულან.  
ამგვარი ფაქტი რამდენჯერმე გაშეორდა, რაც, ერთი მხრივ,  
ქრისტიანობისაკენ ბავშვების სწრაფვას მოწმობს და, მეორე  
მხრივ, თავიანთი მრწამსის თაობაზე ქრისტიანთა ზრუნვას  
მოასწავებს. ერთხელ კი ბავშვებმა ძალით შესვლაც სცადეს,  
რის შემდეგაც ქრისტიანებმა წარმართ ბავშვებს ურჩიეს მო-  
ნათლულიყვნენ, რის შემდეგაც ისინიც თავისუფლად შეძლებ-  
დნენ ეკლესიაში შესვლასა და ლიტურგიაში მონაწილეობას:  
„უკუეთუ გნებავს შემოსვლად ჩუენ თანა ეკლესიად, გრწმე-  
ნინ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ნათელ იღეთ სახელისა  
მიმართ მისისა“<sup>2</sup>. ბავშვებმა სიხარულით შეიწყნარეს „სწავ-  
ლად იგი ქრისტიანეთადა“ და სოფლის მღვდელმაც ბავშვები  
მშობლებისაგან მალულად მდინარეში ღამით მონათლა, ღა-  
მით იმიტომ, რომ მღვდელი „დღისი ვერ იკადრებდა ნათლის

---

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 184.

<sup>2</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 184.



ცემასა მათსა შიშისაგან წარმართთადასა“<sup>1</sup>. ჰაგიოგრაფის ეს სიტყვები მოწმობს, რომ სასულიერო წოდება ჯერ სუსტია, მას თავისი რწმენის ქადაგების საფუძველზე სხვათა მოქცევა არ ძალუძს. ისიც ჩანს, რომ ქრისტიანებს წარმართთა შიში აქვთ, რომელიც მათ თრგუნავს. ავტორი აღნიშნავს კიდევ, რომ იმ დროს, როდესაც ბავშვები მოიქცნენ და ეწამნენ, „იყო უმრავლესი ერი სოფლისად მის წარმართთა კერპთ-მსახური და უმცროსი ერი ქრისტიანე ღმრთის მსახური“<sup>2</sup>. ტექსტიდან დამოწმებული სიტყვები მიუთითებს, რომ საქართველოში ქრისტიანობა ჯერ არ იყო განმტკიცებული, ის-ის იყო მკვიდრდებოდა. სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე ჯერ კიდევ დრო უნდა გასულიყო. ამიტომ ქრისტიანები უფრო ცოტანი იყვნენ, ვიდრე წარმართები. ასე იყო მთელ საქართველოში. მით უმეტეს, განაპირა მხარეებში გაქრისტიანების პროცესი უფრო გვიან და ნელა წარიმართებოდა.

ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ მდინარეში ნათლობა ქრისტიანობის ადრეულ პერიოდში ხდებოდა, რის საფუძველზეც ყრმათა ნათლობის ეპიზოდი მაცხოვრის ნათლისღების პარალელურად განიხილა<sup>3</sup>. თხზულებაში მოთხრობილია, რა პირობებში, როდის და სად მოინათლნენ ბავშვები. დავიმოწმოთ ტექსტი: „მაშინ წარვიდა მღვდელი იგი თავსა ზედა მდინარისასა მის დიდისასა და მის თანა სიმრავლეს ქრისტიანეთად. და იყვნეს ყრმანიცა იგი წარმართთანი მათ თანა. იყო ჟამი ზამთრისად და ღამეს ნეფხვისად, რამეთუ დღისი

---

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 184.

<sup>2</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 184.

<sup>3</sup> ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ. VIII, 71-75.

ვერ იკადრებდა ნათლის-ცემასა მათსა შიშისაგან წარმართ-თადაც და უფალმანცა ჩუენმან იესუ ქრისტემან ღამც ნათელილო იორდანესა მდინარცსა იოვანესაგან<sup>1</sup>. დამოწმებული ეპიზოდი იმასაც მიუთითებს, რომ მართალია, თხზულება მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებითა და ხერხებით მდიდარი არაა, მაგრამ თითოეული სიტყვა საღვთისმეტყველო საზრისითაა დატვირთული, რაც ნაწარმოების ლიტერატურულ დონეს, სახისმეტყველებით ღირებულებას, სტილის სისადავესა და მასში გამოთქმული აზრის სიდიადეს მიუთითებს.

ივანე ჯავახიშვილს ორი გარემოება აქვს აღნიშნული: 1. ცხრა ყრმა კოლაელთა ნათლისღება ღამით მომხდარა; 2. ნათლობა ზამთარში და ღამით მოხდა. ამის საფუძველზე იგი ფიქრობდა, რომ ცხრა ყრმა კოლაელთა ნათლობის სურათის ამგვარი აღწერა მაცხოვრის ნათლისღების დროსივრცულ სამყაროსთან სიახლოვემ განაპირობა და ევანგელურ მონათხრობთან ჰავიოგრაფიული მონათხრობის პარალელიზმი თვალსაჩინო ფაქტად მიიჩნია. მისი დასკვნით, მეტად საგულისხმოა, რომ წამების ტექსტი მოწმობს ყრმათა ნათლობას ზამთარში, ღამით და მდინარეში. ასეთი წესი ქრისტიანობის განვითარების ადრეულ პერიოდში იყო მოსალოდნელი. მანვე ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ყრმებს ნათლობის შემდეგ სპეტაკი სამოსელი ემოსათ, რასაც ჰავიოგრაფიაში ქრისტიანული ტრადიციის კვალობაზე ასახავდნენ. ყოველივე ეს ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების ადრეული ეტაპის ამსახველ ნაწარმოებებში გვხვდებოდა. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, თხზულება ქრისტიანული ცხოვრების გავრცე-

---

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 184.

ლების უძველეს ხანას უნდა გვისურათებდეს<sup>1</sup>. ეს მოსაზრება მხოლოდ დათარიღებისთვის არაა მნიშვნელოვანი, არამედ ტექსტის ამ ეპიზოდის ანალიზით თხზულების სახისმეტყველებითად გააზრების საფუძველიც მომზადდა. კორნელი კეკელიძის აზრით, ღამით მონათვლა ტრადიციას კი არა, შიშს უნდა უკავშირდებოდეს, ხოლო ზამთარში და მდინარეში მონათვლაც კონსპირაციასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული<sup>2</sup>. ეს მოსაზრებაც სახისმეტყველებითი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი.

ნაწარმოების ავტორი იმ ეპიზოდში, როდესაც სოფლის მცხოვრები ქრისტიანები მღვდელს ბავშვების მონათვლას სთხოვდნენ, ამბობს, რომ მღვდელმა „მოიჭსენა სიტყუად იგი სახარებისად რომელი თქუა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან: „რომელმან არა დაუტევოს მამად თუხი და დედად თუხი, დანი და ძმანი, ცოლი და შვილნი, და არა აღილოს ჯუარი თუხი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (მათე, 10, 38). მათე მოციქულის ჰაგიოგრაფი მწერლის მიერ მცირედით გავრცობილი სიტყვები ის ძირითადი კვანძია, რომლის გარშემოც თხზულების სიუჟეტი ვითარდება, - ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევს ძირითადი აზრი, რომ ბავშვები მაცხოვრის სიყვარულის გამო წარმართ მშობლებს დასცილდნენ, რათა თავიანთი უსჯულოებით მათი თანაზიარნი არ გამხდარიყვნენ, აგრეთვე, მათთან ერთად საზრდოსაც არ ღებულობენ. აქ შეიძლება პარალელი გავავლოთ იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამებასთან“; ცნობილ ეპიზოდში წმ. შუშანიკი საწუთროეულ მეუღლესთან, ვარსქენთან, მაზლთან

---

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ. VIII, 72-73.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, 518.

და რძალთან ერთად არ სადილობს, რადგან აქამდე არასოდეს ყოფილა, რომ „მამათა და დედათა ერთად ეჭამათ პური“. იმდროინდელი ტრადიციის დარღვევის გარდა, წმ. შუშანიკს წარმართ ქმართან ერთად საზრდოს მიღება არ სურს, – ცდილობს გააგებინოს ნათესავებს, რომ ვარსკენის თანაზიარი არასოდეს იქნება. საზრდოს ერთად მიღება სულიერ სიახლოვესაც ნიშნავს. ყოველივე ამას ევანგელური სწავლება წარმართავს, რომლის მიხედვით ფარისევლები მაცხოვარს საყვედურობდნენ იმის გამო, რომ იგი სუფრასთან ცოდვილებთან ერთად იჯდა (მათე, 9, 11); ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ ამ დროს მათ მიერ წოდებული ცოდვილები სულიერად იესოს ემსგავსებოდნენ, ე. ი. განიწმიდებოდნენ. ამ სიმბოლიკას სხვა სიღრმისეული დატვირთვაც აქვს. როგორც წმ. შუშანიკს უსჯულო ქმართან ერთად საზრდოს მიღება აღარ უნდა, რათა მისი მოზიარე არ გახდეს, ასევე, კოლაელ ძმებს წარმართი მშობლებისგან საზრდელის მიღება აღარ უნდათ, მათგან აღარც სწავლებას მიიღებენ, რომელიც წარმართული, არაქრისტიანული იქნება. ცხადია, დარიგებები ამ საკითხებზე, მათი მომავალი ქცევისა და ზნეობრივი სახის ჩამოყალიბების შესახებ ქრისტიანთაგან მიიღეს და ისინი მშობლებს სულიერადაც დაშორდნენ<sup>1</sup>. სიუჟეტის ასეთი განვითარებით ავტორი შეეცადა, გაქრისტიანების მოსურნეებს აუხსნას, რომ ბავშვებს ოჯახმა და ნათესავებმა ქრისტესკენ მოქცევასა და ნათლობაში ხელი ვერ უნდა შეუშალონ; ნათლობის ეპიზოდის თაობაზე მსჯელობისას, გონა კუჭუხიძის აზრით, საჭიროა

---

<sup>1</sup> აქ აუცილებლად გაგვახსენდება სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“ გამოთქმული ერთი სიბრძნე, რომელიც ზორციელ ნათესაობაზე მაღლა სულიერ ნათესაობას აყენებს: „მე მრავალი კაცი მინახავს, მამაშვილობასა და ძმობას გაჰყროდეს და ამხანავს შესწყობოდეს“ (სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, თბილისი, 1959, 123).

ყურადღების გამახვილება იმ ფაქტზე, რომ ამბავი იმ დროს არის მომხდარი, როცა ოჯახები რელიგიურ ნიადაგზე იყოფოდნენ, რასაც მკვლევარი ტრაგიზმის საფუძვლად მიიჩნევს; მთხრობელი ცდილობს გაქრისტიანების მოსურნეებს სიმტკიცისაკენ მოუწოდოს, – ყველასთვის სამაგალითონი არიან ეს ბავშვები, რომლებმაც საოცარი სიმტკიცე გამოიჩინეს, მაცხოვრის გამო მათ სიცოცხლე გაწირეს<sup>1</sup>.

მას შემდეგ, რაც წარმართმა მშობლებმა შეიტყვეს შვილების გაქრისტიანების ამბავი, ბავშვები სახლში წამოიყვანეს და „დააღებნეს კორცნი მათნი ფიცხელითა მით ცემითა“<sup>2</sup>. მაგრამ ბავშვების მკვეთრი რეაქცია მშობლებისათვის მოულოდნელი და მიუღებელი აღმოჩნდა. ყმაწვილებმა საჭმელზე უარი თქვეს და შვიდი დღე უზმოდ გაატარეს. როდესაც მშობლებმა შვილები ვერ გადაიბირეს, მათი მოსყიდვა საჩუქრებით სცადეს და „ყოველსა კეთილსა და სამოსელსა ჭრელსა თითო ფერსა“<sup>3</sup> სთავაზობდნენ მათ, ყრმებმა კი უპასუხეს, რომ მათგან არაფერი უნდოდათ. ამის შემდეგ მშობლები მივიდნენ „მთავრის წინაშე მის ჟამისა, რამეთუ იყო იგიცა წარმართი“ და ყოველივე აუწყეს; მთავარმა ურჩია: „შვილნი თქუენნი არიან, კელმწიფებად გაქუს, უყავთ, რადცა გნებავს“<sup>4</sup>. ვფიქრობ, რომ ეს ეპიზოდი ევანგელური მონათხრობითაა შთაგონებული, კერძოდ, მაცხოვრის დასჯის მსურველი

---

<sup>1</sup> გ. კუჭუხიძე, „წმ. ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამება“, „წამება დავითისა და ტირიჭანისა“. ლიტერატურული ძიებანი, XXIV, თბილისი, 2003, 67.

<sup>2</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 185.

<sup>3</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 185.

<sup>4</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 185.

ებრაელები პილატესთან მივიდნენ და სამართლის დადგენა მას სთხოვეს. როგორც პილატემ ვერ გაბედა უდანაშაულო იესოს დაცვა და არჩევანი შეკრებილ ერს მიანდო, ასევე, წარმართი მშობლები რომის სამართლის მცოდნე მთავართან მივიდნენ და მისგან მოელოდნენ სამართლიანობის დადგენას. მთავარმა, ისევე როგორც პილატემ, ბრბოს ინტერესები დაიცვა და მაცხოვრის დასჯის უფლება მისცა, წარმართ მშობლებს მიანდო გაქრისტიანებული შვილების დასჯა. წარმართმა მშობლებმა შვილები მიიყვანეს „თავსა მას ზედა წყარო-ისასა, სადა-იგი ნათელ-ელო წმიდათა მათ ყრმათა“<sup>1</sup>. ამოთხარეს ორმო, რომელშიც ბავშვები ჩაყარეს და თავიანთი შვილები საკუთარი ხელით ჩაქოლეს. ბავშვების ამგვარი მეთოდით დასჯა ბიძინა ჩოლოყაშვილის მიერ რომის კანონების საქართველოში გავრცელების ქრონოლოგიური არეალითაა ახსნილი, კერძოდ, მან განსაზღვრა, როდის იძლეოდა რომის სამართლებრივი კანონები მშობლების მიერ საკუთარი შვილების დახოცვის უფლებას<sup>2</sup>. მისივე დაკვირვებით, თხზულების სიმარტივე, სისადავე, ფორმისა და შინაარსის უბრალოება მისი ადრეულ პერიოდში შექმნის ვარაუდს განამტკიცებს, ხოლო თვით თხზულებას მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებ ღირებულად მიიჩნევს.

კოლაელი ყრმები „შვილნი მეკერპეთანი“ იყვნენ და ქრისტიანობის მიღებით ღმერთის შვილები გახდნენ, უფლება მიიღეს შესულიყვნენ „სახლსა ღმერთისასა“; მშობლებს ეგონათ, რომ გაქრისტიანებით ბავშვების სული წარწყმდა, მათ საწინააღმდეგოდ, ბავშვებს ახალი სჯული მოსწონდათ, ამი-

---

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 185.

<sup>2</sup> ბ. ჩოლოყაშვილი, უძველესი ქართული მარტიროლოგიური თხზულება, თბილისი, 2003, 50.

ტომ შეუპოვრად ისწრაფვოდნენ ქრისტიანებისა და ქრისტიანობისაკენ.

„კოლაელთა წამებაში“ წარმოჩენილია ბავშვების უმანკო, უცოდველი და სიწმინდით აღსავსე სულიერობა; ცხადია, ისინი თეოლოგიაში გარკვეულები არ იყვნენ, მაგრამ მათი სუფთა გული და გონება ინტუიტურად ისწრაფვოდა ქრისტეს ეკლესიისაკენ; აქ ყურადღებას იქცევს თხზულების ის ეპიზოდი, რომელშიც ზარის რეკვით ქრისტიანული ლოცვისა და წირვისაკენ მოწოდებაა გადმოცემული და რასაც ღვთისმეტყველებითი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს: „და ჟამსა მწუხრისასა ჰრეკის ხუცესმან და წარვიდიან ყრმანი ქრისტიანეთანი ეკლესიად ლოცვად, ვითარცა არს წესი ქრისტიანეთად“<sup>1</sup>. ეპიზოდი მოწმობს, რომ ქრისტიანებს აერთიანებთ ლოცვა, რითაც ისინი მთელი საქრისტიანოს ნაწილნი ხდებიან, ლიტურგიაში მონაწილეობენ და უფლის წიაღში მყოფობის საფუძველს ჰპოვებენ. თხზულებაში ნათქვამი ეს სიტყვები იმასაც მიუთითებს, რომ სასულიერო პირებსა და წირვა-ლოცვაზე მყოფთ ლოცვისათვის აუცილებელი წიგნებიც უნდა ჰქონდეთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ავტორმა დასაწყისშივე მიუთითა სოფელში მცხოვრებ ქრისტიანებზე, როგორც ღმრთისმსახურებზე, რაც მათი სულიერი ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. ქრისტიანთა წესის არსებობა ტიპიკონის საფუძველზე ღვთისმსახურებას ნიშნავს, რაც ქრისტიანული სარწმუნოების სახელმწიფოებრივ რელიგიად მიჩნევის საფუძველს ქმნის. თუმცა, შესაძლოა, სახელმწიფოებრივ დონეზე ჯერ კიდევ რომ არ არის ქრისტიანობა მიღებული ქვეყანაში, ესეც ნათელია. აქ მთავარი ისაა, რომ ხუცესის მიერ ზარის რეკვა და ლოცვისაკენ, მწუხრისაკენ მო-

---

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 184.

წოდება ლიტურგიის ნაწილია და ეს ქრისტიანობის ადრეულ პერიოდშიც საკვებით მოსალოდნელი იყო. ბავშვებს კი ლიტურგიული პროცესი მოსწონდათ და ეკლესიაში თავს თავისუფლად გრძნობდნენ.

როგორც ყველა დროში, თხზულებაში ასახულ დროშიც ბავშვებისათვის გასართობი ჩვეულებები („ვიტარცა არს ჩვეულებაჲ ყრმათაჲ“) გავრცელებული ყოფილა, კერძოდ, ქრისტიანი და წარმართი ბავშვები ერთად თამაშობდნენ, ისინი ერთად „იმღერდიან“, საღამოობით კი წარმართი კოლაციული ბავშვები ქრისტიან ბავშვებს უმანკო კრავებივით უკან მისდევდნენ და ეკლესიაში შესვლა უნდოდათ, ქრისტიანთა ღვთისმსახურება მათ შინაგანად იზიდავდა და ხიბლავდა. თხზულებაში პირდაპირ არ არის ნათქვამი, რომ ბავშვები ეკლესიაში შესვლას ძალით ცდილობდნენ, მაგრამ იგრძნობა, რომ ამ ამბის თანადამსწრე და თანამედროვე აღმწერი ამ ყოფით დეტალზე ყურადღებას საგანგებოდ ამახვილებს; ბავშვების მიამიტობა და უცოდველი სული ამ მცირე დეტალიდანაც კარგად ჩანს; ხსენებული ეპიზოდის აღწერისას ყრმათა ცხოვრების აღმწერს უთუოდ ახსოვს მათეს სახარების ის ადგილი, რომელშიც ბავშვებს მაცხოვართან მიიყვანენ, მათ კი არ უშვებენ უფალთან, რაზეც იესო ამბობს: „აცადეთ ყრმებსა მაგათ მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ“ (მათე, 19, 14). სახარებაში ნახსენებ ბავშვებს მაცხოვართან ახლოს ყოფნა ახარებთ, ცხადია, მათ თეოლოგიური ცოდნა არ აქვთ, მაგრამ მათი გონება და სული სუფთაა, ისინი „სულით გლახაკნი“ არიან, ე. ი. მატერიალური სიმდიდრის უქონელები, და ინტუიტიურად გრძნობენ, რომ მათ წინაშე მდგომი მოძღვრის გარეშე არაფერს წარმოადგენენ, არაფერი ძალუბთ, წრფელი გულით არიან მინდობილნი თავიანთ კეთილ მწყემსს, წყნარი



და მშვიდები არიან, ისინი ნეტარნი იქნებიან, „რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ“ (მათე, 5, 3).

როდესაც კოლაელი ქრისტიანები ბავშვებს ეკლესიაში არ უშვებდნენ, მათგან ქრისტეს რწმენასა და ნათლისღებას, მაცხოვართან ზიარებას მოითხოვდნენ, ამით ისინი აგებინებდნენ ბავშვებს, რომ ქრისტიანთა ღვთისმსახურებაში მონაწილეობა გართობა არ არის, ბავშვებისათვის დამახასიათებელი თამაში არ არის; ამიტომ აუცილებელი იყო, მათ ჯერ საღვთო სჯული შეესწავლათ, მაცხოვრისადმი რწმენის აუცილებლობა გაეაზრებინათ და, თუ გაიზიარებდნენ ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, მაშინ უფალთან ზიარებაც შეეძლებოდათ და მონათლებოდნენ კიდევ. აქ ისევ მათეს სახარებისეული ალუზია და ჰიპოდიგმა იჩენს თავს, როდესაც სახარებისეული ბავშვები, პირველ ნეტარებასთან მიახლებულნი, კოლაელი ბავშვების წინასახეები//არქეტიპები არიან; თავის მხრივ, კოლაელი ყრმები თხზულებაში პირველ ნეტარებასთან ზიარების ღირსად არიან წარმოჩენილნი. ეს ადამიანის ცხოვრების ის პერიოდი, როდესაც ქრისტეს სჯულზე მოქცევისას, მაცხოვრის აღიარებამდე, ნათლისღებამდე ჯერ კათაკმევლობის ეტაპი უნდა გაიაროს და კოლაელი ბავშვები სიხარულით ღებულობენ ქრისტიანთა სწავლებას, რის შემდეგაც ინათლებიან კიდევ, ოღონდ მალულად, რაც ურწმუნო მშობლებისაგან მათი განყოფის მთავარი მიზეზი გახდა.

კოლაელმა ბავშვებმა წარმართული სამყარო დატოვეს, ნათელი იღეს და ანგელოზთა დასის წევრები გახდნენ. ნათლობის მომენტი სულიერი ზეიმი და თხზულებაში ეს ეპიზოდი საოცრად შთამბეჭდავდაა აღწერილი. მრავალი ქრისტიანი მიდის მდინარის სათავისაკენ, სადაც ბავშვების ნათლობა მიმდინარეობს. ზეციდან ანგელოზები გადმოდიან და სპეტაკი სამოსლით მოსავენ ყრმებს; ყოველივე ეს „კაცთაგან

უხილავად“, სულიერ სამყაროში ხდება; ისინი სული წმინდის რჩეულნი არიან, რაც სახისმეტყველებითად მტრედის სიმბოლიკითაა გადმოცემული: „სული წმიდაა გარდამოკდა ვითარცა ტრედი ზედა იორდანესა, რაჟამს ქრისტეც ნათელსილებადა, ანგელოზნი თანა უდგეს, ამას გალობასა იტყოდეს: აღილუიად, აღილუიად“<sup>1</sup>. სულიერი სიხარულით არის ყველა ქრისტიანი აღსავსე და ეს სიხარული იმ რეალურ სამყაროსაც გადაეცემა, რომლის დროსაც ნათლობა მიმდინარეობს, ზამთრის სიცივის ნაცვლად ბავშვები გრძნობენ, რომ წყალი სითბოს გამოსცემს; ე. ი. გარემო, ფიზიკურად არსებული სივრცე გარდაიქმნა, დათბა. თხზულებაში ნახსენები „სპეტაკი სამოსელი“, რომელიც ბავშვების შესამოსელი გახდა ნათლობისას, „სამოსელ პირველთან“ ასოცირდება და იგი ბავშვების მიერ პირველსახის, არქექტიპის დაბრუნებას მოასწავებს. ახლადმონათლული ბავშვები მშობლებთან არ მიდიან, ქრისტიან ყრმებთან რჩებიან; ისინი, ბავშვები, არიან მათი ნათლის მამები. მათ თავიანთ წარმართ მშობლებთან საერთო აღარ აქვთ, სულიერად მათგან განშორებულნი არიან და ერთი წიალი არ აერთიანებთ. ბავშვებმა იციან, რომ მშობლებთან არ მიესვლებათ, რადგან ისინი მათ დასჯას მოიწადინებენ.

მწერალმა, რომელიც სახისმეტყველებითი პრინციპებით წერას თითქოს არც ცდილობს, მაინც ერთმანეთთან დააპირისპირა სულიერი და ფიზიკური სამყარო, აჩვენა, რომ სულიერ ყოფაში სითბო და სიხარული ივანებს, ხოლო ფიზიკურ სამყაროში სიცივე სუფევს. ბავშვებს სიცივეში ნათლობისა არ ეშინიათ, რითაც მათი სულიერი მზაობა ჩანს, ისინი მსხვერპლის გასაღებად მზად არიან, უპირატესობას ფიზიკურთან შედარებით სულიერობას ანიჭებენ. სულიერი ცხოვრე-

---

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 184.

ბისადმი მიდრეკილების, სწრაფვის გამო ბავშვებისათვის იმ წუთებში ეს სამყაროც შეიცვალა, რადგან აქ სითბო შეიგრძნეს, ანგელოზებმა ღვთის სადიდებელი იგალობეს. ისინი წარმავალ ცხოვრებას, წუთისოფლურ ინტერესებს დაშორდნენ და სულიერად ცათა სამყაროს მიახლებულნი ზეციური წიაღის შვილები გახდნენ. წარმავალ სამყაროში წარმავალ ღირებულებებზე ორიენტირებულ მშობლებს განერიდნენ და მიმრქმელთა თუ ნათლიების სახით შეიძინეს სულიერი მშობლები, რომლებიც მარადიული სამყაროსაკენ მიმავალ გზას ულოცავენ მათ; მკითხველისა თუ მსმენელის გონებაში ჩნდება აზრი იმის შესახებ, ბავშვებს გაზრდა რომ დასცლოდათ, მშობლებს თავად მოაქცევდნენ და სულიერად ზეციურ სამყარომდე მათაც აამაღლებდნენ. მაგრამ ამქვეყნიური სამყარო ნათლისღების შემდეგ გამოცდას უმზადებს ზესთასოფლის სულიერ გზაზე მდგარ უმანკო ბავშვებს; მატერიალურ სამყაროში დანთქმული გონდაკარგული მშობლები სულიერი სამყაროს დათმობას მოითხოვენ ბავშვებისაგან, წარმავლობის საცდურს შესთავაზებენ, უამრავ საჩუქარს ჰპირდებიან. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების სიუჟეტის, კომპოზიციის თანმიმდევრული განვითარება მოითხოვს, რომ გადამბირებლებმა ქრისტიანთა გადაბირებას სხვა სარწმუნოებაზე თავიანთი ცდა არ უნდა დააკლონ. ცხრა ყრმა მოწამისადმი მიძღვნილი თხზულებაც გაქრისტიანებული ბავშვების დამოუკიდებლად არსებობის სურვილს, უშიშრად ყოფნასა და წარმართი მშობლების ყოველგვარ მცდელობას შვილების ძველ აღმსარებლობაზე დასაბრუნებლად ამავე რიგის თანმიმდევრობით გვიჩვენებს.

ქრისტიანულ აღმსარებლობაზე ახლადმოქცეული ბავშვები უარს ამბობენ წარმართი მშობლებისაგან საზრდოს მიღებაზე, აღარც სულიერი სწავლების მიღება სწადიათ მათ-

გან, მშობლებთან ერთიანობას ველარ გრძნობენ. ბავშვები „იზარდებოდეს სულისა მიერ წმიდისა, რომელიცა ნათლის-ღებასა შეიმოსეს“. მშობლები შვილებს ჰპირდებოდნენ „ყოველსა კეთილსა და სამოსელსა ჭრელსა თითო-ფერსა“<sup>1</sup>, რითაც ერთმანეთს უპირისპირდება წუთისოფლური ჭრელი სამოსი და სულიწმიდის მიერ ბოძებული სპეტაკი სამოსელი, სულიერი საზრდო, რაც ამაღლებს ადამიანის სულს და მის ფიზიკურ სხეულსაც გარდაქმნის, „სამოსელი პირველით“ (ლ. 15, 22) შემოსავს მას. ჭრელი სამოსელი ამქვეყნიურ, მრავალფერი საცდურით სავსე წუთისოფლურობას გამოხატავს, რაც ბიბლიურ-ევანგელური და პატრისტიკული ლიტერატურის სწავლებებითაა მოტივირებული. გავიხსენოთ ბიბლიური იოსების მამის მიერ ნაჩუქარი ჭრელი სამოსელი, რომელიც საფრთხე გაუხდა მას და მისით თავმოწონებამ ჯერ ძმების მიერ სასიკვდილოდ გაწირული აღმოჩნდა, ხოლო ერთ-ერთი ძმის, იუდას, დაჟინებული ინიციატივით სიცოცხლემენარჩუნებული შემდეგში ეგვიპტის ფარაონის ტყვედ აქცია. ეს ის იუდაა, რომლის ჩამომავლები ისრაელის მეფეები გახდნენ. ამასვე ადასტურებს წმინდა გიორგის ხატებზე გველშაპის ჭრელად წარმოდგენა ან დიოკლეტიანეს გამოსახვაც ჭრელი სამოსლით. „წამების“ ჟანრის თხზულებათა კანონიკა, იკონოგრაფია და სახისმეტყველება მოითხოვს, რომ მომავალი მოწამე მოსალოდნელი სიკვდილით შეაშინონ ან ძვირფასი საჩუქრებით გადაიბირონ. „კოლაელთა წამებაშიც“ ასე ხდება, ბავშვებს სცემენ და ჰგონიათ, რომ შეაშინებენ, საჩუქრებით მათ მოხიბვლასაც ცდილობენ, მაგრამ ბავშვები ურყევნი არიან.

---

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 185.

შვილების საქციელით აღშფოთებულ და გონდაკარგულ მშობელთა მიერ მთავრის წინაშე შვილების მისამართით წარმოთქმული სიტყვები სრულყოფილად წარმოაჩენენ მათ შინაგან სამყაროს: „ბრძანე და მოვედ ჩუენ თანა და ქვითა განვტუნნეთ ივინი, რადთა არა სხუანი ჰბადდენ და ქრისტეანე იქმნენ“<sup>1</sup>. საკვირველია, რომ ამგვარ სიტყვებს მშობლები წარმოთქვამენ, ეს არაა შვილების მოყვარულ მშობელთა სიტყვები. მოწამე ბავშვების მშობლებს, ცხადია, თავისებურად უყვართ შვილები, მაგრამ მათთვის სიახლე მიუღებელია, თუნდაც ამ სიახლის დათრგუნვას შვილების სიცოცხლე შესწირონ.

მხეცქმნილ მშობლებს შვილები დასახოცად ისე მიჰყავთ იმ ადგილისაკენ, სადაც ბავშვებმა ნათელი იღეს, თითქოს ისინი მათი შვილები არც არიან: „დათხარეს ჳნარცჳ ფრიად ღრმაჲ და მოიყუანეს მშობელთა მათთა წმიდანი ივი ყრმანი და შთაყარნეს ჳნარცჳსა“<sup>2</sup>. ამ სიტყვებით ავტორის პოზიციაა გამოკვეთილი, რომ ბავშვები დასასჯელად წმინდა კრავებივით დასაკლავად მიჰყავთ და აქ მკითხველისა თუ მსმენელის გონებასა თუ სულში მშობლების საქციელის სამართლიანობის შეგრძნება არ მკვიდრდება. ბიბლიური სახის-მეტყველებით განსაკუთრებით დატვირთულია ის ეპიზოდი, რომელშიც ჰაგიოგრაფმა თავისი სათქმელი არაჩვეულებრივი შედარებებით გამოხატა: „გუელთა და იქედნეთა, ასპიბთა და მკეცთა იციან წყალობაჲ შვილთაჲ, ხოლო ამათ უსჯულოთა

---

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 185.

<sup>2</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 185.

არა ყვეს წყალობად შევილთა მათათჳს“<sup>1</sup>. ამ ეპიზოდის ასახვისას მწერალი თავის დამოკიდებულებას გვამცნობს, რეალისტურად, მძაფრად ამბობს სათქმელს, რაც მკითხველსა თუ მსმენელზე ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს; მეტად საგულისხმოა ორმოში ჩაყრილი ბავშვების განწყობა: არანაირი ყოყმანი, არანაირი შიში! მხოლოდ ქრისტეს რწმენა და სიყვარული, რასაც მათი უკანასკნელი სიტყვები მოწმობს: „ჩუენ ქრისტეანენი ვართ და მისთვისცა მოვსწყდებით და მოვკუდებით, რომლის მიმართ ნათელ ვილეთ“<sup>2</sup>. ამით ბავშვების შინაგანი ბუნების სიძლიერე და ღრმა სულიერობა მჟღავნდება; ბავშვებს არც კი ესმით, ბოლომდე ვერც აცნობიერებენ, რატომ სჯიან მშობლები ასე სასტიკად, შეიძლება, სიკვდილის არსიც არ აქვთ ბოლომდე შეგნებული//შეცნობილი, ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბოლომდე არც სჯერათ, მშობლები სასიკვდილოდ თუ გაიმეტებენ. ცხადია, მათ უყვართ თავიანთი მშობლები, მაგრამ ახალ, სულიერ, ნათელ, ქრისტიანულ სამყაროზე უარის თქმა არ შეუძლიათ, რადგან მათ უკვე იციან, რომ სულიერი ზეალსვლა მათგან მსხვერპლს მოითხოვს. ისინი გრძნობენ, რომ ქრისტიანობიდან განდრეკისა და უარყოფის გამო ზესთასოფელში დაისჯებიან. ავტორმა სულ ორიოდვე წინადადებით სიღრმისეულად გადაგვიშალა ბავშვების შინაგანი სამყარო. მისი საუბარი მოკლეა, მაგრამ მრავლის დამტევი, როდესაც მშობელთა სისასტიკეს აღწერს: „მაშინ უღმრთოთა მათ მშობელთა მათთა განუხეთქნეს თავნი

---

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 185.

<sup>2</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 185.

მათნი და განტუნნეს ივინი“<sup>1</sup>. ეპიზოდი სახარებისეული იგავითაა მოტივირებული და ახსნილი: „მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდიდ და მამამან შვილი; და აღდგენ მამა-დედანი შვილთა მათთა ზედა და მოჰკლვიდენ მათ“ (მათე, 10, 21; მარკ. 13, 12).

ძველში ნათქვამია, რომ „სრულ იქმნა წამებაჲ მათი და შეირაცხნეს ივინი პირველთა მათ მოწამეთა თანა“, რომ ისინი იხარებენ „წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომელსა შუენის დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამჴნ“<sup>2</sup>. წამებულმა ბავშვებმა საღვთო ცხოვრების გზის დაწყებით ზესთასოფელი დაიმკვიდრეს, მათ ამქვეყნიური ცხოვრების გემოდსხილვით სასუფეველი მოიპოვეს. „წმ. ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამებაში“ შვიდა-ცხრა წლის ასაკის ბავშვები თავიანთი ძლიერი ნებისა და ქრისტეანობისადმი რწმენის სიმტკიცით, ოჯახისა და ნათესავების დათმობით, ზეციური მოქალაქობის მოპოვების გზას დაადგნენ.

თხზულებაში წარმოსახული სულიერი მოძღვრის სახე, რომელმაც ბავშვები მონათლა, მკრთალია, მაგრამ მნიშვნელოვანი. სოფელში მცხოვრებმა წარმართებმა სისასტიკე გამოიჩინეს, როდესაც ხუცესის სახლ-კარი იავარყვეს, ხოლო თვითონ მღვდელი ლამის სიკვდილამდე მიიყვანეს და ბოლოს სოფლიდან გააძევეს. ესეც მოწმობს, რომ ამ დროს სასულიერო წოდება ძლიერი არ არის, მისი უფლებები შეზღუდულია.

ავტორი, სხვა ჰაგიოგრაფებისაგან განსხვავებით, რელიგიურ პოლემიკას არ ეხება, კერპთაყვანისმცემლობის ავკარგ-

---

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 185.

<sup>2</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 185.

ზე არ საუბრობს, თუმცა, მისი პოზიცია გამოკვეთილია და ჭეშმარიტ ქრისტიანად გვევლინება. მას მშობლის გრძნობებზე, საქციელზე უფრო გადააქვს ყურადღება; იგი საგანგებოდ არჩევს სიტყვებს, რომ წარმართებთან ურთიერთობა არ გაამწვავოს, თუმცა უნდა, რომ აღწერილით წარმართი მშობლები მიახვედროს, თუ რა საზარელია მათი საქციელი. ჰაგიოგრაფი დახვეწილი მწერალია, მხატვრული სიტყვის კარგი მცოდნე, რომელიც სათქმელის გამოსახატავად სიტყვებს ზუსტად არჩევს, ხოლო პერსონაჟთა განწყობილებებს რეალისტის თვალთ წარმოაჩენს. „წმ. ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამება“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების ადრეულ ეტაპს ასახავს, რამაც წამებული ბავშვების სულიერი მომავალი განსაზღვრა.

### **დამოწმებანი:**

კეკელიძე, 1960: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960.

კუჭუხიძე, 2003: გ. კუჭუხიძე, „წმ. ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამება“, „წამება დავითისა და ტირიჭანისა“. ლიტერატურული ძიებანი, XXIV, თბილისი, 2003.

მარი, 1903: Н. Я. Марр, Мученичество девяти отроков колайцев, Тексты и разыскания по армянско-грузинской филологии, V, Санкт-Петербург, 1903.

მეტრეველი, 2008: ს. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის იკონოგრაფიული სახისმეტყველება, თბილისი, 2008.

სულხან-საბა ორბელიანი, 1959: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, თბილისი, 1959.



ყუბანიშვილი, 1946: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1946.

ჩოლოყაშვილი, 2003: ბ. ჩოლოყაშვილი, უძველესი ქართული მარტივლოგიური თხზულება, თბილისი, 2003.

ძეგლები, 1963/1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963-1964.

ჯავახიშვილი, 1977: ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ. VIII, თბილისი, 1977.

*Nestan Sulava*

*Samtskhe-Javakheti State University*

**IMAGINARY FACES IN «MATYRDOM OF NINE  
BROTHERS FROM KOLA»  
RESUME**

The article has concrete aim, to define the literary value of the story, because this problem with the author and date of the story in literary society became very important. Some scholars did not consider this story as a valuable one with its literary tradition. It is true that the story is not rich with fictions, but each word has the orthodox meaning which means the story is valuable one according to its literary meaning.

Brothers from Kola were the children of pagan parents and they became the children of the God. They were allowed to enter the house of the God, parent though that the souls of their childrens were polished with Christianity. Children liked new

religion and feeling encouraged with new thoughts there were streaming to become Christian. In the story «Matyrdom of Brothers from Kola» is given the fact of the innocent soul of the children. Children from Kola left the pagan world and they were Christianed and became the member of angels group.

The author whose aim was not to write the fiction the same time gave the contrast of spiritual and physical worlds. The authors gave the sample of warm and love which is living in spiritual life and with the contrast of the the physical life is cold and without love. Childeren were so brave they did not have any feeling of fear and it is the sample of spiritual readiness. There were ready to sacrifice. The choose the spiritual life against physical being. The author gave the full scene of spiritua feelings of the children, their character. His speech is short but full of meaning when he describes the scene of curelty of parents. He called the parent godless ones, who beat their children and broke their heads. Martyr children showed spiritual solidity and the gain the life in heaven.

Authos did not give any polemics regarding religion like other hagiographical authors did in that time. He did not tell anything about pagan religion but his position is clear and he looks like Christian without any doubt. He looks more after parents feelings, their actions, he choose the words carefully and trying to show good lesson to them how strict they are. He is really good writer, having great knowledge of fiction, and to empress his feeling he uses terms and words from the Bible. He is realistic when makes characters. «Matyrdom of Children from Kola» one of the most important story where the history of seven-eight years children martyr is given. It is the story of the children whose willing was to become the citizens of heaven by powerful spirit, by fighting against their parents wish and courage.

*მერაბ კალანდაძე*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*  
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**სიმონ ავალიანი და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის  
საკითხები**

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და შეეხება ცნობილი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსის, ეკონომისტის, სოციოლოგის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის სიმონ ავალიანის (1881-1922) წვლილს მსოფლიო ისტორიის, სახელდობრ, დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში. ამ კუთხით ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით მასზე შევჩერებულებავით და ორიოდე სიტყვა გვეთქვა. ამას აქვს მნიშვნელობა. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ადეკვატურად წარმოვაჩინოთ ამ სფეროში მისი წვლილი.

პროფ. სიმონ ავალიანმა თავისი სიტყვა თქვა არა მართო მსოფლიო ისტორიის სწავლების, არამედ პოპულარიზაციის საქმეში. ამის გვერდის ავლა, წაყრუება, ამ სფეროში მისი მოღვაწეობის შესახებ ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

კომუნისტური იდეოლოგიის ძალისხმევით, პროფ. სიმონ ავალიანის ღვაწლი მსოფლიო ისტორიის, სახელდობრ, ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში, ჩრდილში მოექცა და ფაქტობრივად დავიწყებას მიეცა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მას ისეთი იმიჯი ჩამოუყალიბდა, თითქოსდა ამ

დარგში მისი დამსახურება მსოფლიო ისტორიის სწავლით შემოიფარგლებოდა. სინამდვილეში ცოტა სხვაგვარად იყო და მისი დამსახურება ამ დარგში მარტო მსოფლიო ისტორიის სწავლებით არ ამოიწურებოდა. „მას არ აქვს მეცნიერული გამოკვლევები დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის სფეროში, ამდენად მისი დამსახურება შემოიფარგლება იმით, რომ იგი პირველი ლექტორია თბილისის უნივერსიტეტში, რომელმაც წაიკითხა ლექციები ამ დისციპლინაში“<sup>1</sup>. პროფ. სიმონ ავალიანს თბილისის უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის პირველ ლექტორად ასახელებდა პროფ. გივი კილურაძე. „მსოფლიო ისტორიის კურსის პირველი ლექტორი უნივერსიტეტში არაჩვეულებრივი განათლებული პიროვნება, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ეკონომისტი და სოციოლოგი ბატონი სიმონ ავალიანი იყო“<sup>2</sup>. ამიტომ, ვფიქრობთ, დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ალ. ნამორაძის მოსაზრება, თითქოსდა „ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში გრ. ნათაძემ პირველმა წაიკითხა მსოფლიო ისტორიის კურსი და სათანადო გეზი და მიმართულება მისცა მომავალ ლექტორთა მუშაობას“<sup>3</sup>. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვაკნინებთ პროფ. გრ. ნათაძის ღვაწლს ამ დარგის განვითარების საქმეში და ამაში პროფ. ალექსანდრე ნამორაძე სავსებით მართალი იყო, მაგრამ, ეტყობა, მას უნებლიეთ გამორჩა მხედველობიდან სიმონ ავალიანის წვლილი. მსოფლიო ისტორიის პირველი ლექტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სწორედ, ის

---

<sup>1</sup> ლ. ფირცხალავა, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, კრებული, მიძღვნილი გივი კილურაძის ხსოვნისადმი, თბ., 1998, 9.

<sup>2</sup> გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი 1 თბ., 1970, 363.

<sup>3</sup> ალ. ნამორაძე, პროფესორი გრიგოლ იასონის-ძე ნათაძე, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77. თბ., 1959, 366.

ბრძანდებოდა<sup>1</sup>. მართალია, სიმონ ავალიანს დასავლეთ ევროპის ისტორიაში გამოკვლევები არ დაუწერია, მაგრამ ერთი კარგი საქმის გაკეთება მაინც მოასწრო. ამის გათვალისწინებას აქვს მნიშვნელობა და ამ დარგში მის წვლილზე უფრო სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას შეგვიქმნიდა. სინამდვილეში მან გააკეთა არა ერთი, არამედ ორი კარგი საქმე. თავისი წვლილი შეიტანა, არამარტო მსოფლიო ისტორიის მეცნიერული სწავლების, არამედ პოპულარიზაციის საქმეში. მისი ჩართულობა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. არსებითად, ეს იყო მეორე კარგი საქმე, რომელიც სიმონ ავალიანის სახელს უკავშირდება და რომელსაც საბჭოთა პერიოდში მივიწყების ბინდი გადაეფარა. ჩვენ შევეცადეთ გაგვესწორობინა ეს ხარვეზი და ამ თემაზე საგანგებო ყურადღება გაგვემახვილებინა.

პროფ. სიმონ ავალიანის სახით საქმე გვაქვს პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან საქართველოში. მან თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი ჩართულობა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოს მომზადების პროცესში. მან დაწერა მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო ორ ნაწილად. „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII საუკუნეები)“ და „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XIX-XX საუკუნეები)“. პრაქტიკულად, ეს არის ახალი ისტორიის სახელმძღვანელო. დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის

---

<sup>1</sup> თ. ანთაძე. მ. კალანდაძე, ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014, 8.

პოპულარიზაციის საქმეში მისი დამსახურება, სწორედ, ამაში მდგომარეობდა.

\*\*\*\*\*

რა თქმა უნდა, სიმონ ავალიანის ეს სახელმძღვანელო დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიისგან განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ეს მარტივი, მიაშიტური, მსჯელობა ღიმილს იწვევს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მთავარი. დღევანდელი გადასახედიდან ამ სახელმძღვანელოს განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველ მკითხველს, პირველ რიგში მოსწავლეებს, ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა. ს. ავალიანის ახალი ისტორიის სახელმძღვანელო იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია და იმჟამინდელი ქართული სინამდვილის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ეს სახელმძღვანელო ქართულ რეალობაში არსებული ვაკუუმის შევსების ერთ-ერთ მცდელობად გვევლინება. ის, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში.

ს. ავალიანის სახელმძღვანელო „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“ წარმოადგენს ერთ წიგნს, რომელიც ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველი ნაწილში საუბარია მსოფლიო ისტორიის რენესანსისა და რეფორმაციიდან – ნაპოლეონის დაცემამდე 1815 წელს, ხოლო მეორე კი ეხება XIX და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიას. საქმე გვაქვს ახალი ისტორიის ორ მონაკვეთად გაყოფასთან. ამგვარი დამოკი-

დებულება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და მნიშვნელოვანწილად, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ავტორის შეხედულებით, XIX საუკუნის ისტორია იწყება ნაპოლეონის დაცემით 1815 წელს. აქ წამოიჭრება ერთი ფრიად საინტერესო და აქტუალური საკითხი. XIX საუკუნის ისტორიის პერიოდიზაცია. საიდან უნდა დავიწყოთ XIX საუკუნის ისტორია? აღნიშნული თემაზე ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. რამდენად მართლზომიერი იქნებოდა XIX საუკუნის ისტორიის დაწყება 1815 წელს? საკითხის ამგვარ გადაჭრას აქვს მოქალაქეობის უფლება და თავისი მომხრეები ყავს, მაგრამ საკამათოდ მიგვაჩნია. აქ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ნაპოლეონის დაცემით 1815 წელს XIX საუკუნის ისტორიის დაწყება ცოტათი დაგვიანებული ხომ არ ჩანს? ჩვენ მიგვაჩნია, რომ XIX საუკუნის ისტორიის დაწყება, ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისით, 1789 წელს.

რადგან სიტყვა პერიოდიზაცია ჩამოვარდა, შევვებით ისტორიის პერიოდიზაციის საკითხს. ახალი ისტორიის პერიოდიზაცია სიმონ ავალიანის სახელმძღვანელოს ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. საიდან უნდა დავიწყოთ ახალი ისტორია? ავტორის აზრით, შუა საუკუნეებსა და ახალ დროს შორის მიჯნად გვევლინება XV საუკუნის მიწურული და XVI საუკუნის დასაწყისი, კონკრეტულად კი, რენესანსი და რეფორმაცია.<sup>1</sup> ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ძირითადად იმით აიხსნება, რომ ის უპირატესობას ანიჭებდა ახალი იდეის აღმოცენებას. ეს თვალსაზრისი გავრცელებული იყო ლიბერალურ ისტორიოგრაფიაში და ბევრი მომხრეები ყავდა მაშინაც და ახლაც. ეს არის ახალი

---

<sup>1</sup> ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII სს.), ტფ., 1920.

ისტორიის ერთ-ერთი სწორი პერიოდიზაცია. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე. ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა არა ორმაგი თარიღი, რენესანსი და რეფორმაცია, არამედ ერთი რეფორმაცია. მოდით, ნუ გავართულებთ საქმეს. ჩვენ პირადად ამ საკითხზე სრულიად განსხვავებული მოსაზრება გავაჩნია და ახალი ისტორიის დასაწყისად სულ სხვა ისტორიული მოვლენა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები მიგვაჩნია.<sup>1</sup> აქ კამათი, პრინციპული ხასიათს არ ატარებს და მხოლოდ დეტალებს შეეხება.

როდის მთავრდება ახალი ისტორია და იწყება უახლესი ისტორია? ს. ავალიანის სახელმძღვანელოში ახალი ისტორია სრულდება 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებით. XX საუკუნის დასაწყისი გარდამავალ ხანასთან ასოცირდება. ახალი ისტორია მთავრდება და უახლესი ისტორია იწყება. XX საუკუნის დასაწყისის გადასახედიდან ასეთი მიდგომა სავსებით გამართლებული ჩანდა. ს. ავალიანი ახალი ისტორიის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს მოიაზრებს რენესანსიდან და რეფორმაციიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, 1914 წელს. ეს არის ახალი ისტორიის პერიოდიზაციის ერთ-ერთი სწორი მოდელი<sup>2</sup>.

პროფ. სიმონ ავალიანის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი ხუთი მონაკვეთისგან შედგება: რენესანსი, რეფორმაცია, აბსოლუტიზმის ხანა, განათლებული აბსოლუტიზმის

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაციის მაცნე, ისტორიის სერია, №2 1992. კ. ანთაძე, კ. მეშველიანი, მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის - „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, №1, 1992, М. Каландадзе, Грузинские школьные учебники по новой истории - Преподавание истории в Школе №7 1994.

<sup>2</sup> მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007, 52-54.



ხანა და რევოლუცია. არსებითად, ეს არის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი.

სახელმძღვანელოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალი ისტორიის თხრობა იწყება რენესანსიდან<sup>1</sup>. ამ უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენით ახალი ისტორიის დაწყება, ჩვენი აზრით, ნაადრევი უნდა ჩანდეს. ალბათ, უფრო მიზანშეწონილი იქნება ამ თემით დაგვესრულებინა შუა საუკუნეების ისტორია, ხოლო ახალი ისტორია დაგვეწყო რეფორმაციით. ასე უფრო ლოგიკური უნდა ჩანდეს.

ევროპაში რეფორმაციის ისტორიის გაშუქება სახელმძღვანელოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგვაჩნია. განხილულია მარტინ ლუთერის, ჟან კალვინის, ულდრაიხ ცვინგლის მოძღვრება. ხაზგასმულია, რომ ახალი იდეების გავრცელება სულაც არ ატარებდა ლოკალურ ხასიათს და ის თითქმის მთელ ევროპას მოედო. მას კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული რეფორმაციის ისტორიული მნიშვნელობა და ახალი იდეების გავრცელებაში ხელავედდა ახალი დროის ისტორიის დასაწყისს, ის იდეების განვითარებას ანიჭებდა უპირატესობას.

სახელმძღვანელოში ეს მონაკვეთი ორ ნაწილადაა გაყოფილი. თუ პირველი ნაწილში საუბარია რეფორმაციაზე, მეორეში ადგილი ეთმობა კონტრრეფორმაციას. ამგვარი ნაბიჯი სავსებით ლოგიკური და გამართლებული ჩანდა. ხაზგასმულია, რომ აღმოსავლეთ ევროპაში კათოლიციზმის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა პოლონეთი. ამ რეგიონში ესპანელი ჰაბსბურგების მთავარი მოკავშირე, სწორედ, პოლონეთია. საუბარია რეფორმაციას და კონტრრეფორმაციას შორის ბრძოლაზე ინგლისში. ელისაბედისა და მერი სტი-

---

<sup>1</sup> ს. ავალიანის, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII სს.), 3-38.

უარტს შორის დაპირისპირებაზე, უძლეველი არმადის განადგურებაზე, ოცდაათწლიან ომზე, პაპობაზე, იეზუიტთა ორდენზე.<sup>1</sup> ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე: ვფიქრობთ, გაცილებით მეტი უნდა თქმულიყო და მკაფიოდ, ხაზგასმით უნდა აღნიშნულიყო კონტრეფორმაციის საქმეში ესპანეთის როლი. კონტრეფორმაციის ბასტიონად, სწორედ, ესპანეთი მოგვევლინა.<sup>2</sup> მეორე მოსაზრება ნიდერლანდების განდგომის ისტორიის გადმოცემას შეეხება. მან გარკვეული უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა. სახელმძღვანელოში აღნიშნული საკითხი განხილულია მშრალად, ზოგადად, და არსებითად ფაქტის კონსტანტირებას წარმოადგენს. მას სულ რამდენიმე სტრიქონი აქვს დათმობილი.<sup>3</sup> რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, რამდენად გვიქმნის თხრობის ეს ფორმა ნიდერლანდების განდგომის ისტორიულ მნიშვნელობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას, ძნელი სათქმელია. ნებსით თუ უნებლიეთ ხომ არ ვაკნინებთ ნიდერლანდის განდგომის ისტორიულ მნიშვნელობას? სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ რეფორმაციას და კონტრეფორმაციას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების დროს. ს. ავალიანის სიმპათიები მთლიანად უფრო პროგრესული საწყისის რეფორმაციის ბანაკისაკენ იხრება. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად გვევლინება.

---

<sup>1</sup> ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII სს.), 60-75.

<sup>2</sup> ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII სს.), 66-67.

<sup>3</sup> ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII სს.), 67.

ამ მონაკვეთის დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით დამთავრება დამაჯერებლად არ მიგვაჩნია, სახელმძღვანელოში ამ თემისადმი განკუთვნილ ადგილს საკითხის ოპტიმალური გადაწყვეტა ძნელია უწოდო. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიული მნიშვნელობა მან უფრო დაბლა დააყენა, ვიდრე რენესანსი და რეფორმაცია. საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, შემთხვევით არ ყოფილა და მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ის უპირატესობას ანიჭებდა ახალი იდეების აღმოცენებას. ჩვენი აზრით, სახელმძღვანელოში დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიული მნიშვნელობა დაკნინებულია, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის აქტიურობის ქუსლად მიგვაჩნია.<sup>1</sup>

ს. ავალიანის სახელმძღვანელოს შემდეგი მონაკვეთი ეხება აბსოლუტიზმის ხანას. აქ, ბუნებრივია, დიდი ყურადღება ეთმობა ფრანგულ აბსოლუტიზმს. ლუი XIII, კარდინალ რიშელიეს, ლუი XIV პოლიტიკას. ეს ასეც უნდა იყოს და ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. ზოგიერთი საკითხის შემდეგი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ფრანგული აბსოლუტიზმის აღმოცენების პოლიტიკური მოტივები მას საკმაოდ კარგად უნდა ჰქონდეს გაცხადებული, ხოლო ეკონომიკური ფაქტორები წარმოჩენილია გაცილებით უფრო მკრთალად, სუსტად. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად იგნორირებულია. ჩვენი აზრით, სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის მთავარ სისუსტედ ინგლისის რევოლუციისადმი ს. ავალიანის დამოკიდებულება შეიძლება მივიჩნიოთ. ეს ეხება არა ინგლისის რევოლუციის გაშუქების შინაარსს, არამედ მისთვის სახელმძღვანელოში მიჩნეულ ადგილს. საქმე ეხება

---

<sup>1</sup> ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII სს.), 76-81.

აბსოლუტიზმის ხანაში მის განხილვას. მართალია, რევოლუცია სტიუარტთა აბსოლუტიზმის კრიზისის შედეგი იყო, მაგრამ ეს სულ სხვა თემაა და აბსოლუტიზმის ეპოქაში მისთვის ადგილის მიჩენა დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს. რამდენად იყო საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ოპტიმალური ვარიანტი, ვერ გეტყვით.

სახელმძღვანელოს მეოთხე ნაწილში განხილულია განათლებული აბსოლუტიზმის ხანა. ფაქტობრივად, ეს არის XVIII საუკუნის ევროპის ისტორია. აქ საუბარია რეფორმებზე, რომელიც გამსჭვალულია განათლებული აბსოლუტიზმის სულისკვეთებით. ამ ნოვაციებისადმი მისი დადებითი დამოკიდებულება საკვებით მისაღებია და მისი მსჯელობის ძლიერი მხარეა. ამგვარი მიდგომა, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მისი მიზეზები, უწინარესად, მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ის უმთავრესად პროგრესული-ბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული, მაგრამ მათი მნიშვნელობის გაზვიადება, რაც შეიძლება სახელმძღვანელოში შეინიშნებოდეს, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. აქ საუბარია იოსებ II რეფორმებზე. ავსტრიაში, პრუსიის მონარქ ფრიდრიხ II. ინგლისზე XVIII საუკუნეში. ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, რომელიც განხილულია XVIII საუკუნის ინგლისის ისტორიაში, ვინაიდან ის იმ დროისთვის ინგლისის კოლონია იყო.<sup>1</sup> რამდენად მართლზომიერი იყო საკითხის ამგვარი გადაწყვეტა? დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ხომ არ ჩაიკარგა XVIII საუკუნის ინგლისის ისტორიაში? ხომ არ ვუკარგავთ მას თავის თვითმყოფადობას? რამდენად გაიცნობიერებენ მოწაფეები მის ისტორიულ მნიშვნელობას? და ბო-

---

<sup>1</sup> ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII სს.), 151-154.

ლოს წამოიჭრება კიდევ ერთი საკითხი. რამდენად მარტლ-ზომიერი იქნებოდა XVIII საუკუნის ისტორია დაგვესრულებინა ნაპოლეონის დაცემით 1815 წელს? ასეთ მიდგომას ჰყავს თავისი მომხრეები, მათ შორის არის პროფ. ს. ავალიანი, მაგრამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს და ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას არ წარმოადგენს.

სახელმძღვანელოში ერთ-ერთი საუკეთესოდ მიგვაჩნია საფრანგეთის დიდი რევოლუციის განხილვა. სავსებით მარტლ-ზომიერი უნდა იყოს, რომ სახელმძღვანელოში ამ თემის გაშუქებას საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი და დეტალურად, დაწვრილებით, არის განხილული<sup>1</sup>. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამ თემას ზედმეტი ყურადღება მიექცა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა. ეს ყურადღება ლოგიკურად გამომდინარეობდა ამ პრობლემის ისტორიული მნიშვნელობიდან და სავსებით გამართლებული უნდა ჩანდეს.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა „ძველ რეჟიმს“. საფრანგეთი XVIII საუკუნეში. ლუი XV (1715-1774) და ლუი XVI (1774-1793) მართველობას. რეფორმებს, ტიურგოს და ნეკერის მოღვაწეობას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის რევოლუცია სპონტანურად არ წარმოშობილა, როგორც ამას ხშირად ამტკიცებდნენ და კანონზომიერი მოვლენა იყო. ლოგიკურად გამომდინარეობდა ძველი რეჟიმიდან. ეს სწორი მიდგომა უნდა იყოს.

აქ წამოიჭრება კიდევ ერთი საინტერესო საკითხი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია. აღნიშნულ თემაზე ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს

---

<sup>1</sup> ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII სს.), 159-193.

და გამოთქმულია დიამეტრულად საპირისპირო მოსაზრებები. სახელმძღვანელოში ამ საკითხის განხილვა სავალდებულო არ იყო, მაგრამ არსებობს დიდი ალბათობა, რომ ამ თემისადმი მისი მიდგომა ასეთი შეიძლება ყოფილიყო. ს. ავალიანი საფრანგეთის რევოლუციის ეპოქად შეიძლება მოიაზრებდა 1789-1815 წლებს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ხანას. საკითხებისადმი ამგვარ მიდგომას გააჩნია მოქალაქეობის უფლება და ძალიან ბევრი მომხრეები ყავდა, როგორც მაშინ, ისე ახლა. ეს იყო საკითხისადმი ერთ-ერთი სწორი მიდგომა, რომელიც საფრანგეთის რევოლუციაზე მისი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ხედვა არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას. არსებობს სხვა მოსაზრებებიც. საფრანგეთის დიდ რევოლუციას და ნაპოლეონის ხანას შორის გენეტიკური კავშირი, უეჭველად, არსებობს, მაგრამ ნაპოლეონის მმართველობის რევოლუციის ხანად გამოცხადება, ალბათ, მაინც დიდ საფრთხეს მოითხოვს. რუსი ისტორიკოსი ვ. კლუჩევსკის თქმით, „ნაპოლეონი საფრანგეთის რევოლუციის რეაქციულ ეპილოგში მოხარხარე მეფისტოფილის როლს ასრულებდა“. ჩვენ უფრო ამ აზრისკენ ვიხრებით, რომ, ალბათ, უფრო უპრიანი იქნება რევოლუციის ეპოქად მივიჩნიოთ 1789-1799 წლები.

სახელმძღვანელოში საუბარია რევოლუციის დასაწყისზე, გენერალური შტატების მოწვევაზე, ბასტილიის აღებაზე, დამფუძნებელი კრების საქმიანობაზე, 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებაზე, მონარქიის გაუქმებაზე, ჟირონდისტებზე და მონტანიარებზე, კონვენტის კანონმდებლობაზე, დირექტორიაზე, რევოლუციურ ომებზე. ამ თემაზე ყურადღების გამახვილება მართო მისი მნიშვნელობით არ იყო განპირობებული. მასზე აქცენტის გაკეთება, ცხადია, შემთხვევით არ

ყოფილა და მასში სუვერენულ საქართველოში რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში არსებული პატრიოტული განწყობილების ანარეკლი უნდა დავინახოთ. ეს იყო ქართული ინტელიგენციის სურვილი, რომ საქართველოს გარეშე მტერი ისეთივე წარმატებით მოეგერიებინა, როგორც ეს გააკეთა საფრანგეთმა დიდი რევოლუციის დროს.

სახელმძღვანელოში ამ თემაზე მსჯელობის მთავარი ღირსება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ის ქართველი მკითხველს, პირველ რიგში კი, მოსწავლეებს კარგად დააკვალიანებს და საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნაში დაეხმარება. მთავარი ეს უნდა იყოს. ამ კულტურტრეგერულ მისიას მან, შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის შეფასების დროს პროფ. სიმონ ავალიანი უპირატესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე აკეთებს აქცენტს. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება, რომ ის მიესალმება რევოლუციის დასაწყისს, მის პირველ ეტაპს, კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას, 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებას, ჟირონდისტების საქმიანობას. რევოლუციის შემდგომი მსვლელობით გამოწვეული უკმაყოფილება, უმთავრესად, იმითაა განპირობებული, რომ ის გასცდა მისთვის სასურველ ჩარჩოებს და მეტი აღარ შეესატყვისება მის პოლიტიკურ იდეალს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მისი დამოკიდებულება იაკობინთა დიქტატურისადმი. ზოგიერთი საკითხის შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია რევოლუციის პერიოდიზაცია. ის ქრონოლოგიურად მოიცავს ნაპოლეონის პერიოდსაც 1789-1815 წლები. ნაპოლეონის ეპოქის რევოლუციის გაგრძელებად გამოცხადება, როგორც ამას ფიქრობენ

ბევრნი და, მათ შორის, ეტყობა, ჩვენი ავტორიც, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. რევოლუციის ისტორიის თხრობის დროს აქცენტი კეთდება პოლიტიკურ ისტორიაზე, ხოლო რევოლუციის სხვა ასპექტები, უწინარესად კი, მისი ეკონომიკური მხარე შედარებით ჩრდილში აღმოჩნდა, ფაქტობრივად უგულებელყოფილია, გაზვიადებულია 1789 წლის 4-11 აგვისტოს დეკრეტების ისტორიული მნიშვნელობა. ზოგიერთ შემთხვევაში აშკარად ჭარბობს ვარდისფერები. ასეთად გვეჩვენება მირაბოს და კარნოსადმი სიმპათიები. ზოგჯერ კი, პირიქით, მუქ ფერებს ენიჭება პრიორიტეტობა. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ იაკობინთა საქმიანობისადმი ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური დამოკიდებულება სწორხაზოვნად მიგვაჩნია. საჭიროა უფრო დიფერენცირებული, დაბალანსებული, მიდგომა, სადაც თავისი ადგილი ექნება შუქს და ჩრდილს.

ამის შემდეგ უკვე წიგნში საუბარია ნაპოლეონის მმართველობაზე. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს იყო რევოლუციის ეპოქის გაგრძელება. მეორენი მიიჩნევენ, რომ რევოლუციის ხანის გაგრძელება იყო მხოლოდ კონსულობის პერიოდი, იმპერია კი არა. მესამენი კი უფრო იმ აზრისკენ იხრებიან, რომ ნაპოლეონის ხანა არ შეიძლება მოვიაზროთ, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდი. ეს ყველაზე უფრო სწორი მიდგომა შეიძლება იყოს.

სახელმძღვანელოში საუბარია შემდეგ თემებზე: ნაპოლეონის ახალგაზრდობა და 18 ბრიუმერის გადატრიალება, ნაპოლეონის შინაგანი პოლიტიკა, ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა, ეროვნული მოძრაობა ნაპოლეონის წინააღმდეგ, ნაპოლეონის დაცემა. ამით მთავრდება ს. ავალიანის სახელმძღვანელოს პირველი წიგნი. ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებითი მხარედ გვევლინება ნაპოლეონის კანონშემოქმედებით



საქმიანობაზე ყურადღების გამახვილება. ნაპოლეონის ეკონომიკური პოლიტიკის გარჩევა. კონტინენტური ბლოკადა. ნაპოლეონი იყო მერკანტილისტური პოლიტიკის მომხრე და პროტექციონისტურ კურსს ატარებდა. ის გამოხატავს ნაპოლეონის მისწრაფებას მსოფლიო ბატონობისაკენ და შეეხება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას ნაპოლეონის წინააღმდეგ. სასურველი იყო უფრო ვრცლად ყოფილიყო წარმოჩენილი ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა.

მეორე წიგნი იწყება 1815 წლიდან და ორ ნაწილად გაყოფილი. რეაქცია და ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის მეორე ნახევარი. ეს მონაკვეთი იდეების ისტორიის და პოლიტიკური ისტორიის შერწყმის, შეხამების ერთგვარ მცდელობად გვევლინება.

თავდაპირველად განხილულია პოლიტიკური მოძღვრებები. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ლიბერალიზმს. ამის შემდეგ საუბარია ვენის კონგრესზე, საღვთო კავშირზე. შემდეგ კი თხრობა გრძელდება ქვეყანათმცოდნეობითი პრინციპებით. გერმანია ვენის კონგრესის შემდეგ, რესტავრაცია საფრანგეთში, 1830 წლის ივლისის რევოლუცია. 1848 წლის საფრანგეთის რევოლუცია, შემდეგ ის გადადის ახალ თემაზე ინგლისი XIX საუკუნის დასაწყისში, რეფორმები.

ავტორის მიხედვით, ამ მონაკვეთის შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნა ჩანს 1848 წლის რევოლუციები ევროპაში. შესაძლოა, ის აჭარბებდა ევროპაში 1848 წლის რევოლუციების ისტორიულ მნიშვნელობას, მაგრამ ასეთ დაყოფას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და მასში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ.

ამის მერე საუბარია შემდგომ თემებზე: გერმანიის გაერთიანება, იტალიის გაერთიანება. მეორე იმპერია. საფრან-

გეთ-პრუსიის ომი, ფაქტობრივად, აქ მოთხრობილია XIX საუკუნის შუა ხანების ისტორია<sup>1</sup>.

ს. ავალიანის სახელმძღვანელოს დასკვნითი ნაწილი შეეხება XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის მსოფლიო ისტორიას. აქ განხილული საკითხების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: მესამე რესპუბლიკა საფრანგეთში, ინგლისი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გერმანიის იმპერია, იტალიის მიწების გაერთიანების შემდეგ, ერთა ბრძოლა ავსტრია-უნგრეთი, აშშ XIX საუკუნეში, საერთაშორისო ურთიერთობები<sup>2</sup>. ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ძალიან მოკლედ, სულ ორიოდ სიტყვა თქმულიყო XIX საუკუნის ესპანეთზე. ამ ეპოქის ესპანეთის ისტორია საინტერესოა და მისი გვერდის ავლა, მიფუჩეჩება, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ამ თემის განხილვა მხოლოდ მომგებიან ქულებს შესძენდა სახელმძღვანელოს და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა. თუ ამ პერიოდის იტალიის ისტორია განვიხილეთ, ცუდი არ იქნებოდა ორიოდ სიტყვა ესპანეთზეც გვეთქვა, ეს უფრო თანმიმდევრული იქნებოდა.

ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს XX საუკუნის დასაწყისის ისტორიის თხრობა შედარებით ფრანგმენტურ ხასიათს ატარებდა და ძირითადად ყურადღების კონცენტრაციას ახდენდა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაზე პირველი მსოფლიო ომის წინ. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ამგვარი მიდგომა შემთხვევითი არ უნდა იყოს და, ალბათ, მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ პირველი მსოფლიო ომის წინა წლები გარდამავალ ხანასთან ასოცირდება, როდ-

---

<sup>1</sup> ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XIX-XX საუკუნეები), ტფ., 1920, 3-67.

<sup>2</sup> ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XIX-XX საუკუნეები), 67-95.

საც სრულდება ახალი ისტორია და იწყება უახლესი ისტორია. იმგვარი მიდგომა გასული საუკუნის 20-იანი წლების გადასახედიდან სავსებით გამართლებული ჩანდა.

ს. ავალიანის სახელმძღვანელოს სუსტ მხარედ მიგვაჩინია: 1. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოს საფუძვლად უდევს ევროპოცენტრისტული, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დასავლეთ ევროპოცენტრისტული მიდგომა. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება, რომ სახელმძღვანელოში არსებითად უგულვებელყოფილია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, უწინარესად, კი თურქეთისა და რუსეთის ისტორია, ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მასში კარგად მოჩანს ევროპელი, პირველ რიგში კი, რუსული ისტორიოგრაფის გავლენა. საკუთრივ დასავლეთ ევროპოცენტრისტული მიდგომის სუსტ მხარედ ესპანეთის ისტორიისადმი შედარებით გულგრილი დამოკიდებულება გვეკლინება.

2. ს. ავალიანის სახელმძღვანელოს დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს პოლიტიკური ისტორიის პრიმატობა, ხოლო სხვა მხარეები სოციალური, ეკონომიკური, კულტურის ისტორია, შედარებით სუსტად, მკრთალადაა გაშუქებული და ნაკლები ყურადღება ექცევა. ისტორიის ასეთი ხედვა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში.

3. სახელმძღვანელოში ზოგიერთი პრინციპული საკითხის გადაწყვეტა გარკვეული უკმარობის გრძნობას გვიტოვებს და შესიტყვების სურვილი გვიჩნდება. უწინარესად ასეთად გვესახება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისადმი, ნიდერლანდების განდგომის ისტორიისადმი, ინგლისის რევოლუციისადმი, დამოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლი-

სური ახალშენების ბრძოლისადმი, დამოკიდებულება, სახელ-  
დობრ, მათი ადგილი სახელმძღვანელოში. საკითხისადმი  
ამგვარ მიდგომას აქვს მოქალაქეების უფლება და მასში  
მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ. რამდენად იყო ეს საკითხის  
გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტი. აქ, ცხადია, ვგულისხ-  
მობთ იმას, რომ ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებო-  
და ამ თემების ცალკე გამოყოფა და განხილვა. ეს მოსწავ-  
ლეებს კიდევ უფრო გაუადვილებდა ამ საკითხების აღქმას.

4. სახელმძღვანელოში კარგად აისახა ისტორიის სწავ-  
ლების მეთოდის გარიჟრაჟზე შექმნილი ვითარება. მნიშვნე-  
ლოვანწილად, ალბათ, ამით აიხსნება, რომ სახელმძღვანე-  
ლოს არ აქვს მეთოდური აპარატი. შეკითხვები, რომელსაც  
მასწავლებელი დაუსვამდა მოწაფეებს. ამით მასწავლებელი  
გამოარკვევს თუ როგორ დაისწავლეს გაკვეთილი და აითვი-  
სეს ახალი მასალა. ამას აქვს მნიშვნელობა.

5. სახელმძღვანელო გადატვირთული არაა ფაქტებით.  
არ წარმოადგენს ფაქტების გროვას. ეს, ცხადია, კარგია,  
მაგრამ სახელმძღვანელოში იგრძნობა სულ სხვა უკიდურე-  
სობა. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ  
დასახელებულია ფაქტები, ხოლო მათი თარიღი მითითებული  
არაა, რაც სახელმძღვანელოში დაუშვებელია.

6. ბუნებრივია, სახელმძღვანელოში გვხვდება ისეთი სა-  
კითხები, რომელთა გადაწყვეტა ღლე უკვე მოძველებულია  
ან უკეთეს შემთხვევაში საკამათო შეიძლება იყოს. ეს ადვი-  
ლი გასაგებია. ამ ხნის განმავლობაში ისტორიული მეცნიე-  
რება ძალიან წინ წავიდა, განვითარდა. მიუხედავად ამისა  
უნდა ითქვას, რომ ამ სახელმძღვანელოს პლუსები გაცილე-  
ბით მეტი გააჩნია, ვიდრე მინუსები. მისი მნიშვნელობაც,  
სწორედ ამაში მდგომარეობს.

\*\*\*\*\*

ამრიგად, ვფიქრობ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ პროფ. სიმონ ავალიანმა თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაეწია საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება და პოპულარიზაცია. მისი ჩართულობა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. მან დაწერა სახელმძღვანელო „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVII საუკუნეები)“ და „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XIX-XX საუკუნეები)“. არსებითად, ეს გახლავთ დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც ორ ნაწილადაა გაყოფილი. საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით ეს სახელმძღვანელო დავიწყებას მიეცა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში ს. ავალიანის წვლილი ჩრდილში მოექცა შეიძლება ეს არ იყო ბევრი, მაგრამ პატარა საქმე არ გახლავთ და ამის გვერდის ავლა მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში პროფ. სიმონ ავალიანის მიერ შეტანილი წვლილის ადეკვატურ სურათს ვერ მოგვცემდა. მაშ ასე, ირკვევა, რომ პროფ. სიმონ ავალიანმა თავისი წვლილი შეიტანა არამარტო მსოფლიო ისტორიის სწავლების, მას ამ სფეროში ერთი კარგი საქმე კი არ აქვს გაკეთებული, როგორც აქამდე ეგონათ, არამედ ორი: 1. მან ჩაუყარა საფუძველი მსოფლიო ისტორიის მაღალ მეცნიერულ დონეზე სწავლებას, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის პირველი ლექტორი. 2. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის, სახელდობრ, დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის, პოპულარიზაციის საქმეში. დაწერა

„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“ ორ ნაწილად. ამ დარგში პროფ. სიმონ ავალიანის დამსახურება, ვფიქრობ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

**დამოწმებანი:**

1. ავალიანი ს., მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII სს), ტფ., 1920.
2. ავალიანი ს., მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XIX-XX საუკუნეები), ტფ., 1920.
3. ანთაძე თ., კალანდაძე მ., ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014.
4. ანთაძე კ., მეშველიანი კ., კალანდაძე მ., მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის - „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“ №1, 1992.
5. ანთაძე კ., კალანდაძე მ., მეშველიანი კ., ისტორიის პერიოდიზაციის მაცნე, ისტორიის სერია, №2 1992.
6. კალანდაძე მ., მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.
7. კილურაძე გ., ახალი ისტორია, ნაწილი 1 თბ., 1970.
8. ნამორაძე ალ., პროფესორი გრიგოლ იასონის-ძე ნათაძე, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77. თბ., 1959.
9. ფირცხალავა ლ., ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, კრებული მიძღვნილი გივი კილურაძის ხსოვნისადმი, თბ., 1998.
10. Каландадзе М., Грузинские школьные учебники по новой истории, Преподавание истории в Школе №7 1994.

*Merab Kalandadze*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**SIMON AVALIANI AND THE NEW HISTORY OF  
WESTERN EUROPE  
RESUME**

The present work is a historiographical nature and the famous scientist, historian, economist, sociologist, professor at Tbilisi State University Simon Avaliani (1881-1922) contribution to the history of the world, namely, the Western European history. In this regard, this issue has not been studied in historiography. So look back and say a few words to say goaled served on it. In this matter. This will allow us to more adequately reflect its contribution in this field.

Prof. Simon Avaliani said its not only the teaching of world history, but also the promotion. The bypass, omission, do not create a proper understanding of its activities in this field.

### **დიდი მედიევისტები**

ჩვენი საუბარი შეეხება პროფესორებს: ალექსანდრე იოსების ძე ნეუსიხინსა და მოსე მენდელის ძე სმირინს.

პატივი მქონდა, ასე საყოველთაოდ ცნობილი მედიევისტები გამეცნო ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლების დროს. მოსკოვში მიმავალს პროფ. გივი ჟორდანიამ ა.ი. ნეუსიხინთან წერილი გამატანა, სადაც თავის მასწავლებელსა და კოლეგას სთხოვდა, რომ ჩემთვის სადისერტაციო თემის შერჩევაში დახმარება გაეწია. პირველ სართულზე მდებარე მის ძველ და პატარა ბინაში, სადაც მივედი, უპირველესად წიგნების სიმრავლემ და მათმა განლაგებამ გამაკვირვა, წიგნები მეტწილად იატაკზე ელაგა ადამიანის სიმაღლის რამოდენიმე რიგად; ამ რიგებს შორის იყო ვიწრო გასასვლელი, რომლითაც პროფესორი შედიოდა თავის კაბინეტში. ამ გასასვლელით ვისარგებლე მეც, როცა მასთან კაბინეტში შევედი და მის წინ სკამზე მოკვალათდი. მისვლისთანავე გადავეცი ბატონი გივის წერილი, რომელმაც საოცრად გაახარა, უმალ გულდასმით წაიკითხა და, როცა გაიგო ჩემი მისვლის მიზეზი, მკითხა, თუ რა თემები მიტაცებდა შუა საუკუნეების ისტორიაში, რა იყო ჩემი სადიპლომო ნაშრომის თემა, მეც ვუპასუხე: რეფორმაციის ეპოქა მაინტერესებს, ჩემი სადიპლომო თემა კი იყო „დიდი ჰუმანისტი და პატრიოტი ულრიხ ფონ ჰუტენი და მისი დამოკიდებულება მარტინ ლუთერთან“. სხვა პრობლემებზე მომუშავე პროფესორმა გაკვირვებულმა შემომ-



ხელა და მერე მითხრა: „ამ საკითხებზე ხელმძღვანელობას ჩემზე უკეთ პროფ. მ. მ. სმირინი გაგიწევდა და, მოდი, დავეურეკოთ მასო. ასეც მოიქცა, გადაურეკა მოსე მენდელის ძეს და უთხრა, რომ ჩვენი მეგობრის და კოლეგის, გივი ჟორდანიას რეკომენდაციით, თბილისიდან ჩამოსულია ახალგაზრდა კაცი და ჩვენგან დახმარებას საჭიროებსო. ვინაიდან მისი ინტერესები შენს პრობლემებს უფრო ენათესავება, ამიტომ გირეკავ, - იქნებ დაეხმარო მას სადისერტაციო თემის შერჩევაში. თანხმობაც მიიღო. ასე გადაწყდა ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო ნაშრომის თემის შერჩევის საკითხი.

გულისხმიერებამ და ზრუნვამ, რომელიც გამოავლინა ჯერ ა. ი. ნეუსიხინმა და შემდეგ მ. მ. სმირინმა, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, მიკარნახა ამ ორ დიდ ადამიანზე, მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, დაწვრილებით თუ არა, მოკლედ მაინც, მომეთხრო ჩემი სტუდენტებისა და ქართველი მკითხველისათვის.

ა.ი. ნეუსიხინი დაიბადა 1898 წლის 19 იანვარს მოსკოვში, ექიმის ოჯახში. მშობლებმა მასზე დიდი გავლენა მოახდინეს, ჩაუნერგეს შვილს რუსული ლიტერატურის სიყვარული. სტუმრები, რომლებიც დადიოდნენ ნეუსიხინების ოჯახში, მოხიბლულები იყვნენ პატარა ალექსანდრეს ნიჭიერებითა და მესსიერებით. მან ზეპირად იცოდა რუსი კლასიკოსების - პუშკინის, ლერმონტოვის და სხვათა არაერთი ლექსი.

ვერ ვიტყვით, რომ პატარა ალექსანდრეს მშობლების ბედი სახარბიელო იყო. სამსახურის ძებნაში მათ ხშირი გადაადგილება უხდებოდათ, ერთი ქალაქიდან და სოფლიდან მეორეში გადადიოდნენ. ადრეული ბავშვობა ნეუსიხინმა სმოლენსკში, სოფელ ბორისოვოში გაატარა, შესაბამისად მას უხდებოდა სკოლების გამოცვლაც: ჯერ სწავლობდა რიგის

რეალურ სასწავლებელში, შემდეგ როსტოვის გიმნაზიაში, რომელიც 1916 წელს ოქროს მედლით დაამთავრა. სკოლიდან მას ჰუმანიტარული დარგების სიყვარული გამოჰყვა, მაგრამ თავდაპირველად მას მამის გავლენით სწავლა მოუწია მედიცინის ფაკულტეტზე მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც ორი წელი დაჰყო. მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდა იგი ამავე უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1921 წელს დაამთავრა. აქ იგი ისმენდა ცნობილი პროფესორების (პ.ი. ვიპერის, დ.მ. პეტრუშევსკის და სხვათა) ლექციებს ქრისტიანობის ისტორიაში, შუა საუკუნეების ქვეყნების საქალაქო ისტორიაში და სხვა საკითხებზე. ნიჭიერმა ახალგაზრდამ იმთავითვე მიიქცია დ.მ. პეტრუშევსკის ყურადღება და მის დაწინაურებასაც შეუწყო ხელი, ჯერ მიიწვია თავის სემინარებში, რითაც დიდი პატივი დადო. მისივე ხელმძღვანელობით 1922 წელს ა.ი. ნეუსიხინმა წარმატებით დაიცვა სადიპლომო ნაშრომი თემაზე: „კაროლინგური ეპოქის სამეფო მამულის ეკონომიური ორგანიზაცია „Capitulate de villis~ მიხედვით“.

სწავლის პარალელურად ა.ი. ნეუსიხინი შრომით საქმიანობასაც ეწოდა: 1920-1924 წლებში მუშაობდა მარქსისა და ენგელსის სახელობის აკადემიის ბიბლიოთეკაში, ჯერ საფრანგეთის ისტორიის კაბინეტის თანამდებობაზე, შემდეგ გერმანიის ისტორიის და სოციოლოგიის კაბინეტებისა. მის დაწინაურებას ბევრად განაპირობებდა ფრანგული, გერმანული და ლათინური ენების კარგი ცოდნა. 1924 წლიდან მას აწინაურებენ აკადემიასთან არსებულ ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად, იქვე გახდა ასპირანტი და მდივანი შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალობით. 1929 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე:

„ძველი გერმანელების საზოგადოებრივი წყობილება“, რომელიც იმავე წელს წიგნადაც გამოიცა.

მის დატვირთვას სალექციო კურსების სიმრავლედ განაპირობებდა, ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ სამამულო ომის მსვლელობის დროს, 1941-1943 წლებში, მას მოუწია მოსკოვის დატოვება, თუმცა ევაკუაციაში ყოფნის დროსაც განაგრძობდა ლექციების კითხვას ჯერ ტომსკის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში, სადაც კათედრის გამგედ იყო. ლექციებს კითხულობდა აგრეთვე ურალის უნივერსიტეტში შუა საუკუნეების ისტორიაში.

წარმატებული იყო მისი სადოქტორო დისერტაციაც, რომელიც 1946 წელს დაიცვა თემაზე: „საკუთრება და თავისუფლება ბარბაროსულ სამართლებში“.

ვერ ვიტყვით, რომ მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა ყოველთვის ვარდებით იყო მოფენილი. მეცნიერთა ერთი ნაწილი მას იმას ედავებოდა, რომ იგი განიცდიდა დოფმის გავლენას, 1949 წელს დაადანაშაულებს კოსმოპოლიტიზმშიც, მაგრამ დიდი ზიანი არასოდეს არ მოსვლია. მისი ნიჭის დამფასებელი აკად. ვ.პ. ვოლგინი მას ყოველთვის მფარველობდა და იცავდა.

ნეუსიხინს, რომელმაც სპეციალური მომზადება გაიარა პეტრუშევსკისთან, მეცნიერებაში ყოველთვის ჰქონდა საკუთარი კვლევითი ძიების სფერო, იყო ორიგინალური მეცნიერი, იგი ავტორია ათეულობით მონოგრაფიისა და სამეცნიერო სტატიისა. ყველაზე ვერ ვისაუბრებთ, მისი თხზულების მხოლოდ ერთ ნაწილზე გავამახვილებთ ყურადღებას.

XX საუკუნის 20-იან წლებში როგორც ვთქვით, მისი კვლევის საგანს შეადგენდა ძველი გერმანელი ტომების ის-

ტორია, რასაც უძღვნა კიდევ წიგნი „ძველი გერმანელების საზოგადოებრივი წყობილება“. მეცნიერმა წერილობით წყაროებზე და არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით დაახასიათა ძველ გერმანელთა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის მთელი სურათი, თუმცა წიგნი არ იყო თავისუფალი ცალკეული ნაკლოვანებებისაგან, განიცდიდა რა დოფშის გავლენას (რაც დამახასიათებელია მისი მოღვაწეობის ადრეული პერიოდისათვის), ნაკლებ ყურადღებას აქცევდა წერილობით წყაროებს, რისგან მოგვიანებით განთავისუფლდა.

მისი კაპიტალური ნაშრომია „დამოკიდებულ გლეხთა წარმოშობა დასავლეთ ევროპაში VI-VIII ს-ში“, რომელიც 1956 წელს გამოიცა და სადაც ნეუსიხინმა შესანიშნავად ახსნა გერმანელ ტომებში საკუთრების თემური ფორმების ევოლუცია, უჩვენა თემების თანდათანობით რღვევის და დამოკიდებული გლეხობის, როგორც კლასის, წარმოშობის პირველი ეტაპი.

ამ წიგნის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს ნეუსიხინის მომდევნო წიგნი „თავისუფალი გლეხობის ბედი გერმანიაში VIII-XII ს-ში“, რომელიც 1964 წელს გამოიცა მოსკოვში. აქ მხოლოდ ერთი კონკრეტული ქვეყნის – გერმანიის - მაგალითზე განხილულია თავისუფალ ალოდისტ-მეთემეთა დამოუკიდებელ, უშუალო მწარმოებლად გადაქცევის პროცესი, თუმცა წვრილი ალოდიალური საკუთრება ნაწილობრივ შენარჩუნებულია, ასევე შენარჩუნებულია ძველი თემური წესრიგის და დიდი ოჯახების გადმონაშთი.

წიგნში გამოკვლეულია აგრეთვე თავისუფალი ალოდისტ-მეთემეთა სხვადასხვა ფენების ჩაბმა ფეოდალ-მემამულეთა დამოკიდებულებაში, ნაჩვენებია ჩამოყალიბების პროცესში მყოფი გლეხობის ბრძოლა მსხვილ (უმთავრესად სა-

ეკლესიო) ფეოდალებთან და ყველაფერი ეს ნაჩვენებია გერმანიის იმ ოლქების მაგალითზე, რომლებმაც დიდხანს შემოინახა მათთვის დამახასიათებელი აგრარული წყობის თავისებურება.

ნეუსიხინი 1969 წელს გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1974 წელს, გამოვიდა ნაშრომი „ევროპული ფეოდალიზმის პრობლემები“, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან. აქედან პირველი თავი მოიცავს მის სადოქტორო დისერტაციას - „თავისუფლება და საკუთრება ბარბაროსულ სამართლებში“, მეორე თავი მთლიანად ეძღვნება გერმანიის ისტორიის საკითხებს, ხოლო მესამე თავი მოიცავს მის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემულ სტატიებს. განსაკუთრებით მანინც მნიშვნელოვანია 1939-1945 წლებში გამოქვეყნებული სტატიები, რომელთა დიდი ნაწილი ეძღვნება ფაშისტი ფალსიფიკატორების მხილებას. ყურადღებას იპყრობს ნეუსიხინის ის გამოკვლევები და წერილებიც, რომლებიც პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალებში - „Средние века“-ში, „Вопросы история“-ში და სხვაგან.

ვერ ვიტყვით, რომ ნეუსიხინის მეცნიერული მემკვიდრეობა სათანადოდ არ არის შეფასებული. მასზე წერდნენ როგორც რუსი, ისე გერმანელი მეცნიერები. მაგალითად, ბესსმერტნი, როცა ახასიათებდა ნეუსიხინის მეცნიერულ მიღწევებს, ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული დამოკიდებულება წყაროებისადმი, თითოეულ წყაროს იგი დიდი გულისყურით ეკიდება, თუმცა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ წყაროებისადმი შემოქმედებით მიღვლას, რითაც მიიღწევა ისტორიული სიზუსტე. ასეთი სიზუსტის მკაფიო ნიმუშს მისი შრომები წარმოადგენენ. ბესსმერტნის აზრით, ასევე მნიშვნელოვანია ის დამოკიდებულება, რომელსაც იჩენს ნეუსიხინი ბარბაროსულ საზოგადო-

ებაში გამოყენებული ცნებების მიმართ. ასე, მაგალითად „საკუთრებისა და თავისუფლების” ცნებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის სადოქტორო დისერტაციაში<sup>1</sup>, თანაც ამ ცნებებს იგი ანალიზებს ურთიერთკავშირში და ამის საფუძველზე წარმოაჩენს მთელ სოციალურ სისტემას, რომელიც ასე დამახასიათებელია ბარბაროსული საზოგადოების რღვევის პროცესისათვის. ასეთია მისი შემეცნებითი მეთოდი, რომელსაც ფართოდ იყენებს იგი თავის ნაშრომებში, როცა ახდენს გერმანელი ტომების საზოგადოებრივი ყოფის ანალიზსა და შესწავლას.

ბესმერტინი მიუთითებს ნეუსიხინის კვლევითი მეთოდის კიდევ ერთ ხასიათზე - ტიპოლოგიური ანალიზის გამოყენებაზე, რასაც მისი შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ მიღწევად თვლის. ტიპოლოგიური ანალიზი დაეხმარა მას განესაზღვრა სხვადასხვა ხალხების ევოლუციის თავისებურება კლასების ჩამოყალიბების პერიოდში. მისი აზრით, მართალია ნეუსიხინი, როცა ამტკიცებს, რომ მემკვიდრეობას მთავარი როლი ენიჭება სათემო წყობის განვითარებაში, ხალხების კლასებად ჩამოყალიბების საქმეში.

ნეუსიხინის შემოქმედებას ასევე მაღალ შეფასებას აძლევს ა.ი. დანილოვი. მას მოსწონს ის ინტერესი, რომელსაც იჩენს ნეუსიხინი ისტორიის თეორიული პრობლემებისადმი<sup>2</sup>. მისი თქმით, ნეუსიხინის სახით ჩვენს წინაშეა ისეთი ისტორიკოსი, რომლისთვისაც თეორიის გარეშე არ არის ისტორია, ხოლო ისტორიის გარეშე - თეორია.

ისტორიკოსებს შეუფასებელი არ რჩებათ ნეუსიხინის პედაგოგიური მოღვაწეობაც. მაგალითად, ლ. ნ. მილსკაიას

---

<sup>1</sup> Неусыхин А.И., Проблемы Европейского феодализма, Избр. Тр. М., 1974, 35.

<sup>2</sup> Средние века, 1969, №5, 5.

აზრით, ნეუსიხინი დიდი პედაგოგია<sup>1</sup>, აღმზრდელია მედიევისტების არაერთი თაობისა. მრავალი წლის განმავლობაში იგი იყო МИФЛИ-ის, ასევე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორი, ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და მკვლევარი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნეუსიხინი იყო ევროპული მნიშვნელობის მედიევისტი, ამაზე მოწმობს ის დიდი აღიარება, რომელიც მიიღეს მისმა შრომებმა რუსეთსა თუ მის ფარგლებს გარეთ.<sup>2</sup> ამაზე მოწმობს ის ფაქტიც, რომ მისი წიგნი „დამოუკიდებელ გლეხთა წარმოშობა ევროპაში VI-VIII ს-ში“ ორჯერ გამოიცა გერმანიაში.

აქვე უნდა ითქვას მოსე მენდელის ძე სმირინზეც, რამეთუ ნეუსიხინმა მას - გადაულოცა ჩემი სადისერტაციო ნაშრომის თემის შერჩევა.

მ.მ. სმირინი დაიბადა 1895 წლის 4 ნოემბერს დისნაში, ამჟამად ვიტებსკის ოლქია ბელორუსიაში, მასწავლებლის ოჯახში. პატარა მოსე მშობლებმა ვიტებსკის რეალურ სასწავლებელში მიაბარეს, აქვე დაეუფლა იგი გერმანულ და ლათინურ ენებს. სკოლის დამთავრებისთანავე მოუწია ახალგაზრდა კაცს შრომითი საქმიანობის დაწყება, ატარებდა გაკვეთილებს სკოლაში, თუმცა სწავლის გაგრძელებაზე ფიქრი არ შეუწყვეტია. 1921 წელს მას მიეცა სწავლის გაგრძელების საშუალება, ჯერ სწავლობდა სმოლენსკის სახალხო განათლების ინსტიტუტში, შემდეგ სწავლა განაგრძო ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ ნ.პ. ვოლგინი, დ.მ. პეტრუშევსკი და სხვა ცნობილი პროფესორები. სულ მალე სმირინმა მასწავლებლების ყურადღება მიიქცია, იგი ასპირანტურაში და-

---

<sup>1</sup> Неусыхин А.И., Проблемы Европейского феодализма, 7.

<sup>2</sup> Zeitschrift für Geschichte – Wissenschaft. 1970, №3, 419.

ტოვეს. მისი მეცნიერ-ხელმძღვანელები გახდნენ ვ.პ. კოლგინი და დ.მ. პეტრუშევსკი. მას აღრიდანვე მოუწია ლექციების კითხვა მსოფლიო ისტორიაში. 1930-1940 წლებში იგი ლექციებს კითხულობდა ჯერ გორკის პედაგოგიურ ინსტიტუტში. აქვე ასრულებდა კათედრის გამგის მოვალეობასაც; 1935 წლიდან მას ისტორიის ინსტიტუტშიც ვხედავთ, ეკავა მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობა. იქვე ყოფნის დროს, 1937 წელს, მან საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა თემაზე - „აგრარული ურთიერთობა სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში XV-XVI საუკუნეებში“. მალე მას აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში შუა საუკუნეების ისტორიის სექტორის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად აწინაურებენ. ერთდროულად მას აწინაურებენ მოსკოვის უნივერსიტეტშიც, კითხულობს ლექციებს ისტორიის ფაკულტეტზე და უკავია დოცენტის თანამდებობა. 1949 წლიდან კი იგი შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის პროფესორი ხდება.

1946 წელს მ.მ. სმირინმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე - „თომას მიუნცერის სახალხო რეფორმაცია და დიდი გლეხთა ომი“ სულ მალე (1947 წ) ეს ნაშრომი წიგნადაც გამოიცა და დიდი აღიარებაც დაიმსახურა, მიენიჭა მეორე ხარისხის სტალინური პრემია. ეს წიგნი 1955 წელს, გადაბეჭდვებული სახით, მეორედაც გამოიცა. მ.მ. სმირინი ავტორია კიდევ ორი დიდი მონოგრაფიისა, ესენია: „ნარკვევები რეფორმაციამდელი გერმანიის პოლიტიკური ბრძოლების ისტორიისა“ (1952 წ), „ადრეული კაპიტალიზმის ისტორია გერმანულ მიწებში“ (XV-XVI სს.) (1969 წ.). მასვე ეკუთვნის დამხმარე სახელმძღვანელო - „გერმანია რეფორმაციისა და გლეხთა ომის ეპოქაში“ (1962 წ.). მისი სტატიები დაბეჭდილია „მსოფლიო ისტორიის“ მესამე და მეოთხე განყოფილებაში, კრებულ „Средние века“-ში, „Воп-



росы история“-ში და სხვა გამოცემებში. მის მიერ მომზადებული თავები შეტანილია „შუა საუკუნეების ისტორიის“ სახელმძღვანელოში. თარგმნილი აქვს არაერთი წყარო და ისტორიოგრაფიული მიმოხილვა, ავტორია არაერთი რეცენზიისა. მისი თხზულებიდან ზოგიერთი თარგმნილია გერმანულ, პოლონურ, უნგრულ და იტალიურ ენებზე. იგი აღიარებული მედიევისტია, დაჯილდოვებულია ორდენებითა და მედლებით. 1956 წელს გღრ-ის მეცნიერებათა აკადემიამ იგი აირჩია თავის უცხოელ წევრად, ხოლო 1959 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტმა მას მიანიჭა ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (Honoris causa) განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

მ. მ. სმირინმა თავის მონოგრაფიებში, რეფორმაციის საკითხებს რომ მიუძღვნა, სავსებით ცხადი გახდა, რომ გერმანიის ეკონომიური განვითარება რეფორმაციის ეპოქაში (XV-XVI სს) ერთიანად ჩამორჩენილი სულაც არ იყო. მან დოკუმენტების მეშვეობით დაამტკიცა, რომ მრეწველობის რიგ დარგებში (განსაკუთრებით სამთამადნო საქმიანობაში, წიგნის ბეჭდვის საქმეში და სხვაგან) უკვე იჭრებოდა კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები, გამოიყენებოდა დაქირავებული მუშახელი, ვაჭრობის და მრეწველობის განვითარება გავლენას ახდენდა სოფელზეც, მის ცხოვრებაში იჭრებოდა სასაქონლო ფულადი ურთიერთობა, რაც ამწვავებდა სოციალურ კონფლიქტს. სოციალურ კონფლიქტს აძლიერებდა აგრეთვე ფეოდალური რეაქცია – გლეხების ხელახალი დაყმევების პროცესი, რაც თვალსაჩინო იყო XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის გერმანიაში. ამით იყო განპირობებული გლეხთა ომი გერმანიაში, რომელსაც იდეოლოგიად მიუწერი მოევლინა, იგი გახდა სახალხო რეფორმაციის მქადაგებელი, გამომხატველი ხალხის ინტერესებისა. ამ კითხ-

ვებთან ერთად მ.მ. სმირინი დამაჯერებლად აშუქებს გლენთა ომთან ლუთერის დამოკიდებულებას, ბიურგერული რეფორმაციის შეზღუდულობას.

თავისი მოღვაწეობის ბოლო წლებში მ.მ. სმირინი გაიტაცა ჰუმანიზმისა და რეფორმაციის რადიკალური მიმართულების ურთიერთობამ, რომლებსაც ამ დრომდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამ საკითხებზე იგი დიდი წიგნის შექმნაზეც ოცნებობდა, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. გამოაქვეყნა მხოლოდ ნაწილი ამ წიგნისა, რომელიც ეხებოდა ერაზმ როტერდამელის პოლიტიკურ კონცეფციას და მის იდეას თავისუფალ ნებაზე. მონოგრაფიაში უნდა შესულიყო აგრეთვე რიგი საკითხებისა თომას მიუნცერსა და სებასტიან ფრანკზე.

მ. მ. სმირინი იყო შესანიშნავი პედაგოგიც, რომლის ლექციები ყოველთვის იზიდავდა ფართო აუდიტორიას. მან ბევრი რამ გააკეთა ისტორიკოსთა კადრების მომზადებისათვის. თავის მოწაფეებს იგი ყოველთვის აღუძრავდა ცოცხალ ინტერესს მეცნიერული კვლევისადმი, უზიარებდა უზარმაზარ ცოდნასა და გამოცდილებას, ზრდიდა სტუდენტებსა და ასპირანტებში სიანხლისაკენ სწრაფვის მიდრეკილებას. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მას მრავალრიცხოვანი სტუდენტები და ასპირანტები ეხვია გარს. ბევრი მათგანი დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში მოღვაწეობს. ზოგიერთი მათგანი გერმანიაშიც ეწევა მეცნიერულ საქმიანობას. ცხადია, მეც ჩემი თავი მის მოწაფედ მიმანია.

როგორც ზემოთ ვთქვით, როცა ნეუსიხინმა მ.მ. სმირინს დაურეკა და ესაუბრა ჩემზე, ამ უკანასკნელმა თავისთან მიხმო, იმავე დღესვე ვეახლე მას, რომელმაც საოცარი გულისხმიერება გამოავლინა, მაშინვე შემირჩია სადისერტაციო თემა - „მარტინ ლუთერის პოლიტიკური შეხედულებანი და

მისი დამოკიდებულება გლენტა ომისადმი“ (მისი ხელნაწერი ფაქსიმილე ნაშრომს ერთვის), ჩამომიწერა ის წყაროები, რომელზეც უნდა მეშუშავა თავდაპირველად. ის ხშირად მიბარებდა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში, იმ დარბაზში, სადაც პროფესორები მუშაობდნენ, ამოწმებდა ჩემს მიერ შესრულებულ დავალებას და ახალ დავალებებსაც მაძლევდა.

ყურადღებას არც ნეუსიხინი მაკლებდა, შემოიხედავდა ხოლმე იმ დარბაზში, სადაც ჩვენ, რიგითი მკითხველები და ასპირანტები ვიჯექით, მომიკითხავდა და აგრძელებდა გზას.

უფლება მაქვს, ასეთი გულისხმიერი მოძღვრები, რომელთა ყურადღება და დარიგება არასოდეს არ დამკლებია, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით, დიდი მადლიერებით არ მოვიხსენიო?!

ღმერთმა გაანათლოს მათი სულები!

#### **დამოწმებანი:**

1. Неусыхин А.И. Проблемы Европейского феодализма. Избр. Тр. М., 1974.
2. Средние века, 1969, №5.
3. Zeitschrift für Geschichte – Wissenschaft. 1970, #3;

***Guram Kutalia***  
*Cori State Teaching University*  
**GREAT MEDIEVALISTS**  
**RESUME**

I got acquainted with the famous Professors – **Aleksandr Iosifovich Neusikhin** (1898-1969) and **Mose Mendelevich Smirin** (1898-1975) when I had been studying at the

Postgraduate Institution. Being in Moscow, they supported me not only in choice of dissertation topics, but even in bringing the dissertation work up to finish. They made it easy to me to write the dissertation by their advises and recommendations. Exactly such attention and sensitiveness made me to tell about these two great Scientists to my students and Georgian readers.

All the scientists of Russia and foreign country, who knew **Neusikhin's or Smirin's** scientific heritage, jointly admit, that they were Medievalists of European scientists values. Their scientific works became very popular in Russia and abroad as well. Proving this a lot of their books are translated in German, Italian, Polish, Hungarian and other languages.

They were also great Teachers. They made a great contribution in training of Historical personnel. They always provoked keen interest in scientific research in their followers and pupils, shared their great knowledge and experience to their students, they increased inclination toward greater innovation. They taught a lot of students and aspirants. Many of them are working in the Universities of different towns of former Soviet Union. Some of them are busy with scientific work in Germany. I think, that I am a Pupil of M.M. Smirin, because Smirin selected for me the theme "Martin Luter's Political opinion and his relation towards Peasants' War". He recorded for me the sources, on which I had to work from the beginning. He often asked me to meet at the Lenin Library Hall, where the Professors were working, he checked the task I performed and gave me new missions. Neusikhin also paid great attention to me, he always looked through the hall, where we - the readers and aspirants were sitting, greeted us and continued his way.

I do not have the right not to mention such kind-hearted teachers with a great respect, great appreciation and love, whose attention and advice always supported me.

God bless their souls.

## სეხნია ჩხეიძის ბიოგრაფიისათვის

სეხნია ჩხეიძე პაპუნა ორბელიანთან და ომან ხერხეულიძესთან ერთად XVIII ს-ის ქართული საისტორიო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. შეუძლებელია XVII ს-ის მეორე ნახევრისა და XVIII ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს და, არა მარტო საქართველოს (მხედველობაში გვაქვს ირანი, ავღანეთი...), ისტორიის შესწავლა სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთას“ გათვალისწინების გარეშე.

სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი და ომან ხერხეულიძე იძლევიან XVII–XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის გაბმულ თხრობას, რაც მეტად მნიშვნელოვანს ხდის ცალ-ცალკე და ერთად მათ დამსახურებას სამამულო ისტორიოგრაფიის წინაშე. სეხნია ჩხეიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხებოდნენ მარი ბროსე<sup>1</sup>, ივ. ჯავახიშვილი<sup>2</sup>, დ. გვრიტიშვილი<sup>3</sup>, შ. ხანთაძე<sup>4</sup>, მ. გობეჯიშვილი<sup>1</sup>, გ. ანჩაბაძე<sup>2</sup> და

---

<sup>1</sup>მარი ბროსე, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-ის II ნახევრამდე, (ფრანგულ ენაზე), სანკტ-პეტერბურგი, 1857, გვ. 1-7

<sup>2</sup>ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VIII, თბ. 1977, გვ. 357-362

<sup>3</sup>დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, თბ. 1968, გვ. 202-206

<sup>4</sup>შ. ხანთაძე, ქართული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში, თბ. 1985, გვ. 119-123

სხვები, მაგრამ ბევრი რამ ამ კუთხით კიდევ შესასწავლი და წარმოსაჩენია.

მიჩნეულია, რომ სეხნია ჩხეიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად ერთადერთ წყაროს მისივე თხზულება წარმოადგენს. თავდაპირველად ჯერ მარი ბროსემ<sup>3</sup>, ხოლო შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა მიმოიხილა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში - „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, - სეხნია ჩხეიძის ცხოვრება მისივე თხზულების მიხედვით<sup>4</sup>. დიდი მეცნიერი შენიშნავდა, რომ „თვით ავტორი (სეხნია ჩხეიძე - თ.ლ.) თავის თხზულებაში ბევრგან ლაპარაკობს თავის თავზე“ და მასზე დაყრდნობით ზედმიწევნით აღწერს ისტორიკოსის ცხოვრების გზას 1687 წლიდან (არაგვის ერისთავის, იასონის, განდგომის გამო გიორგი XI-ის არაგვის ხეობაში ლაშქრობა) 1723 წლამდე (როცა ირანის შაჰი „გაუწყრა მეფეს ვახტანგს“, ჩამოართვა მეფობა და „დაუჭირეს ჩხეიძე სეხნია, დაატყვევეს“).

„ამის შემდეგ, - აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, - ავტორს თავისი თავის შესახებ აღარავითარი ცნობები არა აქვს მოყვანილი, ამიტომ მისი ცხოვრების მიმდინარეობა და თავგადასავალიც გამოურკვეველი რჩება“<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> მ. გობეჯიშვილი, სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“, როგორც წყარო სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, თბ. 1973, გვ. 78-100; იხ. მისივე „Сведения Сехния Чхеидзе о Кандахаре“, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, თბ. 1971, გვ. 273-277

<sup>2</sup> გ. ანჩაბაძე, სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“, როგორც სამხედრო-საისტორიო წყარო, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1988, №4, გვ. 56-64

<sup>3</sup> მ. ბროსე, დასახ. წიგნი, გვ. 1-7

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 357-362

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 359

შემდეგ, ივ. ჯავახიშვილზე დაყრდნობით, თითქმის იგივე გაიძეორეს პროფესორებმა დ. გვრიტიშვილმა<sup>1</sup> და შ. ხანთაძემ<sup>2</sup>.

საქართველოს სიძველეთსაცავებში (საისტორიო არქივი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დაცულია არაერთი საყურადღებო დოკუმენტი, რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლებელი ხდება, შევავსოთ ისტორიკოსის ცხოვრების არა მარტო ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი პერიოდი, არამედ შევისწავლოთ მისი „გამოურკვევლად დარჩენილი“ უცნობი „ცხოვრების მიმდინარეობა და თავგადასავალიც“. უფრო მეტიც, საშუალება გვეძლევა, გავარკვიოთ „მისი ვინაობისა“ და წარმომავლობის დღემდე უცნობი დეტალები.

სწორედ ამ საკითხებზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

ცნობილია, რომ XVII ს-ის 50-იანი წლებისათვის ჩხეიძეთა საგვარეულოს სამი ძირითადი შტოა სახეზე – იმერეთის, რაჭისა და ქართლის. ჩხეიძეებს ქართლში XVII ს-ის 10-იანი წლებიდან ვხედავთ. ამავე საუკუნის 30-40-იანი წლების მიჯნაზე მათ ვხედავთ სოფელ იტრიაში, სურამთან ახლოს, სადაც ყალიბდება მათი მცირე სათავადო - საჩხეიძო.

ჩხეიძეთა საგვარეულოსადმი მიძღვნილ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ჩხეიძეების ქართლის შტოს სათავეებთან ქექაოზ ჩხეიძე დგას და მის თანამეცხედრედ ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის (1527-1556 წწ.) ასული სახელდება<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> დ. გვრიტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 202-206

<sup>2</sup> შ. ხანთაძე, დასახ. წიგნი, გვ. 119-123

<sup>3</sup> ი. ჩიქოვანი, ი. ბიჭიკაშვილი, მ. ჩხეიძე, ჩხეიძეთა საგვარეულო (ისტორიული გენეალოგიური გამოკვლევა), თბ. 2004



ავტორები იმოწმებენ ქართლის მეფის სვიმონ II-ის მიერ გორგასალ ჩხეიძისათვის 1619 წელს მიცემულ წყალობის სიგელს<sup>1</sup>, რომლის გაცნობაც არანაირ საფუძველს არ იძლევა, ქექაოზ ჩხეიძე მივიჩნიოთ ქართლის ჩხეიძეთა სათავეებთან, ერთი უბრალო მიზეზის გამო - მასში, საერთოდ, არ არის ნახსენები იგი.

არც მკვლევარი ო. სოსელია გვაწვდის რაიმე ცნობას ჩხეიძეთა სათავადოსადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში ქექაოზ ჩხეიძეზე<sup>2</sup>.

ჩვენთვის უცნობია, სხვა რომელი წყაროებით სარგებლობენ ავტორები, როცა ქექაოზ ჩხეიძეს მიიჩნევენ ქართლის ჩხეიძეთა სახლის ფუძემდებლად, სამეფო კარის ნათესავად და გორგასალ ჩხეიძის მამად.

ვფიქრობთ, ეს უნდა მომდინარეობდეს მარი ბროსესაგან, რომელმაც ფრანგულ ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა ისტორიკოს სეხნია ჩხეიძის თხზულება და მასზე დაყრდნობით გამოთქვამდა ვარაუდს, რომ „აზნაური სეხნია ჩხეიძე შთამომავალი უნდა ყოფილიყო მეფე სიმონ I-ის დროს, კერძოდ, 1591 წელს ქართლში გადმოსახლებული ვინმე ქექაოზ ჩხეიძისა“<sup>3</sup>. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და არა მტკიცება იმისა, რომ სეხნია ჩხეიძე ნამდვილად ქექაოზ ჩხეიძის შთამომავალია.

მარი ბროსეს ამ ვარაუდზედაყრდნობით, მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ქექაოზ ჩხეიძე დგას ქართლის ჩხეიძეთა

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 1450, დავთარი, 35, საბუთი №88

<sup>2</sup> ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), წიგნი I, თბ. 1973, გვ. 25-58

<sup>3</sup> მ. ბროსე, დასახ. წიგნი, გვ. 1

სახლის სათავეებთან, თუმცა არ უთითებენ ვარაუდის ავტორს.

ჩანს, რომ ავტორები არც სეხნია ჩხეიძის „ამბავი მეფეთას“ ხელნაწერს იცნობენ, რომელზედაც დართულ ქრონოლოგიურ ნუსხაში ლაპარაკია ქექაოზ ჩხეიძეზე. გარდა ამისა, გარკვევით არის მინიშნებული, რომ იგი სიმონ მეფის სიძეა.

1592 წლის ქვეშ სეხნია ჩხეიძე აღნიშნავს, რომ „...წავიდა მეფე სვიმონ ლიხთ-იმერეთის დაჭირვად, აიღო კაცხის ციხე კურასვანამდე და ქუთაისი. ამავე ქორონიკონს შეიბნენ მეფე სვიმონ და მამია დადიანი და იმერელნი. გაემარჯვა დადიანს და იმერელთ. თან გამოიტანა სიძე მეფემ ჩხეიძე ქექაოზ. ეს იყო იმერეთის თავი და სახლთხუცესი შორაპნისა და სულათ საჩხეიძოსი მქონე. ვითაცა მეფის სვიმონის და ედგა, იქ აღარ ამყოფა. მისცა სასაფალოდ ნიტრია, სარჩო მრავალნი“<sup>1</sup>.

ამრიგად, თუ სეხნია ჩხეიძეს ქექაოზ ჩხეიძის შთამომავლად მივიჩნევთ, საბუთებიდან კარგად ჩანს, რომ სეხნია ჩხეიძე გორგასალ ჩხეიძის შთამომავალია, მისი შვილიშვილია. აქედან გამომდინარე კი, ქექაოზ ჩხეიძე, მართლაც, შეიძლება, მივიჩნიოთ გორგასალ ჩხეიძის მამად, მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მკვლევართა მიერ დამოწმებული წყაროებსა თუ საბუთებში ამის შესახებ რაიმე მინიშნებაც არ არის. არის ერთადერთი, ისიც მხოლოდ სეხნია ჩხეიძის თხზულებისათვის დართულ ქრონოლოგიურ ნუსხაში დაცული ცნობა ქექაოზ ჩხეიძის შესახებ, რომელიც ადასტურებს მის ქართლის ჩხეიძეების სათავეებთან დგომას.

ჩხეიძეთა ქართლის სახლს სისხლით ნათესაობა აკავშირებდა ქართლის სამეფო კართან, როგორც ბაგრატიონთა ძირითად, ასევე გვერდით, მუხრანულ შტოსთან. ამ უკანასკ-

---

<sup>1</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი H - 2304

ნელთა სახლის მეშვეობით ჩხეიძეები უკავშირდებიან სააკაძეთა ცნობილ გვარს.

ქართლის მეფის ბაგრატ VII-ის (1616-1619) თანამეცხედრის, დედოფალ ანას და მისი ვაჟის - მეფე სიმონ II-ის მიერ ზემოთ აღნიშნულ 1619 წელს გაცემული მიწის წყალობის სიგელიდან კარგად ჩანს ჩხეიძეთა ქართლის სამეფო კართან ახლო ნათესაური კავშირი. სიგელის მიხედვით, დედოფალმა ანამ და მეფე სვიმონმა „ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა მამიდაშვილსა ჩხეიძეს პატრონსა გორგასალს“, მის შვილებს ბეჟანს, ქაიხოსროს და დავითს უბოძეს „კარალეთი ვახტანგ ციციშვილის კერძი“<sup>1</sup>.

ამრიგად, თუ გორგასალ ჩხეიძე მამიდაშვილია ბაგრატ VII-ის (ამასვე გულისხმობს დედოფალი ანაც), მაშინ მისი დედა (სახელი ცნობილი არ არის), უნდა იყოს ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის ასული, და სიმონ I-ისა და დავით XI-ისა (დაუდ ხანი), მამიდა გიორგი X -ის, ბაგრატ VII -ისა და როსტომ მეფის.

1633 წელს როსტომ მეფის მიერ გორგასალ ჩხეიძის შვილის - ბეჟანისათვის ღიახვის ხეობაში მამულის წყალობის სიგელიდან კარგად ჩანს (კიდევ ერთხელ) ჩხეიძეთა ნათესაობა ქართლის სამეფო კართან: „ჩვენ მეფემან პატრონმან როსტომ, ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქვენ ჩვენს მამიდაშვილს ჩხეიძეს ბეჟანს, ქაიხოსროს, დათუნას“<sup>2</sup>.

როსტომი სიგელში ხაზს უსვამს მასთან ჩხეიძეთა მამიდაშვილობას. თუმცა იგი ბეჟან ჩხეიძეს მოიხსენიებს მამიდაშვილად, მაგრამ ცნობილია, რომ მისი მამიდაშვილი ბეჟანის მამა - გორგასალ ჩხეიძეა, რომელიც ამ ღროს გარდაცვლილია (1629).

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 1450, დავთარი 35, საბ. №88

<sup>2</sup> იქვე, დავთარი 35, საბ. №92

ე.ი. გორგასალ ჩხეიძე დედის მხრიდან ენათესავება ქართლის სამეფო კარს.

ამავე დროს ირკვევა, რომ გორგასალ ჩხეიძეს მეუღლის მხრიდან ნათესაობა აკავშირებს ბაგრატიონთა მუხრანულ შტოსთან. ბაგრატიონთა ამ შტოს 1657 წლიდან ვხედავთ ქართლის სამეფო ტახტზე. ამ ორი გვარის ნათესაობაზეა ლაპარაკი გიორგი XI-ს მიერ 1688 წელს ქაიხოსრო ჩხეიძის სახელზე გაცემულ სიგელში. სიგელში ხაზგასმულია, რომ გიორგი XI ქაიხოსრო ჩხეიძეს - „ერთგულად და თავდადებით ნამსახურსა“, „ნათესავსა და ყრმას“ აძლევს სახასო მამულს – ფონას<sup>1</sup>.

ამ შემთხვევაში არ ჩანს, როგორი ნათესაური კავშირია ჩხეიძეებსა და ბაგრატიონ-მუხრან-ბატონებს შორის. გიორგი XI მიუთითებს მხოლოდ, რომ ქაიხოსრო ჩხეიძე მისი ნათესავია.

თუ რა აკავშირებდა ჩხეიძეებს მუხრან-ბატონებთან, ამის შესახებ მოგვიანებით გაცემული სიგელით ხდება ცნობილი. კერძოდ, 1729 წელს ვახტანგ VI-ის მიერ სეხნია ჩხეიძისათვის მიცემულ სიგელში ნათქვამია, რომ „...ბედნიერს პაპაჩვენს მეფეს შანავაზს (ვახტანგ V) თავისი დეიდაშვილის პაპაშენის ბეჟანისათვის (გორგასალ ჩხეიძის ვაჟი - თ.ლ.) ქვემო ბოლნისი წყალობა ექნა...“<sup>2</sup>.

ამრიგად, ვახტანგ V (შაჰნავაზი) და ბეჟან ჩხეიძე დეიდაშვილები არიან. ე.ი. მათი დედები დები არიან.

აქ კიდევ ერთ საინტერესო დეტალს უნდა გაეცვას ხაზი: ვახტანგ V-ის დედა დიდი მოურავის - გიორგი სააკაძის ასულია. ე.ი. ბეჟან ჩხეიძის დედაც გიორგი სააკაძის ასულია.

---

<sup>1</sup> იქვე, დავთარი 25, საბ. №61

<sup>2</sup> იქვე, დავთარი 35, საბ. №120

ამრიგად, დასტურდება ჩხეიძეთა ნათესაობა ქართლის კიდეც ერთ დიდ ფეოდალურ გვართან - სააკაძეებთან. გიორგი სააკაძის სიძეა გორგასალ ჩხეიძე, ბეჟან ჩხეიძის მამა.

სეხნია ჩხეიძე - XVIII საუკუნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და ისტორიკოსი, სწორედ ქართლის (იბერიის) ჩხეიძეთა სახლის წარმომადგენელია.

საბუთებიდან ჩანს, გორგასალ ჩხეიძეს ოთხი ვაჟი ჰყავს: ბეჟანი, ქაიხოსრო, ღავითი და ნიკოლოზი.

ქაიხოსროსა და ღავითის შთამომავლობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, ყოველ შემთხვევისთვის ჩვენ მიერ მოძიებული დოკუმენტები მათზე არაფერს მიგვანიშნებს. ნიკოლოზი სასულიერო პირი - ქართლისა და თბილისის მთავარეპისკოპოსი იყო. ჩანს მხოლოდ ბეჟან ჩხეიძის შთამომავლობა - ქაიხოსრო, თეიმურაზი და სეხნია. საბუთებში ჩანს ქაიხოსროს შთამომავლობა. მიწის ნასყიდობის 1693 წლის წიგნის მიხედვით, მას ჰყავს ექვსი ვაჟი: თეიმურაზი, სეხნია, პაატა, ფარემუზ, გორგასალი და ღავითი<sup>1</sup>.

სწორედ ქაიხოსროს ვაჟია სეხნია, ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. იგი ქართლის სამეფო კარის მოღვაწე რეთუხუცესია, ხშირად ჩანს დიპლომატიურ ასპარეზზე. მის სიახლოვეს სამეფო კართან ხელს უწყობდა ჩხეიძეთა ზემოთ აღნიშნული ნათესაური კავშირი ბაგრატიონთა მუხრანულ შტოსთან. სეხნია ჩხეიძე გორგასალ ჩხეიძის შვილის - ბეჟანის შვილიშვილია. ბეჟანი კი, როგორც ზემოთ ითქვა, ვახტანგ V-ის დეიდაშვილია. სეხნიასაც სწორედ ვახტანგ V-ის შვილებთან აქვს მჭიდრო ურთიერთობა. იგი ერთგულად ემსახურება მათ ისტორიის არცთუ მცირე მონაკვეთის მანძილზე. არც სამეფო კარია მის მიმართ უწყურადღებოდ.

---

<sup>1</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Ad-1610

1707 წელს გიორგი მეფემ სეხნია ჩხეიძეს „უბოძა საბოძკარი მრავალი და ქართლის მოლარეთხუცობა“<sup>1</sup>. სეხნია ამ სახელოს უნდა ფლობდეს ქართლში ოსმალების გაბატონებამდე - 1724 წლამდე.

როგორც ზემოთ ითქვა, ივ. ჯავახიშვილი, შ. ხანთაძე და სხვები მიიჩნევენ, რომ 1723 წლის შემდეგ, სეხნია ჩხეიძის ტყვეობიდან დაბრუნების მომენტიდან, მისი ცხოვრების შესახებ ცნობები აღარ გავაჩნია. ამას კი იმით ხსნიან, რომ მის თხზულებაში სეხნია ჩხეიძე აღარ ფიგურირებს, აღარ იხსენიება.

საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცულია რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც XVIII საუკუნის 20-30-იან წლებში ქართლში სეხნია ჩხეიძის მდგომარეობაზე გვაძლევს ინფორმაციას.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარის მიხედვით, სეხნია ჩხეიძე იტრიაშია<sup>2</sup>. აქვეა მისი შვილი გიორგი და შვილიშვილი ქაიხოსრო. სეხნია ჩხეიძეს აფიქსირებენ აგრეთვე სოფელ ლუბრუმის აღწერის დროსაც<sup>3</sup>.

სეხნია ჩხეიძეს მამულები ეკუთვნოდა იმერეთშიც და ქართლშიც. სეფი-ხანის 1737 წლის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ მას იმერეთში ეკუთვნის წიფა და ფონა. ქართლში, ხაშურის რეგიონში, იტრიის გარდა, იგი ფლობს გვერდისუ-

---

<sup>1</sup> სეხნის ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, საქართველოს ცხოვრება, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ. 1913, გვ. 49

<sup>2</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ, თბ. 2009, გვ. 270

<sup>3</sup> იქვე, გვ. 273

ბანს, ლუბრუმას და ჩუმათელეთს, ქვემო ქართლში სოფელ ღორისთავს<sup>1</sup>.

სეხნია ჩხეიძეს მამულები ჰქონდა ნაბოძები სურამის ჭალაშიც. ვახუშტის მიხედვით, სურამის ჭალა ქვიშხეთიდან, მდინარე შოლიდან იწყებოდა და გომთან, დაღალულას მინდვრამდე გრძელდებოდა<sup>2</sup>. სეხნია ჩხეიძეს ამ ვრცელი ჭალის ერთი მონაკვეთი, კერძოდ, ცხრაშეხიდან ახალსოფლამდე მდებარე ტერიტორია, უნდა კუთვნიებოდა.

1730 წლის ახლოს სეხნია ჩხეიძეს ვახუშტი აბაშიძე შესცილებია სურამის ჭალაში მამულებს, მაგრამ უსუფ ფაშას კვლავ სეხნიასათვის დაუტოვებია „შუა ჭალა“<sup>3</sup>.

სურამის ჭალის ეს მონაკვეთი საბუთებში ჩხეიძის ჭალადაც იწოდება. ჩვენს დრომდე ხაშურში, ჭალის უბანში ფიქსირდება ტოპონიმი – ჩხეიჭალა (ჩხეიძის ჭალა), რომელიც მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ.

ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც სეხნიას XVIII-ის 30-იანი წლების ცხოვრებიდან.

ყურადღებას იქცევს ქართლის გამგებლის სეფი ხანის 1737 წლის 29.VI-28.VII-ით დათარიღებული ბრძანება, რომლითაც ზაზა-ბეგს (ამირეჯიბს - თ.ლ.) ავალებს, აღწეროს და ჩაიბაროს (ზავთი ქნას) სეხნია ჩხეიძის სოფლების მიერ ხაზინაში შესატანი გადასახადები.

---

<sup>1</sup> ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაუდო ვ. თოფურაძემ, თბ. 1955, გვ. 442-445

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცოხვრება, ტ. IV, ტექსტები დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1975, გვ. 377

<sup>3</sup> სცსსა, დავთარი 35, საბ. №123

ბრძანებაში ნათქვამია: „...მირის თეთრი სეხნია ჩხეიძე მოსაცემს იყო, თითონ გაიქცა და იმისი მამულისა არ ვიცოდით, ვინ სჭამდა, ვინ უვლიდა, ახლა ამ ყარარზედ (?) ზაზა - ბეგს მივეცი თ სეხნია ჩხეიძის სოფლები: იტრია, გვერდისუბანი, ფონა, წიფა, ლუბრამა, ღორისთავი, ჩუმათელეთი, ზაზას უბოძეთ ამისი რაიათი რაც მოსავალი არის ამ მამულში, ის სულ მალუჯათისა არის, ზავთი ქენით...“<sup>1</sup>.

ამრიგად, როცა სეფი ხანის ეს ბრძანება იწერებოდა (1737 წლის 29 ივნისი-28 ივლისი), სეხნია ჩხეიძე ქართლში არ იმყოფება. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ იგი გაქცეულია.

საბუთის შინაარსიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა – სად არის გაქცეული სეხნია ჩხეიძე?

ამ კითხვას ბრძანების სპარსულ ტექსტში ეძებნება პასუხი. სპარსული ტექსტი, რომელიც მოცულობით საკმაოდ დიდია, რა თქმა უნდა, ქართულ ტექსტს იმეორებს, მაგრამ მასში მცირეოდენ განსხვავებასაც ვხედავთ. ეს უმთავრესად ეხება პასუხს კითხვაზე, - თუ სად გაიქცა სეხნია ჩხეიძე. მოგვყავს სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი: „გამოვიდა მაღალი ბრძანებულება მასზე, რომ ამა წლის მაღიათი დივანისა (დივანის გადასახადი) და მირის ფული სეხნია ჩხეიძეს (უნდა გადაეხადა), თვით ის, ხსენებული (ე.ი. სეხნია ჩხეიძე - თ.ლ.) გაიქცა ბაში-აჩუკში (დასავლეთ საქართველოში) და გამოურკვეველია, თუ მის კუთვნილ სოფლებს და გლეხებს ვინ უვლის და (ვინ) ფლობს“<sup>2</sup>.

ამ შემთხვევაშიც სამართლიანად დაისმის კითხვა, რატომ არის გაქცეული სეხნია ჩხეიძე დასავლეთ საქართველოში?

---

<sup>1</sup> ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 443

<sup>2</sup> იქვე, გვ. 442, 445



სეხნია ჩხეიძის იმერეთში გაქცევის მიზეზი მისსავე თხზულებაში უნდა ვეძიოთ. ყოველ შემთხვევისთვის ამას გვაფიქრებინებს მის მიერვე 1737 წელს ქართლში დატრიალებული აღწერილი ამბები.

1736 წელს ირანის ტახტზე ნადირ-შაჰი ადის. მან ქართლის მმართველად სეფი ხანი გამოავაზვნა. ამასთან ქართლს დიდი გადასახადები დააკისრა - სამიათას სამასი თუმანი და ხუთასი მხედარი, რომელიც მუდამ ქალაქში უნდა მდგარიყო ცხენითა და იარაღით. სეხნია ჩხეიძე მიუთითებს: „ზემო ქართველთ ეს ვერ შესძლეს. უკუდგა ქსნის ერისთავი შანშე, ამილახვარი გივი, აბაშიძე ვახუშტი და სულ ზემო ქართლი, გაღმით თარხანი ლუარსაბ და მისი სახლის კაცნი“<sup>1</sup>.

სეხნიას თხზულებიდან მოტანილი ამ ცნობიდან ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ უკუდგარ ქართველთა შორის დაფიქსირებულია „სულ ზემო ქართლი“.

ჩხეიძეებიც ზემო ქართლში არიან, აქ არის მათი რეზიდენცია-იტრია.

უკუდგარ ზემო ქართლელთა შორის უნდა ყოფილიყო სეხნია ჩხეიძეც. ერთი მხრივ, ის რაც ვერ შეძლო ქსნის ერისთავმა, გივი ამილახვარმა და ვახუშტი აბაშიძემ, ცხადია, ვერ შეძლებდა ისეთი მცირე სათავადო, როგორიც საჩხეიძო იყო ზემო ქართლში. მეორეც, სეხნია ჩხეიძე, რომელიც ბოლომდე ერთგული რჩება ვახტანგ VI-ის კურსისა, უკმაყოფილო რომ ყოფილიყო ქართლში ირანის გაბატონებისა, გასაკვირი არ უნდა იყოს.

ამ და, ალბათ, კიდევ სხვა მიზეზების გამო, სეხნია ჩხეიძე აჯანყებულთა მხარეზე არის.

---

<sup>1</sup> სეხნის ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, საქართველოს ცხოვრება, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ. 1913, გვ. 49

უკუმდგარმა დიდებულებმა მოლაპარაკება გამართეს სეფი ხანთან, მაგრამ უშედეგოდ. სეფი ხანმა ყიზილბაშთა ჯარი შეუსია ქართლს: „წამოვიდა ჯარი, დადგა ფხვენის, და იწყეს იქილამ თარეშის გასევა, მიუხდნენ ქსნის ერისთავსა, რამდენჯერაც მივიდნენ, ბრძანებითა ლუთისათა, იმდენჯერ გაემარჯვა. კეხუს მიუხდნენ სამჯერ ამილახვარს გივსა, სამჯერვე გაემარჯვა და მოსწყვიტეს ყიზილბაში. ამაში გამოუსია თარეში მიუხდნენ დილაბანდზე სააბაშიოს და საჩხეგოს (საჩხეიძოსა) და სურამის ხეობასა, ბევრი წაახდინეს და დაწვეს საფალავანდისშვილო და გამოყოლება ააოხრეს, დაწვეს, სადაც სიმაგრე იყო, ლუთით ვერ ავნეს-რა“<sup>1</sup>.

ასეთ ვითარებაში არ არის გასაკვირი, რომ სეხნია ჩხეიძეს იმერეთში ეპოვნა თავშესაფარი, თუძცა, როგორც ჩანს, მცირე ხნით.

როდის დაბრუნდა სეხნია ჩხეიძე ბაში აჩუკის ქვეყნიდან ქართლში, თავის მამულში?

1738 წელს ჩანს, რომ სეხნია ჩხეიძე უკვე ქართლშია. 1738 წლის 7 აპრილს ქართველი დიდებულები, მათ შორის სეხნია ჩხეიძეც, რუსეთის იმპერატორს ანას სთხოვენ ბაქარ ბატონიშვილის სამშობლოში დაბრუნებას, მისგან ანტიირანული ბრძოლის განახლებას და მის მეთაურობას<sup>2</sup>.

ამ საბუთზე ხელმოწერით სეხნია კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ერთგულებას ვახტანგ VI-ისადმი და ანტიირანულ განწყობილებას.

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> დ. ლომიძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1978, №4 გვ. 134, მისივე, ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ. 2007, გვ. 120

სეხნია ჩხეიძეს ჰყავს შვილები გიორგი, გორგასალი და ანახანუმი. ეს უკანასკნელი ვახუშტი ორბელიანის შვილის – ვახტანგის მეუღლეა. ანახანუმის შვილია ესტატე ორბელიანი<sup>1</sup>.

სეხნია ჩხეიძე XVIII ს-ის 40-იანი წლებიდან აღარ ჩანს წყაროებსა თუ დოკუმენტებში. პროფ. შ. ხანთაძე მიიჩნევს, რომ მისი „გარდაცვალება XVIII ს-ის 40-იანი წლების შემდეგაა საგულებელი“<sup>2</sup>. მკვლევარ გ. იობაშვილის საპარაუდოდ მიაჩნია, რომ იგი 1745 წელს გარდაიცვალა<sup>3</sup>.

ვფიქრობთ, სეხნია ჩხეიძე XVIII ს-ის 40-იან წლებამდეა გარდაცვლილი. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, იგი თავის „ცხოვრება მეფეთაში“ ნამდვილად ვერ აუვლიდა გვერდს XVIII ს-ის 40-იან წლებში ქართლში დატრიალებულ ამბებს, კერძოდ, გივი ამილახვარის აჯანყებას, რომლის ძირითადი პერიპეტები სწორედ სურამში, მის შემოგარენში განვითარდა და სათანადო აღვილს მიუჩენდა თავის თხზულებაში.

რატომღაც მკვლევარების ყურადღების მიღმა დარჩა ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის თხზულების „ამბავი ქართლისანის“ ცნობა სეხნიას ჩხეიძის გარდაცვალების თარიღის შესახებ.

პაპუნა ორბელიანი ასე იწყებს თავის თხზულებას: „ვინათგან ვიდრე აქამომდე აღწერილი იყო ამბავნი ესე ქართლისანი, აღმწერელსა ამისას ჩხეიძე სეხნიასა დაშთომოდა შემდგომნი ყოფილნი და ყოფადნი და მე, პაპუნა ორბელიანმა, ხელვყავ აღწერად...“<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 1450, დავთარი 22, საბუთი 9

<sup>2</sup> შ. ხანთაძე, დასახ. წიგნი, გვ. 123

<sup>3</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, XI, თბ. 1987, გვ. 175

<sup>4</sup> ხეც, H - 2304

პაპუნა ორბელიანის თხზულების გვიანდელ (1846 წ.) ხელნაწერში, რომელიც ფარნაოზ ბატონიშვილის დაკვეთით არის გადაწერილი, პირდაპირ არის მითითებული, რომ „ვინაღდან, ვიდრე აქამოდღე აღწერილი იყო ამბავნი ესე ქართლისანი, აღმწერის ამისა ჩხერისძე (ჩხეიძე) სეხნისაგან, და ველარ აღწერა შემდგომად ამბავნი და მომკვლარიყო“<sup>1</sup>. ამავსე იმეორებს დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკისეულ ხელნაწერიც.<sup>2</sup>

სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ 1739 წლის მარტში მომხდარი ამბის (ინდოეთზე ლაშქრობა) გადმოცემით მთავრდება, მაგრამ მას წინ უსწრებს 1739 წლის მაისში „ერთი საკვირველი და კაცთაგან ჭკუა მიუწვდომელი“ მოვლენის შესახებ თხრობა. პაპუნა ორბელიანი კი თავის თხზულებას იმავე წლის ივლისში მომხდარი ამბით იწყებს.

ამრიგად, სეხნია ჩხეიძე უნდა გარდაცვლილიყო 1739 წლის მაისის შემდეგ, არაუგვიანეს ივლისამდე.

სეხნია ჩხეიძის განსასვენებელი იტრიის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში უნდა ვეძებოთ, რადგან ეს ეკლესია ტრადიციულად ჩხეიძეთა საძვალედ არის მიჩნეული XVII ს-ის 40-იანი წლებიდან.

სეხნია ჩხეიძის შემდეგ ქართლის ჩხეიძეები პოლიტიკურ სარბიელზე აღარ ჩანან, არც რაიმე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ან საქმიანობას ეწევიან. სეხნია ჩხეიძესთან მთავრდება ქართლის ჩხეიძეთა აქტიური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობა.

---

<sup>1</sup> ხეც, 9-37

<sup>2</sup> ხეც, S-3671

*Tamaz Latsabidze*  
*Khashuri Museum Union*  
**FOR BIOGRAPHY OF SEKHNIA CHKHEIDZE**  
**RESUME**

Sekhnia Chkheidze – Georgian historical writing representative of XVIII century, is studied properly, but plenty of things need innovatively approach. Especially, it is his antecedent, private life and scientific effort after 1722. Some unknown details about historian life and date of death-1739 is identified in this work.

*თამარ მესხი*  
*გიორგი წერეთლის სახელობის*  
*აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

### ტოპონიმ „ხონის“ განმარტებისათვის

„ხონი“ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ტოპონიმია. გარდა იმერეთის ქალაქ ხონისა, რომელიც მდინარე ცხენისწყლის მარცხენა მხარეს მდებარეობს, ხონი საქართველოში კიდევ რამდენიმე დასახლებულ პუნქტს ჰქვია. ესენია: სოფელი **ხონი** (ხარაგაულის მუნიციპალიტეტში), **ხონ-ჭიორი** (ამბროლაურის მუნიციპალიტეტში), სოფელი **ხონა** (ჭანეთში), **ხონა** (ნასოფლარი მესხეთში) და **ხონე//ხონისჭალა** (პირიქითა ხევსურეთში, მიღმახევში). ასევე, **ხონი** რქმევია ძველად ბორჯომის რაიონის სოფელ ტაბისყურს (წითელსაყდარი).

ერთი სახელწოდების ამდენი ტოპონიმი მკვლევართა გაცნობას იწვევდა და ამის ასახსნელად სხვადასხვა ვერსიებიც გამოითქვა.

ვიდრე ტოპონიმსა და მის შესახებ არსებულ თვალსაზრისებს შევეხებით, ჯერ ის გავიხსენოთ, თუ როგორ არის განმარტებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სიტყვა „ხონი“.

სულხან-საბას განმარტებით, „ხონი“ არის დიდი ტაბაკი.<sup>1</sup> ნიკო ჩუბინაშვილის თანახმად, სიტყვა „ხონი“ და „ხონჩა“ ნიშნავს სეფილს, გრძელ და დიდ ტაბაკს.<sup>2</sup> მსგავს გან-

---

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, 427.

<sup>2</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, 331.

მარტებას გვაწვდის დავით ჩუბინაშვილიც („ხონი“ არის გრძელი და ვიწრო ტაბაკი, სეფილა, ЛАТОК). ოლონდ, იქვე მიუთითებს, რომ სიტყვა „ხონი“ სპარსულია.<sup>1</sup> მის ამ თვალსაზრისს იზიარებენ ქართველი მეცნიერებიც.

მერაბ ჩუხუა, „სულხან-საბასეული განმარტების გათვალისწინებით, შეეცადა სიტყვა „ხონის“ ეტიმოლოგია ქართველურ ენა-კილოთა საფუძველზე აეხსნა: ზან. (მეგრ.) -**ხუ** (<**ხუნ**), დღა-**ხუ** „დღესასწაული“. ამიტომ მიაჩნია, რომ დიდი სუფრის შინაარსი დღესასწაულისგან უნდა განვითარებულიყო<sup>2</sup>

რაც შეეხება ტოპონიმ „ხონს“, მასთან დაკავშირებით გამოთქმულია რამდენიმე, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი. პირველ რიგში გაგაცნობთ იმერეთის ქ. ხონის ირგვლივ არსებულ თვალსაზრისებს:

1. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერილობის თანახმად, იმერეთის ხონმა სახელწოდება ადგილთა სივაკის გამო მიიღო.<sup>3</sup>

2. პლატონ იოსელიანი ხონს ბიზანტიელი ისტორიკოსის, აგათიას (VI ს.), მიერ დასახელებულ ციხე-ქალაქ „ონოგურისთან“ აიგივებდა.<sup>4</sup>

3. იოსებ ორბელმა ერთმანეთს დაუკავშირა სახელი „ხონი“ და სვანთა უძველესი სახელწოდება „ჰონი“ (სიც!). ი. ორბელი წერს: ხალხის სახელწოდება ონ შენახულია ამჟამად ქუთაისის გუბერნიის, რაჭვის მაზრის სოფლების ონისა

---

<sup>1</sup> დ. ჩუბინაშვილი, ქართულ რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, 1752.

<sup>2</sup> ფონეტიკური პროცესის სრული სურათისათვის იხ.: მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2003, 271.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), 750.

<sup>4</sup> Иоселиани П., Города существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850, 70-71.

და პატარა ონის სახელებში. დაწყებითი სპირანტის ჰ-ს და-კარგვას სისტემატურად აქვს ადგილი ქართულში. მეორე მხრივ, ხშირია ჰ-ის ქ-ად (ხ-ად) კანონზომიერი ამადლების შემთხვევებიც. სწორედ ასე გვინდოდა აგვეხსნა ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის დაბა ხონის და შორაპნის მაზრის სოფელ ხონის სახელწოდებები.<sup>1</sup>

4. იოსებ ყიფშიძე თავის მეგრულ-რუსულ ლექსიკონში მიუთითებს, რომ ქვემო იმერეთში მდებარე ხონის სახელწოდებას ხალხური ეტიმოლოგია უკავშირებს მეგრულ ზმნას „ხონუას“. „ხონუა“ ნიშნავს ხვნას, „მახონალი“ – მხვენელს, „ნა-ხონა“ – დახნულს, „ო-ხონუე“ ან „ო-ხონალი“ – სახნავ მიწას და ა.შ. „ხონი“ ზმნა „ხონუას“ ბრძანებითი ფორმაა და ნიშნავს „დახანი“. ი. ყიფშიძე იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ, მართალია, გეოგრაფიული სახელწოდებები ზმნის ბრძანებითი ფორმით მრავლადაა ცნობილი როგორც მეგრულში, ასევე სხვა დიალექტებში (მაგ., მოიდა-ნახე, ლებია-ვახაში და სხვ.), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ამტკიცებს ხონის ეტიმოლოგიის სისწორეს.<sup>2</sup> თავად ი ყიფშიძე „ხონის“ წარმომავლობას არ განმარტავს.

5. ტოპონიმ „ხონის“ წარმომავლობითა და ხონის ისტორიით დაინტერესებულა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი მიხეილ სიმონია, რომელსაც ქ. წულუკიძის (ხონის გასაბჭოების შემდგომი სახელწოდება) რაიონულ გაზეთში გამოუქვეყნებია წერილები. სამწუხაროდ, მკვლევარს დაშვებული აქვს რამდენიმე უზუსტობა: აიგივებს ონოგურისსა და

---

<sup>1</sup> Журнал Министерства народного просвещения (Отдел классической философии), май, 1911, 214.

<sup>2</sup> И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем (Мингрело-русский словарь), СПб, 1914, 406.



უქიმერიონს. ერთმანეთში ურევს ვაკე იმერეთის ხონს და მცირე აზიის სამიტროპოლიტო ქალაქ ხონს.<sup>1</sup>

6. ნიკო ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ „ხონი“ შეიძლება ყოფილიყო საგზაო მანძილი ნაქალაქევიდან მუხურის-ქუთათისისკენ.... იგი იქვე სვამს კითხვას: „თვით ტერმინი „ხონი“ შეიძლება საამისოდ რასმე იძლეოდეს? (ხანი?)“.<sup>2</sup>

7. ა. ფაილოძე გამოთქვამს საკმაოდ თამამ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, შესაძლებელია სახელი „ხონი“ ხეთურ-მცირეაზიური ამინდის ღვთაება ტაროს დაუუკავშიროთ. ამგვარი ფონეტიკური სახეცვლილებით: ტარო – ტარსონ-ტარზონ, მით უმეტეს, რომ კინჩხაში შემორჩენილია მისი საკულტო-სარიტუალო ადგილი ტარეში.<sup>3</sup>

8. მ. ჩუხუას, სიტყვა „ხონის“ თავისივე განმარტების საფუძველზე („ხონი“ ნიშნავს დღესასწაულს), მიაჩნია, რომ ტოპონიმი „ხონი“ ნიშნავს სადღეობო ადგილს. იქვე ავლებს პარალელებს: შდრ. ძვ. ქართ. ღონი „კერპი“, ხონ-ურ-ი „სადღეობო ცეკვა იმერეთში“.<sup>4</sup>

წარმოდგენილი თვალსაზრისებიდან ჩვენ ვერც ერთს ვერ გავიზიარებთ. ჩვენი აზრით, ტოპონიმი „ხონი“ მიქაელ მთავარანგელოზის მიერ ფრიგიის ხონეში მოხდენილ სასწაულთან და იქ მის სახელზე აგებულ ტაძართანაა დაკავშირებული.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> მ. სიმონია, ხონი, გაზ. „კომუნიზმის გზით“, 1960, № № 141 (25 ნოემბერი), 3-4; „საიდან წარმოიშვა სახელწოდება ხონი?“, გაზ. „კომუნიზმის გზით“, 1966 წ., № 143 (1 დეკემბერი), 3-4.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, 461.

<sup>3</sup> ა. ფაილოძე, წულუკიძის რაიონის ისტორიიდან..., 9.

<sup>4</sup> მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა..., 271.

<sup>5</sup> 6 სექტემბრის საკითხავის თანახმად, იოანე მახარებელი ჰიეროპოლისში წავიდა, რათა იქაური მოსახლეობა კერპთაყვანისცემლობისაგან

ამ თვალსაზრისის გამოთქმის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, გვაძლევს ის გარემოება, რომ საქართველოში არა მხოლოდ იერუსალიმის წმინდა ადგილების, არამედ ბიზანტიის სახელგანთქმული ტოპონიმებისა და ავტორიტეტული მონასტრების სახელწოდებებიც გადმოჰქონდათ. ამის მაგალითებია: **ანტიოქია** (ადგილი და მონასტერი მცხეთაში), **კლა-**

---

ეხსნა. ილოცა და იწინასწარმეტყველა, რომ იმ ადგილს მიქაელ მთავარანგელოზი განსაკუთრებული მადლით აღავსებდა და სასწაულს მოახდენდა. მართლაც, გარკვეული ხნის შემდეგ იოანე მახარებლის წინასწარმეტყველება აღსრულდა. ჰიერაპოლისის მახლობლად, კოლასეში, აიაზმის წყალი აღმოცენდა. ვინც კი ამ წყალს რწმენით დაეწაფებოდა, მაშინვე ყოველგვარი დაავადებისაგან იკურნებოდა. ამიტომ იმ ადგილზე მიქაელ მთავარანგელოზის სახელზე ააგეს ტაძარი, რომელშიც იღვწოდა ახლადნაკურთხი სასულიერო პირი, სახელად არქიპო. ქრისტიანთა მტრებმა ჯერ არქიპოს მოკვლა განიზრახეს, შემდეგ კი – აიაზმის წყლის გაქრობა. მიზნის მისაღწევად სხვადასხვაგვარ მავნე ხერხს მიმართეს. მდინარეს, რომელიც საკურთხეველის მახლობლად მიედინებოდა, კალაპოტი შეუცვალეს, რათა აიაზმის წყალს შერთვოდა, აიაზმას ძალა დაეკარგა და ხალხი ვეღარ განეკურნა. მაგრამ მდინარე საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა. მიუხედავად პირველი წარუმატებლობისა, ქრისტიანობის მტრებს ბოროტი განზრახვისათვის თავი არ დაუნებებიათ. ამის შემდეგ მათ ორ სხვა მდინარეს შეუცვალეს კალაპოტი და ზედ ტაძარზე მიაგდეს, რათა აიაზმის წყალთან ერთად, ტაძარიც შეემუსრათ. წყალი ტბორავდა მიდამოს და ტაძარს წასალეკად ემუქრებოდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა მიქაელ მთავარანგელოზი, ხელის აღპყრობით ჯვარი გამოსახა და მდინარეთ დგომა უბრძანა. შემდეგ კი, იმავე გზით, ჯვარი კლდეზე დაბეჭდა. იქაურობა შეძრა ჭექა-ქუხილმა, რასაც დიდი მიწისძვრა მოჰყვა და კლდე ორად განიპო. მთავარანგელოზმა ბრძანა: **„ამს დანახეთქსა შინა დანთქენინ ამიერთვან მდინარენი! და ესრეთ საკურვლებით ბრძანებული იგი საქმე იქმნა“**; თხრობაა ზოგებითი სასწაულისა მის ქმნილისაჲ ყოვლად დიდებულისა მიერ მიქაელ მთავარანგელოზისა ზონელთა შორის, იხ.: ძველი მეტაფორასული კრებულები (სექტემბრის საკითხავი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებელი დაურთო ნ. ვოგუაძემ, თბ., 1986, 84-89.

**ქერნა** (ასე მოიხსენიება ქვათახევის მონასტერი ძველ წყარო-ებში), „**ულუმბის მონასტერი**“ (ვახუშტი ბატონიშვილი ასახელებს ქართლში),<sup>1</sup> **ატენი** (ტოპონიმი და მონასტერი ქართლში),<sup>2</sup> **ქოზიფას მონასტერი** (ქართლში), რომელსაც სახელწოდება პალესტინაში მდებარე ქოზიფას მონასტრის მიხედვით შერქმევია.<sup>3</sup>

ფრიგიის ხონეში მდებარე მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარი სახელგანთქმული იყო მთელს მცირე აზიაში. საეკლესიო ტრადიციის თანახმად, „ხონის სასწაულის“ შესახებ, იმპერატორ კონსტანტინე დიდსაც სმენია. იმპერატორს ტაძარი შეუქმია და სამიტროპოლიტო ტაძრად გაუხდია. ამის შემდეგ იმპერატორმა მიქაელ მთავარანგელოზის სახელზე

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), 377, 379.

<sup>2</sup> თ. მესხი, ბერძნული ელემენტი ატენის ხეობის ტოპონიმიკაში..., 28.

<sup>3</sup> პალესტინის ქოზიფას ამჟამინდელი მონასტერი აშენებულია იმ უძველესი პატარა მონასტრის ნანგრევებზე, რომელიც V ს-ის I ნახევარში დააარსა ზუთმა სირიელმა მამამ სტეფანე პირველმოწამის სახელზე. V ს-ის II ნახევარში, გიორგი ქოზიფელის ძალისხმევით, მცირე მონასტერი გადაკეთდა კინობიურ ლავრად, რომლის წინამძღვარიც თავად იყო. მონასტერი კლდეში გამოკვეთილი სამსართულიანი სამონასტრო კომპლექსია. მესამე სართულზე მდებარეობს კლდეში გამოკვეთილი ილია წინასწარმეტყველის ეკლესია, რომელშიც, ბიბლიის თანახმად, იმალებოდა ილია წინასწარმეტყველი სამი წლისა და ექვსი თვის განმავლობაში, საზრდელს კი ყვავი უზიდავდა (მფ. I, 17, 13). საეკლესიო ტრადიციის თანახმად, რომელიც, სავარაუდოდ, იაკობის აპოკრიფულ სახარებას ეყრდნობა, ადგილი, სადაც ეს მონასტერი დაარსდა, ეკუთვნოდა ღვთისმშობლის მშობლებს – იოაკიმესა და ანას (Β. Τζαφίλδς, Ἀγιοι Τόποι, 215). როგორც ჩანს, მონასტერმა ქართველთა განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამით მიიპყრო. მონასტერი გიორგი ქოზიფელის სახელობისა და არა წმ. გიორგისა, როგორც ეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და ინტერნეტსაიტებზეა მითითებული [თ. მ].

კიდევ ორი ტაძარი ააგო კონსტანტინეპოლში. ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული, ფრიგიის ზონეს ტაძრის გავლენით, საქართველოშიც აეშენებინათ მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი და ადგილსაც ზონი ამის გამო შერქმეოდა.

ამას ხელს შეუწყობდა ის გარემოებაც, რომ მიქაელ მთავარანგელოზისადმი მიძღვნილი დღესასწაული ქართულ ღმრთისმსახურებაში საკმაოდ ადრე დამკვიდრებულა. კ. კეკელიძის დაკვირვებით, უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში<sup>1</sup> 6 (19) სექტემბრისა და 8 (21) ნოემბრის ნაცვლად, მიქაელ მთავარანგელოზისადმი მიძღვნილი დღესასწაული 14 ნოემბერს დასტურდება. მისივე თქმით, „ამგვარ პრაქტიკას სხვაგან სადმე ადგილი არ ჰქონია და არ აქვს“. ამ მოვლენას კი ასე ხსნის: „ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა გვქონდეს გამოძახილი იმ ეორტოლოგიური პრაქტიკისა, რომელიც მიღებული ყოფილა 12, 13, 14 ათირის თვეს ეგვიპტეში, ამ რიცხვებში აქ მოდიოდა მიქაელ მთავარანგელოზის დღესასწაული. ათირ თვე უდრის ნოემბერს, მაშასადამე, 14 ნოემბერი მექანიკურად აღებულია 14 ათირის მაგიერ. ასეთი მექანიკური შენაცვლება, საფიქრებელია, მოხდა იერუსალიმში, სადაც არსებობს ცნობა, რომ ანგელოზთა კულტი შეტანილ იქნა აფრიკიდან, იერუსალიმიდან კი ის ჩვენს პრაქტიკაშიც იქნებოდა მიღებული“.<sup>2</sup>

რაც შეეხება „ზონის სასწაულს“, მისი უძველესი ქართული ტექსტი დასტურდება ექვთიმე მთაწმიდელის თხზუ-

---

<sup>1</sup> კ. კეკელიძეს მხედველობაში ჰქონდა: 1. ჰაემეტური პალიმფსესტური კალენდრის ფრაგმენტი ((H 1329), დათარიღებული VIII საუკუნით; 2. იოანე ზოსიმეს კალენდარი (956 წ.), 3. „იერუსალიმის განჩინება“ VII საუკუნისა (X ს. ხელნ.), 4. ჭილ-ეტრატის იადგარი (IX ს.), 5. მიქაელ მორდეკილის იადგარი (X ს.), 6. პარიზის ლექციონარი XI ს. ის დამდევსა.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ექვთიმე ათონელის..., 238.

ლებამი „თხრობად სასწაულთათჳს და საკურველებათა დიდებულისა მთავარანგელოზისა მიქელისთა და სხუათა მათ წმიდათა ანგელოზთა“ (ხელნ. A-1103, გვ. 157-164). გიორგი მთაწმიდელმა კი თავის სვინაქსარში „ხონის სასწაულის“ სადღესასწაულო თარიღად 6 სექტემბერი მიუთითა.<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ „ხონის სასწაულს“ საქართველოში გაცილებით ადრე იცნობდნენ და, აი, რატომ:

ბიზანტიური წყაროების მიხედვით, ფრიგიის ხონეს ადრე კოლასე ეწოდებოდა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ VI მსოფლიო კრებას (692 წ.) ესწრებოდა კოლასეს ეპისკოპოსი. მეშვიდე კრებაზე (787 წ.) კი „კოლასე“ შეცვლილია „ხონით“. ამასთან დაკავშირებით, კ. კეკელიძე აღნიშნავდა: „ეს უმნიშვნელო არაა ქართული ქალაქის ხონის ისტორიისათვის, თუ მის სახელს მცირეაზიის ხონთან რაიმე გენეტიკური კავშირი აქვს“.<sup>2</sup> ამიტომ, მოდით, ვნახოთ, რა არის ცნობილი იმერეთის ხონის შესახებ.

ხონის ქალაქად გადაქცევას შ. მესხია იქ საეპისკოპოსოს დაარსებას (XVI ს.) უკავშირებს.<sup>3</sup> თუმცა ხონს, როგორც დასახლებულ პუნქტს, ხანგრძლივი ისტორია აქვს. ხონის ტერიტორია ისტორიული კოლხეთის სამეფოს შემად-

---

<sup>1</sup> „... კსენებად სასწაულისად ამის, რომელ იქმნა ხონას დიდებულისა მიქელ მთავარანგელოზის მიერ“; დიდი სვინაქსარი (კონსტანტინეპოლური ტიპიკონი), ბერძნულიდან თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ, ტექსტი XI საუკუნის ექვსი ხელნაწერის (Ath. 30, H 2211, 97, 193, Sin. 4, Jer. 24-25) მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერი თანამშრომელმა მანანა დოლაქიძემ. იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი (თსუ წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ტაძარი), თბ., 2003, 195.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ექვთიმე ათონელის ..., 258.

<sup>3</sup> III. Месхия, Город и городской строй в феодальной Грузии, Тб., 1959, 124.

გენელი ნაწილი იყო. დაბა ხონის წარმოშობა და განვითარება ამ ტერიტორიაზე გამავალ სავაჭრო-საქარავენო გზებთანაა დაკავშირებული. ხონში ნაპოვნია „კოლხური თეთრის“ მონეტები (1270 ცალი). ასევე, ბიზანტიური და თურქული მონეტები. ხონსა და მის მახლობელ სოფლებში: პატარა ჯიხაიშში, ქუტირსა და ღვედში ნაპოვნია გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, ხოლო ქვედა კინჩხაში – ანტიკური ხანის ოქროს ფული, მეფე აკეს (ძვ. წ. III ს.) სტატერი. იქვე მიკვლეულია ძველისძველი ლითონსაღნობების ნაშთები. მდინარე ცხენისწყალზე დღემდე შემორჩენილია „ბუმბუას ხიდის“ ბურჯი, რომელსაც ხალხური ტრადიცია აკავშირებს გნეიუს პომპეუსთან, რომელმაც, პონტოს სამეფოზე გამარჯვებულმა, ძვ. წელთაღრიცხვით 65 წელს კოლხეთზე გამოილაშქრა.<sup>1</sup>

ქრისტიანობის პირველსავე საუკუნეებში აშენებულა ეკლესიები ხონის მახლობელ სოფლებში: გელავერში, ქვედა კინჩხასა და ხიდში. ხონის სანახებში უძველესი ეკლესიების არსებობას ბიზანტიელი ისტორიკოსებიც ადასტურებენ. ასე მაგ.: VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი ავათია ონოგურისის ბრძოლის (554 წ.) აღწერისას, აღნიშნავს, რომ იმ დროისათვის ონოგურისი წმ. სტეფანე პირველმოწამის სახელით მოიხსენიებოდა, ვინაიდან იქ მისი სახელობის ტაძარი აუშენებიათ.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> პ. ვაჭრიძე, ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან, თბ., 1977, 3-9; ა. ფაილოძე, წულუკიძის..., 3 -11.

<sup>2</sup> „ახლა უმეტესობა ასე (ონოგურისს – თ. მ.) კი არ უწოდებს, არამედ, იმის გამო, რომ იქ აუცილთ ტაძარი სახელზე საკვირველისა სტეფანესი (რომელმაც, როგორც ამბობენ, ძველად, თავისივე სურვილით, პირველმა შესწირა თავი ქრისტიანულ სარწმუნოებას და მოწინააღმდეგეთა მიერ ქვით ჩაიქოლა), მართებულად ჩაითვალოს ადვილს მისი სახელი შერქმეოდა. არა მგონია, არსებობდეს რაიმე საწინააღმდეგო, რომ კონკრეტული ადგილი ძველი სახელით მოვიხსენიო, რადგან ისტორიულ

იქვე მახლობლად მდებარეობს აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთის მთავარანგელოზის ბაზილიკური ტიპის ეკლესია. რომლის სამხრეთის სვეტების გამაერთიანებელ კედელში (შუა თალის ზემო თახჩაში) ჩაშენებულია ქვა ბერძნული წარწერით: „წმიდაო სტეფანე, ყოველთა წმიდათა თანა მეობ ესავ მონასა ფილოქტისტეს და ყოველთა ნათესავთა მისთა“<sup>1</sup> თ. ყაუხჩიშვილიმა ბერძნული წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, VI-VII საუკუნეებით დაათარილა. საბოლოოდ კი, აგათიას ცნობის გათვალისწინებით, VI საუკუნის შუა წლებისად მიიჩნია. ისიც განაცხადა, რომ ფილა, რომელიც მთავარანგელოზის ეკლესიაში გამოუყენებიათ როგორც საშენი მასალა, ადრე უთუოდ ამშვენებდა წმ. სტეფანეს ტაძარს, რომელიც იმავე რაიონში იყო VI საუკუნის შუა წლებში.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ე. თაყაიშვილს ზემოთ ხსენებული წარწერიანი ქვა არ უნახავს, სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესიას ისიც სამეგრელოს უძველეს ეკლესიად მიიჩნევდა,<sup>3</sup> პ. ზაქარაია და თ. კაპანაძე, არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზისა და „ისტორიული სიტუაციის“ გათვალისწინებით, მთავარანგელოზის ეკლესიას V-VI საუკუნეებით ათარილებენ. ფიქრობენ, რომ ამ ტაძრის კედლებში ჩატანებუ-

---

*თხზულებას ამგვარი რამ უფრო მიესადაგება“*, Αγαθίου Σχιλαστικόν, Ιστορίαι, III, 5, 7, Αθήνα, 2008, 369 [თარგმანი ჩვენია - თ. მ.]. იხ. აგრეთვე: აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ტ. III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936, 52.

<sup>1</sup> თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, 89-91; მისივე: ბერძნული წარწერების კორპუსი., თბ., 2004, 121.

<sup>2</sup> თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერების კორპუსი..., 121.

<sup>3</sup> ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი მეორე, ტფილისი, 1914, სეფიეთი, 33-39.

ლი ბერძნულწარწერიანი ქვა და ასევე სხვა „სუფთად გათლილი დიდი ქვები“ იქვე მდებარე სხვა შენობის ნანგრევებიდანაა გადატანილი.<sup>1</sup>

ბოლო გამოკვლევა ონოგურისის ციხის შესახებ ვ. გოილაძეს ეკუთვნის. მკვლევარს მიაჩნია, რომ აგათიას მიერ დასახელებული წმ. სტეფანე პირველმოწამის ტაძარი სოფ. საფეიეთის სასაფლაოს (ან მასთან ახლოს) ტერიტორიაზე მდებარე ტაძარი უნდა ყოფილიყო.<sup>2</sup>

ერთი სიტყვით, VI საუკუნეში ხონის მიდამოებში რომ ქრისტიანული ეკლესიები არსებობდა, უდალა. თვითონ ხონის ეკლესია დიდი ზომის ბაზილიკური, სამნავიანი, უგუმბათო ნაგებობაა. მის კედლებზე უხვად ყოფილა განთავსებული სხვადასხვა დროს შესრულებული ისტორიული ხასიათის ლაპიდარული წარწერები. ეკლესიის გადაკეთება-განახლების დროს ეს წარწერიანი ქვები აქა-იქ მოხვედრილა, ზოგი კი დაკარგულა. წარწერებში დასახელებულ პირთა შორის გამოირჩევა გიორგი კუროპალატი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა გიორგი I-ად მიიჩნია და ამის გამო ეკლესია XI საუკუნით დაათარილა.<sup>3</sup>

ხონის ეკლესიის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვე ცნობილ მეცნიერებს: მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძეს, ანდრეი მურავიოვს, ნიკოლოზ კონდაკოვს, გიორგი ჩუბინაშვილს, შალვა ამირანაშვილს და სხვებს. დასახელებული მკვლევარების უმეტესობა ხონის ეკლესიას XI საუკუნით

---

<sup>1</sup> პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, 1991, 214.

<sup>2</sup> ვ. გოილაძე, აგათია სქოლასტიკოსის ცნობა ონოგურისის ციხის შესახებ, კრებ. ბიზანტინოლოგია საქართველოში – 3, თბ., 2011, 153.

<sup>3</sup> ე. თაყაიშვილი, ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, ძველი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. III, 1913-1914, 270-302.



ათარიღებს. ამიტომ სადღეისოდ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხონის ეკლესიის აგების თარიღად XI საუკუნეა მიჩნეული.

მიუხედავად ამისა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმავე ლაპიდარული წარწერების საფუძველზე, ზოგი მკვლევარი ხონის ეკლესიის აგების თარიღად IX საუკუნეს მიიჩნევს (ს. კაკაბაძე, ა. ქუთათელაძე), ზოგი კი ამ თარიღს კიდევ უფრო უკან გადასწევს. ასე მაგ.: ა. ფაილოძე ხონის ეკლესიის ლაპიდარული წარწერებიდან უძველესად თვლის ორ წარწერას, რომლებშიც მოხსენიებულია ერისმთავარი ჯუანშერი.<sup>1</sup> მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს წარწერები VIII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო წარწერებში მოხსენიებული ჯუანშერი ქართლის ერისმთავრის, არჩილის ძე უნდა იყოს. ამ დასკვნას აკეთებს „მატიანე ქართლისაჲს“ იმ ცნობის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, *„რაჟამ აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ, დაშთეს შვილნი მისნი იოვანე და ჯუანშერ. წარვიდა იოვანე ეგრისად, და წარიტანა თანა დედა და ორნი დანი თჳსნი“*.<sup>2</sup> ა. ფაილოძის აზრით, სწორედ ეგრისში გადმოსვენებულმა იოვანემ ჩაუყარა საფუძველი ხონის ეკლესიას, მის ფასადზე კი ძმის სახელზე წარწერა ამოაკვეთინა. მკვლევრისავე თქმით, წარწერაში ჯუანშერის მოხსენიება იმითაა განპირობებული, რომ იმ დროს მთელი დასავლეთ საქართველო ქართლის ერისმთავრის ხელში იმყოფებოდა. ამრიგად, ა. ფაილოძის თანახმად, ხონის ეკლესია აგებულია

---

<sup>1</sup> ა. ფაილოძე, წულუკიძის რაიონის..., 17-18. ეს წარწერა სხვაგვარად აქვს გაშიფრული ვ. სილოგავას, იხ.: ლაპიდარული წარწერები, II (დასავლეთ საქართველოს წარწერები), ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980, 134-136.

<sup>2</sup> მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება ტ. I (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), თბ., 1955, 249.

VIII საუკუნის შუა წლებში, ეგრისში იოანეს და ქართლში ჯუანშერის მმართველობისას.<sup>1</sup>

ეს თვალსაზრისი ასე დეტალურად იმიტომ მოვიხმეთ, რომ საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ხონის ეკლესია VIII საუკუნეში აშენდა.

საეკლესიო ტრადიციასთან მიახლოებულ თარიღს ასახელებს პლატონ იოსელიანი, რომელიც გვაუწყებს, რომ ქართული მატრიანების მიხედვით, ხონი დაარსებულია 812 წელს, აფხაზთა მეფის თეოდოსის (791-818 წწ.) მიერ.<sup>2</sup> სამწუხაროდ, პ. იოსელიანი წყაროს არ ასახელებს.

ხონის ეკლესიას ადრეული ქრისტიანული ხანის, VII-VIII საუკუნეებში აგებულ ძეგლად მიიჩნევდა აგრეთვე რუსი მოგზაური ანდრეი მურავიოვი, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერვე ხონში ჩაწერილი ლეგენდის თანახმად, ხონის ეკლესია თამარ მეფეს აუგია.<sup>3</sup>

საკვლევი საკითხისთვის მთავარი მაინც ის არის, რომ ხონის წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთის გალავნის შიგნით დღესაც ჩანს უძველესი ეკლესიის ნანგრევები. ამ საძირკვლის მხოლოდ ნაწილი ჩანს მიწის ზევით (სიგრძით 4 მ. და სიგანით 2 მ.), დანარჩენს ეკლესიის გალავანი ფარავს.<sup>4</sup> **რატომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ის**

---

<sup>1</sup> ა. ფაილოძე, წულუკიძის რაიონის..., 14-28.

<sup>2</sup> П. Иоселиани, Города существовавшие ..., 70-71.

<sup>3</sup> А. Муравьев, Грузия и Армения, часть 3, СПб, 1848, 136.

<sup>4</sup> ე. თაყაიშვილის აზრით, ეს ნანგრევები წმ. სტეფანეს ეკლესიისა იყო (ე. თაყაიშვილი, ხონის ეკლესია..., 273), მაგრამ მომავალმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ეს ასე არ არის. იგივე ნანგრევები ნ. ბერძენიშვილმა ნაგვიანედა აღიქვა, მაგრამ მანვე წამოაყენა საკითხი მათი შესწავლის აუცილებლობის შესახებ, რადგან მიაჩნდა, რომ ძველი ეკლესიის თარიღის დადგენა, მნიშვნელოვანი იქნება თვითონ ხონის დასათარიღებლად (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII,

უძველესი ეკლესია მიქაელ მთავარანგელოზის სახელობისა იყო და ადვილსაც ხონი ფრიგიის ხონეს გავლენით შეერქვა. მას შემდეგ კი, რაც საქართველოში წმ. გიორგის კულტი განმტკიცდა (XI ს.), ძველი ეკლესიის ნანგრევებზე წმ. გიორგის სახელობის ტაძარი ააშენეს.

წარმოდგენილი თვალსაზრისის უკეთ გასააზრებლად, კიდევ ერთხელ შევაჯეროთ ის ძირითადი არგუმენტები, რომლებიც ხონის ეკლესიის სიძველეზე მეტყველებს:

1. ბიზანტიური წყაროების მიხედვით, ფრიგიის კოლასე 787 წლიდან მოიხსენიება ხონედ.

2. საქართველოს საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ხონის ეკლესია VIII საუკუნეში აშენდა.

3. უცნობი ქართული მატეიანების საფუძველზე, საეკლესიო ტრადიციასთან მიახლოებულ თარიღს (812 წ.) ასახელებს პლატონ იოსელიანი.

4. ეკლესიაზე არსებული ზოგიერთი ლაპიდარული წარწერა, საშუალებას იძლევა ეკლესია VIII საუკუნით დათარიღდეს.

5. ხონის წმ. გიორგის ეკლესიის გალავნის შიგნით დღესაც ჩანს უძველესი ეკლესიის ნანგრევები.

ამ არგუმენტებთან ერთად, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ IX საუკუნემდე დასავლეთ საქართველო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა, სავსებით ლოგიკური ჩანს, რომ იმერეთის „ხონს“ სახელწოდება ფრიგიის ხონეს გავლენით შერქმეოდა, მით უფრო, რომ ასეთი პრეცედენტები დასტურდება დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე, იტალიასა და ბასკეთში.

---

460). როგორც ჩანს, ნანგრევები არც ძალიან გვიანდელია, თორემ ე. თაყაიშვილი მათ წმ. სტეფანეს ეკლესიის (VI ს.) ნანგრევებად არ ჩათვლიდა.

უმნიშვნელო არ არის არც ის, რომ იმერეთის ხონი მდებარეობს ორ მდინარეს (ცხენისწყალსა და გუბისწყალს) შორის, ისევე როგორც ფრიგიის ხონე მდებარეობს ორ მდინარეს შორის, რომელთაგან ერთის სახელი ყოფილა Λυκόκαπρος (ლიკოკაპროს) - „ემუე-მგელი“, მეორისა კი – Κοῦφος (კუფოს) - „სუბუქ“.<sup>1</sup> ეს გარემოება იმის დასტურიცაა, რომ როდესაც საქართველოში რომელიმე ავტორიტეტული მონასტრის გავლენით აშენებდნენ მონასტერს, ადგილსაც მიმსგავსებულს არჩევდნენ. ამის ნათელი მაგალითია ჩვენ მიერ უკვე ხსენებული ქოზიფას მონასტრის მდებარეობა პალესტინასა და ქართლში.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> თხრობად ზოგებითი სასწაულისა .... ძველი მეტაფრასული კრებული, თბ., 1986, 84-89.

<sup>2</sup> პალესტინის ქოზიფას მონასტერი მდებარეობს იუდეის უდაბნოში, იმ უძველესი გზის მახლობლად, რომელიც იერიქოს იერუსალიმთან აკავშირებს. იგი აშენებულია ელ-კილტის ხეობის ჩრდილოეთ კალთაზე, რომლის სალი კლდეების ოქროსფერ შეფერილობასაც მოგზაურები საგანგებოდ აღნიშნავენ (B. Τζαφέδης, Ἁγιοι Τόποι, 215).

ქართლის ქოზიფას მონასტრის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „...*აქიღამ გარდავალს გზა გუჯარეთს რაჭის ხევზედ... ქოზიფას ზეით არს კლდე ფრიად შეუნიერი, ყვითელი და ბრწყინვალე, ვითარცა ოქრო, და მის ქუეით არს მონასტერი ქოზიფას, უგუნბათო, კეთილშენი, მთასა შინა, და აწ უქმი*“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 345).

პალესტინის ქოზიფას მონასტრის გავლენით, **ხოზოვიოტისა** შერქმევია კიკლადების შემადგენლობაში შემავალ კუნძულ ამორგოსის ერთ-ერთ მონასტერსაც. საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ხატმბრძოლობის მეორე პერიოდში (842-843 წწ.) პალესტინის ქოზიფას მონასტრიდან ამორგოსზე ღმრთისმშობლის ხატი ჩამოიტანეს და ხორას აღმოსავლეთით, ეგეოსის ზღვაზე გადმოკიდებულ **ციცაბო, ოქროსფერ კლდეში** ილია წინასწარმეტყველის პატარა ეკლესია ააგეს. 1088 წ. იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა იქ ღმრთისმშობლის სახელობის სტავროპიგიალური მონასტერი დააარსა, რომელსაც, ხოზოვიოტისა უწოდეს.

საბერძნეთის ზოგიერთ კუნძულზე (თასოსი, კრეტა, ლეროსი და ა.შ.) მიქაელ მთავარანგელოზს მოიხსენიებენ აგრეთვე ეპითეტით Ὁ Τριπλίτης (ო ტრიპიტის), „გამხვრეტი“, ე.ი. კლდეში ნაპრალის გამჩენი. ამიტომ არაერთი ნაპრალოვანი კლდის სახელიც მთავარანგელოზს დაუკავშირდა.

იმერეთში, ქ. ხონის გარდა, გვაქვს აგრეთვე სოფელი **ხონი** (ხარაგაულის მუნიციპალიტეტში). სოფელი მდებარეობს მდინარეების – ძირულასა და საკრაულას (ხანისწყლის მარჯვენა შენაკადი) – წყალგამყოფის ჩრდილოეთ კალთაზე. მდინარის სახელწოდება „ხანისწყალიც“, შესაძლოა იმაზე მეტყველებდეს, რომ სოფლის სახელწოდებაც ფრიგიის ხონესთან არის კავშირში.

ვფიქრობთ, ასევე უნდა აიხსნას სახელწოდება სოფლისა **ხონ-ჭიორი**, რომელიც მდებარეობს რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე (ამბროლაურის მუნიციპალიტეტში). სავარაუდოდ, თავდაპირველად სოფელს ჭიორი ერქვა. მას შემდეგ კი, რაც იქ მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია ააგეს, ხონ-ჭიორი შეერქვა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, **ტოპონიმი ხონი დასავლეთ საქართველოში ფრიგიის ხონეს გავლენით უნდა იყოს დამკვიდრებული.**

წარმოდგენილი თვალსაზრისის სისწორეში გვარწმუნებს აგრეთვე ხევსურეთში (მიღმახევში) მდებარე სოფელ **ხონესთან** (ხევსურულად **კონე// კონისჭალა**) დაკავშირებული ლეგენდა. თუმცა, ლეგენდის გაცნობამდე, საჭიროდ მიგვაჩნია, ის თვალსაზრისი განვიხილოთ, რაც ამ ტოპონიმთან დაკავშირებითაა გამოთქმული.

ხევსურეთის ტოპონიმ „ხონე“-ს ნ. ვოლკოვა ამ ტერიტორიაზე ჰონთა<sup>1</sup> დროინდელი ცხოვრების კვალის მიმანიშნებლად მიიჩნევს,<sup>2</sup> რასაც ქართველი მეცნიერები არ იზიარებენ. კერძოდ, ნ. ვოლკოვას თვალსაზრისთან დაკავშირებით, ვ. ითონიშვილი წერს: „ხონესა“ და „ჰონს“ შორის რაღაც კავშირის ძებნა მიზანშეუწონელია, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ აღნიშნული სახელწოდებები ფონეტიკური თვალსაზრისითაც არ ავლენენ ერთმანეთთან რამდენადმე თვალშისაცემ სიახლოვეს, მაგრამ თუკი თავს ძალას დავატანდით და მათ შორის მაინც დავინახავდით გარეგნულ მსგავსებას, მაშინ ხომ ძალაუნებურად მოგვიწევდა ასეთი მსგავსების ხაზგასმა, ერთი მხრივ, „ჰონსა“, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დამოწმებულ ისეთ ტოპონიმებს შორის, როგორებიცაა „ხონი“ (ქალაქი და სოფელი იმერეთში), „ხონჭიორი“ (სოფ. რაჭაში, ამბროლაურის რაიონში), „ხონა“ (სოფ. ჭანეთში), „ხონა“ (ნასოფლარი მესხეთში) და სხვა, რაც თავისთავად ახალი სერიოზული გაუგებრობის წყაროდ იქცეოდა.“<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> „ჰონი“ ან „ჰუნ“ თათართა მოდგმის მომთაბარე მესაქონლე ტომების აღმნიშვნელი ეთნონიმა. დამოწმებულია V-VI სს. სომხურ საისტორიო წყაროებში. არსებობს თვალსაზრისი, რომ „ჰონთა ქვეყანა“ აერთიანებდა დაღესტნის მიწა-წყალს, ვაინახურ ტომთა განსახლების ტერიტორიას. IV-VI სს-ში ჰუნები ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე იწყებენ დამკვიდრებას. სწორედ ამ დროიდან იწყება მათი დამარბეველი ლაშქრობები ირან-ბიზანტიის წინააღმდეგ. ამ ლაშქრობათა ერთ-ერთ ასპარეზს კავკასიის კლდეკარებიც წარმოადგენდა. (უფრო ვრცლად ამ საკითხის შესახებ, იხ.: ვ. გოილაძე, ჰუნ-თურქები კავკასიაში, თბ., 2008, 100-109).

<sup>2</sup> Н. Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, 128-130.

<sup>3</sup> ვ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიდან, თბ., 1992, 291.

ვფიქრობთ, ვ. ითონიშვილი სრულიად მართებულად უარყოფს კავშირს „ხონესა“ და „ჰონს“ შორის, მაგრამ, სამწუხაროა, რომ „ხონეს“ რაიმე განსხვავებულ განმარტებას არ ვეთავაზობს.

იმის შესახებ, თუ საიდან მომდინარეობს ხევსურეთის სოფელ **ხონეს** სახელწოდება, სოფლის შესახებ არსებული ლეგენდა გვიმხელს.

ლეგენდის თანახმად, „*მუცოში იყო სალოცავი მთავარანგელოზი, რომელიც ძღებარეობდა ყველაზე მაღალ მთაზე – დაქუენზე (თებულოს მთა, რომელიც ზამთარ ზაფხულ თოვლითაა დაფარული). სოფლელებს სალოცავად ასვლა უჭირდათ, ყველა ვერ ადიოდა. ამიტომ დაკლეს ერთი ხარი და ითხოვეს, სალოცავი დაბლა დაარსებულიყო. ამის შემდეგ ჩამოსულა და დაარსებულა ერთ წმინდა ადვილზე, **ჰონეს**. მას შემდეგ იქ დაუწყიათ ლოცვა. იმასაც ამბობენ, რომ მთავარანგელოზი არხოტიდან ჯერ ქისტეთში წასულა, იქიდან დაქუენში მისულა, იქიდან კი **ჰონეში** ჩაიყვანეს **ჰონის მთავარანგელოზი** ... მთავარანგელოზი თავის სოფელში არ უშვებდა ჟამთ (შავ ჭირს). ერთი კაცი სხვა სოფლიდან გამოქცევია ჟამთ, გატიტვლებულა, **ჰონის წყალში** შევარდნილა, მერე კი **ჰონის მთავარანგელოზის საყდარში** მისულა და გადარჩენილა. მუცოდანაც გაქცეულან ჰონესავე ხალხი. თურმე, უკან ჟამნი დაედევნენ. მისულან ჰონეში და ჟამნი ველარ გადარჩნენ. ასე გადარჩენილა ხალხი“<sup>1</sup>.*

ვფიქრობთ, მოხმობილი ლეგენდა საკმარისი საფუძველია საიმისოდ, რომ ხევსურეთში ტოპონიმ „ხონეს“ გაჩენა ფრიგიის ხონეს დავუკავშიროთ.

---

<sup>1</sup> ზ. კიკნაძე, ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები), თბ., 2009, 138.

მართალია, ზემოთ დასახელებულ სხვა ტოპონიმებთან (ზონა – ჭანეთში, ზონა – ნასოფლარი მესხეთში, ზონი – ახლანდელი ტაბისყური) დაკავშირებით, მსგავსი ლეგენდები არ გვაქვს (ან, იქნებ, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ), მაგრამ უეჭველია, რომ ისინიც ფრიგიის ზონეს გავლენით შეიქმნა. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ დასახელებული სოფლები გაშენებულია მდინარეების მახლობლად, ან წყალუხვ ადგილებში.

ჩვენი საბოლოო დასკვნა კი ასეთია: **როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში ტოპონიმი „ზონი“ ფრიგიის ზონეს გავლენით უნდა იყოს გაჩენილი.**

#### **დამოწმებანი:**

აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ტ. III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936.

ბაქრაძე დ., ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X საუკუნის დამლევამდე), თბ., 1889.

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975.

გოილაძე ვ., ჰუნ-თურქები კავკასიაში, თბ., 2008.

გოილაძე ვ., აგათია სქოლასტიკოსის ცნობა ონოგურისის ციხის შესახებ, კრებ. ბიზანტინოლოგია საქართველოში – 3, თბ., 2011, 137-155.

დიდი სვინაქსარი (კონსტანტინეპოლური ტიპიკონი), ბერძნულიდან თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ, ტექსტი XI საუკუნის ექვსი ხელნაწერის (Ath. 30, 2211, 97, 193, Sin. 4 da Jer. 24-25) მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთანამშრომელმა



მანანა დოლაქიძემ. იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი (თსუ წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ტაძარი), თბ., 2003.

ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

ვაჭრიძე პ., ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან, თბ., 1977.

ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991.

თაყაიშვილი ე., ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, ძველი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. III, 1913-1914..

თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი მეორე, ტფილისი, 1914.

ძველი მეტაფრასული კრებული (სექტემბრის საკითხავი), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებელი დაურთო ნ. გოგუაძემ, თბ., 1986.

ითონიშვილი ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992.

კეკელიძე კ., ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1945, 237-268.

კიკნაძე ზ., ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები), თბ., 2009.

ლაპიდარული წარწერები, II (დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I, IX-XIII სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

მესხი თ., ბერძნული ელემენტი ატენის ხეობის ტოპონიმიკაში და ატენის სიონი, კრებ.: „ბიზანტიური წყაროები სა-

- ქართველოს შესახებ, პროგრამა „ლოგოსი“, თბ., 2010, 159-222. იხ. აგრეთვე: იგივე ნაშრომი მონოგრაფიის სახით (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), პროგრამა „ლოგოსი“, თბ., 2010.
- პროკოპი კესარიელი, შენობათა შესახებ, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და საძიებელი დაურთო ჯ. შოშიაშვილმა, თბ., 2006.
- სიმონია მ., ხონი, გაზ. „კომუნიზმის გზით“, წულუკიძის (ხონის გასაბჭოების შემდგომი სახელწოდება) რ-ნის გაზეთი), 1960, 25 ნოემბერი (№141), 3-4.
- სიმონია მ., საიდან წარმოიშვა სახელწოდება ხონი?, გაზ. „კომუნიზმის გზით“ 1966, 1 დეკემბერი (143), 3-4,
- სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993.
- ფაილოძე ა., წულუკიძის რაიონის ისტორიიდან (ცნობარი), თბ., 1984.
- ყაუხჩიშვილი თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951.
- ყაუხჩიშვილი თ., ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2004.
- ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2002-2003.
- Бакрадзе Д., Кавказ в древних памятниках христианства, Тифлис, 1875.
- Волкова Н. Г. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973.
- Журнал Министерства народного просвещения (Отдел классической философии), май, 1911.
- Иоселиани П., Города существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1950.

- Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем (Мингрело-русский словарь), СПб, 1914.
- Месхия Ш., Город и городской строй в феодальной Грузии, Тб., 1959.
- Муравьев А., Грузия и Армения, часть 3, СПб, 1848.
- Αγαθίου Σχολαστικού, Ιστορία, Αθήνα, Εκδόσεις Κανάκη, 2008.
- Τζαφέρης, Β., Άγιοι Τόποι, 1986.

*Tamar Meskhi*

*Giorgi Tsereteli Institute for Oriental Studies*

**TOWARDS THE EXPLANATION OF THE PLASE  
NAME “CHONI”**

**RESUME**

The place name **Khoni** (or its slightly different forms: **Khona, Khone, Khonischala, Khon-Chiori**) occurs as names of towns and villages of various regions of Georgia. Different opinions have been expressed to explain this circumstance. In the view of the present author, the place name “Khoni” is linked with the Miracle worked by Archangel Michael at Chonae, Phrygia, and the church of Archangel Michael located there. This viewpoint is, above all, confirmed by the fact that not only the names of holy places of Jerusalem but also well-known Byzantine toponyms and names of authoritative monasteries were transferred to Georgia, e.g., **Antioch** (place and monastery in Mtskheta), **Blachernae** (Kvatakhevi monastery is referred to in this way in old sources), **Ulumbo monastery** (Kartli), **Koziba monastery** (Kartli), etc. This is

also supported by the legend related with the village **Khone** (**//Khonischala**) in Khevsureti. It is doubtless that the place name “Khoni” was established before the arrival of the Okoni (Miracle Archangel Michael at Chonae) icon in Georgia (11 th c.), as according to the Georgian Church tradition, Khoni church was built in the 8<sup>th</sup> c.